მიხა ჭინჭარაული

შატილი
და
შატილივნეები

გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი 2008

წიგნის ავტორი დაიბადა და გაიზარდა შატილში. ამჟამადაც იქ ცხოვრობს და ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. წინამდებარე ნაშრომში მან მიმზიდველად და ცოცხლად დახატა შატილიონთა ყოფა-ცხოვრება და მომხვდურებთან ბრძოლა წარსულ საუკუნეებში, გადმოსცა საკუთარი თვალით ნანახი და განცდილიც.

წიგნი დაიწერა ძირითადად მომავალი თაობისთვის, რომელიც ვერ მოესწრო ტრადიციულ ხევსურულ საზოგადოებას, ადათ-ნესებს, ეთნოგრაფიულ ყოფას, ამიტომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი წარსულის შესწავლისთვის.

წინამდებარე წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს მოგზაურებს და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს.

რედაქტორი **ტრისტან მახაური**

გამომცემელი **ბუბა კუდავა**

© მ. ჭინჭარაული.

ISBN 978-99940-55-32-6

© არტანუჯი, 2008.

შეღლწაუგებო შატილო,
ბეგენგორიეით საქებო!

გიორგი ჭოლიკაური

წიგნი ეძღვნება წასული რჩეული შატილიენების: საღირათ გიგიას, თოთიათ ნანაისძის, გიგიათ ხთისოს, ნიათ ლეკოს, სადარათ ხახუას, ბერათ ქურსიკას, ლევანთ ნისლაურის, ლუხუმათ ნათელისძის, მამულათ ბაძიას, გორგით ლადოს, ჩუათ ბაჭყიას, ხთისოთ აბულეთის ხსოვნას; აგრეთვე ჩემი წინა თაობის ცოცხალ წარმომადგენლებს, კარგ შატილიენებს, რომელთა ხელში გავიზარდე და დავბერდი: საღირათ ხთისოს, ლეკოთ წიქას, სამუკათ ბათაკას, ხახუათ ბათაკას და ბასილთ კობას.

შინაარსი

შატილი და მისი მემატიანე (ტრისტან მახაური) 7

წინათქმა 11

შატილი და შატილივნები 14

ტყვის მოყვანა შატილში 71

შატილივნები და ახვერდი მაჰმადი 83

ჯალაბაურები და ფშავლები 101

ჩუმელაურთ დალევა 108

შატილივნები და ზელიმხანი 110

ახალი წელი შატილში 113

ქორწილი 124

„ახალზლის“ სამსჯავრო 139

ტუჩათ ნიკო და ნიათ ლეკო 143

სიტყვა-თქმათა განმარტება 152

საძიებელი 160

გამოყენებული ლიტერატურა 165

შატილი და მისი მემატიანე

ცნობილ ხალხურ მელექსეს ივანე წიკლაურს („რამ დამაბერას" ავტორს) აქვს შატილისადმი მიძღვნილი ლექსი:

„ციხე-სიმაგრევ, შატილო,
აკვანო გმირებისაო,
მთიელთა რკინის კარი ხარ,
თავზარდამცემი მტრისაო".

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ შატილის ციხე-სიმაგრე არა მარტო მთიელთა, არამედ საქართველოს ერთ-ერთი რკინის კარია. იგი უაღრესად სტრატეგიულ ადგილზე მდებარეობს. შატილის ციხე-სიმაგრე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან „კეტავს ვიწრო არღუნის ხეობას, აკონტროლებს ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან (ნაწილობრივ თუშეთიდანაც) საქართველოში შემოსაღწევ ბილიკებს და გადმოსასვლელებს" (მიხეილ ჭინჭარაული).

ციხე-სიმაგრის დამცველებს ბევრჯერ დაუმარცხებიათ საქართველოში შემოსვლის მოსურნე მტერი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთ-ერთი ბრძოლა: 1843 წლის 15 ივნისს შატილს მოადგა შამილის სახელგანთქმული ნაიბის – ახვერდი ხანის ხუთიათასკაციანი ლაშქარი, შატილივნები ციხე-სიმაგრეში შეიკეტნენ. ამ დროს შატილში სამოცდაათამდე მამაკაცი თუ იქნებოდა. ეს ერთი მუჭა ხალხი სამი დღის განმავლობაში იგერიებდა დიდძალი მტრის შემოტევას. მესამე დღეს შატილის ერთ-ერთი კოშკიდან ნასროლმა ტყვიამ სასიკვდილოდ დაჭრა ახვერდი ხანი, სარდლის სიკვდილმა არეულობა შეიტანა მტრის ჯარში. გარდა

ამისა, ხევსურების მოსაზღვრე ჩეჩენი მებრძოლებიც გაემიჯნენ ძირითად ჯარს და მტერი იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო. XIX საუკუნის ქართული და რუსული პრესა ფართოდ ეხმიანება შატილიონთა გამარჯვებას.

წერილობით წყაროებს წინაპართა ზეპირსიტყვიერებით ავსებს და აღნიშნული ბრძოლის შესახებ საინტერესოდ მოგვითხრობს წინამდებარე წიგნის ავტორი მიხეილ ჭინჭარაული. მისი ნაამბობი ძალიან გვაგონებს ივანე ბუქურაულის მოთხრობებს, რომლებიც თუშეთის ცოცხალ მემატიანეთა მონაცემებზე დაყრდნობით იქმნებოდა.

მიხეილი ნამდვილი შატილიონია. „თორმეტ წლამდე შატილში ვიზრდებოდი. ეს ის პერიოდია, როცა მაშინდელი ყველაფერი გახსოვს", – წერს იგი. მიხეილმა ბარში დიდხანს ვერ გაძლო და შუახანში შესული კვლავ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. იგი ახლაც შატილში ცხოვრობს და პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა.

მიხეილ ჭინჭარაულის ბავშვობა XX საუკუნის 30-იან წლებს დაემთხვა. ეს ის დრო იყო, როცა ხევსურეთი ჯერ კიდევ ტრადიციული ადათებით ცხოვრობდა. დღეს კი ამ ტრადიციის შემნახველი ადამიანები თითებზე ჩამოსათვლელნიღა არიან. მომავალმა თაობებმა ზედმიწევნით უნდა იცოდნენ ჩვენი წარსული ისტორია. ეს წიგნიც სწორედ ამ კეთილშობილური მიზნით დაიწერა: „დიდი ხანია, მაწვალებს ის ცოდნა, რაც დამიგროვდა ამ ხნის მანძილზე. მინდა, სხვამაც იცოდეს, იმათ მაინც იცოდნენ, ვინც უშუალოდ გააგრძელებენ ხსოვნას შატილსა და შატილივნებზე".

უთუოდ ყურადსასმენი და ანგარიშგასაწევია იმ კაცის სიტყვა, ვინც შატილის ჟანგისფერ კოშკებში გაიზარდა, ვისაც სიყრმიდანვე ჰქონდა შესისხლხორცებული მტერ-მოყვრისადმი ღირსეულად დახვერდის გრძნობა, ვისაც ყოველდღე ესმოდა შეძახილები: „მახვედ მშვიდობით!" და „ჭელ მაგიმართას!".

ავტორი აღწერს, თუ როგორ ზრდიდნენ მომავალ თაობებს, როგორი იყო საფიხვნო, რომლის ნაშთები ახლაც შემონახულა შატილის ძველ დასახლებაში. გვიამბობს, როგორ ხვდებოდნენ

სიხარულს და მწუხარებას, როგორი წესით იმართებოდა ქორწილები, ხატობები და სხვა.

აქ აღწერილი ზოგიერთი ამბავი ალექსი ჭინჭარაულის წიგნშიც გვხვდება (იხ. მისი „მთას ვიყავ", თბ., 1980). ალექსი და მიხეილი ძმები არიან. ცნობილი გამოთქმაა: „ძმათა ერთია სახელიო", მაგრამ შეუძლებელია ორმა პიროვნებამ ერთი და იგივე ამბავი აბსოლუტური სიზუსტით გადმოგვცეს. ჯერ კიდევ აკაკი შანიძე შენიშნავდა „ხევსურული პოეზიის" კომენტარებში: მქონია შემთხვევა, როცა მთქმელს ერთი ლექსი სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად ჩაუწერინებიაო. ალექსი და მიხეილიც ზოგჯერ განსხვავებული ვერსიებით ყვებიან რაიმე ამბავს. მათი მონათხრობი კი ერთმანეთს ავსებს, ამიტომაც დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია სრული ინფორმაცია მიიღოს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. თანაც აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ალექსის წიგნი მეოთხედი საუკუნის წინ დაისტამბა და დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

რაიმე ამბის გადმოცემისას მიხეილ ჭინჭარაული ხევსურულ დიალექტზე, მის შატილურ კილოზე ამეტყველებს თანამემამულეებს, რაც უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის მათ საუბარს.

მიხეილ ჭინჭარაული გარკვეულ ადგილს უთმობს მეზობელ ქართველებთან (ფშავლები, თუშები) და უცხო ტომელებთან (ჩეჩნები, ინგუშები) ურთიერთობის საკითხს. მკითხველი კიდევ ერთხელ დარწმუნდება, თუ როგორ აზარალებდა შინაური შუღლი ქვეყანას, როგორ ლაშქრავდნენ მთიელები ერთმანეთს და იტაცებდნენ ნადავლს. აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ შატილივნებისა და გიორწმიდელების შუღლის ამბავს, რომელიც უბრალო მიზეზით მოხდა და დიდი სისხლი დაიღვარა.

თანამედროვე მკითხველისთვის, ვინც XX საუკუნის 90-იანი წლები გამოიარა, უცხო არ არის მეკობრეობისა და ტყვეობის თემა. ამ თვალსაზრისით საგულისხმო მასალას შეხვდებით ხსენებულ წიგნში (გასული საუკუნის 20-იან წლებში შატილში რო-

გორ მოიყვანეს ტყვე მიხეილის მამამ და ბიძებმა ინგუშეთის შორეული სოფლიდან – ქეიმეხკიდან). ტყვისადმი კეთილსინდისიერად მოპყრობის უჩვეულო მაგალითია შატილივნების დამოკიდებულება ჰასანის მიმართ. დღევანდელ ადამიანს, რომელიც ირგვლივ ათას უკეთურობას ხედავს, შეიძლება ნაკლებსარწმუნოდ მოეჩვენოს ეს ამბავი.

ავტორი მარტო მთხრობელი არ არის, ის მეცნიერულადაც იკვლევს საკუთარი სოფლის ისტორიას, ზეპირსიტყვიერებას, ადათ-წესებს, მეურნეობას, ციხე-კოშკთა მშენებლობის თავისებურებებს და ა.შ. შატილში მოსული მოგზაური მრავალ კითხვაზე პასუხს იპოვის ამ წიგნში.

მიხეილ ჭინჭარაულის ზემოხსენებული წიგნის გამოცემა საჭიროდ და აუცილებლად მიმაჩნია, იგი ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს აგრეთვე ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგებს.

ტრისტან მახაური

წინათქმა

ჩემი თაობის ცხოვრება რთულ პერიოდს დაემთხვა. გვახსოვს მეორე მსოფლიო ომი და მისგან გამონვეული სიძნელეები. ძნელი იყო მაშინ მთაში, კერძოდ კი ხევსურეთში, ცხოვრება. მაშინდელ ხევსურებს ბარიდან მხოლოდ მარილი მიჰქონდათ. ჩასაცმელ-დასახური და სასმელ-საჭმელი ადგილზე უნდა ეწარმოებინათ. უბრალო ჩამოთვლაც კი მიგვითითებს, თუ რა შრომა უნდა გაეწიათ ურთულეს პირობებში, რომ პურეული საკვები მიეღოთ: მოხვნა (ხარებით), დათესვა, დაფარცხვა, გამარგვლა, მომკა (ხელით მოგლეჯა), დროებით ადგილზე აგება, კალოზე მიტანა, ხარებით გალეწვა, გარჩევა-განიავება, გაცხრილვა, მზეზე გახმობა, დაფქვა (წყლის ნისქვილზე) და გამოცხობა. მას თან ერთვოდა გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო პირობები: უგზოობა, უსინათლობა, ზამთარში სიცივე, უექიმობა, გაუნათლებლობა, კულტურული ბარისგან მოწყვეტილობა და ა. შ.

განსაკუთრებით მძიმე ცხოვრება ჰქონდათ ხევსურ ქალებს. ისინი დღედაღამ შრომობდნენ და ფაქტიურად რამდენიმე საათს თუ ეძინათ. მიუხედავად ამისა, ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელ თაობას უზრდიდნენ სამშობლოს. ამასთან ერთად, თავისი ხელსაქმით უნიკალურ ნიმუშებს ქმნიდნენ. მათ მიერ ნაქსოვ-ნაკერი ჩასაცმელ-დასახური ტანსაცმელი ამჟამადაც აოცებს მნახველს.

გასაკვირი იყო ხევსურების სიცოცხლისუნარიანობა. მიუხედავად წარმოუდგენლად დაძაბული ყოფა-ცხოვრებისა, მაინც არ დააკლდებოდნენ პირიქით-პირაქეთში რაიმე უმნიშვნელო თუ

მნიშვნელოვან ამბავს, ჭირ-ლხინს. თავის შნოსა და ლაზათს მიიტანდნენ ყველგან, იუმორით და ლექსით ბრძნულად გამოხატავდნენ სათქმელ სიტყვას.

მძიმე შრომით გადაღლილ-გადაქანცული არხოტიონი მელექსე ომა ნიკლაური ამბობს:

„საქონის საჭმელ გათავდა, თივა ნათიბი მთისაო,
თივათ ვთრი კალოთანითა, სულთქმას ვაყოლებ გმინსაო,
დავაროლენ თივანი, დასვენებაიც მინდაო."

შატილიონი ნიათ სამუკაც (ჭინჭარაული) თითქოს ბაძავს არხოტიონს და ისიც შრომაში, წვერის ძირიდან თივის თრაში ქმნის მსგავს უნიკალურ ლექსს:

„დავკონენ თორმეტ თივანი ნაბაკურაის პირსაო,
ჩამაუყენენ ჩაღმასა, ყინულიანსა ჩდილსაო,
ზედ ფიცხი, ძირჩი ყინული, სათრელი ეშმაკისაო,
ვაჟ უნდა გულზე მასული, არ გამაიგან ძირსაო."

ვაჟი „გულზე მასული" უნდა ყოფილიყო შრომაშიც, შუღლშიც, მდევარშიც და საერთოდ მთელ სიცოცხლეში, რომ ვაჟკაცურად გაეძლო იმ სირთულეებისთვის, რაც მთაში, მათ შორის ყველაზე „გასაგალ", ძნელად საცხოვრებელ სოფელ შატილში არსებობდა.

წინა საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ხევსურეთი დაიცალა და ოთხმოციან წლებში ნაწილობრივ დაბრუნდა უკან ოჯახები, მაგრამ ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, მაღალი სულიერი კულტურა ველარ აღდგა.

რაც დამამახსოვრდა, ან უფროსებისგან გამეგონა, ან სადმე რამე წავიკითხე, იმის ასახვა-გადმოცემა ვცადე. წიგნში შეგნებულად გადმოვეცი დიალოგები შატილურ კილოზე. მეწადა, ის ცოცხლად დარჩენილიყო მომავალი თაობისთვის. ეს უხერხულობას ქმნიდა ფართო მკითხველისთვის. განსაკუთრებით დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს კუთხეების მცხოვრებთათვის

იქნება ძნელი გასაგები, ამიტომ ბოლოში დავურთე სიტყვა-თქმათა განმარტება, თუმცა ახლად გამოცემულ ალ. ჭინჭარაულის „ხევსურულ ლექსიკონში" დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ნებისმიერი სიტყვის ახსნა-განმარტება მოძებნოს. მკითხველის ყველა საქმიან შენიშვნას მადლიერებით მივიღებ.

გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც მეხმარებოდა გამოცემის საქმეში: ბატონ თემურ ხუციშვილს, ქალბატონ ნინო ფილფანს, ჩემს ძმასა და ძმიშვილს ალექსი და ნათელა ჭინჭარაულებს.

ქალიშვილ შუქიას და შვილიშვილ † მიხეილ ლოლაძეს.

დაბეჭვდამდე ხელნაწერი წაიკითხეს და რჩევა-შენიშვნები მომცეს ნაცნობ-მეგობრებმა. მათ შორის პოეტმა ჯარჯი ფხოველმა, მეცნიერმა და მწერალმა გიორგი ცოცანიძემ. ამ უკანასკნელის ყველა შენიშვნა ვერ გავითვალისწინე, რადგანაც შოთას შეგონება თვითონვე შემახსენა: „ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რაგინდა ვინ გივაზიროს". დიდი ხნის მანძილზე ნაფიქრ ამოჩემებულ ნაწერს ადვილად ველარ ელევა თურმე ავტორი.

მ. ჭინჭარაული

შატილი და შატილივნეები

წერა-კითხვის სწავლამდე შატილზე ნათქვამი ლექსები ვისწავლე. მოგვიანებით კი არა მარტო ხალხური პოეზია, არამედ ყველაფერი, რაც შატილს შეეხებოდა. ამჟამად, 70 წლის ასაკში, დამიგროვდა ასეულობით ლექსი, ათეულობით ნაშრომი, რომელთაგან უმეტესობა ზეპირად მახსოვს. ჩვენს მიერ შედგენილ ნაშრომში რომელი სად გამომადგება, როგორ გამოვიყენებ, ღმერთმა უწყის.

სასურველი იქნება ისე გამოვიყენო, რომ მკითხველს მოეწონოს. უპირველესად შატილზე თვით შატილივნების ნათქვამებს მოვიშველიებ:

„შატილის მარტის ერთი დღე, სულ სჯობს თბილისის მაისებს!..“ – ამბობდა 18 წლის ბიჭი ბათირა ჭინჭარაული 50-იან წლებში.

„ჩაგხედავ, ჩემო შატილო, ადგილო ნაპირისაო,
მირგვალთ ნახვევნო მთა-წვერნო, სალო ფიცარო კლდისაო,
წინიდგე ნამუქარებო, ნაბრძოლო შამილისაო!“ –

თქვა სამუკა ჭინჭარაულმა (ნიათ სამუკამ), ცნობილმა მელექსემ, 1920-იან წლებში, როცა სოფელში 50-ზე მეტი ოჯახი ცხოვრობდა 214 სულით.

„შატილო, შატილიონი ყველგან შიშველი ხმალია“! – წერდა ნისლაურ ჭინჭარაული (ჯალაბაური) 30-იან წლებში არხოტში დედულებთან, წიკლაურებთან (ბერდიშვილებთან) შატილიდან გახიზნული.

„ძალიან მომნატრებია ნახვა შატილის მთებისა,
ყინულიანი გორების, კიბირჭიანი გზებისა,
შავების ქავ-ციხეების, ზარის დამცემი მტრებისა,
ღრეობა შატილივნების, ლეგ-ლუგაების მგლებისა“! –

აღნიშნავდა ბაჭყია (შოთა) ჭინჭარაული (ბულოური) 40-იანი წლების ბოლოს. ერთი წლის შემდეგ, 25 წლის ასაკში, სრულიად უდანაშაულო მოკლეს ქისტებმა, მაშინდელმა უდანაშაულოდ ტყეში გასულმა „ყაჩაღებმა“.

მეორე მსოფლიო ომმა სამასი ათასამდე ქართველი, მათ შორის ბევრი კარგი ხევსური ვაჟკაციც შეინირა, ამათგან შატილიონიც. მართალია, მაშინ ხევსურეთიდან საყოველთაო განვევა არ ყოფილა, კავკასიის დასაცავად ადგილზე დატოვეს მთიელები, მაგრამ თავისი სურვილით მოხალისეები მაინც მიდიოდნენ საომრად ფრონტზე. ასეთი იყო მიხეილ ჭინჭარაული (საღირათ მიხიელი), ბარისახოს საშუალო სკოლის ხუთოსანი მოსნავლე. რაიონულ გაზეთებში ბეჭდავდა ლექსებს:

„მივდივარ და აქა მრჩება ჩემი ტურფა მზევინარი,
სამშობლოზე უკეთესი მზე რა არის, მზე ვინ არი“!

წავიდა და ეს პირშიშველი მოყმე სხვა შინმოუსვლელებს მიემატა.

1944 წლის 23 თებერვალს ერთ ღამეში გაასახლეს მთელი ჩეჩნეთ-ინგუშეთი. გასახლების მოტივი მათი გერმანიისათვის მხარდაჭერა იყო. ორჯონიკიძისა თუ გროზნოს ფრონტისკენ მიმავალ საბჭოთა ჯარისკაცებს ხოცავდნენ არლუნის ვიწროებში ჩასაფრებული ჩეჩენ-ინგუშები.

გასახლებას გადარჩენილი იმიერკავკასიის მთიელები მთებში და ტყეებში იმალებოდნენ. მაშინდელ ძალოვან სტრუქტურებს თვითონ უჭირდათ მათთან ბრძოლა და ადგილობრივი მთიელები გამოიყენეს მათ წინააღმდეგ. დაიწყო შეტაკებები. ამუშავდა სისხლის აღების წესები. ტყეში გასულმა ბანდიტებმა 9 შატილელი მოკლეს: აქედან ორი მანდილოსანი და ერთი მცირენლოვანი.

ჩეჩენ-ინგუშების გასახლების შემდეგ პირიქითი ხევსურეთის მოსახლეობის მრავალი ოჯახი გადასახლდა ქისტების დაცარიელებულ ნასოფლარებში. შატილის თემიდან ძირითადად მითხოს („მელხი“) ხეობის სოფლებში, ხოლო არხოტიდან ღილღოში (ხამხა-

ში). იქ ახალი რაიონებიც კი შექმნეს. მაგალითად „ითონჭალეს" მაგიერ „ახალხევი", რომელიც ადმინისტრაციულად შეუერთდა საქართველოს.

გაჭირვებული ბანდიტები (ქისტები) იძულებული იყვნენ თავის მამა-პაპის ადგილებში ჩასახლებულებისათვის წაერთმიათ სარჩო და საქონელი. ეს უნდოდათ კომუნისტებსაც; ახლად ჩასახლებულებს (ხევსურებს) ხელისუფლების წარმომადგენლები მკაცრად აფრთხილებდნენ, არ დაეთმოთ „ყაჩაღებისათვის". ერთხანობას ხევსურები ჩუმად ეხმარებოდნენ ქისტებს, მაგრამ ეს დიდხანს ვერ გაგრძელდა.

1948 წლის შემოდგომაზე სოფელ ჯარეგოში, ერთი შატილელის ოჯახში, ოპერჯგუფელებმა ყაჩაღები დაიგულეს და მათი ცოცხლად შეპყრობა განიზრახეს. ამ ოპერაციაში ახალჩასახლებულებიც მიიხმარეს. ქისტები არ ჩაბარდნენ, სადაც რამე საქონელი ნახეს, გაწყვიტეს, ორი შატილიონი: ნია და წიქა მოკლეს და ღამე გაიქცნენ. სისხლი დაიღვარა. შატილივნებს სისხლი უნდა აეღოთ, სამაგიერო მიეზღოთ. მაგრამ ველად გასულ თავზეხელაღებულ ქისტებთან ბრძოლა ურთულეს პირობებთან იყო დაკავშირებული. მოგვიანებით ცნობილი მელექსე ივანე წიკლაური (მამუკათ ივანე), როშკიონი, იხსენებდა ძმის სიკვდილით გამწარებულ შატილიონს ყარიმან ჭინჭარაულს:

„გახსონსა, ყარიმანაო, შარშან ზაფხულის პირსაო,
მე რო გუდელას გიამბე ამბავი ხამხის წყლისაო,
შენ მითხარ: მიამც მამეკლა დამხოცი ჩვენებისაო,
თვალებს მაგადგა ცრემლები, სახე მაგგონდა ძმისაო."

1949 წლის 21 იანვარს ახმეტიდან შატილში რადიოგრამით შეატყობინეს, რომ თუშეთიდან არდოტის მიმართულებით ხუთკაციანი ბანდა მოდიოდა.

ოპერჯგუფის მუშაკებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ, სადაც უმეტესობა შატილივნები იყვნენ, ამ ბანდის ძებნა დაიწყეს. დიდ გულმოდგინებას იჩენდნენ შატილივნები – წინა წელს ჯარეგოში და სხვაგან დახოცილების ახლობლები. მეორე დღესვე აღმოაჩინეს ეს ბანდა ანდაქში და ოთხი კაცი მოკლეს. მათ შორის

ბანდის ხელმძღვანელი – ცნობილი იბი ალხასტოვიც. აღნიშნულ ოპერაციას ხელმძღვანელობდა, ხევსურებთან დაფასებული, გამოცდილი პიროვნება – სერგო ხორგვანი, რომელიც შემდგომში ბარის რაიონებში მილიციის უფროსადაც მუშაობდა.

აღნიშნულ ამბავს რამდენიმე ერთიმეორეზე უკეთესი ლექსი მიეძღვნა. ერთ-ერთი იყო მაშინდელი შატილის საბჭოს თავმჯდომარის ლეკოთ ნიქას (ალექსის) ნათქვამი ლექსი. ამ ლექსში ყველაფერი ისე ზუსტად, მკაფიოდ და სიმართლით არის ასახული ამ შეტაკების შესახებ, რომ კომენტარებს არ საჭიროებს. მთლიანად მოგვყავს ეს გრძელი ლექსი:

„რა ქარიან დღე გათენდა ოცდაორ იანვარია,
ნინიაშვილისეულსა ახალ გავუბი ლარია,
დავუკარ, ისე იძახა, როგორც სიონის ზარია.
უნდა დავინყო, ვაუებო, ლექსების საუბარია,
ნინავ ვიყვენით ჩუმადა, როცა ლექსობდეს სხვანია,
სირცხვილით ვერას ვამბობდით, მტერს მიგვიდევდა ვალია,
ეეხლად, შატილივნებო, ჩვენის ლექსობის ხანია,
ანდაქით მაცნე მავიდა: „ვნახეთ ყაჩაღის კვალია,
არიქათ, შატილივნებო, თქვენაც გვიჭირეთ მჭარია,
მთასაქათ არავინ არის თქვენსავით მეომარია".
აბეჩავ, შატილივნებო, გულ გიძესთ, როგორც რვალია,
მგლისმუჭლიანებს ვაუებსა უზის არნივის თვალია,
ჩქარად ჩაიდვეს საგძალი, ფეჭზე ჩაიცვეს ჯღანია,
სამილმაჭეო დალაჭეს, მუჭლად ჩაყარნეს გზანია,
ორშაბათ დაღამებადა ნისლებს იხვევენ მთანია,
ანდაქში ტყვრება თოფები, რო ომში ზარბაზანია,
მოულოდნელად შააგდეს ქისტების ბინას თვალია,
ახლოს ჩაუდგეს საყუჩი, კლდე დახვდა მოსაფარია,
სიმირგვლივ შამაეხვივნეს მეფე ერეკლეს ყმანია,
მარჯვნივ და მარცხნივ შაიკრა ვეფხვების გალავანია".

ლექსის ავტორი თავად მონაწილეობდა ამ შეტაკებაში და ერთ-ერთი ხელმძღვანელიც იყო, ამიტომ ყველა მონაწილეს ზუსტად ახასიათებს და თითოეულის ნამოქმედარს სათანადოდ აფასებს.

„პირველად ყარიმანამა თოფით ჩაყარნა ჴმანია:
„გამოდით ეხლა გარეთა, ჩალხიათ ყარიმანია“!
არ გამადიან ქისტები, არცაით შასავალია.
მამა-პაპურად ბეწინამ სიპერდას დასცნა ქვანია,
ეგონა ქისტის შვილებსა: თავზე გვეცემა ბანია,
„გავიდათ, როგორ გავიდათ, არა და რა მეტ ჯანია“.
პირველად იბიმ გაბედა, იმან გააღო კარია,
ავტომატმომარჯვებული გავარდა, როგორც ქარია!
„ვერ ნახვალ, ალხასტაშვილო“, პირზე დაგხვიეს ალია,
შატილივნების ნასრევმა დაგინაჭოჭა ძვალია,
კლდის გვერდზე გულაღმ დაეცა, გაქანდა სისხლის ღვარია.
შუღამე გადაიყარა, მთვარე ამადის მცხრალია,
ისევ გრიალებს თოფები, ბანს აძლევს მთა და ბარია,
იძახდა ჩალხიას შვილი: „მეც ყარიმანა ვარია“,
კვიშტანის დანახვაზედა აბრუნდა, როგორც ტარია:
„ეეხლა აისრ ნუ გინდა, წინავ რო გაიპარია,
ეეხლა აღარ გაგიშობ, თუნდ შამაბრუნდან ზღვანია,
ჩემ თოფიმც გულზე მომხვდება, დღეს თუ ვერ მავიჴმარია,
ჴელ შენ მაგვრიე ყველასა, შატილს შენ დაგვეც ძალია,
მაგვიკალ სამ-სამ ვაჟკაცი, ძმაიც შენ მამიკალია,
შენ დამიობლენ ძმისწულნი, ჩემს იმედს დარჩა ზალია.
გიგიათ წიქა შენ მახკალ, კოკოთ შენ დასცენ ცანია,
ერთ სახლ უკაცოდ გასნირე, გამაუჯარე კარია,
მტირალნ დედა-ქალნ მასწირენ, ცეცხლზე დაუსხი წყალია.
ხთისოთ აბულეთ მაგვიკალ ვეფხვების შესადარია,
სამზეოს მაანირვიენ ბებერნი დედ-მამანია,
მაუკალ საიმედოი, ოროლნ ატირენ დანია,
შატილ ატირე ქალ-ზალი, ცას მისწვდა ცოდო-ბრალია,
ეხლა შენც გინდა სიკვდილი, ცხელ ტყვია შენაც ჭამია,
იმათ უმცროსიმც იქნები, სულეთ უზიდნე წყალია.
„დახკარით, შატილივნებო“, იძახდა ხორგოვანია,
არ მგონავ კიდევ გაზარდას დედამ ეგეთი სვანია.
მიხათა ბეწინიკაი მთის შავარდენი ჩქარია,
არას დაგიდევსთ სიკვდილსა, ბრძოლაში უშიშარია,
აბაის შვილი საყურა ამაღებული ჴმალია,
წინ ვერ გადასდგამს ნაბიჯსა ამაგის ნათოფარია.
საყურათაი გორგალა არის მანძილა ჴარია,

ჩუმად შულლ იცის ვაშკაცმა, ცოტაის მაუბარია,
აბეჩავ, ზვიადაურო, არ შაარცხვინა გვარია,
ფაშქოშის შვილის ნასრევმა ადამს დაუძრა ტანია,
მერე ადამსაც აესხა ტყვია, ვით წვიმის ცვარია,
ნაიქცა თავჩაღმისკედა, ვით მუხა ნამეხარია.
თოფ დახკრეს იბის ძმისწულსა, ძვალზეით იქნეს ჭკვანია,
მაუზერს ბიძასეულსა დაუნაგაბრეს ტარია.
ანდაქში იმ დროს ავედით, იყო თენების ხანია,
ვაუებს ენგრივა ქოხები: ყინვარს რომ ნაგუბარია,
ღგვანდა დიდუბის ბოინსა ვეფხვების ნაომარია,
თოვლ შაეღება წითლადა, მკვდარზე ეყარა მკვდარია:
სიგირგლის ქალიშვილი ვარ ამაგის მალექსარია,
ზოგმ რაიმ იცის, ვაუებო, სალექსოდ ჴარი, ცხვარია,
მე მაგას არას დაგიდევთ, არაყ მირჩევის ცხარია,
სრუ თუ არა ვსვი არაყი, სრუ თუ არ ვიქენ მთვრალია,
საიქიოში მისულსა რას მეტყვის სიგირგალია"!?

ყაჩაღების დახოცვას სხვა ამბებიც მოჰყვა. ვისაც მათი შენახვა და მასპინძლობა დაუმტკიცდა, ზოგი დააპატიმრეს (ბათირა მურლუევი), შაბურა ზვიადაურმა თოფით თავი მოიკლა. ამ ბანდისგან ერთი (მუსა ხუნარიკოვი) გადარჩა. მაშინ სოფელ ხონეში ქისტები ცხოვრობდნენ, ძირითადად ბორჩაშვილები. მათ შეიფარეს და ჩუმად გააპარეს იგი. შემდეგ ეს მუსა სხვა ბანდას შეუერთდა და სამაგიერო გადაუხადა შატილივნებს.

ამ განადგურებული ბანდის იარაღის ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობას დაურიგეს. იბი ალხასტოვის ნაქონი თერთმეტსასროლიანი ავტომატი „სევეტე" ხახონა ჭინჭარაულს მისცეს. ეს შეიტყვეს მუსამ და მისმა ჯგუფმა და მისი (ავტომატის) ხელში ჩაგდება გადაწყვიტეს.

ხახონა ოჯახით შატილიდან 4 კმ-ის დაშორებით, კელისწყალზე ცხოვრობდა. ჰყავდა მეორედ შერთული ცოლი ნათია და წინა ცოლისაგან 4 ვაჟი: უფროსი 15 წლის ჩუა, 13 წლის კობა და 10 წლის ტყუპები: ნიქა და ბათირა. აქვე ცხოვრობდა ხახონას ბიძაშვილი, ახალდაქორწინებული ბაჭყია ჭინჭარაული.

1950 წლის ზაფხულის დამდეგს მუსა ხუნარიკოვის ბანდა კელისწყლის მიდამოებში, ტყეში ჩასაფრდა და ხელსაყრელ მომენტს დაელოდა.

ერთ ავადსახსენებელ დილას ხახონა, ბაჭყია და ჩუა სახლიდან გავიდნენ და სრულიად უიარაღოებმა იქვე, ხევზე, წისქვილის გამართვა დაიწყეს. მოულოდნელად თავს დაადგნენ ჩეჩნები. გარეთ გამოსვლა, ხევის ვიწროებისაკენ ზევით, ტყისკენ წასვლა უბრძანეს. ასიოდე მეტრის გავლის შემდეგ ხახონას პირდაპირ კეფაში ესროლეს და იგი მოწყვეტით დაეცა. ბაჭყიამ ჩუას უთხრა: გაიქეციო და თვითონ ცარიელი ხელებით ახლოს მდგომ თავდამსხმელს ეცა. ჩუა იქვე დაცხრილეს. ბაჭყიას შორიდან ვეღარ ესროლეს. არადა, თოფს ართმევდა მომხვდურს. იგი ყვიროდა: „მომეხმარეთო"! ახლოს მივიდნენ და ჯიბის იარაღით დაუწყეს დაცხრილვა ბაჭყიას. იგი ისევ იბრძოდა და თოფის წართმევას ლამობდა. ერთმა ჩეჩენმა ზურგიდან მოუარა და ყელში ჩასცა დანა, საძილე არტერია გადაუჭრა. ღიმილმორეული შემობრუნდა მტრისკენ ბაჭყია ჭინჭარაული და ნელ-ნელა დაეშვა მიწაზე. შემდეგ ქისტები აღიარებდნენ: „მის მოკვლას არ ვაპირებდით, მაგრამ გვაიძულა, აშკარად რამდენიმეს მაინც მოგვკლავდა, რომ არ დაგვესწროო".

ბაჭყია ერთ-ერთი ულამაზესი, უმამაცესი, უნიჭიერესი, ძლიერი აღნაგობის შატილიონი იყო. 25 წლის ბაჭყიამ რამდენიმე უნიკალური ლექსი დაგვიტოვა. ერთ-ერთი წინა წელს ანდაქში მომხდარ ამბავსაც მიუძღვნა, სადაც შატილივნებს აქებს, თავის თავს იმცირებს და ხელმძღვანელ სერგო ხორგვანს ხოტბას ასხამს:

„შენაც გაქებენ, ვაშკაცო, ჩვენებრ გაზრდილო მთებისავ,
უკან არ იხევს, ამბობენ, ჯარებს წინ გაუძღვებისა,
მჯართ ხკიდავ კარაბინაი, მალი-მალ გაჯურდებისა,
კამანდრობს შატილივნებსა, თავად არ აჩქარდებისა,
თოფისად შატილიონიც სნაიპერს შაედრებისა.

ამაგის მალექსებელი სრუ მირგვალთ დაითრებისა,
სახელად ჰქვიან შოთაი, თქვენთან ვერ გამადგებისა,
სალექსოდ ობოლ კვირია კიდევ სად დაითვრებისა".

დავუბრუნდეთ კელისწყლის ტრაგედიას. წისქვილთან მყოფი ეს უცხო ხალხი სახლიდან შეამჩნიეს და ამბის გასაგებად მათკენ უკვე გაემართა ხახონას მეუღლე ნათია. ამ დროს ოთხი ყაჩაღი სახლს თავს დაესხა. პატარა კობამ, როგორც კი უცხოები დალანდა, იქვე დაკიდებულ მამის სევეტეს სტაცა ხელი და შიდა საკმიდან ბოსელში ჩახტა. ქისტები სახლში შეიჭრნენ, ქალებს ხელ-ფეხი შეუკრეს და სახლის ძარცვა დაიწყეს. იბი ალხასტოვის ნაქონ შაშხანა-ავტომატს ეძებდნენ. ის კი პატარა კობას ჰქონდა ჩაბღუჯული. ბაგაში ჩამჯდარი აყურადებდა და ამოწმებდა თავდამსხმელების ყოველგვარ მოძრაობას. რამდენიმე წუთის შემდეგ მზის მხრიდან სარკმელში ჩრდილმა ჩამოიარა, თოფმომარჯვებული ქისტი გომურის წინა ფარეხში შევიდა და კობასთან შესასვლელ კარებთან დაიხარა. კობამ ძლივს მოიმარჯვა მძიმე იარაღი, დაუმიზნა და ესროლა. უსიამოვნო ხმა აღმოხდა ყაჩაღს და კარებში პირქვე დაეცა. რამდენიმე წამს სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა ირგვლივ. ერთმა განწირული ხმით დაიწყო გომურის მიმართულებით ძახილი. ეს მოკლულის ძმა იყო. ხმა რომ არავინ გასცა, ავტომატის ჯერი შემოატარა გომურის შიგნითა მხარეს. ქალების წივილ-კივილი და თოფების ხმა ერთიმეორეში აირია და ისევ სიწყნარე ჩამოწვა. აშკარა იყო, მომხდურებმა ქალები დახოცეს, სახლი მიატოვეს და გარედან დაუწყეს თვალთვალი. ნაწილი სხვებს შეუერთდა და მომხდარი აუწყა. ნაწილი კობას დაელოდა: როგორც გამოჩნდებოდა, უნდა მოეკლათ. მათ ვერ დაეჯერებინათ, რომ ამ პატარა ბავშვს თოფის ასეთი ხმარება შეეძლო.

დრო გადიოდა. თოფის ხმა შატილში ან გიორწმიდაში შეიძლება ვინმეს გაეგონა და მდევარი მოსულიყო. ქისტებს თავის უსაფრთხოებაზეც უნდა ეზრუნათ.

კელისწყალთან, ჭაუხის ხევზე, ფიჭვის დიდი ტყეებია, საიდანაც შატილ-გიორწმიდის გზის მონაკვეთი კარგად ჩანს. აქ განლაგდნენ ყაჩაღები.

კობა ბაგიდან ორიოდე საათის შემდეგ ადგა. მკვდარს თოფი გამოართვა ხელიდან. გერმანული კარაბინი აღმოჩნდა. წელიდან ნაგანი მოხსნა. ჯვარედინად მხარიღლიე გადაკიდებული პატრონტაშები (სავაზნეები) აართვა და ყველაფერი ბაგაში ჩაალაგა. შემდეგ ზევით საცხოვრებელ სახლში ავიდა. მეორე სართულზე დედინაცვალი ნათია და ბაჭყიას მეუღლე ნათელუა ნახა დახოცილები. გვამგავლილი ტყვიები იპოვა, ჯიბეში ჩაიწყო, დურბინდით სახლის სიახლოვეს არე-მარე მოათვალიერა და შატილში წასვლა გადაწყვიტა.

ამ დროს ასეთი სიმამაცის გამოჩენა უფროსი შატილელებისათვისაც წარმოუდგენელი იყო. მტრის მოზრდილ რაზმს შეკრული ჰქონდა ყველა გზა და ბილიკი. ოთხი კილომეტრი უნდა გაევლო კობას შატილამდე. ზოგი იმას ამბობდა, რომ მაშინ 13 წლის ბიჭი სრულ ჭკვაზე არ იყო და დაუფიქრებლად, მექანიკურად მოქმედებდა, მაგრამ მისი ქცევა ამას არ ამტკიცებდა. მოკლული ქალების გასინჯვის შემდეგ ყაჩაღის ნაგანი ნელში გაირჭო. თოფი და პატრონტაშები ბაგაშივე დატოვა, (მძიმეები იყო) და შატილისკენ გამოემართა.

ბოსელში ჩახტომის დროს მისი სევეტე მიწას დაეხეთქა. ესეც გაახსენდა გზაზე. იფიქრა ნიშან-სამიზნე ხომ არ დაუზიანდაო და სათოფე მანძილზე ქვას ესროლა. იარაღი გასინჯა, რომ დამჭირდეს, არ მიმტყუნოსო. ნატყვიარი ქვას დიდხანს აჩნდა. კობამ მაშინვე აჩვენა მდევრად წამოსულ შატილივნებს ეს ქვა და საიდანაც ესროლა, ისიც უთხრა.

კობა იყო „უშიშარ, ვითარცა უხორცო". მართალია, ტყეში დამალულმა ბანდამ იმ დღეს ორი ოჯახი ამოწყვიტა, მაგრამ თვითონაც დაუმარცხებლები ვერ წავიდნენ. კობამ ერთი მაინც დაატოვებინა ადგილზე. ამ ტრაგედიაზე დაწერილ იოსებ გოგოჭურის ლექსში ასეა დახასიათებული კობა:

„გაბედვა გასაკვირია პატარა ბალღაისაო,
დაასრევია რჯულ-ძაღლსა ნათოსი გულ-ღვიძლისაო".

რამდენიმე წელს კობა თავისუფლად დაიარებოდა ხევსურეთით დასახლებულ ბარის რეგიონებში: ნითელწყაროში, სამგორში, ერწო-თიანეთში, გომბორში... მაგრამ მისი ცხოვრება მაინც ტრაგიკულად დამთავრდა.

თიანეთში, ქორწილში, ერთი ახმახი მძღოლი აუშარდა, ცემა დაუწყო და ნააქცია. კობამ უთხრა: „გამიშვი, ნუ მჩაგრავო". რომ არ გაუშვა, ქვევიდან დანა გაუყარა და მოკლა მოძალადე. კობა დააპატიმრეს და რამდენიმე წელი მიუსაჯეს. ციხიდან აღარ გამოსულა მამაცი შატილიონი, ქორი დადიოდა: იქ ქისტებმა მკვლელები დაიქირავეს და მოაკვლევინესო. მისი ოჯახიდან, ტყუპებიდან მხოლოდ ბათირას დარჩა ორი ქალიშვილი. ბათირაც ყაზახეთში დაიღუპა, საიდანაც ხვთისო გოგოჭურმა და დავით ზვიადაურმა დიდი ფათერაკებითა და თავგანწირვით ჩამოასვენეს რუსთავში.

1950-იანი წლების დასაწყისში მთიანი რეგიონებიდან ბარის მიწების ასათვისებლად და მთიანი რაიონების მოსახლეობის დასასაქმებლად ე.წ. „გეგმური" გადასახლებები მოხდა. ამან გამოიწვია ძნელად მისადგომი კუთხეების (დასახლებების) მოშლა და გაუკაცრიელება. ეს პროცესი სამშობლოს ღალატად აღიქმება, რადგან მოიშალა უნიკალური კუთხური ხალხური სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ადათ-წესები და ჩვეულებები. ამ თემას მრავალი სინანულიანი სტრიქონი მიუძღვნა ბარში უწადინოდ ჩამოსახლებულმა მოხუცმა თუ ახალგაზრდა ხევსურმა:

„ჩემის გუნების ადგილი მთა იყო, განა ბარია" – წერდა ცნობილი როშკაინი მელექსე ივანე წიკლაური (მამუკათ ივანე). კარგად არის ეს საკითხები მოცემული კობა და ავთანდილ არაბულების წიგნში „მყივანა წისქვილები".

„შენ გეხვეწები, შატილო, შამაგაბარებ თავსაო,
ცოცხალი ვერ დაგიცილებ (დაგივიწყებ), ნუ დამიცილებ
მკვდარსაო,
მავლნატრი ნისლის კოტრებსა, მანდისკე მამდინართაო,
მთვარესა ხუთმეტისასა, ანატორ ამამჭდარსაო"...

ვწერდი 1964 წელს.

„სტუმარ-მასპინძლისა“ და „ალუდა ქეთელაურის“ ავტორიც ნამყოფი ჩანს შატილში. სხვანაირად, უნახავად ვერ იტყოდა:

„შატილს ჯერ არ ჩასწვდომია
შუქი შუადღის მზისაო.
არ ჩაუშვებენ ჩამსვლელსა,
ცა ახურია კლდისაო“.

დიდი ხანია მაწვალებს ის ცოდნა, რაც დამიგროვდა ამ ხნის მანძილზე. მინდა, სხვამაც იცოდეს. იმათ მაინც იცოდნენ, უშუალოდ ვინც გააგრძელებენ ხსოვნას შატილსა და შატილივნებზე.

„რაც დამრჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა,
მეთქვა გრძლად, თავი მეცადა,

ვერა ვსთქვი, მოცლას ვუცდიდი,
ნეტამცა არა მეცადა“.

(დ. გურამიშვილი)

მართალია დამაგვიანდა დროზე მეთქვა, რაც ვიცოდი, თუმცა „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. არც ის მინდა, ამქვეყნიდან ისე წავიდე, მცირე სახსოვარი არ დავტოვო, წუთისოფელმა უკვალოდ გამთელოს.

„რას მამთაბარებ, ცხოვრებავ,
რაად მაწვალებ ეეგრა,
ერთ რომ ჩემგანაც არ გჭირდას,
ისრ კი ვერ დამამკლეება“ –

ამბობდა გაბრიელ ჯაბუშანური. გატანჯულ, გაძაღლებულ ცხოვრებას ექადნება გაბრიელი: ისე ვერ დამჩაგრავ, საპყარს, ხეიბარს ვერ გამხდი, ერთი ჭრილობა მაინც რომ არ მოგაყენოო.

ნათქვამია: „ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბაღდადიც იქ არისო“. დაბადების ადგილი, სადაც ბავშვობა გაგიტარებია, დედის ალერსივით მუდმივად თან დაგაქვს გულით.

ეტყობა, ამ ქვეყნად არიან ერები და ადამიანები, რომლებისთვისაც ის ადგილია ბაღდადი, სადაც მატერიალურად უზრუნველყოფილნი არიან. ქართველისთვის თავისი მიწა-წყალი შეუცვლელი რამ არის, თუნდაც მისი სამშობლო სალი კლდეების მეტი არა იყოს რა. სალი კლდეების ხსენებაზე სულკურთხეული

რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“ დაგივლის ჟრუანტელად. ნეტა მართლა თუ გაიცვლება დედის ძუძუ და სამშობლო რამეზე?! ქართველისთვის ასეთი რამ საერთოდ წარმოუდგენელია! სამშობლოს გარეთ გადახვეწილი (ძირითადად იძულებით) ქართველები საუკუნეების მანძილზე სულ იმაზე მოსთქვამდნენ, როდის ეღირსებოდათ თავის მიწა–წყალზე დაბრუნება ცოცხლებს თუ არა მკვდრებს მაინც.

„დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო“.

(აკაკი)

ეს ანდერძი მამა-პაპიდან შვილთაშვილებზე მარადისობასავით გადადიოდა. ამ საკითხზე მაგალითები რომ შეიკრიბოს, ერთი სულმოუთქმელად საკითხავი დიდი წიგნი გამოვა. ნოსტალგია ჩვენთვის ავადსახსენებელი სიტყვაა. თითქოს ეს ცნება უბედური ქართველებისათვის საწვალებლად არის მოგონილი. რუსთველისეული შორით ტრფობით, სიყვარულით კვდომას ჰგავს იგი. ცხადია, სამშობლოს სიყვარულიც მისი დაშორებით მძაფრდება, მეტად შეიგრძნობა, ვიდრე ერთ ადგილზე ყოფნისას. თვით შენს დიდ სამშობლოს, საქართველოს შიგნით რომ იცვალო საცხოვრისი, ის პირველი სამყოფი: ქალაქი, სოფელი თუ ქუჩა, სადაც გარემო, სამყარო შეიცანი, შეუცვლელი რამ არის. ეს ჩემი ცხოვრებითა და სიცოცხლითაც გამოვცადე.

ჩემი სოფელი შატილი სხვისთვის, უცხო მნახველისთვის, შეიძლება მხოლოდ კლდეები და ქვის კედლებია. ჩემთვის ერთი დიდი სამყარო და ცხოვრებაა, თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით. სწორედ ეს სამყარო მინდა სხვასაც გავაცნო. ვცდი და თუ გამოდგა, პატარა ღვაწლად მაინც ჩამეთვლება და ბედნიერი მივუწვები ვაკის გორ ჩემს შატილივნებს გვერდით.

„ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო, მობიბინენო, შვებით მომზირნო“. ეს არაგვის ნაპირებს უმღერა ნ. ბარათაშვილმა. ფშავ-ხევსურეთის არაგვთა შესართავთან, ორწყალთან, ხევსურეთი იწყება. ორწყლიდან პირაქეთი ხევსურეთის ახლანდელ ცენტრამდე, ბარისახომდე, 7 კილომეტრია. ბარისახოდან ძველ ცენტრამდე,

გუდანამდე, კი – 9 კილომეტრი. აქედან თუ პირაქეთი ხევსურეთის ბოლო სოფლის, ხახმატის გავლით გავაგრძელებთ გზას, – დაფენილს ხალიჩასავით, ყვავილიან ფერდობს, ველკეთილს უნდა ავუყვეთ. ზამთრობით, ამ ლამაზი სახელწოდების ფერდობზე მოწყვეტილ ზვავს ბევრი კაი ყმა ჩაუმარხავს.

ველკეთილით დათვისჯვრის გადასასვლელზე ავდივართ. დათვისჯვარი ძირითადი, მთავარი გადასასვლელია პირაქეთი ხევსურეთიდან პირიქითში (არღუნის ხეობაში). იგი 2675 მეტრია ზღვის დონიდან. დათვისჯვრიდან ხელისგულივით მოჩანს პირაქეთი და პირიქითი ხევსურეთი. ქვევით, ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, გველივით მიიკლაკნება პატარა მდინარე. ეს არღუნის სათავეა, კისტნის ჭალა. შორს ამ ვიწრო ხეობას ციცაბო მთა ბატეხი კეტავს. სწორედ მის ძირშია აშენებული, კლდეს შეზრდილი შატილი.

დათვისჯვრიდან ხუთ კილომეტრში გვხვდება ლებაისკარის ულამაზესი ციხე. იქვე კი გულს დაგწყვეტთ დაცლილი, ნანგრევებად ქცეული ლებაისკარის ნასოფლარი. ორ კილომეტრში მიტოვებული სოფ. კისტნის ქავ-ციხენი ჩამოგვცქერიან. აქედან მანქანით ნახევარ და ფეხით 4 საათში შატილში ჩახვალთ.

შატილი მნახველს ჯერ უეცარი, მოულოდნელი გამოჩენით აოცებს. შემდეგ კი მოღუშული ფერებითა და სიმკაცრით. ეს ახლანდელ შატილზე ითქმის, თორემ 50 წლის წინათ შატილი არ იყო ჩუმი და უსიცოცხლო. თითოეულ ქვითკირში (კოშკში) ორი-სამი ოჯახი ცხოვრობდა. ქვითკირები შიგნიდან და გარედან დახუნძლული იყო ნაირგვარი კიბეებითა და წინგარდებით, ბანიკებით, ღია აივნებითა და გადასასვლელ-გადმოსასვლელებით.

აქვე უნდა მივუთითოთ, რომ თითქმის დამკვიდრდა და გაბატონდა ხმარებაში ქვითკირის მაგიერ კოშკი. კოშკი სხვა რამაა. იგი მუდმივი საცხოვრებელი არ არის. ქვითკირი ძველთაძველი ქართული სახელია და მან ჩვეულებრივად უნდა დაიმკვიდროს თავისი კუთვნილი ადგილი. წინა საუკუნეებში ეს სწორად გამოიყენებოდა ქართულში და აქედან შემორჩა ხევსურეთშიც.

„ამან არდამ ერისთავმან აღაშენა ქალაქი ზღვისკარს და უნოდა სახელი დარუბანდი, რომელი ითარგმნების „დაჴშა კარი“. და მანვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქვითკირითა (ხაზგასმა ჩემია – მ. ჭ.) და აქამომდე არა იყო ქართლსა შინა საქმე ქვითკირისა. და ამის გამო დაისწავლეს ქვითკირი (ჩანს ხევსურებმაც სწორად დაისწავლეს – მ. ჭ.). ამანვე არდამ მოჰკიდა კირის-ზღუდე ციხესა (ხაზგასმა ჩემია – მ. ჭ.) არმაზისასა და აქათ მტკურამდის და წარმოზღუდა ცხვირი არმაზისი ვიდრე მტკურამდის“ – წერს ლეონტი მროველი (იხ. „ქართლის ცხოვრება“, თბილისი, 1996წ. გვ. 45).

ასევე ყველასათვის გასაგებად ხმარობს რუსთველიც: „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“.

ციხე უფრო თავდაცვითი მნიშვნელობის საომარი კოშკური ნაგებობაა. შიშიანობისა და ომის დროს ასეთ ციხეში შედიოდნენ და იცავდნენ თავს მთიელები. ნესტანიც ასეთ ციხეში ჰყავდათ ქაჯებს გამომწყვდეული. „ციხეს ვზი ეგზომ მაღალსა, თვალნი ვერ გადასწვდებიან ..“.

შატილი ერთ მთლიან საცხოვრებელ ქავციხეს წარმოადგენდა.

არლუნის პირას პირველ ქვითკირში შესული ადამიანი ოჯახ-ოჯახ შატილის თავში ისე გავიდოდა, რომ გარედან თვალს ერთხელაც ვერავინ მოჰკრავდა. ქვითკირები მიჯრით მიშენებულია ერთმანეთს. ბევრგან წინა, ქვედა კედელი მეორისა, ზედას საფუძველია.

სოფელი ერთბაშად, ერთ-ორ საუკუნეში არ არის აშენებული, რაზედაც თვით ქვითკირების აღნაგობა და მშენებლობის სხვადასხვა ხარისხი მიუთითებს. ბევრგან ძველად აშენებული კედელი ახლად აშენებულის ერთ-ერთი მხარეა.

შატილი შუა საუკუნეების ძეგლად არის მიჩნეული, თუმცა მის მიდამოებში ადამიანის ნამოსახლარები ჩვენს ერამდე ორი ათასი წლის იქითა ეპოქას ეკუთვნის. ამას ადასტურებს აქაური

არქეოლოგიური გათხრების მონაპოვრები, მიწაში თუ ზედაპირზე შემონახული ნივთები.

ძველი შატილიდან დასავლეთის მხარეს, სამასიოდე მეტრში, ე.წ. აჩხატის გორზე, შეიმჩნევა ძველთაძველი ნასოფლარი. ამ ნასოფლარის ტერიტორიაზე მდინარე არღუნიდან, ზევით სამძივანაის გორამდე (აქ ბავშვები მძივს პოულობდნენ), სამასი მეტრის სიმაღლესა და ასი მეტრის სიგანეზე ნაპოვნია ბაზალტის ქვისგან დამზადებული ასეულობით ხელის წისქვილი (უმეტესად ნატეხები). სპეციალისტები ასეთ წისქვილებს გვიანი ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნებენ. ასეთი წისქვილები მიკვლეულია კავკასიონის ზედა კალთებზეც და ბარის ხეობებსა და ზეგნებზეც.

აჩხატის გორის ძველი ნასოფლარი აშკარად მიუთითებს ადამიანთა აქ ცხოვრების სულ ცოტა ორი ეპოქის პერიოდზე. ხელის წისქვილების დამამზადებელი და გამომყენებელი გვარი თუ ტომი განვითარდა ან შეიცვალა სხვა ხალხით. უფრო გვიან ეს წისქვილის ქვები ნასახლარებშია ჩატანებული. ან დამოუკიდებლად იატაკზე კერის ცეცხლის სიახლოვეს აწყვია. ეს ქვები ოვალური (კვერცხისებური) მოყვანილობისაა და ერთიმეორეზე ჯვარედინადაა დადებული. ორივე ხელით მაშინდელი აჩხატელი ზედა, მსუბუქ ქვას უსვამდა საქვეოს (შედარებით უფრო მკვიდრად დამაგრებულს) და დღეში რამდენიმე კილოგრამს თუ დაფქვავდა (იფქლს, ქერს და ჭვავს).

გვიანდელ ეპოქაში ეს წისქვილის ქვები სახლების კედლებში იმიტომ მოექცა, რომ თავისი მნიშვნელობა დაკარგა. წისქვილის გამოყენების ტექნიკა განვითარდა, გართულდა. ჯერ ერთსახელურიანი ხელის მრგვალმა წისქვილებმა შეცვალეს ოვალური წისქვილები. შემდეგ კი წყლის წისქვილმა. წყლის წისქვილის გამოგონება უდიდეს ტექნიკურ რევოლუციად უნდა ჩაითვალოს, რაც საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენი წელთაღრიცხვის შუა საუკუნეებში გაბატონდა.

შატილთან ახლოს მიკვლეული ოვალური ხელის წისქვილების მსგავსი გაცვეთილი ნატეხები ვნახეთ შატილიდან 5 კილომე-

ტრის დაშორებით, დასავლეთით, ზღ. დონიდან 1700 მ-ზე უფრო მაღლა, სოფ. გიორწმიდის შესასვლელთან, ძველი ნასოფლარის – „ციხეთგორის“ მიდამოებში. სწორედ იმ სამარხების სიახლოვეს, რომლებიც პროფ. რ. რამიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილმა ექსპედიციამ შეისწავლა. ეს სამარხები დიდი ბუნებრივი კლდეების, ეხების ქვეშ, მარტივი კედლებით ამოშენებული ნახეს, აქვე აღმოჩნდა გვიანი ბრინჯაოს ხანის საგნები. (იხ. ამ ექსპედიციის მასალები, რომლებიც ინახება სოფ. მილხვრიანთკარში, ექსპედიციის მუზეუმში).

შატილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ორ კილომეტრზე, ანატორელთა ნასოფლარშიც, ნანგრევებშიაც, მივაკვლიეთ ზემოხსენებული ოვალური წისქვილის ქვების ათეულობით ნატეხს. ნასოფლარის პირდაპირ, არღუნის მარჯვენა მხარეს, არის ე.წ. „რჯულიან-ურჯულოთ სალოცავი“ ანატორის ჯვარი – მთავარანგელოზი. ამ სალოცავში მე-19 საუკუნის ბოლომდე არაქრისტიანებიც ლოცულობდნენ, რომელთა მოტანილი იფქლის ერთი ხმიადი თურმე ქრისტიანთა მოყვანილ ერთ მოზვერს უტოლდებოდა. სალოცავის ირგვლივ არის საცხოვრებლებიც და სასაფლაოებიც. აქვეა ქართული ეკლესიის ნანგრევები. ამ ადგილს „მარიამწმიდის გორა“ ჰქვია. აქამდეა შემონახული კირქვისგან გამოჩორკნილი კვარცხლბეკი და ქვაბისნაირი, ასევე კირქვისგან დამზადებული მოსანათლი ჭურჭელი. ეტყობა, წარმართ ანატორლებსა და შატილელებს აქ მოაქცევდნენ (ნათლავდნენ) ქრისტიანებად.

ანატორი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ადგილია ხევსურეთის წმინდა და სალოცავ ადგილებს შორის.

ჯერ ერთი, აქ უძველესი სამარხები და აკლდამებია. ერთად არის რჯულიან-ურჯულოთა სალოცავიც და ქრისტიანული ეკლესიაც. ზემოხსენებული არქეოლოგიური ექსპედიცია მას ჩვ.წ-ის მე-7 საუკუნეს მიაკუთვნებს. ამ პერიოდში გაჩენილი უნდა იყოს სოფ. შატილის პირველი ახალშენებიც.

ანატორი იმითაც არის საინტერესო, რომ გზაჯვარედინი აერთიანებს ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან, დაღესტნიდან, თუშეთიდან,

ფშავ-ხევსურეთიდან და ქართლ-კახეთიდან მიმოსვლის გზებსა და ბილიკებს.

მე-18 საუკუნეში ანატორის აკლდამებში ამოწყდა ერთი სოფელი ისე, რომ ერთი ადამიანიც არ გავიდა მეზობელ სოფლებში. დამმარხავი და აკლდამებამდე მიმყვანი (მიმტანი) .რაკი არავინ რჩებოდა, ავადმყოფი ანატორლები თვითონ მიდიოდნენ აკლდამაში, ადრე გარდაცვლილს საწოლი ქვებიდან ძირს გადმოაგდებდნენ და ახლა მშიერ-მწყურვალნი (ვინ იცის, რამდენ ხანს), თვითონ ელოდნენ სიკვდილს. ასეთი თვითდამარხვის გამორჩეული მაგალითი გაუგონარია, რაც ისტორიკოსების თუ ეთნოგრაფების სათანადო შეფასებას ელოდება.

ანატორლებიდან მხოლოდ ერთი თორმეტი წლის ბიჭი გადარჩენილა. ის თუშეთში ყოფილა მწყემსად. იქ მისულ შატილელს მოუყვა, რომ მის სოფელში, მზე დღეში ორჯერ მოდიოდა. ეს მინიშნება საკმარისი აღმოჩნდა, რომ ბავშვი ანატორელად მიეჩნიათ. ანატორს ჯერ მუცოს ხეობიდან მიანათებს დილის მზე, მერე, რამდენიმე წუთის შემდეგ, ანატორის კუჭს შემოუვლის და შატილის ხეობიდან მიანათებს. შატილელებმა მოიყვანეს ანატორელი და დაასახლეს შატილში. მათი ჩამომავლები ახლა 8 ოჯახს წარმოადგენენ.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, როგორც ყველა შატილიონი, ანატორლებიც ჭინჭარაულებად იწერებოდნენ, ამჟამად კი სისაურებად ან ანატორელებად იწერებიან. სამწუხაროდ, ახლა თვით შატილში მათგან არც ერთი ოჯახი აღარ ცხოვრობს.

თუშეთიდან მოყვანილი ანატორელის შატილში დასახლებას შატილელების ერთი ნაწილი ეწინააღმდეგებოდა, რადგან ადრე (გაწყვეტამდე) ანატორელები ბევრნი ყოფილან და შატილელების წინაპრებს, რომლებიც მაშინ ჯერ კიდევ ქაჩუს ცხოვრობდნენ, ჩაგრავდნენ.

ბოლოს, როცა ანატორელები ქაჩუში ვერ შესულან, მათთვის მიწისქვეშ გაყვანილი წყალი დაუწყვეტიათ. ქაჩუვლებს (შემდგომ კი შატილელებს) ღამე თოკზე მიბმული ნართის გორგალით მდი-

ნარიდან ჩუმად ამოჰქონდათ წყალი, წურავდნენ და აგროვებდნენ. ასე გაჰქონდათ თავი. აი, ეს საქციელი არ უნდოდათ ეპატიებინათ ანატორელთა შთამომავლისთვის. თუმცა უმრავლესობის გადაწყვეტილებით ანატორელები ბოლოს დასახლდნენ შატილში და ბევრი გმირობაც ჩაიდინეს შატილის სასარგებლოდ და სასახელოდ (იხ. „შატილიანები და ახვერდი მაჰმადი“).

ხევსურეთში უმეტესად გვაროვნული სოფლები იყო. ერთ სოფელში ერთი გვარის მოსახლეობა ცხოვრობდა. გვარის შიგნით (სოფელში) ქორწინება აკრძალული იყო. ასეთი სოფელი გახლდათ შატილიც. აქ ანატორელების გარდა ყველა ჭინჭარაული იყო, ამიტომ ქორწინება მხოლოდ ანატორელებსა და დანარჩენ შატილელებს შორის ხდებოდა. გვარის (სისხლის) აღრევა უმეტესწილად მოკვეთით მთავრდებოდა, რაც ყველაზე დიდ სასჯელად ითვლებოდა.

როგორც ცნობილია, მე-10 საუკუნეში იწყება ერთიანი საქართველოს ჩამოყალიბება, რაც მიღწეული იქნა ბაგრატ III-ის დროს. აქედან დაწყებული დავით აღმაშენებლის, დიმიტრი II-ის, გიორგი III-ის და თამარის მეფობის ეპოქებში საქართველოს საზღვრები ჩრდილოეთით იყო გადაწეული. დურძუკთა, დაღესტნელთა, ღალღათა ტომები – ძმადნაფიცები თუ ყმადნაფიცები ქართველთა დიდ გავლენას განიცდიდნენ.

ცნობილი ქართული მონასტრები თხობაერდი ზემო ინგუშეთში (ღილღოში) და დათუნას ეკლესია დაღესტანში ქართული წარწერებით და ბარელიეფებით ყოფილა დამშვენებული.

ღილღოს, ჯარიახის ხეობაში, მრავალ ლამაზად ნაგებ ციხეთა ჩარდახების ქვეშ ჯვარია გამოყვანილი. თვით ჯარიახიც და შატილის მეზობელი ჯარეგოც ჯვარიდან მოდის. ჯარიახში ამ ციხეების შენებისას აშკარად მძლავრობდა ქრისტიანული სარწმუნოება. სხვაგვარად ისლამის მიმდევრები ქრისტიანობის სიმბოლოს არ გამოიყენებდნენ. სხვათა შორის, აქ კოშკური მშენებლობის ხელოვნება და კულტურა უმაღლეს დონეზეა მიღწეული. ციხეების კედლები მოთეთრო-მონაცრისფრო ქვებითაა ნაგები.

მთებიდან, საჯიხვეებიდან ეს ციხეები კელაპტრებს მოგაგონებთ. აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის საკვლევი და გასარკვევი, რაც კვლავ ელოდება სპეციალისტებს.

შატილი ისეთ სტრატეგიულ ადგილზეა დაფუძნებული, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კეტავს ვიწრო არღუნის ხეობას, აკონტროლებს ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან (ნაწილობრივ თუშეთიდანაც) საქართველოში შემოსაღწევ ბილიკებს და გადმოსასვლელებს.

ჩვენი აზრით, ზემოთნახსენებ საქართველოს ზეობის ეპოქაში – შატილში მესაზღვრეთა დიდი ჯგუფი უნდა მდგარიყო. ისინი ადგილზე დარჩნენ, დაოჯახდნენ და სამუდამოდ დასახლდნენ. თანდათანობით ხევსურეთის პირობებისათვის უჩვეულოდ დიდი სოფელი წარმოიქმნა.

გადმოცემებით შატილელი ჭინჭარაულები მოსულები არიან გუდანიდან. პირიქითში გადასული ჭინჭარაულები ჯერ კისტანში დასახლებულან, შემდეგში კი შატილთან ახლოს, არღუნის მარჯვენა მხარეს – ქაჩუს. მოგვიანებით ქაჩუდან უფრო ხელსაყრელ ადგილზე, შატილში გადასულან. ასეთი ვარაუდი მთავარი სალოცავებით აიხსნება. ჭინჭარაულთა ცენტრი და მთავარი სალოცავი გუდანია. კერძოდ, შატილელთათვის ჯერ გუდანის, შემდეგ კისტნის და ბოლოს თვით შატილის ხთიშობლისა და მთავარანგელოზის ჯვარი წარმოადგენდა „ყმათად მიმცემ ძალს“.

გაოცებას იწვევს შატილის გეგმაზომიერი, აზრიანი მშენებლობა. თავდაპირველად მშენებლობა დაწყებული ჩანს მიუვალ კლდეზე. ამ ნაწილს „ქავი“ ეწოდება, რაც ციხეს, მიუვალ, კარგად დაცულ სიმაგრეს, ციტადელს ნიშნავს. საინტერესოა, რომ ქავში აშენებულ ამ პირვანდელ ქვითკირებს სათოფურები არა აქვს, რაც ჭარბად შეინიშნება შედარებით გვიან, მე-17-18 საუკუნეებში აშენებულებში. ცხადია, შატილის ქავის ეს ნაწილი ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლამდე არსებობდა. ქვითკირების ერთ ნაწილს, მეოთხე, ბოლო სართულზე გაკეთებული აქვს ჩარდახები. ჩარდახები პირველი სართულის შესასვლელი კარების ასწვრივაა

მონყობილი. გარედან დაცულია, შიგნიდან კი დიდი ქვების ჩამოგდება და მომხდურ-მოძალადის დაზიანება შეიძლება.

შატილის მეზობელი ქვითკირების კარები და სარკმლები ერთიმეორეს უყურებს, იცავს და აკონტროლებს. ერთი ქვითკირის პატრონი თავის სამყოფელსაც იცავდა და მეზობლისასაც. ქვითკირები ერთიმეორეს ისეა მიჯრით მიბჯენილი, რომ ერთიდან ხმამაღალი დაძახება მთელ სოფელში ისმის. ერთიმეორის გაფრთხილება შატილივნებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ.

შედარებით სუსტ მხარეს შიშიანობის დროს შატილისთვის წყლის, მდინარე შატილურას მოშორებით (200 მეტრამდე) ყოფნა წარმოადგენდა. თუ რომელიმე ოჯახში რაიმეს რეზერვი იყო, გაჭირვების დროს მთელ სოფელს სულადობრივად უნაწილდებოდა. კლდეების მხარეს დაცულ ადგილზე სპილენძის დიდი ქვაბი იდგა, სადაც წვეთობით მონაჟური თოვლ-წვიმის წყალი გროვდებოდა. რამდენიმე ასეული ლიტრი წყალი სოფელს ორ-სამ დღეს ჰყოფნიდა.

შატილს ჰქონდა სარეზერვო იარაღის, ტყვია-წამლისა და ძვირფასეულობის (ოქრო-ვერცხლის) შესანახი (სამალავი) „დარანი", რომლის არსებობა ბავშვებმა და ახალმოყვანილმა რძლებმა არ იცოდნენ, რათა უნებურად არ გაეთქვათ. „დარანი" ხუთსართულიანი ქვითკირის პირველ სართულზე, კლდეში გამოჭრილი სარდაფი იყო. ჩასასვლელს დიდი ფიქალის მძიმე ქვა (სიპი) ედო – მას ერთი ადამიანი ვერ ასწევდა. მეორე სართულზე ჩვეულებრივი საცხვრე იყო და ცხვარი იდგა. უცხო ვერ წარმოიდგენდა, რომ ქვემო სართული არსებობდა და იქ სამალავი იყო.

შატილის მშენებლობა მე-19 საუკუნეში უკვე დასრულებული იყო. მე-20 საუკუნის დასაწყისში სოფლის თავში და ბოლოში თითო ორსართულიანი სახლი აიგო. ოციან წლებში ქვითკირებიდან, სადაც სივიწროვე იგრძნობოდა, შატილურას ნაპირზე რამდენიმე ოჯახი ჩასახლდა და ორსართულიანი, ბარულს მიმსგავსებული ჩუქურთმიანი, აივნიანი ბინები აიშენა. ასე შეიქმნა ახალი დასახლებული უბანი – „ჭალა".

ძველი ციხე-ქალაქი შატილი ოთხი ძირითადი უბნისაგან შედგებოდა: ზენაუბანი, შუასოფელა, ქავი, ქვენაუბანი. ზოგჯერ მამიშვილობის დასახლებასაც გამოჰყოფდნენ: თიაყათ კარი, ანატორელთ კარი და სხვ. სოფელს შუაზე ორი-სამი მეტრის სიგანის ქუჩა ჩაუდიოდა. ამ ქუჩას „ინგური" ერქვა და კვირაში ერთხელ მაინც სუფთავდებოდა პირუტყვის ნაკელის ნარჩენებისაგან.

შატილი ერთადერთი სოფელია მთელს ხევსურეთში, სადაც აქამდე შემორჩა სოფლის საერთო თავშეყრის ადგილი – საფეხვნო. ეს არის 20მ² გადახურული, წინა მხრიდან ღია შენობა, სადაც თავს იყრიდა სოფლის მამროანი (ქუდოსანი) და წყვეტდა ყველანაირ სასოფლო თუ სათემო-სამეზობლო სადავო საკითხებს. აქ უფროს-უმცროსობის განსაზღვრული წესით სხდებოდნენ შატილივნები. ალბათ ერთ-ერთ „ფეხვნობას" შეესწრო ვაჟა:

„ალუდა ქეთელაური კაცია დავლათიანი,
საფეხვნოს თავში დაჯდების, სიტყვა მაუდის გზიანი"...

საფეხვნოში თავშეყრა ნებისმიერ დღეს შეიძლებოდა, ძირითადად კი შაბათ-კვირას ან სხვა უქმე დღეებში. აქ ხელსაქმობდნენ მამაკაცები: ამზადებდნენ ბანდულებს და ქალამნებს, ზელდნენ ტყავებს დაზგებზე, წნავდნენ თოკებს და ბაწრებს. ადრე აქ თოფის წამალსაც ამზადებდნენ (ნაყავდნენ). ჩამოთვლილი სამუშაოები ძირითადად ჯგუფურად სრულდებოდა. მასში მთელი სოფელი მონაწილეობდა. თოფის წამლის დამზადება რთული და შრომატევადი იყო, ამიტომ ძვირადაც ფასობდა. რამდენიმე გასროლა (ერთი სტილი 200 გრამი) ერთი ცხვარი ღირდა:

„თოფმა თქვა: „ჩემთა წამალთა შვიდრიგად უნდა დულილი,
მაისის თვეში განაყან, მემრ ნახან ჩემი ქუხილი,
მემრ ნახას ჩემმა პატრონმა ჩემის დაჭრილის წუხილი".

(ალ. ოჩიაური,
„ქართული ხალხური დღეობების კალენდარი", გვ. 87).

წამლის სანაყი, მასიური ბაზალტისაგან დამზადებული ამოღრმავებული ქვა, ახლაც დევს საფეხვნოში. შატილზე თავდასასხმელად მიმავალ გარა თურმანაულს კისტნელი ბებერი აფრთხილებს:

„ვაიმე, მებრალებოდი, გზან ჩაგიდიან კლდიანნი,
ჩაივლი, ჩაღმა ჩაგიდის, ამავლა გექნებ გვიანი.
თავად ძნელ მეთოფენია, ჯვარი ჰყავ დაელათიანი,
თავადა ნაყენ წამალსა, ბაკნითა უდგან ტყვიანი".

საფეხვნო ერთგვარი აღმზრდელობითი კერა იყო და მომავალი თაობის ტრადიციების სწავლების ინსტიტუტსაც წარმოადგენდა. პატარა ბიჭებს დიდებისათვის სასმელი წყალი უნდა მოეტანათ. ამ დავალებას ბავშვები დიდი სიხარულით ასრულებდნენ. მოტანილ წყლიან ჭურჭელს, ორძირა კინჭლეს, უფროსები ჩამოართმევდნენ და დალოცავდნენ: „შაუნდნას შენ მკვდართ"! „ღმერთმ დაგიმადლას"! პასუხობდა პატარა და ამაყად გადახედავდა თავის ტოლებს, რომლებთან შედარებითაც პირველმა დაიმსახურა დალოცვა. ხშირად ბავშვებს სერიოზული საკითხების გადაწყვეტაშიაც მიაღებინებდნენ მონაწილეობას. ამას იმისთვის აკეთებდნენ, რომ უმცროსების აზროვნება შეემოწმებინათ, ვინ უფრო ჭკვიანურად მსჯელობდა. იყო შემთხვევები, როცა ბავშვების ნააზრევს უფროსები გაუოცებიათ.

ერთხელ მეზობელი თემიდან ქისტების თავკაცები მოსულან. იქ მომხდარი ამბავი თავად ვერ გაურჩევიათ და ხევსურების უფროსებისათვის რჩევის კითხვა გადაუწყვეტიათ. სოფლის უფროსები საველო საქმეზე (თიბვა-მკაზე) გასულები ყოფილან და მარტო 12-13 წლის ბავშვები დახვედრიან. პატარები სტუმარ „დელეგაციას" პურ-მარილით გამასპინძლებიან და თან უკითხავთ: „რამ შეგაწუხათო?"

ქისტები დამცინავი ღიმილით მოუყვნენ ბავშვებს: „ჩვენს სოფელში მაზლმა თავის რძალთან ახლო ურთიერთობა დაიჭირა და თავი რომ დაანებოს, როგორ მოვიქცეთო, ამის კითხვა გვინდოდა თქვენი უფროსებისთვისო".

– „მაგას უფროსები რად უნდა, ჩვენც გეტყვითო" – უთქვამთ ბავშვებს.

– „აბა რას გვეტყვითო"!

– „ის მაზლი რომ მზიან დღეს გარეთ გამოვა, მის აჩრდილს თოფი დახკარითო, ეს გაფრთხილება იქნება, თუ თავისი საქციე-

ლი არ მოიშალა, მომდევნო ტყვია მას მოხვდებაო", – უთხრეს ბავშვებმა.

ამაზე უკეთესს ამათი უფროსები რაღას გვეტყვიანო და უკან წავიდნენ.

საფეხვნოში ნანურთნმა პატარებმა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მისცეს მეზობელი თემის უფროსებს.

„საინტერესოა, რომ ხევსურები შატილს თვლიან ძველი ყოფა-ცხოვრების დამცავ ბურჯად, ტრადიციების შემნახველად. ნამდვილად, ჩვენ სწორად აქ ჩავატარეთ ყველაზე უფრო მეტი დაკვირვებები", – წერდა 1928 წელს გურკო-კრიაჟინი (Хевсуры, გვ. 14).

90-იან წლებში ბარისახოელი ხვთისო ჭინჭარაული („ჭინჭრა") მეუბნებოდა: „ჩემ დედუამ (ბებიამ) თქვისავ: „წეს-რჯულივ შატილით მადიოდავ ხევსურეთავ".

ეტყობა მოსახლეობის სიმრავლემ, სტუმრიანობის სიხშირემ, მოსაზღვრე ურჯულო ტომებთან თუ მეზობელ თემებთან გაუთავებელმა შეტაკებებმა, დავამ და სჯა-ბაასმა, ტრადიციულობის შენახვის სიმტკიცის აუცილებლობამ, უპირატესობა გუდანიდან თანდათანობით შატილისკენ გადახარა.

საფეხვნოში შესვლის დროს 9 წლის ბავშვს თუ 80 წლის მოხუცს ყველა იქ მყოფი ფეხზე უდგებოდა და მიმართავდა: „მაგვიხვედ მშვიდობით"! „დასხეით, რას უდგებით, მტერსამც აუდგებით"! – პასუხობდა ახალმოსული. უფროსს საუფროსო სკამისკენ მიიწვევდნენ, დანარჩენები წლოვანების მიხედვით ნაწილდებოდნენ. თუ ადგილი არ იყო საკმარისი და ახალგაზრდები (ბავშვები) ვერ ხვდებოდნენ ადგილის დათმობის აუცილებლობას, მოზრდილი მამაკაცი პატარას ადგილიდან დემონსტრაციულად ხელით ზეზე აიტაცებდა და დასძენდა: „ეეგრ იცოდის შენ მამამ ჩემდ ყმაწვილობაჩი".

ასე რომ, გაწვრთნა დაძალებითაც ხდებოდა. გამრჯელ ახალგაზრდას საჯაროდ შეაქებდნენ: „ბარაქალ კაის მამის შვილო, ეგი წესი, გასჯა არ მახკლავს ვაშკაცს".

თავშეყრა საფეხვნოს გარდა ხდებოდა ლუდის სახარშ „საქვაბეშიც“, განსაკუთრებით დღეობებისათვის მზადების დღეებში. ეს საქვაბე იქვე, ოც მეტრში იყო საფეხვნოსთან, მასზე თითქმის 4-ჯერ დიდი და მაღალი შენობა, სადაც სპილენძისგან დამზადებული ტონიანი და ნახევარტონიანი ქვაბები დუღდა. ჭირში თუ ლხინში, უმეტესად კი დღეობებში, ამ საქმესაც (ლუდის ხარშვას) მთელი სოფელი ასრულებდა. ხელმძღვანელებად კი ან ჯვარში მდგომი დასტურ-ხელოსნები, ან ჭირ-ლხინის მეპატრონეები ითვლებოდნენ. წინა დღეს საფეხვნოში გადაწყდებოდა, თითოეულ ოჯახზე რამდენი თულუხი წყალი უნდა მოზიდულიყო შატილის ხევიდან. ყველა შრომისუნარიან ქალს (ოჯახში ერთს) ევალებოდა 5 ან 7 თულუხი (თულუხში ჩადიოდა 15 ლიტრი) წყალი მოეტანა საქვაბემდე. აქ ახალგაზრდები დახვდებოდნენ, თულუხებს ქვაბებში ჩაცლიდნენ. დაითვლიდნენ და „გეგმის“ შესრულების შემდეგ ათავისუფლებდნენ ახალგაზრდა მანდილოსნებს. წყლის მოტანა ორ საათში მთავრდებოდა და საქვაბეში (სალუდე სახლში) ტონობით წყალი გროვდებოდა. წყალს ფორს (ალაოს) დააყრიდნენ, მოხარშავდნენ, გასწურავდნენ. შემდეგ კიდევ გარკვეულ დრომდე ადუღებდნენ სვეში (სვიაში), კვლავ გასწურავდნენ, გააგრილებდნენ, გადაიტანდნენ კასრებში, საფუარს მისცემდნენ და ერთ კვირაში ლუდი მზად იყო. ფიზიკური მუშაობა ახალგაზრდებს ევალებოდათ, ტექნოლოგიური მომზადება კი გამოცდილ, მცოდნე უფროსებს. ლუდის მოხმარებას და გამოყენებას ქვევით მოგახსენებთ შატილში დღეობების, ახალწლის რიტუალების ჩატარების აღწერისას.

შატილში სამოცამდე ქვითკირია. თითოეულ ქვითკირს, ამ ქვითკირში მცხოვრებ პიროვნებებს, საკუთარი საინტერესო ისტორია აქვთ. ჩვენ ყველას ვერ განვიხილავთ, მოგახსენებთ ზოგიერთზე.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას ბევრი ამბოხება და შეთქმულება მოჰყვა. თავისუფლების დაკარგვას განსაკუთრებით ვერ ეგუებოდნენ მთიელები. ისი-

ნი ყოველთვის მხარს უჭერდნენ ქართველ მეფეს და მათ ჩამომავლებს. მეფის რუსეთი კი სწორედ მეფეს და ბატონიშვილებს ერჩოდა, რათა საქართველოში სამეფოები აღარ აღმდგარიყო. ამისთვის რუსები თვით ქართველებს, გადაგვარებულ თავადებს იყენებდნენ. მეფე ერეკლე II-ის მრავალრიცხოვანი შვილები, შვილიშვილები და ნათესაობა სწორედ ციციანოვმა პირნმინდად გადაასახლა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში.

1812 წელს კახეთი აჯანყდა, ერევნიდან გადმოსული ალექსანდრეც მათ შეუერთდა. მათვე ჩამოეშველნენ ფშავ-ხევსურები. დამარცხდნენ და ალექსანდრემ ხევსურეთს, შატილს შეაფარა თავი.

კავკასიის მთავარმართებელმა რტიშჩევმა სიმონოვიჩის მეთაურობით რუსების ლაშქარი გაუშვა შატილისაკენ. 1813 წლის 13 მაისს სიმონოვიჩის, სტალისა და ორბელიანის მეთაურობით ჯარი ხევსურეთისკენ დაიძრა. 30 მაისს რუსის ჯარი ლებაისკარიდან არდოტის ხეობისკენ გადავიდა. ლებაისკარიდან სიმონოვიჩმა წერილი მისწერა ალექსანდრეს შატილში, – „დამმორჩილდიო“. ელჩი ხევსურებმა მოკლეს. ალექსანდრემ პასუხიც ვერ გასცა.

გუროში დიდი შეტაკება მოხდა. ხევსურებს ქისტებიც მიეშველნენ (რამდენიმე ასეული კაცი). რუსების სიმრავლემ და მაღალი დონის შეიარაღებამ სძლია მთიელების მამაც, მაგრამ გულუბრყვილო რაზმებს. რუსის ლაშქარმა ჯერ გურო და შემდეგ შატილი გადაწვა და ააოხრა. შატილის მაშინდელი ნახანძრალი ქვითკირის კედლები ახლაც ყავისფრად გამოიყურება. ალექსანდრე ბატონიშვილი ჯერ ქისტეთში (ჩეჩნეთში) და შემდეგ დაღესტანში გაიქცა. შატილიდან გავიდა უცხოეთში საქართველოს მეფის ტანჯული შთამომავალი.

რუსეთის არმიის ბრძოლებს ადგილობრივ „ველურებთან“ თვითონ რუსების წარმომადგენლებიც აღწერენ და ვერ მალავენ ამ „ველურების“ უცნაურ ქცევებს. ამ შეტაკებების დროს ხევსურები ფეხზე მდგომები გვესროდნენ და თანაც გაუმცდარადო.

დაჭრილებს მეორედ აღარ ურტყამდნენ, პირიქით ადგომაში ეხმარებოდნენო. „ველურების“ ასეთი ქცევა „განათლებული“ რუსებისათვის გაუგებარი იყო. მათ დავალებული ჰქონდათ, რაც შეიძლება მეტი მოეკლათ, რომ ეს ტომები საერთოდ მოესპოთ. ეს მოახერხეს კიდევაც. „ხევსურების თავისივე ნაწრთობი კალდიმები ისე თლიდნენ ჩვენს ხიშტებს, როგორც დანა ყველსო“, – ამასაც აღნიშნავდნენ რუსები. იმ შეტაკებაში იმდენი დახოცილი ხევსური იყო ნაჩვენები, რომ მაშინდელ საერთო სულადობას სჭარბობდა. ეს გაზვიადება შამილთან ბრძოლებიდან დაიწყო და ამჟამინდელ ჩეჩნებთან ომშიც გაგრძელდა. რუსების მიერ მოკლული ბოევიკების რაოდენობამ 2000-2002 წლებში ნახევარ მილიონს გადააჭარბა. მაშინ, როცა მთელი მოსახლეობა 800 ათასს აღწევდა. ჩეჩნეთში მებრძოლი რუსი გენერლები თავის მოსახლეობას „აშოშმინებდნენ“: ჩვენს მებრძოლებს რომ გვიხოცავენ, ჩვენ სამჯერ მეტს ვუხოცავთო.

ალექსანდრე ბატონიშვილი ერთ–ერთ დიდ, მაგარ ქვითკირში იყო თავშეფარებული. ეს ქვითკირი ეკუთვნოდა შატილში ძლიერ მამიშვილობას-გოგოთურათ.

ალექსანდრე ბატონიშვილი წყალობის სიგელებსაც არიგებდა შატილში. ვინც მას მაღალ დონეზე მოემსახურებოდა და უერთგულებდა:

„ქ. ჩვენ ს-დ საქართველოს მეფის ძემ ალექსანდრე ეს წყალობის წერილი გიბოძეთ შენ განას შვილს განას და შვილსა შენსა ბათაკას და აბულეთს, ასე რომ ჩვენა ხევსურეთს შადილს (შატილს) ყოფნაში დიდად ერთგულად გვემსახურნე. ამისათვის ჩვენც ეს წყალობის წერილი გიბოძეთ. ღ˜თით ჩვენს ქვეყანაში რომ შესვლა გვეღირსება, მაშინ სამს ლიტრას გაკეთებულ სპილენძს ყოველ წელიწადს გიბოძებო და ხუთ ტანს ფართალს; და ჩვენს საბრძანებელში ყველგან გევლებოდეს: ქართლში, კახეთში და ქალაქში, რჯულიანში და ურჯულოში, რომ ვერცავინ დაგიშალოს და ვერცავინ გისაყვედუროს და არც შენის ვაჭრობის ბაჟი გეთხოვებოდეს. გქონდეს და ღ˜თნ ჩვენს ერთგულობაში მოგახ-

მაროს. თებერვალს კე (25) ქკს ფა 501≈1813ნ. აზის ბეჭედი [ალექსანდრე]".

ასეთივე წერილი ალექსანდრე ბატონიშვილს უბოძებია შატილში ხირჩლა და ვაჟია ჭინჭარაულებისათვის, სადაც წერებულა: „გვიბოძებია სამი ლიტრა გაკეთებული სპილენძი, თავ-ფეხამდე ტალავარი, მარილი და ტყვია-ნამალიო" (ს. მაკალათია, „ხევსურეთი", ტფილისი, 1935 წ., გვ. 51).

„... და ბოლოს, უკვე ძალიან გვიან, მივაღწიეთ შატილს და ღამის სათევად გავჩერდით სწორედ იმ ქვითკირში, რომელშიაც ჩვენს მიერ კახეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, საქართველოს ტახტის დაბრუნებისათვის ბრძოლაში დამარცხებულმა და გამოქცეულმა საქართველოს მეფისწულმა ალექსანდრე ირაკლის ძემ გაატარა 1812 წლის მთელი ზამთარი", – წერს ა. ზისერმანი (Двадцать пять лет на Кавказе, გვ. 162).

შატილში ორი მოდგმის ხალხი სახლობდა: ჭინჭარაული და ანატორელი. ჭინჭარაულები (ადრე ჯინჭარაულები) უფრო ძველი დასახლებულები იყვნენ, ანატორელები კი შედარებით გვიან, მე-18 საუკუნეში. ჭინჭარაულები ორ ძირითად შტოდ იყოფოდნენ: I გილაკაურებად და II უთურგაულებად. ეს ორი შტო კიდევ ქვეშტოებად, ქვეგვარებად (მამიშვილობებად) ნაწილდებოდა.

ანატორელები მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში ჭინჭარაულებად (ჯინჭარაულებად) ეწერებოდნენ (ამის დასტურია ა. შანიძის მიერ შედგენილი ხალხური პოეზია), მოგვიანებით კი ძირითადად სისაურებად.

აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში დასახლებული სისაურები (ქართლში, ხევში, მთიულეთში, კახეთში, თუშეთში და ა. შ.) შატილიდან უნდა იყვნენ წამოსულები. პირაქეთ ხევსურეთში, ლიქოკის ხეობაში მოსახლე ლიქოკელები თავს ანატორელების ჩამომავლებად თვლიან.

შატილის მოსახლეობის დაყოფა გვარებად, შტოებად და ქვეგვარებად (მამიშვილობებად).

ჯინჭარაული (ჭინჭარაული) + ანატორელი

ქვეშტოები

I გილაკაური	უთურგაული
მამიშვილობები	
ბაგრატაულნი	ბადურიკანი
კოკონი	ბულოურნი
თიაყანი	მანგიანი
გოგოთურანი	შაბურანი
	ჯალაბაურნი

ზემოთნაჩვენები მამიშვილობებიდან ბარში ჩასახლებულების ჩათვლით (50-იან წლებამდე ჩასახლებულების ჩაუთვლელად) ამჟამად ასეთი მდგომარეობაა:

გილაკაურები	48 ოჯახი,	145 სულამდე
უთურგაულები	35 ოჯახი,	105 სულამდე

გილაკაურებიდან: 1) ბაგრატაულები 12 ოჯახია, 2) კოკონი – 23, 3) თიაყანი – 13, 4) გოგოთურანი – მე-19 საუკუნეშივე გათავდნენ, მამიშვილობის გამგრძელებელი ქუდოსანი აღარავინ დარჩა. წინა საუკუნეში ბევრნიც ყოფილან; თავისი (კერძო) საფეხვნო ჰქონდათო, ამბობდნენ უფროსები. თან დიდი აღნაგობისა და ღონისანი ყოფილან. აქამდეა მოღწეული მათ მიერ ჩადენილი უბადლო საქმეები. მაგალითად, ხარებით მოტანილი თავხე (კეზი) მამა-შვილს – ბაბღიას და ჩუას, მარტოებს დაუდვიათ ერთი ქვიტკირის ზედა სართულზე.

უთურგაულებიდან: 1) ბადურიკანი 10 ოჯახია; 2) ბულოურნი – 7; 3) მანგიანი – 9; 4) შაბურანი –3 ; ჯალაბაურნი – 5.

საუკუნის მანძილზე შატილში, და მთელ ხევსურეთშიც, მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა. 1873 წელს ხევსურთა რაოდენობა (ერწო-თიანეთის ჩათვლით) 5300-ს სჭარბობდა; შატილის საზოგადოებაში (5 სოფელში) 524 სულია. შატილში 38 კომლია.

1887 წელს შატილის საზოგადოებაში 121 კომლია, 500-ზე მეტი სულით. მთელს ხევსურეთში კი (7 საზოგადოებაში) 4867 სული; 1898წ. შატილში 50 კომლია („მოამბე" 7. გვ.169); 1903 წელს მთელს ხევსურეთში 6560 სული ყოფილა; დასახლებული იყო 30 სოფელი: მათ შორის ე.წ. სადედოფლო სოფლებია: კისტანი, გურო, შატილი, ხახაბო, არდოტი, მუცო. („ცნობის ფურცელი" 2328).

როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, ბოლო დრომდე ხევსურეთში გვაროვნული სოფლები იყო. აქ რამდენიმე სოფელია, სადაც 3-4 გვარის ხალხი ცხოვრობს (ცხოვრობდა). არხოტის თემში ასეთი სოფლები იყო ახიელი და ჭიმღა. პირიქითში – ხახაბო. ამიტომაც ერთგვარიანი სოფლების მოსახლეობის დამოყვრება მეზობელ და სხვა სოფლის, თემის წარმომადგენლებთან ხდებოდა. შატილში უმეტესი რძლები გუროდან, გიორწმიდიდან (ასე ერქვა 50-იან წლებამდე გიორგიწმინდას) მოჰყავდათ, ან მუცო-არდოტის თემებიდან. შატილიდან გათხოვებაც ამ თემ-სოფლებში ხდებოდა. გამორიცხული არ იყო არხოტში და პირაქეთ ხევსურეთში დამძახლებაც.

სიახლოვის გამო ყველაზე მეტი ურთიერთობა გიორწმიდასთან იყო. შატილიდან გიორწმიდამდე 6კმ-ია. გიორწმიდის თემში 7 სოფელი ითვლებოდა. შვიდივე სოფელი გუროდან მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში გადმოსახლდა. ძველ, ბუდე გუროსაც ისევ იყო დარჩენილი ერთი ათეული ოჯახი. გურო-გიორწმიდას გოგოჭურები ცხოვრობდნენ, ხოლო შატილში ჭინჭარაულები და ანატორელები.

დროთა მანძილზე ამ ორ სოფელსა და გვარებს შორის ისეთი კავშირურთიერთობა დამყარდა, რომ თითქმის აღარ მოიძებნება ოჯახი, რაიმე ნათესაური ურთიერთობა არ ჰქონდეთ მეზობელი სოფლების წარმომადგენლებთან. მიუხედავად სოფლებს შორის კავშირისა და სიახლოვისა, ხასიათით შატილივნები და გუროელები ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებოდნენ. შატილივნები უფრო „სერიოზულები" იყვნენ, გიორწმიდელებს კი დიდი

იუმორი და მხიარულება ახასიათებდათ. შატილივნები გუროელების იუმორს დაცინვად აღიქვამდნენ და ერთად შეყრისას, დიდ ქეიფებში, გარდუვალი იყო ჩხუბი. ჩხუბი ღაჯიებითა და ხანჯლებით ხდებოდა. სასიკვდილოდ იშვიათად ვინმე დაშავდებოდა. ამას სისხლის აღების უნიკალური წესი ანესრიგებდა. „შენ თუ სხვას მოჰკლავ, შენც მოგკვლენ, მკვლელს არ შეარჩენს გვარია" (ვაჟა). უფროსებს, მერჯულეებს გაუთავებლად ჰქონდათ განსჯა და ბაასი ნაშულლართა შესარიგებლად. ამ ორ სოფელს 1901 წელს სერიოზული შეჯახებაც ჰქონდა თემთა შორის საზღვრის დარღვევის გამო, რასაც ათეულობით კარგი ვაჟკაცის სიცოცხლე შეეწირა.

ეს კონფლიქტი ასე მომხდარა: შატილის საზღვარი გიორწმიდის სოფლებს ებჯინებოდა, შატილიდან 5კმ-ით იყო დაშორებული. გიორწმიდელთა პირუტყვი ზოგჯერ გადადიოდა შატილელთა საძოვარში. ყველაზე მეტად კი სოფელ ქვენბოსლიდან და ნასისხლარიდან. ნასისხლარში ჩონქარა გოგოჭური ცხოვრობდა. შატილივნები აფრთხილებდნენ გიორწმიდელებს: „ჩვენს ადგილზე ნუ უშვებთ პირუტყვსო". მიუხედავად ამისა, ჩონქარას ოჯახმა რამდენიმე ბატკანი მაინც გადმორეკა შატილელთა მხარეს, ხიდს გადმოლმა. შატილელთა მწყემსმა ბავშვებმა ეს ბატკნები შატილისკენ წამოიყვანეს. ასე ჰქონდათ უფროსებისგან დავალებული.

გუროს ხატში დღეობა ყოფილა იმ დღეს. ხალხი სასმლით იყო შეზარხოშებული. ამ დროს ავმა ენამ დაუძახა: „თქვენ ქეიფობთ, შატილივნებმა ცხვარი გაგილალესთო". „როგორ თუ გაგვილალესო" და შეიარაღებული გუროელები სტიქიურად დაიძრნენ შატილისაკენ. ახლა შატილში მოიტანეს ამბავი: „გუროელები თავს გესხმიანთო". გუროელებს 12 კილომეტრი გამოევლოთ. შატილის ტერიტორიაზე შემოსულიყვნენ. შატილამდე 3 კილომეტრილა დარჩენოდათ. აქ შეეგებნენ შეიარაღებული შატილივნები მეზობელ სოფლელებს.

შატილის ტერიტორიაზე შემოსვლამდე გონიერი და მამაცი თანასოფლელები ევედრებოდნენ გუროელ თავისიანებს: „ნუ ნავალთ საშუღლარად, მშვიდობიანი მოლაპარაკებით გადავწყვიტოთ საქმეო". ზავს განსაკუთრებით იხვეწებოდა სუიკათ ბათირა. მთვრალებმა არ დაუჯერეს, ზოგმა ისიც კი „იხუმრა": „მე დავიჯერებდი, მაგრამ ჩემი ხმალი არ იჯერებსო". დემონსტრაციულად ამოსწია ხმალი ქარქაშიდან და უკანვე ჩააგო.

გუროელთა და შატილელთა შეხვედრა, შეჯახება მოხდა ხიდთან, რომელსაც შუღლამდე „მაღალხიდი" ერქვა, შუღლის შემდეგ კი „ნაშუღლარს" (ამჟამადაც) ეძახიან.

გუროელებს თოფები ცოტას ჰქონდათ და ძირითადად ხმალ-ხანჯლით იყვნენ შეიარაღებულები, ხოლო შატილიენებს, რაკი მენაპირედ, მესაზღვრედ ცხოვრობდნენ, თოფები ბევრს ჰქონდათ.

ჯერ ერთიმეორეს შორიდან თოფები ესროლეს. რამდენიმე გუროელი სასიკვდილოდ დაიჭრა. წელან ზავის მომხრე ბათირამ დაინახა, რომ ახლა უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. თანასოფლელებს ხმამაღლა მიმართა: „დედა შეერთოს ცოლად, ახლა ვინც არ მომყვებაო" და პირველი შეიჭრა ხიდზე. ხიდზე რამდენიმე გამშველებელი ქისტი იდგა. აქედან და იქიდან გადაქელეს გამშველებლები და ერთიმეორეს დაერიენენ ხმალ-ხანჯლებით. ვინც ხიდზე ვერ გავიდა, წყალში გატოპა და იქ შეერკინა მოწინააღმდეგეს.

ორივე მხრიდან რამდენიმე მამაცი, მათ შორის ბათირაც, იქვე დაეცა, ხოლო ათეულობით, ზოგი მძიმედ, ზოგი სასიკვდილოდ დაიჭრა. დაშავებულებში გუროელები მეტი იყო, რადგან შატილელებს თოფები ბევრს ჰქონდა. აქა-იქ ნატყვიარი შატილელებიც იწვნენ.

გამშველებლები და დაჭრილების მიმხედავები ნაშუღლარში მწყემსი ჩეჩნები და ქალებიღა აღმოჩნდნენ. მათ შორის იყო გიორწმიდელი 18 წლის ლელაც. ლელა ერთ კარგ შატილელ ვაჟკაცზე ყოფილა დანიშნული, თუმცა კარგად არც კი იცნობდა მას.

ლელა მანდილით ეზიდებოდა წყალს და დაჭრილებს ასმევდა. ტყვიით დაჭრილებს შორის ლელამ თავისი დანიშნული იცნო. იმედა მძიმედ იყო დაჭრილი მკერდში. მან ნატყვიარზე მიუთითა და სთხოვა ლელას: „ზედ დამასხი წყალიო". მეორედ მისულს იმედა სულამამდინარი დახვდა. ლელას თვალები აღარ მოაშორა და ღიმილი შეეყინა ბაგეებზე.

ბევრი კარგი ვაუკაცი თხოულობდა შემდეგ წლებში ლელას, მაგრამ ის აღარავის გაჰყვა ცოლად, შინაბერად დაბერდა მამისახლში.

მეზობელმა სოფლელებმა ერთიმეორის ჩეხვით რომ გული იჯერეს (ბევრი დაეცა და თითქმის ყველა სისხლში ამოისვარა), ხელჩართული შუღლი შეჩერდა. ყველა მოკლულებს და მძიმედ დაჭრილებს მიუბრუნდა. გიორნმიდელებმა (გუროელებმა) ნაშუღლარიდან რამდენიმე მკვდარი და ათეულობით დაჭრილი წამოასვენეს. შატილელებიდან დახოცილები ცოტა იყო, მაგრამ ხმალ-ხანჯლით დაჩეხილი ძალიან ბევრი.

გუროელებმა თავისი დაჭრილ-დახოცილები თავის საზღვარზე, ალერდაში როცა გადაიყვანეს, ერთხელ კიდევ შეამონმეს: ვის რა სიმძიმის ჭრილობები ჰქონდა მიყენებული.

ტყვიით იყო დაჭრილი მაშინ ახალგაზრდა ბაბუაჩემიც (დედის მამა) უთურგა (სიგირგალი). უთურგა პაპა სტუმართმოყვარე, მხიარული, მოქეიფე (მსმელი) კაცი ყოფილა. მას შატილელების ნასროლი ტყვია მუცელზე „ქერქ-ქერქ", კანის შიგნით ჰქონია გავლილი. ეს შეუნიშნავს ჭრილობების სპეციალისტ პაპის მეგობარს და ასე უთქვამს: „მამაძაღლისას, ტყვიას ცოტა კიდევ შიგნით რომ დაეღირმა, ქვე რა ლუდ-არაყ გამაიღვრებოდაო (დაიქცეოდაო)". დახოცილების გვერდით რომ ასეთ ხუმრობას დაიწყებს – აბა ლხინის დროს მის იუმორს ხომ საზღვარი არ ექნებოდა?!

ბევრი კარგი მოყმე შეეწირა ამ საქმეს. ათეულობით წლები დასჭირდა მორჯულე სხვადასხვა თემის ჯგუფებს, როგორმე შეერიგებინა მტრები ერთიმეორესთან. ამას ართულებდა დახო-

ცილთა სიმრავლე. თანაც უმეტესობა ერთიმეორის ახლო ნათესავი იყო. გაუთავებელმა სისხლ-მესისხლეობამ 21-ე საუკუნემდე მოაღწია.

აღნიშნულ პერიოდში ჩვენი სასიქადულო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აკაკი შანიძე ხევსურული პოეზიის ნიმუშებს აგროვებდა. „ნაშუღლარის" ტრაგედია ბევრ ლექსშია გაჟღერებული. ამ შეტაკების შესახებ ვ. წერეთელი წერდა „ცნობის ფურცელში" (2774 18. 3. 1905): „დიდი ხანი არ არის, რაც შატილელებსა და გუროელებს ჰქონდათ ერთმანეთთან საშინელი ხელჩართული ბრძოლა, რომელმაც იმსხვერპლა ბევრი დაჭრილი და მოკლული. რადგან გუროელებს მეტი მოუკლეს, ამათ შატილელები მტრებად აღიარეს, უნდათ სისხლი დაიბრუნონ მათგან. ამიტომ შატილელებს შიშით გუროს ახლო არ შეუძლიათ გაიარონ. შატილში კაცი ვერ ვიშოვე, ხახმატში გამყოლოდა, – ერიდებოდნენ გუროელებთან შეხვედრას. გულსაკლავი რამ არის მათი საქმე: ბიძა დისწულს დასდევს მოსაკლავად, პაპა შვილიშვილს, სიძე ცოლისძმას, რადგან ერთი სოფელი ემტერება მეორეს, ნათესაობის განურჩევლად და განუკითხავად". (ა. შანიძე. ქართული ხალხური პოეზია, ტფილისი, 1931, გვ. 615).

გუროელ-შატილელთა ეს შუღლი შემდეგ ერთგვარი წელთაღრიცხვის შემოღებად იქცა. ახლაც მოხუცები ასე იტყვიან: „შუღლის (1901) წელს, ესა და ეს (ქალი, კაცი) ამდენი და ამდენი წლისა ყოფილაო; შუღლის წლის შემდეგ ამა და ამ წელს დავიბადეო".

როგორც საქართველოს უმეტეს სოფელს, შატილსაც საუკუნეების მანძილზე მრავალი უბედურება და გაჭირვება უნახავს. მაგრამ არ გატეხილა, იმედი არ დაუკარგავს და ჩვენამდე ამიტომაც მოაღწია წინაპართა ნაოფლარმა და ნასისხლარმა. 1960-იან წლებში შატილში რამდენიმე ოჯახიღა სახლობდა. მათ შორის სამგორის ველებიდან (გადასახლებიდან) დაბრუნებული გიგიათ ბასილი. ბარიდან მოსულმა სტუმრებმა შატილის ქავ-ციხეებს დაუწყეს ქება. ბასილმა ცერად გახედა მამა-პაპათა ნასახლარებს

და დანანებით წარმოსთქვა: „ამ ტიალ ქვა-ყორეთა და ნასახლარებს შატილივნები იცავდნენ, თორემ ცალია (დაცლილი) შატილი რაღა სანახავიაო“.

ყველა ჩვენგანს გვეამაყება ჩვენი სამშობლო, ჩვენი ქალაქი თუ სოფელი. ჩვენი უნიკალური კუთხეები, ციხე-კოშკები, საქართველოს უბადლო ბუნება და მინა-წყალი „გვაქვს უთვალავი ფერითა“. მრავალჭირნახული ქართველები მაინც ლხინობდნენ, მაინც მღეროდნენ: „დღეს ღამე უთენებია, რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებიაო“. შატილშიც ასე ხდებოდა. გავიხსენებთ 1920-იან წლებში შატილში მომხდარ ერთ ავადმოსაგონარ, მაგრამ ხევსურეთისთვის მანამდე გაუგონარ ამბავს.

მეზობელ ქისტებთან მტერ-მოყვარეობა და მისვლა-მოსვლა ჩვეულებრივი ამბავი იყო შატილელებისათვის. შატილიდან 7 კილომეტრზე დაშორებულ სოფ. ჯარეგოში ყვავილის ეპიდემია მძვინვარებდა. იქ მყოფ ერთ შატილელს გადაედო ეს ავადმყოფობა (მას ბედნიერს ეძახდნენ ადგილობრივები) და შატილშიც გავრცელდა. არც ექიმი, არც აცრა და ხალხი ხვთის ანაბარა დარჩა. განსაკუთრებით ბავშვები იმსხვერპლა ბევრი. 1924-1925 წლის ზამთარში ყვავილმა შატილში 53 ადამიანი მოკლა. ეს იყო სოფლის მცხოვრებთა მეოთხედი. ამაზე მიუთითებს ეთნოგრაფი ვ.ა. გურკო-კრიაჟინი (Хевсуры, 1928 г.).

მძიმე ზამთარი იდგა, წასასვლელი არსად იყო. როგორც ადრე ანატორელები, ერთპირად შეიკრა სოფელი შატილიც. არავინ არსად არ უნდა გასულიყო, რომ მეზობელ სოფლებში არ გავრცელებულიყო მსახვრალი სენი. დღე არ გავიდოდა, რამდენიმე არ გარდაცვლილიყო. მესაფლავენი ერთი ცხედრის დაკრძალვის შემდეგ კითხულობდნენ: მეორე საფლავის გათხრა დავიწყოთ, თუ წამოსასვენებლად ჩამოვიდეთო. შატილის სასაფლაო სოფლის თავში არის, „ვაკისგორი“ ჰქვიან. წყევლა იცოდნენ გაბრაზებულმა დიაცებმა: „წაგიღეს ვაკისგორო“.

რამდენიმე თვეს გაგრძელდა ავადმყოფობა. სოფელში ჭირისუფლები მომრავლდნენ. შენყდა გართობა და ლხინი. შატილში და

მთელს ხევსურეთში გლოვა თითქმის ერთ წელიწადს გრძელდებოდა. ლხინი ჭირის პატრონს, გარდაცვლილის ოჯახის წევრს, უმთავრესად უფროს მამაკაცს, უნდა გაეტეხა (გაეხსნა). ის ან ფანდურს დაუკრავდა, ან სიმღერით მიმართავდა თანამესუფრეს. ეს სიმღერა-ლექსები უმეტესად სიკვდილთან ან საგმირო საქმეებთან იყო დაკავშირებული. ასეთივე შინაარსის სიმღერებით პასუხობდნენ თანამეინახენი „ჭირის პატრონს": „მეწყალი, ჭირის პატრონო, ჭირის გონობა ძნელია, ჭირსა გონობა რად უნდა, თუ კაცი გონიერია, – ჭირი ადგება, სხვაგან წავ, სოფელი ღონიერია".

უმეტეს ოჯახებში ჭირი ტრიალებდა და თითქმის მთელი სოფელი ჭირის პატრონად იქცა. ამიტომაც ლხინსაც ვეღარავინ ხსნიდა. უფროსები ტრადიციული სიდინჯითა და სიჯიუტით ადვილად იტანდნენ ასეთ მდგომარეობას. ახლაგაზრდობა უფროსების ხათრით ვერ ბედავდა რაიმე სასიხარულო ქმედებას. თუმცა უმცროსებს სიჩუმე გაუძნელდათ, სიკვდილი გაადვილდა და გაუფერულდა, ფასი დაკარგა.

ზამთარში თითქმის ყველა ოჯახი საბოსლოებში კვებავდა პირუტყვს. ეს საზამთრო ბინები: აცეხი, ფიჭვნი და მუცოსჭალა 3-6 კილომეტრზე იყო შატილიდან დაშორებული. ავადმყოფები ძირითადად, ცენტრალურ სოფელში იყვნენ თავმოყრილნი. გარდაცვლილებს თუ მომაკვდავებს მიხედვა უნდოდა, თავისასაც და სხვისასაც. სხვისა შატილში არც არსებობდა: ღამისთევა, მიცვალებულის გაპატიოსნება, დაკრძალვა, ხარჯები და სხვ. ყველას ვალდებულება იყო.

იმ დროს როცა იხსენებდა, მამა ამბობდა: „ვცდილობდი, სწორებს არაფერში ჩამოვრჩენოდი, არც წასასვლელ-წამოსასვლელში, არც გასაკეთებელში, მაგრამ უძილობა გამიჭირდა ყველაზე მეტადო. უმეტესად ცხენზე ნაჯდომი ვიხდიდი ძილსო".

ადრინდელ ხევსურეთში თავზე (დაკრძალვაზე) ხორცი არ იცოდნენ. ძირითადად ხავიწით (ერბოში მოხარშული ფქვილით) და პურ-სატნით (პურ-ყველით) აღინიშნებოდა. ხორცს არაჭირისპატრონიც იშვიათად, ღამით თუ მიირთმევდა.

ზემოთნახსენებ საზამთრო სოფელ მუცოსჭალაში ახლობელი ახლაგაზრდა „სახლისკაცები", ბიძაშვილები: თათარი, ლეკო და ნანაისძე (საკუთარი სახელებია) საქონელს უვლიდნენ. ამ დროს ქალებიც შატილში იყვნენ დასაქმებულები.

ზემოთნახსენები ვაჟკაცები შუალამეში ადგებოდნენ, პირუტყვს მოუვლიდნენ (თივას დაუდებდნენ, ხბო-ბატკნებს მოანოვებდნენ, მოსანველს მონველავდნენ და ყაურმას მიირთმევდნენ) და ურთიერთმჯობნი ბედაურებით „გათენებისად" შატილში მოვიდოდნენ. გადიოდა კვირეები, თვეები; ოდნავ მინელდა სიკვდილიანობა. ერთ დილას თათარი ეკითხება ბიძაშვილებს:

„კარგადა დამიაზრეთა (დამაკვირდით), ამდენი პოხილიანი (ცხიმიანი) ყაურმის ჭამით არ გავსუქდი?"

„გასუქდ, შენმა მზემ, კაცისა საქონივით ბალნის (ბენვის) გაყრა ქვე არ გამიგონავ", – პასუხობს შინში (ბიძაშვილი) ნანაისძე.

სამივე ბიძაშვილი ერთ ვიწრო უბანში – „თიაყათ კარ" ცხოვრობდა. აქ სულ ხუთი ოჯახი იყო. სამი ოთხსართულიანი ქვითკირი ერთიმეორეს მიჯრით ებჯინებოდა. ხმამაღლა საუბარი ერთი ოჯახიდან სხვა ოჯახებში ისმოდა. ერთ ოჯახში მოსული სტუმარი ყველა ოჯახის სტუმარი იყო.

აწ გარდაცვლილი თიაყათ ქალის შვილი (მამიდაშვილი), არდოტელი ზვიადაური ხვთისო (ჯღერეთ ხთისო) ბავშვობაში გაწვალებული ჰყავდათ დედისძმებს და მათ შვილებს. სუფრიდან ადრე დგებოდნენ და აშიმშილებდნენ დისშვილს. „ღმერთო, მიე ბარაქა ე ოჯახს, კარგად უმყოფე სტუმარიც", – იტყოდნენ, თავს ანებებდნენ ჭამას და აიძულებდნენ, მასაც დაეტოვებინა საჭმელი. წვრთნიდნენ, ემასხრებოდნენ, უყვარდათ პატარა ხვთისო. რა თქმა უნდა, რომ ნამოიზარდა (კარგი ვაჟკაცი დადგა), ხვდებოდა ყველაფერს და სიყვარულითვე უბრუნებდა „ავს" თუ კარგს დედულებს.

„აიმათ (დედულების) ცოდო მქონდას (წასულების), თუ ტყუილ გითხრ, 14-15 წლამდე კიდევ ვერ ვიცოდი, ვის ოჯახში

ვათენ-ვალამებდი, ისეთი ერთიანობა ჰქონდათ", – მეუბნებოდა ძია ხვთისო. მოხუცობაში გომბორში მეტყევედ მუშაობდა, ყველას უყვარდა სიმამაცითა და სიპურადით ცნობილი ჯღერეს შვილი. თითქმის მთელი სიცოცხლე მშობლიური სოფლის, არდოტის გარეთ გაატარა. სოფლელების თავი ემართა და რამდენჯერმე გადაურჩა სულ ახლოდან ნასროლ ტყვიას.

საზამთროებიდან ჩამოსულებს კვლავ ახალი გარდაცვლილი ხვდებოდათ. ასე იყო იმ დილითაც. ლეკოს სიყმის პირველი შვილი, აბა ჰყავდა გარდაცვლილი წინა კვირას და მისი ხარჯი უნდა გადაეხადა. არაყი გამოხადა და მზადება დაიწყო ახალგაზრდა ოჯახმა. ნანაისძემ და ლეკომ ამ არყის ჭაშნიკი გასინჯეს. ხარისხი კარგი მოეჩვენა და სამ ყანწამდე დალოცეს ერთმანეთი. გაჭრა იფქლის ნაწურმა. ლეკო ეუბნება ნანაისძეს:

„ცოტა ხმადაბლა რომ ნაგვემშაურა (წაგვემღერა), რა იქნებოდა?!"

ნანაისძე ღიღინით პასუხობს:

„მე და კუდურათ გაგამა დღე დავალამეთ მზიანი"

ლეკო: „ჩამაჯე, კუდურაშვილო, ჯვარის კარია გვიანი".

შემოდის თვალებდატყვრეცილი (თვალებაბრიალებული) თათარი:

„რას სჩადით, ქვე დაიჭელთენითა (დაგიჟდით)"?!

ფეხზე ადგომით ეგებებიან და მისივე პაპის სახელით მიმართავენ: „მაგვიხვედ მშვიდობით, ბათაკავ"! ჯერ ლეკო აცლევინებს ყანწს, შემდეგ ნანაისძე.

– „შაუნდნას შამამბრუნავთ", – ამბობს ლეკო.

– „შაუნდნას ჩვენს დაკლებულთ", – პასუხობს თათარი და მეორე ყანწის დაცლის შემდეგ ჯდება ტაბლასთან.

„კაცო, უფროსებიც ქვე გაიგონებდეს, ნეტა რას იტყვიან?" – ამბობს თათარი.

– „აჭე (ადი) კიბეზე, იყურ, რას ამბობენ", – ეუბნება ლეკო ნანაისძეს, თათარის კი მესამე ყანწს აწვდის: „განა, რო ვიმღერ, ლაღი ვარ, გულის დარდებსა ვიმქავრი, ვინც ჩემზე იტყვის, ლაღია, ჩემსავით ლაღიმც ის არი".

თენდება. მესამე სართულზე „ზეთასთვალ“ წვანან ნანაისძის მამა თოთია, ცნობილი მერჯულე, მთასიქით-მთასაქათ კაცშუაკაცში ხშირად ნაყარი, შატილის ყოფილი მამასახლისი. იმავე სართულზე, წნელის ლობით გადატიხრულ მეორე მხარეს წევს ნიათ მიხა, ლეკოს უფროსი ძმა, რჯულიან-ურჯულოში ცნობილი კაცთკითხული შატილიონი. თოთია უფროსია, მიხა ბევრად უმცროსი. ერთიმეორის დიდი ხათრი და პატივისცემა აქვთ. მიპარვით მისული მოყურადე ნანაისძე ისმენს:

თოთია: „არ გიკვირსა, მიხავ, ტანგვამჩია ველარ ვეტევ, სოფელჩი გამასავალსაც გვილევენ ე ძაღლებ“.

მიხა: „არა უ, თოთიავ, ყმაწვილები, ჩვენა გვაქვ ჭირ, სხვან რაად გაგვიცინებენა' გაგვიკვირებენ“.

ეს დიალოგი სიტყვა-სიტყვით მოუტანა ნანაისძემ მოქეიფეებს. მიხა მხარს უჭერს, დიდი დანაშაული არაა ჩადენილი.

ლეკო: „აჯე, თათარივ, ჯერ ჩემ ძმა ჩამააჯდინ, მე თოთიას ჩამავაჯდენ“.

მიხას ფეხის ხმა მოახლოვდა. სამივენი ფეხზე ამდგრები ესალმებიან „ტრადიციულად“ პაპის სახელის მიმართვით, ყანწებით ხელში: „მაგვიხვე მშვიდობით, ნიავ. გადმაჯე საუფროსოსკე“.

– „დამხვდით მშვიდობით! აჯე, ლეკო, თოთია ააყენ“. ლეკო სწრაფად ადის კიბეზე: „დილა მშვიდობისა, ბიძავ! მიხამ წამამლალ, თოთია ჩამაჯდასავ“.

– „მავალ, მავალ, მამდიოდ, ძაღლებო, ნათელისძეთ გიგიაისა მაინც არ გეხათრებათა, გუშინწინ დაღმარხ დიაცი“.

– „შენ გვეხათრებოდ ყველაზე მეტად, ჩუმგვარად წავიღილინათავ, იმაად ვიყვენითა, წაგვიხმამაღლდ რაჭლადამ (როგორღაც)“.

– „ჰო, ამირანივ, გულჩი მღეროდავ, ყმანო ბან მამაყოლეთავ, გეწადათა' იმღერეთ“. ამ საუბრით თოთია საკაცოს თავისკენ მიიწევს.

„მაგვიხვედ მშვიდობით, განავ“! – მიმართავს მიხა მორიდებულად და თავის ყანწს აწვდის.

„მშვიდობით დამხვდითა, კარგად, დამაცალეთა, უჟამო-ჟამთ მელხინენო, შასანდობარ მაი მათქმიეთ“.

„შამავჭე წყალათ გორზედა, შავხყუვლე, როგორც მგელიო, ზოგებს ეგონა ვიმღერდი, ჩამამდიოდა ცრემლიო“, – უკვე ხმამაღლა მღერის თოთიას წინ მუხლზე დაჩოქილი მიხა.

„ღმერთმა შაუნდნას არდოტელ ჯარიათ გიგიას, სუმელჯითას, ამაგის მათქვამს, – ამბობს თოთია, – შვილ ხყვანივ კა ვაშკაც. დაჭარებულ მამკვდარ. რო დაუმარხავ, წვიმა მასულ. გიგიას ნაბადნ ჩაუტანიან დანიუხეს (სასაფლაოს სახელია), შვილის საფლავისად გადაუფარებიან, წყალ არ ჩაუვიდასავ. ეს სიმღერეიც იმის ნათქვამი. შვილის სიკვდილიდგესავ, ერთის კვირაის მემრ მღერობდისავ, თქვიან არდოტელთ, სოფელსაც ამღერებდისავ, ანაბრი დარდს იკლავდის“.

„შაუნდნას გიგიას“, – ამბობს თოთია და ნახევრად დაცლილ ყანწს მასვე აწვდის. მიხა მეორედ ავსებს ყანწს, კვლავ უბრუნებს თოთიას.

„ჰოდა, ის თუ ერთი კვირაიდგე მღერობდ, ჩვენ ორი თვიდგე ვიმღერეთ, არა უნდ“, – წყნარად ჩაილაპარაკა თავისთვის ნანაისძემ.

„შენ დედაი გიგიაის დედა ერთფერად ნამზველნ არ არიან, ის დაბერებულ კაც იყვ, შენ უცოდინარ, ყმაწვილ ხარ!“ – ტუქსავს შვილს თოთია.

„ანატორის ჯვარის წყალობამ (დაფიცვაა), მე კი ნანაისძის დედულთაზე, კინწათაზე ჯიშ-ჯილაგიან არავინ გამიგონავ“, – პასუხობს მიხა.

„მე კი შენ დედულთავით, ბაჩაყაურთავით ჯიშმადგმულობიან არავინ ვიც პირიქით-პირაქათ“, – ამბობს თოთია. „შაუნდნას ე შენ მაწვდილ ყანწ, ლეკო, ბაჩაყაურთ აპარეკას, შენ მესახელეს, ძმათ ქერხოსანათ რო გაუყოლებავ ბოსოხ (სოფელია ჩეჩნეთში) შურის საძებრად.

წყალს გაჭეითი ქისტ რო მაუკლავ ძმათ, სხვებ ქისტებ ტიტვლებ გამაყრილანა, მირგვალთ მახვევიან. ერთ ძმა იდუა რო

სასიკვდილოდ დაჭრილ ძმას, ხოლიგას, საყუჩად (საფრად) დაუდვავ, აისრ უბრძოლავ.

„ანდრეზად არ მადიოდა, საყუჩად დება ძმისაო,
ხოლიგაისა ყელჭრელი სულნუხად გამადისაო,
„იდუასადამც იქნები" ცოცხალი, ყურთ მიზდისაო".

ბევრ ქისტ მოუკლავ მაშინ ძმათ. ხოლიგაიც მაუკლავ მემრ. ქისტებს საქონივით აუკაფიან ი ძმანი, წყალჩი ჩაუყრიან.

სანამ ცოცხალ იყვ, ხოლიგას აპარეკა შინ ნამაულალავ. შენ მაი წეედივ, ჩვენის გულისად ნუ მახკვდებივ, ამბავ მიუტანიდივ გუროსავ, რაჭლად ვიომეთავ, უამბიდივ.

ააქ მასულს აპარეკას გასვლიან გზაჩი შატილივნებ: „რა ხქენითავ, ი ძმან სად არიანავ?"

„მამაწირვნიესავ (დამატოვებინესო), თქვეევ აპარეკამავ ერთ სიტყვადავ, თხილივით ცრემლებ დააფრინდოლაო, შეეფარავ თავშალმავ". თოთიას თავადაც ცრემლები მოერია და თქვა: „აიმ კა ვაჟს შაუნდნას". ყანწი ლეკოს მიაწოდა და მიხას შემღერნა:

„გაყინა მთვარის ახალი, ველარ გავიდა ჭარია,
ახლებმა გუროელებმა ბოსოხ იძიეს ვალია"...

ლეკომ დაიჩოქა ცალმუხლზე თოთიას წინ, ყანწი მიაწოდა და შემღერნა:

„შინ წეედ, აპარეკაო, წასვლა წესია მთლისაო,
დედას უამბე ამბავი, ჩვენი-დ' ბოსოხელთ ცდისაო,
ბებერი ჩვენი დედაი შუშპარს გალმართებს, ლხინსაო".

„შაუნდნას ძმათ იდუა-ხოლიგათ, ბიძავ, ეეს ყანწ".

„ღმერთმა შაუნდნას, კეებს ვაჟებს, ქოო ტყუილად დაჭოცილან ი ძმან, წინავავ უძებნავ თავის მამა, მემრ ნელა (გვიან) შუღლჩი თავის სოფლელს, ავ კაცს ვისამ შაუყვედრებავ: „მამა ვერ გიძებნავთავ, თქვენავ კაცებ ხართაევ?" ძმან კიდევ მეორედ წასულანა, აპარეკაი გაუყოლებავის".

ხევსურეთში, და რა თქმა უნდა გურო-შატილშიც, სახელის ჩამდენი ვაჟკაცი არ იკარგებოდა, დიდხანს ახსოვდათ. მათთვის მიძღვნილი ლექსები და ჭმით ნატირლებიც ხალხში რჩებოდა. ეს ტრაგიკულად დახოცილი მამაცი ძმები კვლავ ცოცხლებივით

მოიხსენებიან. მათი და თუ ახლობელი მზექალუა შატილიონ აბულეთს დასტირის და გუროელი იდუა-ხოლიგათაც იხსენებს:

„თვალჭრელო, ჩვენო აბულეთაო,
ნადირობ არ იყავიაეო,
მაღალი წვერი არიშკისიო
აღარცად მაიარიაეო?
ჭანთეთ არ ჩინდა, ტერელოიო,
თოფის Წმა არ მადიოდაეო?
იდუა არცად ომობდაეო,
ხოლიგა არ იცინოდაეო?
ყელჭრელი იდუაის თოფიო,
სულწუხად არ გადიოდაეო?!"

„დაიცადეთა, დამაცალეთა, ახალგაზრდებო, ბებერ კაცს არ უნდა მიუყარათ (დააშუროთ), უგონთ გავალ, ლეკო, გადაიარ, ნათელისძეთ გიგია მამგვარ აქ!" – ამბობს თოთია. ლეკო უხმოდ დგება და გარეთ გადის. სიჩუმე ჩამოწვება.

„– დილა მშვიდობისა, ბიძაე!" – ამბობს ლეკო. „ყოფა ნებისა", პასუხობს გიგია. „თოთია ბიძამ: გიგიამავ ჩქარა გადმაიარასავ", – ხმადაბლა ღირთნავს (მორიდებით ამბობს) ლეკო.

„ჰოო, მამდიოდ, ქვე მეჩქროებაევ, ქვე ვილაᲬებიაევ, ვთქვი, მემრ თოთიას Წმა ვიცან. ა ბეჩავ (ჰაი ბარაქალა), თიაყაებო, დედა ვაცხონ თქვენ, ჭირჩიაც გამასადეგები' საიმედოებ ხართა, – ლხინჩიაც, რას არ გადმავივლი! ერთ საარაყე ღამითავ გამავსწურ, ეემას, ე მეორეს ეეხლა შაუგზ ცეცხლი. შენ დამიდეგი, კა კაცო, კაის მამის შვილო, ნუ გამამითხევიებ, დიდ ცეცხლს ნუ დაუგზებ, სხვა არა უნდ", – აკვალებს ლეკოს გიგია და თან თიაყათ კარისკენ მიდის.

„აბა აშენდით, ვაᲣებს გაუმარᲯვას"! – ამბობს გიგია და არაყიან ხელადას ტაბლაზე დგამს.

„ეეგრ უნდ, არა უნდა, თოთიავ, შენ ნუ იუᲬერᲬულებ, ჩემისაი' თქვენის შინაის ჭირ ერთი, მთელ შატილის ჭირ ყველაისაი".

„მაგვიხვედ მშვიდობით, გიგიავ, ჩატყდი მიწაო, ჩამიტიევ, აისთა ვიყავ წინწინ კი, რაითაღ გამავჩინდავ გარეთავ. მემრ მიხამ რო არა იმოდნად გაიკვირ, მია ცოტაად მავსტყდი. გადმაᲬედი,

სათავისკედა დაგვიჯედი“, თან ყანწს აწვდის, მე კი დამათვრეს ე ახალგაზრდებმ, სიმღერის ხასიათზე დამაყენეს“.

„მეწყალი, ჭირის პატრონო, ჭირის გონობა ძნელია, – მღერის თოთია. „ჭირი ადგება, სხვაკან წავ, სოფელი ღონიერია – პასუხობს გიგია. „შაუნდნას შენ მამა ბათაკას“ და სვამს არაყს. თან ნანაისძეს მიმართავს: „აბა კაკაცო, ცოტა დიდგვარა ყანწაი მამიღი, დიდის ჭარისა, ე ჭელადათა დალოცვა უნდ“. ნანაისძე საალედან დიდ ყანწს იღებს, წყალს გამოავლებს და აწვდის გიგიას.

„ცალიაის მიწვდა ქვე ვის წესი, სავსე მიაწვად“, – შენიშნავს თოთია. ნანაისძე უხერხულად იშმუშნება და წითლდება.

გიგია ჭელადას იღებს, არაყს ასხამს და დასძენს:

„ჩემ არაყიცა გავსინჯათა, რა რაჭლის ფხისაი“.

„ღმერთმა შაუნდნას დადგმულ ე ტაბლა (წყალ დადგი ნანაისძე თუნგით), ე ჭელადაებ სასმლიანებ, გაწყობილ სუფრა, წყალ, ჩვენებსა, თქვენებს მკვდრებს, იმათ ჭელთა-ნებასამც ას, ძველთ, ახალთ, დიდს, ცოტას, ქუდიანს, მანდლიანს, ბერს, ახალს, მასულს-მაწეულს, სიკვდილის დღეს დამწყვდეულს! შამამხედავს, შამამბრუნავს, რჯულიანს, ურჯულოს, ნებითამც დაიწევენა, დაიტანებენ, ძალითამც ნუვინ გამეეკიდებ. წელზამთარ წასულ ახალგაზრდებიმც მასპინძლობენ, შაუნდნასა, მააჭმარას, თქვენს სახლებს ბარაქა მისცას!“

„შაუნდნასა' მააჭმარას“! ყველანი ფეხზე ადგომით ლოცავენ ერთიმეორეს. გიგია ნახევრად ცლის ყანწს და თოთიას უვსებს.

„ეეს წინწარაქრისაი, მაგრემ არა იმოდნად მარჭე ეტყობ“.

„სიკვდილო, სიცოცხლისადა თავს კი არ მაგცემ მუდამა,
წავალ და ტყეჩი დავწვები, ფათვლებ მეყოფის სუდრადა,
არწივებ ჩამამყივლებენ, ყორნებ ჩამავლენ მუდამა“.

მღერის ხმამაღლა გიგია, ისე რომ მთელი შატილი გაიგონებს. თან თოთიას ყანწს აწვდის: „დიდებს, ბებრებს დიდებ ყანწებ გვინდ, ბებრების ჭარებისა, ცოტაებს ცოტცოტაებ ყანწებიც ეყვ, თოთიავ“.

ახალგაზრდები გასუსულები შესცქერიან გიგია-თოთიათ. გიგიას ხმამაღლა ნამღერმა დაზაფრა ისინი. ახლა უფრო ნათლად

წარმოუდგათ სოფლის ჭირი. ვინ იცის, გასულ ღამეს კიდევ ვინ მოკვდა. თიაყათ კარიდან სიმღერის გაგონება რა გუნებაზე დააყენებს პატრონს.

„აი, ღმერთმა გადღეგრძელას, კლოოდ კაის გულით გამღერას, გიგიავ. მადლიც იქნ, შატილიც აღარ იქნებ უჩქუმარ. ჩუმად ავლა-ჩავლამ ფეხონ სიარულიც შამაძულ. შაუნდნას ე ქორაის სავსე ყანწ შენ დიაცს, განძას. კა დიაცობა ქნა, კეებ შვილებ მაზარდ, ნათელჩიამც ას იმ საიქიოს“.

„ჰაი, გილაკაურნო, კოკო-თიაყაებო, შაიყარენითა ერთად მარტუაებ, ბაბოსავ თვალთ აღარ უჩინსავ, ვერ გადმაივლისავ ანაბრ იფიქრეთ. იმას კი აღარ ღგონობთ, ყურთ მიზდისავ (ესმისო) ჯალაბაურთ მენაკუდესავ (ნაბოლარას)“. ამ სიტყვებით შემოდის ვაჟიათ ბაბო. გვერდით ლეკო მოჰყვება, ერთ ხელში ბაბოს მხარი უჭირავს, მეორეში ბაბოს შავი, არაყიანი ხელადა.

„მაგვიხვედ მშვიდობით, ბაბო! მშვიდობით შენ მასვლა!“ ყველანი ფეხზე ამდგრები ეგებებიან. „მშვიდობით დამხვდითა' კარგად! გიგიაის ჴმა შამამწვდ, რომენ ხარივ, გამავსძახნ. საარაყის სულ შამამებნივ. „მე ვარივ!“ ლეკო ამჩქამდ. „გიგია სადაევ?“ ვუძახ. „ჩვენ კარ არისავ, ნელანავ გადაიარავ“, – მითხრ. აბა მიაც აიქ მიმიყვანევ თოთია-გიგიათანავ, ორთავ გადმავიარეთ. მადლიც იქნ, ზამთარ გადის, გიგიაის ჴმა აღარ გამიგონავ, ღმერთმა ჭირ ცოტა მაგცასთ, მალე ლხინ-ქორწილებჩი გამღერნასთ“.

„ბერო, ბერობას ნუ შჩივი, მაკლებას თვალებისასა,
ეცადე ჭკვა-გონებასა, რიგებას თემ-სოფლისასა,
ერთფერად გაუჯავრდიდი თავისასა და სხვისასა“! –

შემღერის ბაბოს თოთია და თან არაყიან ყანწს აწვდის.

„ღმერთმა შაუნდნას ჩემ ყანწ საყურიკათ მოკლიას. სასიკვდილოდ ნატყვიარ რო მაუყვანავ შინ, თამარ მაუკითხავ ჩიათა. თამარ მოკლიაის სწორფერ, კა მატირალ ყოფილ. მოკლიას უთქმავ: „ვიცივ, მალე მავკვდებივ, ისიც ვიცივ, კარგად მიტირებავ. მე ველარ გავიგონებავ, ეეხლადავ მიტირევ“.

„– რას ამბობავ, ცოცხლისად ტირილ ვის გაუგონავავ?“ – უთქმავ თამარს.

„– ჩემ ცოდო გქონდასავ, თუ ეეხლადავ არ მიტირავ, შენ ჴმა არ გამაგონავ“, – შახვენნი მოკლია. მოკლია დაბლის ტანისა ყოფილ, გულ მამაც სდებივ, აიმით ხქვივნებივ მოკლია.

უტირავ თამარსაც, რალა მეტ გზა ხქონდა.

„საყურიკათით მადის გმინიო,
წუხად ხყავ კმარუაის შვილიო,
ურჩო უჭირსა ნატყვიარიო,
მოკლიას ამაუდის სულიო...
მდევართ წინ რად მიღმეტდებოდიო!
„დედისერთა ვარ“, რადარ სთქვიდიო,
მიშველაობით ვინ იძახდაო,
ქალ-ზალიც არ მიუდიოდაო?!
ეეგ მე გიყავ, კუდიანმაო,
გამაგაღვიძე მძინარაიო“.

„– საიქიოიმც დაგიმადლებსავ!“ – უთქმავ მოკლიას და გახყოლიაც.

თამარს გაუგებიებავ მაშინ მოკლიაისად, „ჴმა გატყდავ“, იმაად ჩივის ტირილჩი: „რაად გაგაგებიევ კუდიანმავ“.

შატილში წესად იყო: თავისიანი მამა, ძმა, ქმარი თუ შვილი სხვებს რომ არ ჩამორჩენოდა, ქალები საველო საქმეზე მყოფ მამროანს ახალ დაჩალულ ჯღნებს (ბანდულებს) და თოფ-იარაღს გზაშივე მიაგებებდნენ. დედა შვილის სახელიანად სიკვდილს არჩევდა, ვიდრე სირცხვილიანად, სნორთათვის ჩამორჩენას. ამიტომ ამაყობს ვეფხვთან ნაბრძოლი შვილის სიკვდილს დედა: „ერთ შვილ ხომ მაინც გაგზარდე, ვეფხვებთან მეომარია“!

„ორნ შატილიონნ ახალგაზრდან ერცხვისად დაჯიბრებულნ ყოფილან. მოკლია ბადურიკათა ყოფილ, მეორე თათართ ჯავახა–კოკოთა. ორნივ მქისენი (სწრაფნი) და მამაცნ ყოფილან. „მია-დ' მე გაჭარბებავ მდევარჩიავ“, – დასჯიბრებიან ერცხვას.

ჴმა გატეხილ, ქისტებს პირუტყვ ნაუსხმავ ზულაისკედ. ჯავახა ჴარათით გაქცეულ, საქმეზე ნამყოფ, მოკლია ააქით, შატილით.

ზულაეს, ღუბისთავ მისწევიან ქისტებს, ერთისად თოფ დაუკრავ, მემრ ზედა მისულან, ჴმლითაც უცავ. წინავ ეეგრ სცოდნივ: თუ ჴმალ-ხანჯრითაც არ დაიჭრებოდ, ვერ ითვლებოდ ღირსეულად მაკლულად.

თათართ ჯავახამ თქვისავ: „მოკლიამავ ერთის მაქნევით დამასწვრავ. ჩემ ჩალმ ჩამავალიო იმის აღმ ამამავალ ჴმლებივ ერცხვას შახვდესავ. მიავ მაშიავ მავბრუნდივ, მოკლიამავ, სისხლიან ჴმალივ ბალახთ წამააწმიდაო' ამაშინ დახკრესავ ქისტებმავ თოფივ".

ჯავახას ზურგთ მაუკიდებავ მოკლიაი, წამაუყვანავ. მემრ სხვებ შატილივნებიც მისულანა' დაუყრევიებავ პირუტყვი.

თათართ ჯავახა ნელა (გვიან) მამკვდარ, თავის დღით. ისიც კარგად დაუტირებავ შატილიონთ დიაცს:

„ალე, შე თათართ ჯავახაო,
მე შენი უფრო მამდის გულსაო,
ჴმა რო გაგიტყდა ჴარათესაო,
ზულაის წვერ რო გადიარეო,
გადაიზინკლე (გადაფრინდი) ღუბის თავაო,
ნასახელარი ამაღბრუნდიო;
ვენაცვლე შენთა სათაგვეთაო,
ზედა ნაკრავთა სამკლავეთაო,
გამარიკაის ამკაფავთაო".

თიაყათ კარ გატეხილი ლხინი ერთბაშად მოედო შატილს. სიმღერის ხმა მოვიდა შუასოფელადან, ანატორელთ კარიდან, ქავიდან და ჭალაიდან. თითქოს სიკვდილმა დამარცხება იგრძნო, ამ დღიდან მკვეთრად იკლო სიკვდილიანობამ. შატილივნები საგარეო საქმეებსაც მიუბრუნდნენ.

შატილში წესად არსებობდა პირველ რიგში ქვრივ-ობოლთა, მოხუცთა და გაჭირვებულთა მიხმარება.

უფროსები საფეხვნოში გადაწყვეტდნენ რიგითობას, ვის რაში უჭირდა. ახალგაზრდებს დაავალებდნენ ერთობლივად მიხმარებას. ზამთარი გადიოდა, ზოგს შეშა შემოჰკლებოდა. შეშის დასამზადებლად ჭინიჭალას (გიორწმიდის საზღვართან) ნავიდნენ შეშისმჭრელთა გუნდები.

წყალგაღმა გიორწმიდელები ძნას ლეწავდნენ. უშუალო კონტაქტი აკრძალული იყო. თუმცა გიორწმიდელებმა ყოველ მეორე დღეს იცოდნენ, შატილში ვინ მოკვდა. ერთმანეთს მდინარის გაღმა-გამოღმიდან ესაუბრებოდნენ.

შატილელებმა შეშის დამზადება სიმღერით დაიწყეს. გიორწმიდელები გაოგნებულები გამოსცქეროდნენ, ხომ არ მოგვეჩქროვაო (მოგვეყურაო). მაგრამ მთიბლური გურიელთა კალოებს შემაძრწუნებლად ეფინებოდა. „ალბათ შეიშალნენ, თორემ ამდენი მკვდრის პატრონების სიმღერა სად გაგონილა"–ო, ფიქრობდნენ ისინი.

გიორწმიდელი ბიძურა გოგოჭური მდინარეს გაღმა მხრიდან მოადგა. ხმაზე იცნო ძმობილი თიაყათ თათარი და წყალგამოღმა გამოსძახა: „ეჰეი, ძმობილო! ქვე დაიჭელთენითა, რა გამღერებსთ!?"

„არ დავჭელთულვართ, გონთ ვართ, ანატორის ჯვარის წყალობამ, სიკვდილ დავაშინეთა, აიმით ვმღერობთ. გიამბობ ყველას, ძმობილო!" – გასძახა თათარიმ.

ბიძურა წყალს ეცა და წამში გამოტოპა მდინარე. „რას შჩა (სჩადი), ძმობილო, ახლოს არ მახვიდ, ავად ვარ, გადმაყრილ მაქვ ტანზე"! –ეუბნება თათარი. „აბა, მანახვიე, სად გაქვ გადმაყრილ?" – სთხოვს ძმობილი.

თათარი მკერდს იღეღავს, სადაც ყვავილის მუწუკები მოუჩანს. ბიძურა კიდევ უფრო უშიშვლებს მკერდს და მოულოდნელად ყველა მუწუკს უკოცნის.

„ჩვენ ძმობილებ არ ორთა (ვართა), შენ სატკივარ ჩემ სატკივარიც იყვას".

„გაია, მარი! გადაგედებ, შენებსაცა' მთელ სოფელსაც! მე და შენ საცოდომადლოდ დავჭდებით. შატილივნებ კინაღ გაგვათავენ, ეეგივ თქვენ მაგლამსთ (მოგელით), ან ჩემებს უფროსებს რა ვუთხრ, რას მეტყვიან!'

„ე დუნიაი მოწმე, რო მე ძალით გაკოც, უფროსებიც ხედვენა, უმცროსებიც. თქვენ, შატილივნებ თუ აშინებთ სიკვდილს, ჩვენ

გუროვლებ რაით ნაკლებები ორთ თქვენზე? აბა, მიამბე ძმობილო, რაჭლად დააშინეთ სიკვდილ“.

„ხო მაგდის ვაუების მღერა. ეეგ ზდობნივ სიკვდილის დაშინებას. ტირილი, გვლევა ქვე უხარის ყოფილამ (თურმე). გაზაფხულისად მაგივალ არაყით, ეეხლა ჩემ ჯერი, შარშ ხო შენ მამიკითხ. კარგად იყავ, გვეყვ ერთად ყუდილ, თორე ორთავ გაუშჯელობაჩი ჩაგვეთვლებ. მშვიდობით!“

ამ დროს ზემოთაღწერილი ნაშუღლარის ტრაგედია ამ ორ სოფელს შორის, მართალია, დამთავრებული არ არის, ყველა ანგარიში არ გასნორებულა, მაგრამ უმეტეს ნათესავებს შორის მისვლა-მოსვლა, მოკითხვა დაწყებულია. ოღონდ ყველაფერი ფრთხილად, ყველანაირი წესისა და რიგის მიხედვით მიმდინარეობს. უბრალო შეცდომა და ისევ მტრობა ჩამოვარდება.

როგორც აღვნიშნავდით, სისხლის აღება მკაცრ ყალიბში იყო ჩასმული. პასუხს აგებდა მომკვლელი, მისი ახლო ბიძაშვილობა და არა განურჩევლად გვარის ყველა წევრი, ან ყველა სოფლელი.

ერთ უქმე დღეს გიორწმიდიდან შატილში მოსაკითხით (არაყით) თათურთ გიგიასთან, ლაჭოჩასთან (ცაციასთან) ჩამოვიდა მისი დის ქმარი მიხა და მეორე დის შვილი ბეწია. ღამე გაათენეს ქეიფში, კარგადაც მოილხინეს. მეორე დღეს სტუმრებმა წასვლა გადაწყვიტეს. გიგიამ თავისიანებთან ერთად სოფლიდან გააცილა ნათესავი მომკითხავები. დამშვიდობებისას გუროელებმა წყალგაღმა მათი ბიძაშვილის მომკლავის ახლობელი დაინახეს და „ოო, რაჭელ თოფდასაკრავიავ“, ჩაილაპარაკეს. გიგიამ დაწყნარება დაუწყო სტუმრებს. „კაცი თავის შინ არის, რას ერჩით, თან ჩემ გაგონებით შატილიონზე მაგას როგორ ამბობთო“.

გაუცდა სიტყვა სტუმარ-მასპინძლებს. ლაჭოჩამ დაასწრო, გაიკრა ხელი ხანჯალს და ორივე მომკითხავი სტუმარი დაჭრა.

აი, ასე იცავდნენ უსამართლოდ, უხეშად, თუნდაც სიტყვიერად დაჩაგრულ თანასოფლელს შატილიენები. ერთი მოუზომავი სიტყვის გამო ნათესავები მოულოდნელად მტრად იქცეოდნენ. ამ შემთხვევაში გიგია მართალი იყო. სოფელი და თანასოფლელი

ყველა შატილიონს წმიდათა-წმიდად და ხელშეუხებლად მიაჩნდა. ჭირი და ლხინი ერთიანი იყო და არავის არაფერს აპატიებდნენ. ამიტომაც იყო, მოგვიანებით ნისლაურ ჭინჭარაული შატილიონ ახალგაზრდებს ერთ ლექსში მოუწოდებდა:

„დახკარით, ახალგაზრდანო, ცეცხლი ადინეთ ალისა,
მტერს ერთიც არ შაარჩინათ, ზედმეტი სისხლის ცვარიცა,
რაც შატილ დაარსებულა, მტრისად არ დაუთმავისა!"

ერთ-ერთ შემოდგომას შატილში მოულოდნელად ხიფათი მოხდა. აივანზე გამოსულ 23 წლის ხოლიგათ გიგიას (ეს სახელი მაშინდელ შატილში ძალიან გავრცელებული იყო, 6 გიგია ცხოვრობდა.) ქვაფიქალი აუტრიალდა სანაპიროზე და ერთი სართულის ქვევით ჩავარდნილს ფეხი მოსტეხა. განგრენა დაემართა, უექიმობის გამო გიგია ერთ კვირაში დაიღუპა. გიგიას შატილში კარგი ჴმა-სახელი ჰქონდა და მთელი სოფელი დამგლოვიარდა.

სწორედ ამ დღეებში ზემოხსენებულ თათურთ გიგიას (ლაჴოჩას) საღმერთო (სახვთო) ჰქონდა მომზადებული. ხევსურეთში საღმერთო ერთ-ერთი დიდი ზეიმი იყო ოჯახისა, ბიძაშვილების თუ სოფლისათვის. იგი ლუდით ტარდებოდა, არაყიც იხდებოდა. თან მოწვეულ ნათესაობასაც, მომკითხავებსაც მოჰქონდა სასმელი. მოიპატიჟებდნენ თითქმის ერთი კვირით ადრე ნათესავ-ახლობლებს პირიქით-პირაქათიდან. იმართებოდა ლხინი და ბევრნაირი გართობა: ცეკვა-თამაში, სიმღერა, შაირობა, თოფების მიზანში სროლა, სირბილი, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომა, ქვის სროლა და ა. შ.

სახვთო გიგიას დაღუპვის დღეს – შაბათს უნდა დაწყებულიყო და ორ დღეს გრძელდებოდა. დაკრძალვა ხუთშაბათს, მეხუთე დღეს იყო გადაწყვეტილი. მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. საღმერთოში მოწვეული სტუმრები პირდაპირ თიაყათ კარ მიდიოდნენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებისათვის მისასამძიმრებლად.

საღმერთოს გადადებაც აღარ შეიძლებოდა. ამ უხერხულობის გამოსწორება გიგიას უფროსმა ძმამ თათარიმ და ბიძაშვილმა ლეკომ მოიწადინეს. არაყიანი დოქით ხელში, ხელიხელგადა-

ხვეულებმა სიმღერით მიაკითხეს ლაჭოჩას და მოსულ უამრავ სტუმარს:

„ძმაო, ძმითა ხარ მაგარი, თორე მტერ მაგერეოდა...

ძმას აისეთა ძმა უნდა ბადრის რო უსუპ ჰყოლია,
ბადრი კლდეთ გადავარდნილა, უსუპ თან გადაჰყოლია!..“.

ტირილით გამოეგება ლაჭოჩა მომღერლებს: „რაზე თავს მჭრით, სახლისკაცებო, ჩემ სახნა დასამარხავ გიწევთ შინ, აქ ლხინს ვინ გაგაჭსნევსთ“!

საღმერთო ჩატარდა, არ ჩაიშალა, მაგრამ სალხინო ელფერი ვერ მიიღო. ჭირის პატრონების ეს განუმეორებელი ქცევა მთელს ხევსურეთს მოედო.

ზევით აღვნიშნავდით, რომ ჩეჩნებს და ხევსურებს შორის იყო კარგიც და ცუდი ურთიერთობაც. ურთიერთობა განსაკუთრებით მწვავდებოდა, როცა ნებსით თუ უნებლიედ ადამიანის მკვლელობა ხდებოდა. ორივე მთის კუთხეებში მკაცრად იყო დაცული სისხლის აღება.

მეოცე საუკუნის ოციან წლებში თუშ-ფშავ-ხევსურების ერთი ნაწილი მოსაზღვრე ქისტებს, მითხოს სოფლებს დაესხა თავს პირუტყვის მოსატაცებლად. როგორც ხშირად ხდებოდა, თავდამსხმელები დაზარალდნენ და „ზიდვა მოუნდა მკვდრებისა“. თუშ-ფშაველები უფრო მეტი მოკლეს, რამდენიმე პირაქეთელი ხევსურიც. ადგილობრივები, პირიქითელები, ცოტანი მონაწილეობდნენ და ისინი „დაინდვეს“ მეზობლებმა, იცოდნენ, მკვლელებს იცნობდნენ და არ შეარჩენდნენ.

ხევსური მოკლულებიდან ერთი ბარისახოელი იყო, გვარად ჭინჭარაული – უჭკუათ მამიშვილობის კაცი. უჭკუათავე იყო სახელოვანი ვაჟკაცი, ბარისახოელი გოგოთურის შვილი სულხანაური (სახელია. იხ. ნათელა ბალიაურის „ხევსურული ქრონიკები“).

სულხანაურს უკვე რამდენიმე ურჯულო მოეკლა, აეღო ბიძაშვილის სისხლი, მაგრამ კიდევ უნდოდა სახელის მოხვეჭა. ამიტომ შატილამდე ჩადიოდა. იქ ძმობილიც ჰყავდა და მოგვარე მასპინძლებიც.

ერთ შემოდგომაზე სულხანაური შატილამდე ჩამოვიდა და იქვე ანატორში დაელოდა მტრების გამოჩენას. მას ახლდნენ ერთი ფშაველი და ბიძაშვილი ხთისიკა. ანატორი გზაჯვარედინზეა და ბევრი მგზავრი იყრის თავს. ეს ადგილი განსაკუთრებით კარგად აკონტროლებს ქისტეთიდან მომავალ ბილიკს.

საღამოსთვის ორი მგზავრი გამოჩნდა ამ ბილიკზე რამდენიმე სული ცხვრით. ერთი მათგანი იცნო სულხანაურმა. ეს მისი ძმობილის, აბას მამა, ნათელისძეთ გიგია იყო. მას თან ახლდა ქისტურად ფარჩის (ფართლის) ტანსაცმლით შემოსილი ულამაზესი ვაჟკაცი აბა. სულხანაური დურბინდითაც უმზერდა ძმობილს, მაგრამ საუკლოოდ (საუბედუროდ) მაინც ვერ იცნო. აბას სახლში ტყუპი ქალ-ვაჟი ელოდებოდა და მათთვის ველური ხილის (ჟოლოს, ხურტკმელის, ორყუნწას და ალუდას) მოკრეფა გადაწყვიტა. სწორედ ამ დროს ესროლეს ორასიოდე მეტრიდან საფარში მყოფებმა აბას.

მელექსე „საყვედურობს“ აბას იმის გამო, რომ მას ხევსურულად არ აცვია და ასე აღწერს ამ გულსაკლავ შემთხვევას (სულხანაურს ათქმევინებს):

„არ ვიც, დურბინის ბრალია, არ ვიც, მე რაიმ მჭირსაო,
ტალავარი სცვავ ქისტისა, სერი აქვს ჴევსურისაო,
თოფის ჴმას გაჰყვა კივილი გიგიათ აბაისაო...
დაიჭერს გამოგორვილსა მამაი თავის შვილსაო:
„რაზედ ვინ მაგკლა, აბაო, არცრა გვემართა ვისაო“!

სხვა მელექსეც ამასვე აღნიშნავს:

„ნუ იცვამ, გიგიაშვილო, ბუსურბნის ტალავარსაო“...

სასიკვდილოდ დაჭრილი შვილი მამამ, კლდეებზე დაგორებული, ნატყვიარი დაიჭირა და წყლამდე არ მიუშვა. ხიდზე ზურგზე მოკიდებით გადმოიყვანა გადმოღმა და თვითონ დაუხუჭა თვალები.

ტრაგედიის ადგილზე მისულ შატილიენებს შვილის სისხლით ბეჭებდასვრილმა გიგიამ განუცხადა: ყველა შატილიონი დღესხვალ ჩემი მუშები იქნებით და ვინც მეჴელე (მკვლელი) იქნება, თავს თავში გავსთვლიო. ე.ი. თავი არავის დაედებოდა, მტერი ჭირის პატრონის მოკლულად ჩაითვლებოდა.

სახლში მოსვენებულ აბას მისმა სამი წლის ქალიშვილმა მზე-ქალმა ჯიბეები მოუსინჯა და ორი-სამი მუჭა ჟოლოს, ორყუნწასა და ალუდას მომწიფებული ნაყოფები ამოუღო. დედა იტყოდა ამ მომენტზე: „ამაზე მარჯე (ძნელი) სანახავი არაფერი მახსოვს ჩემი სიცოცხლის მანძილზე, როცა პატარამ მიაგნო მამის მოტანილ ხილსო. ეტყობა, დაჩვეული იყო სხვა დროსაცო. ქალი და კაცი ერთდროულად ქვითინებდაო".

ერთხელ დედას ვკითხე: „მართლა ლამაზი იყო-მეთქი აბა?„ მაშინ დედა 80 წელს გადაცილებული იყო, თბილისში ვცხოვრობდით.

„დიაც ეესრ დავბერდ, რან კაცნ აღარ მინახიან მთასა, ბარს, რჯულიან-ურჯულო, გიგიათ აბასავით სერნაწრის ვაშკაცისად არავისად დამიციან თვალნ".

მეზობელი მითხოელთ ქისტის ქალები მის სანახავად და მასთან საცეკვაოდ ერთი სოფლიდან მეორეში მიდიოდნენ თურმე. მასპინძლები კი მის სტუმრობას ვერ ინაწილებდნენ ერთიმეორეში. სხვათაშორის ხორიელისთვის, მეულლისთვის, აბა მამის მამკლავის შვილი იყო. გიგიას სისხლის აღების ანგარიშზე ხორიელის მამა, ივანე ჰყავდა მოკლული, მაგრამ ანგარიშსწორების შემდეგ ჩვეულებრივად მოხდა დანათესავება. ამაში აბას სილამაზემ გარკვეული როლი ითამაშა. „რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია". თუმცა სიჩქარემ და სახელის მოხვეჭის ჟინმა მოულოდნელი უბედურება დაატრიალა.

ამ ტრაგედიის პერიოდში შატილში თითქმის ყველას ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი და სოფელი ვის რას შეარჩენდა. ასეთი განთქმული ვაჟკაცის სიკვდილი ვერ აპატიეს თავის მოგვარეს, აბას ძმობილს, სულხანაურ ჭინჭარაულს.

იმავე საღამოს შეიკრა მუცო-არდოტის და გურო-კისტნის ხეობები, გზა-ხიდები და ბილიკები. ქისტეთის მიმართულებითაც წავიდა მაცნე.

„შაგიკვრენ, სულხანაურო, მაღლა მთას, დაბლა ბარსაო"...

ყველა გზა-ჯვარედინსა და გადასასვლელს სამი-ოთხი შატილიონი იცავდა. ბოლო მზირი გუდელასძირ იდგა ხიდზე. თუ მკვლელები სხვებს გამოეხვეწებოდნენ სოფელში, სახლში ხომ დაბრუნდებოდნენ ოდესმე? ალუდია და ლეკო იმავე ღამეს მივიდნენ და შეკრეს ხიდი.

ამბავი ასე წარიმართა: იმავე საღამოს ანატორთან ტყეში ჩასაფრებულ ბენიკიათ გიგიას გადაეყარნენ მკვლელები. მან ესროლა თოფი, მაგრამ ბნელოდა და ვერ გაიგო, მოხვდა ვინმეს თუ არა. მერე გაირკვა, რომ ტყვიას სულხანაურის ხანჯლის ტარი დაელეწა. აქ მთავარი ის იყო, რომ მკვლელების მსვლელობის მიმართულება გამოაშკარავდა. მტერი ტყე-ტყე მიიპარებოდა. მეორე დღეს კისტან-ლებაისკარის ტერიტორიაზე უნდა გამოჩენილიყვნენ. კისტანთან, იჯისკარს, ოთხი კარგი მეთოფე შატილიონი ჩასაფრდა: ყარიმანი, გიგია, ბაბურაული და შარუმი. თითო მამიშვილობიდან თითო კაცი იყო: ერთი ბაგრატაულთა, ერთი მანგიათა, ერთი კოკოთი და ერთი ბულოურთა. ისე იყო გათვლილი, რომ მოკვლა მთელ სოფელს ჩაეთვლებოდა.

ერთ ღამეში შატილივნებმა მკვლელების ვინაობაც დაადგინეს. სულხანაურს ახლდა ბიძაშვილი ხთისიკა და ვინმე ფშაველი. ჯერ სამივეს მოკვლა იყო გადაწყვეტილი. მერე გადაწყდა ხთისიკა არ მოეკლათ. ორი ბიძაშვილის თავი არ შეიძლებოდა გაცვლილიყო აბაში. ამას ხევსურული რჯული არ მოიწონებდა, თუმცა თოფის მსროლელი სამივე იყო.

მეორე დღეს კისტნის ჭალას, იჯისკარის მიდამოებში გამოჩნდნენ მკვლელები. ეტყობა, საგძალი გაუთავდათ. თანაც აინტერესებდათ, რა ხდებოდა პირიქითში, აბას მოკვლასთან დაკავშირებით.

სულხანაურმა დაინინაურა, ორნი ტყის ახლოს გაჩერდნენ. შატილივნებს ახლოს მოშვება უნდოდათ სამივესი. სულხანაური ახლოს მოვიდა და სოფელს უახლოვდებოდა. ვინმეს სახლში რომ შეეღწია, მერე მასპინძელი მოკვლის უფლებას აღარ მისცემდა. ოთხივე თოფმა ერთად იჭექა. ოთხივე ტყვია მოხვდა სულხა-

ნაურს. კიდევ უნდოდათ სროლა, მაგრამ ჯოტა ჭინჭარაული გამოვარდა სახლიდან და ხმამაღლა ყვირილით დატუქსა მეჯელეები: „გეყოთ, საკმაოაო“!

დანარჩენ მკველელებს აღარ დაედევნენ, „თავ-თავჩი გაითვალა“.

მესამე დღეს ლეკო და ალუდია უსიამოვნო ამბის მოწმენი გახდნენ: გუდელადან სულხანაურის დამ ქვითინით მოირბინა და არაგვში გადახტა. არაგვმა წამებში დაჰკარგა ლამაზი ქალიშვილი.

ლეკო და ალუდია მიხვდნენ, რომ სულხანაური ცოცხალი აღარ იყო. შემდეგ შერიგების დროს ბარისახოელი ჭინჭარაულები რჯულში ჩიოდნენ, რომ მათი ქალიშვილი დამატებით დაიღუპა და ისინი მეტად დაზარალდნენ. მაგრამ შატილივნები პასუხობდნენ: სულხანაურმა თავისი უჭკუობით მოკლა ალალ-მართალი ძმობილი აბა, თავის თავიც თვითონ დაღუპა და თავისი დაცო, დის სიკვდილში შატილივნებს არავითარი ბრალი არ მიგვიძღვისო. სულხანაურის შვილი იმედა რომ წამოიზარდა, შარობდა შატილივნებს. შატილივნები კი პასუხობდნენ: სამივე მკვლელი რომ მოგვეკლა, მაშინაც არაფერი გვექნებოდა სადაოო. საქმე დამთავრებულია და ნუღარ გავაგრძელებთო.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. აბას ტყუპები დაიზარდნენ. ბიჭი მიხიელი ახალგაზრდა დაიღუპა. ქალიშვილი მზექალი ლამაზი გაიზარდა, გათხოვდა. მის გაზრდას შეალია ახალგაზრდობა აბას ქვრივმა ხორიელმა. სოფელი დიდ პატივს სცემდა მას. მზექალს სამი ვაჟი ჰყავდა: მიხეილი, აპარეკა და ირაკლი. მათ დაზრდაში ისევ ეხმარებოდა მოხუცი დედა.

უფროსი შვილი მიხეილი ამჟამად შატილში ცნობილი ექიმია (ქირურგი). ერთ ხანს, ოთხმოციან წლებში, მიხეილი ბარისახოში მუშაობდა. იმ ხანებში თავისთან ჰყავდა ბებიაც (დედის დედა, სწორედ ის ხორიელი, სულხანაურმა რომ მოუკლა ქმარი).

ბარისახოში (გუდელას) ცხოვრობდა სულხანაურის შვილი იმედა. ხორიელს და იმედას ერთიმეორე არასოდეს ენახა. ხორიელი ქვრივად, ხოლო იმედა უმამოდ გაიზარდა და დაბერდა. ერთ

დღეს მიხეილმა იმედა სახლში მიიყვანა ბებიასთან. დაახლოებით სამოცდახუთი წელი გასულიყო იმ დაუვიწყარი ტრაგედიიდან... მოხუცები: ქმრის მომკლავის შვილი და მამის მოკლულის ცოლი, ერთიმეორეს ინტერესით შეხვდნენ. დიდხანს იბაასეს და ორივე კმაყოფილი დარჩა. იმედა გააკვირვა 80 წელს გადაცილებული ხორიელის სიკეთემ და სიბრძნემ. ხორიელმა კი ასე დაახასიათა იმედა; „რა კა კაც ყოფილ ე შავით გასავალ, რაჭე სულ მამიქცივ, დედო". მიხეილისგან ორივენი მადლობლები იყვნენ. ექიმი სულის მკურნალიც გამოდგა.

შატილი და ქისტების სოფელი ჯარეგო 7კმ-ით იყო ერთმანეთს დაშორებული. საზღვარი ამ ორ სოფელს შორის ალაქოს ხევზე გადიოდა. ეს ხევი კარგი სათიბ-საძოვრებით იყო ცნობილი. ორივე სოფლის მოსახლეობა მის ათვისებას ეშურებოდა, რაც იწვევდა დავას, განსაკუთრებით სათიბების გამო. ერთი ასეთი შეტაკება უფროსებს 30-იან წლებშიც ახსოვდათ.

სათიბად გასულ შატილივნებს ჯარეგივნებმა შარი მოსდეს, ჩვენს სათიბებს თიბავთო და თოფის სროლა აუტეხეს. შატილივნები არ აჰყვნენ, მათ იცოდნენ, რაც ოდითგანვე მათი იყო, იმ სათიბებს ცელავდნენ. მაგრამ როცა გაგათ სამუკას ფეხებშუა დარჭობილ გრდემლს ცელის წკეპის დროს მოხვდა ტყვია, აშკარად გაირკვა – მოსაკლავად ესროდნენ. თუმცა სამუკამ გააგრძელა საქმე და ფეხზეც კი არ წამოდგა. სხვა შატილივნებმა გასცეს პასუხი თოფებითვე და „ჩააწყნარეს" მოწინააღმდეგე. კაცის მოკვლამდე არ მისულა საქმე. სამუკას სიმამაცით გაოცებულმა ქისტებმა საპასუხო ტყვიების ხმა რომ იწვნიეს, შეაჩერეს სროლა. მელექსე შატილივნების სიმამაცეს აქებს და აღნიშნავს:

„თოფს ცეცხლავს ვაჟუნიშვილი, ზატორს გაჰქონდა ჩქამია,
მე ვერ მამაშლევთ თიბვასა, გაგათ სამუკა ვარია!
ამაუჭამეს ხთისოსა კალტ-ერბოიან ჯამია,
ჩამაგეშველათ ტრიხოი, მაგრა გიჭირათ მჯარია..."

ალაქოს ხევს ბევრი მსგავსი ორთაბრძოლები ახსოვს.

1934 წელს ამ ხევში ქისტეთიდან შინ მიმავალ 16 წლის ხახონთ ბეწიკუას შატილიდან მიმავალი ცნობილი ქისტი ... შეხვდა.

მას ორი ხარი მიჰყავდა. ერთი იცნო ბენიკუამ – ანატორელთ გიგუჩის ხარი იყო. ბენიკუა დაეჭვდა, მოპარული არ იყოსო და ჰკითხა: "ვისია და საიდან მოგყავს ხარებიო". ქისტმა გაბრაზებით მიუგო „ჭკვიანად იყავი, ბალღო, თორემ შენც ამ ხარებს თან გაგაყოლებო". ქისტი ვილაც შატილიონს გაებრაზებინა და გზაში შემხვედრი ხარები წამოეყვანა.

„როგორ თუ გამაყოლებო, ჩემი სოფლის ხარებია და ახლავე დატოვეო", – უთხრა ბენიკუამ. ეცნენ ერთიმეორეს, ქისტი დიდი და ძლიერი იყო, ბენიკუა კი პატარა, „ბენიკუა". ბენიკუამ იმარჯვა და თავისი თეთრტარა პატარა ხანჯალი მკერდში გაუყარა. ხანჯლის წვერი ძვალში გაეჩხირა და ბენიკუამ უკან ვეღარ გამოსწვადა. ტკივილებისაგან ქისტმა ღრიალი დაიწყო. ბენიკუამ ხანჯალგაყრილი ქისტი მიატოვა და იქვე ახლოს, საზამთრო სოფელ ფიჭვში (ახლა რუსებმა წაგვართვეს ეს ადგილები) მიიტანა მომხდარი ამბავი. შატილივნები რომ მივიდნენ დაჭრილთან, იქ უკვე ქისტები დახვდნენ. ჩხუბი აღარ გაგრძელებულა, რადგან დაჭრილი თავისიანებს ეევედრებოდა: „თუ მოვკვდი, ბავშვი არ მოჰკლათ, კარგი ვაუკაცი გაიზრდება, ჩემი ბრალი იყო, უხეშად მოვეპყარიო". დაჭრილი ქისტებმა წაიყვანეს, ხარები – შატილივნებმა.

ქისტი მეორე დღეს გარდაიცვალა. ბენიკუას ოჯახი ნათესავებთან გაიხიზნა პირაქეთ ხევსურეთში, სოფ. ხახმატში. უკვე სამი წელი იყო გასული, რაც ხახონი (ბენიკუას მამა, გეჯურა) ჭინჭარაულის ოჯახი ხახმატში ცხოვრობდა. ბენიკუა მართლა კარგი ვაუკაცი დადგა. ერთხელ ბენიკუამ ხახმატელ სწორებთან არაყი დალია და დათვრა. შინ ნასვამი მივიდა გვიან, ღამით. მამამ უსაყვედურა: „სხვა თემ-სოფელში ამანათებად ვართ შემოხიზნულები და ასე არ უნდა დამთვრალიყავიო". ამაყმა ბენიკუამ იუკადრისა მამის შენიშვნა და ტყვია იკრა შუბლში.

დიდი გლოვა – ზარით მოასვენეს ბენიკუა შატილში და ვაკის გორის სასაფლაოზე დაკრძალეს. ცალკე აუშენეს კოშკი, რაკი ოჯახის გამგრძელებელი კაცი არავინ დარჩა.

მაშინდელმა შატილში მყოფმა მღვდელმა იოსებ (ბაჯა) ოჩიაურმა (1938 წლის რეპრესიებმა შეინირა, ახლა უცოდველ მსხვერპლადაა აღიარებული) საფლავის კოშკზე წარწერა გააკეთა (ახლაც ადგილზეა ეს ქვა და წარწერა):

„1934 წლის ივლისის 15-ს უფალო დაუყენე ნათელი ბეწიკუა ხახონისძე ჭინჭარაულს, რომელმაც მოკლა ქისტი ხანჯლით სოფლიდან ხარების მოპარვის დროს. 18-V-37".

სამაგიეროს მისაზღავად ქურდობა არც შატილიენებისთვის იყო უცხო. ზოგჯერ ისეთი ვინმე სჩადიოდა ამას თემ-სოფელში, ვინც უმნიკვლო და პატიოსანი სახელით იყო განთქმული. ასეთებად ერთხანობას ორი ახლაგაზრდა მიიჩნეოდა: მიხათ ბეწინიკა და ბეწიკურთ ბათაკათ ბათაკა. ეს უკანასკნელი ობლად გაიზარდა. სიობლეში გვერდში ახლობლები არავინ დაუდგა, ფარულად თუ აშკარად ქისტები მას და მის ძმას სახლიდან საოჯახო საგნებსაც კი ჰპარავდნენ. რომ წამოიზარდნენ, ისე შეაწუხეს მითხოვლები, რომ დედები ატირებულ ბავშვებს აშინებდნენ: „გაჩუმდი, თორემ ბათაკის ბათაკი მოვა და მოგიტაცებსო". მალევე დაობლდა მიხათ ბეწინიკაც.

ეს დავაუკაცებული ნაობლარები ერთ შემოდგომას ალაქოში თიბავდნენ ერთად. იქვე ცხვარი მორეკა და სათიბესთან ახლოს აძოვებდა ჯარეგიონი, მამაცი გურჯიელგი. დღისით მეზობლებმა ერთიმეორესთან ისაუბრეს. საღამოს ცხვარი (ფარა) ჯარეგოში დაბრუნდა, მთიბავები სათიბში დარჩნენ. გურჯიელგი თავხედობამდე თამამი იყო და ახალგაზრდებს თითქოს ზემოდან უყურებდა. ეს არ მოეწონა ნაობლარ ბიჭებს და ღამე ერთი ყოჩი მოჰპარეს მას. სათიბში დაკლეს და თივაში დამალეს. ღამე თითქმის თეთრად დაათენდათ. დილით ბათაკამ დაიძინა. ბეწინიკამ თითქოს ქვეცნობიერად იგრძნო, რომ ვინმე მოაკითხავდა. ხანჯალი და დანები გულიანად გაწმინდა და სისხლის ყოველგვარი კვალი წაშალა.

ჯარეგა ალაქოდან სამ კილომეტრშია და გურჯიელგი დილით ადრე მოვიდა თავისი ფარით ბიჭებთან. მოსვლისთანავე ხან-

ჯალს დაადგა თვალი, აიღო ხელში, ქარქაშიდან ამოსწვადა, ფხა გაუსინჯა, თან ქება დაუწყო: „კარგი პირი ჰქონია, არ მომყიდითო"? ბეწინიკამ „იყიდა", გურჯიელგი რისი მყიდველიც იყო და სერიოზულად უპასუხა: „ამ შუა თიბვაში ორ კაცს ერთი ხანჯალი გვაქვს და რა დროს ვაჭრობაარ. თუ მახვილი არა გაქვს, ორი ურსა გვაქვს და ერთ-ერთს დაგითმობთო" (ურც-ქისტურად დიდ, ცალპირა ტარიან დანას ჰქვია).

ახლა დანები დასინჯა ყოჩის პატრონმა. ეს უნდოდა ბეწინიკასაც – ეჭვები მთლიანად უნდა გაფანტვოდა გურჯიელგს.

ამასობაში გამოელვიძა ბათაკასაც. მიესალმნენ ერთიმეორეს, ცოტა წაისაუბრეს.

„ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, – თქვა გურჯიელგმა, – ახლომახლო თქვენს მეტი არავინ არის, წუხელ ყოჩი დავკარგე და მომპარავდითო".

ფეხზე წამოხტა ბათაკა: „გურჯიელგ, თქვენ ჯარეგივნებმა, ბავშვობაში კერიდან საკიდელი ჩამომიხადეთ და მე ცხვრის მოპარვას ვიკადრებდი?! თუ წართმევა იყო, მთელ ფარას წაგართმევდი. აქ რომ ჩვენს სათიბებთან მოგყავს, ცხენს და ხარს მოგპარავდით, თუ მოპარვას მოვისურვებდი".

გურჯიელგმა იგრძნო, რომ ზედმეტი მოუვიდა და საუბრის მიმართულება შეცვალა. "მაშ, ყურანის მადლმა, ბეწინიკა მომპარავდა". გადაიხარხარა ბათაკამ: „ანატორის ჯვარის წყალობამ, ბეწინიკამ გამოიყვანა ბაკიდან შენი ყოჩი, ეემ გურჯიელგისა და ეემ ბეწინიკაის მზემ". „ჰო, ბეწინიკა კი მოიპარავდა", ჩაისაუბრა ღიმილით გურჯიელგმა.

სრულ სიმართლეს ფიცულობდა ბათაკა. ეს ზუსტად ასე მოხდა. „ახლა ნადი, თიბვას ნუ გვაცდენ, თორემ შენისთანა წყემსი დანარჩენ ვაც-ვერძებსაც დაჰკარგავს". ასე გაისტუმრეს ყოჩის პატრონი „ალალმა" ბიჭებმა. ყოჩის ყაურმა კი სხვა შატილიონ მთიბლებსაც ერგო. თანაც თანასოფლელებში ნანადირევ ვაცის ხორცად გასაღდა.

ტყვის მოყვანა შატილში

შემოდგომის ერთ მზიან დღეს შინ მოსულ ლეკოს ასეთი სურათი დახვდა: უფროს ძმას – მიხას აივანზე თოფი დაეშალა და წმენდდა, ვაზნები გაეშალა და მზეს უფიცხებდა. ეს უცნაური არ იყო, მაგრამ იშვიათად ხდებოდა. მიხა მონადირე არ იყო. ის რაღაცისთვის საგანგებოდ ემზადებოდა. ლეკო გულიანად ჩაეკითხა: „რაად ამზადებ თოფს და ტყვია-წამალსო?"

„იარაღს მავლა უნდ, სრუ მზად უნდა იყვას", – თქვა თავისთვის მიხამ. აშკარა იყო, უფროსი ძმა რაღაცას უმალავდა და უმცროსი შეეხვეწა: „მითხარი, სად მიდიხარო". ბევრი მუდარის შემდეგ მიხამ აუხსნა: „ძოლან ქეიმეხკელებმა შატილივნებს ცხენ-ჯორები და მათი ბარგები რომ წაართვეს და არ გვიბრუნებენ, ის ვალი უნდა დავიბრუნათ, ნებით, მოლაპარაკებით არ გვაძლევენ, ძალით უნდა წავართვათ. ან ვინ უნდა დავიჭირათ, ან ცხვარ-საქონ გამავლალათ, უნდა ვაიძულათ, ყველაფერი დააბრუნან. ჩვენ თავისას ვითხოვთ, მართლები ვართ ჩვენებურადაც და იმათებურადაც. ამ საქმეში ბევრი არ არის საჭირო, სამი მამიშვილობიდან სამმა გადავწყვიტეთ წასვლა: მე თაიყათით, ბენიკურთ ხთისომ ბადურიკათით და ვაჟუნათ ხთისომ მანგიათამ. ღამით, ჩუმად წავალთ, ან ვალს გავასწორებთ, ან ცოცხლები არ დავბრუნდებით და ქეიმეხკელებს ძვირად დაუსვამთ თავხედობას. აქ ეს არავინ არ უნდა გაიგას".

„მიაც წამიყვანეთ", – შეევედრა ლეკო. „შენ წამასვლა არ შაიძლებ, ერთი მამიშვილობიდან, ისიც ერთი ოჯახიდან, ორის თავგანწირვა არ ივარგებს". „მაშინ ჴმას გაგიტეხთ, ფეხონჩი ვიტყვი, რომ მიდიხართ, ჩაგიშლით მაგ საქმეს!" – დაემუქრა უმცროსი ძმა.

ინანა მიხამ საიდუმლოს განდობა, არ ეგონა, თუ უმცროსი ძმა გაუბედავდა და არ დაემორჩილებოდა. მეტი გზა არ იყო, ამჯერად ოთხნი უნდა წასულიყვნენ.

შუაღამისას, თოფ-იარაღში ჩამჯდარი სათანადო ჩაცმითა და საგზლით ოთხი, სოფელში სანაქებო კაი ყმა შატილიდან გავიდა. იმავე ღამეს უახლოეს მეზობელ სოფელ ჯარეგოს გასცდნენ და მითხოს ჩდილ, დიდ ტყეში დაბანაკდნენ. დღისით უნდა დაესვენათ, ღამით კი ევლოთ. ძეხორციელს არ უნდა შეჰყროდნენ და დალაპარაკებოდნენ. ყველაფერი წინასწარ განზრახული გეგმის მიხედვით მიდიოდა. მიხა იყო უფროსი და გზამკვლევი. ერთიმეორესთან ხმამაღალი საუბარი აუკრძალა ახალგაზრდებს. მხოლოდ დაბალ ხმაზე, ყურში ჩაჩურჩულებით შეეძლოთ ერთიმეორეს გამოსაუბრებოდნენ. პაპიროსის მოწევისას თავი ქუდში უნდა ჩაერგოთ და ისე მოეწიათ. პაპიროსის გაბუუტვასაც კი არ უნდა გამოეჭვრიტა.

მეორე ღამეს მთელი მითხოს ხეობა გაიარეს, ინგუშეთში გადავიდნენ და ქეიმეხკში, შატილივნებისებურად „ქვის ჭორწში", დიდ ტყეში ჩასაფრდნენ. მძარცველების სოფელი უკვე ახლოს იყო.

ცნობილი შატილიონი მელექსე ჭინჭარაული სამუკა (ნიათ სამუკა), მხატვრულად და დაწვრილებით აღწერს ამ მგზავრობას (ამბავს). დამსახურებულად აქებს თანასოფლელების ჩადენილ ვაუკაცობას და უბადლოდ თვლის მათ „ნაქნარ-სახელს":

„ახალ ლექს უნდა ამოვთქვა ვაინისა და ცდისაო,
კამუნისტ-ბოლშეიკები რა რიგს იწყობენ პირსაო,
„არ გვინდა ჭელმწიფობა, – თქვეს, – დაჯდას ნიკალა ძირსაო,
არც გვინდა თავადობაი, ზედმეტ უჭირავ მიწაო".
აღელდა ქისტის შვილები, დრო დადგა სისხლის ღვრისაო,
შატილ, გრანიცას ნადგომო, მაგდის მუქარა მტრისაო,
აღარვის ვაქებთ საქებსა, ქება ვისაიც ღირსაო,
არცვის საგინებს ვაგინებთ, აღარცვის კალთას ვსჭრითაო,
ქება-დიდება რად გინდა, დიჩინო, ქალებისაო,
ქება უნდ აისთაებსა, მტერს ვინც არ არჩენს ჭირსაო.
ვაუებმ ჩაიდვეს საგძალი, შორს გავლა ღგულავ გზისაო,

ეგულა გადალაჯვაი ქორიალამოს მთისაო,
უკენ გაწირეს ადგილი, თოთხმეტ სოფელი მტრისაო,
ჩადიან ისანქაესა, პირ ჩაიარეს წყლისაო,
დაბლა ჩაგიდგეს საყუჩი, სოფლო ქვისჯორჯისაო".

ლექსის ავტორი არა მარტო სასახელო საქმეს აღნერს დანწერილებით, არამედ იმ ეპოქას და მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებასაც შესაშური სიღრმით გვიხატავს. არადა, სამუკა ჭინჭარაული წერა-კითხვის ძლივს მცოდნე, ერთი უბრალო მხვნელ-მთესველი გლეხი იყო.

„გათენდა, გაჩნდა სოფელი, ჩახედვენ დურბინდითაო,
„ძალიან ახლოს მავსულვართ, – თქვეს, – მაგრამ არა გვიშაო".
ერთ რაიმ შამაემართა, მანძილაია ტყისაო,
ის არ ეგონა ასანსა, შამავეყრები მზირთაო".

ასანი შეშის მოსაჭრელად იყო ტყეში წამოსული, მდინარესთან ფეხზე გაიხადა, დილის ნამაზი შეასრულა, ტყეში შევიდა და იქ შატილივნებს გადაეყარა. როცა უცხოები, ხევსურულ ტანსაცმლიანები შემოეხვივნენ, ცული ერთხელ კი აღმართა, მაგრამ, როგორც კი ვაჟუნათ ხვთისომ თოფი მიუბრუნა, ძირს დაუშვა. თან ხთისოს მიხამ ჩეჩნურად უყვირა: „რას შვრები, თოფი არ დაჰკრაო". ასანი „დაწყნარდა" და დანებდა.

„გადმაგეშალნეს, ასანო, როგორც ნოტონი მგლისაო,
ძლივს ჩამაგიგდეს ჯელადა, ნაზარდო დაღისტნისაო,
უკან შაგიკრეს ჯელები, წეს თუ ეგ არის ტყვისაო,
იარ, წავიდათ, ასანო, შორს გავლა გვინდა გზისაო".

წამოსვლამდე მიხამ გამოჰკითხა სახელი, მამის სახელი, ვინ იყვნენ მისი ბიძაშვილები, მონანილეობდნენ თუ არა შატილელთა ძარცვაში.

ასანი იფიცებოდა: „შატილივნების გამძარცველებთან არავითარი კავშირი არა მაქვსო. ჩემიანი მაგ საქმეში არავინ არის გარეულიო". ასანს მაინც ვეღარ გაუშვებდნენ, თანასოფლელი იყო მძარცველებისა.

ტყვე ხელთ ჰყავდათ, მაგრამ ის ფეხშიშველი იყო. მისი ფეხსაცმელების მოტანა არ შეიძლებოდა, შიშველ ადგილზე დარჩა და სოფლიდანაც ჩანდა. ასანის ერთი დაყვირება იკმარებდა,

რომ ჴმა გატეხილიყო. მდევარი დაედევნებოდა და სისხლისღვრა გარდუვალი იქნებოდა. ოთხივე შატილიონი შეეწირებოდა სახელ-სირცხვილს, უფრო მეტი დაეცემოდა ქეიმეხკელებიც. ასანი ჩუმად იყო, არ საუბრობდა და არც დაყვირებას „კადრობდა", ისიც გრძნობდა, რა მოჰყვებოდა ამას.

აქედან შატილამდე ტყვეს ფეხშიშველს ვერ ატარებდნენ. ლეკომ ჩაიმუხლა, ჯღნები (ბანდულები) გაიხადა და ასანს მიაწოდა: „ჩაიცვიო". ასანი გაოცებული შეაცქერდა და უარის ნიშნად თავი გააქნია.

„ჩაიცვი, ასან, შორი გზა გვაქვს გასავლელი, ჩემი ძმა უფრო ახალგაზრდაა, თან მასპინძელია, მაგან იაროს ფეხშიშველმა", – თქვა ქისტურად მიხამ. ამ მიმართვაში თხოვნა და ბრძანება ერთნაირად ჟღერდა. ასანმა ბანდულების, მათებურად „ჴულჩების", ჩაცმა დაიწყო. რაღაცნაირად ცივად გაიღიმა და თავის სოფელს გახედა.

ასანს ხელები შეუკრეს და თოკის ერთი წვერი ლეკოს მისცეს. „ამის შემდეგ თქვენ მეგობრები იქნებით", – შენიშნა მიხამ და ტყის ბილიკს გამოჰყვა. მიხას ასანი მოჰყვებოდა, ასანს – ლეკო, შემდეგ ბეწიკურთ ხთისო და ბოლოს ვაჟუნათ ხთისო. ეს უკანასკნელი უკან-უკან იყურებოდა და დურბინდით ზვერავდა არემარეს.

რამდენიმე საათში ქორიალამოს (კირიილამ) ქედი გადმოლახეს და მითხოს ხეობაში გადმოვიდნენ. ხეობაში, ყოველ ორ-სამ კილომეტრში, ქისტების სოფლები იყო. ამ ლამაზ, გრძელ ხეობაში 12 მრავალკომლიანი სოფელი იყო, გარდა ამისა, სამი სოფელი ჯარეგოში შედიოდა (შატილიდან 7-8 კილომეტრზე იყო დაშორებული).

მიხამ დასვენება შესთავაზა ტყვე-დამტყვევებლებს და საუზმობა გადაწყვიტა. აქედან სამ-ოთხ კილომეტრში სოფლები – თერეთეგო და მიზუ მოჩანდა.

მოულოდნელად საჯიხვეებიდან შურთხი მოფრინდა და სათოფეზე, კლდის წვერზე ჩამოჯდა. ორჯერ დასტვენა მოასწრო

და ხთისოს თოფიც გავარდა. შურთხი კლდის წვერს მოსწყდა და მათკენ ჩამოგორდა: „რას შჩა, ხთისო, შუა მითხოს ვართ!“ დატუქსა მიხამ ხთისო. ასანის გასაგონად კი ქისტურად ასე თქვა: „შურთხო, შენ გაბრიყვებულხარ, აქ განა მითხოვლებია, – შატილივნებია“. ასანი გაქვავებული ჩაჰყურებდა თერეთეგოს და ხმას არ ილებდა. პურ-ყველი შესთავაზეს და უარი თქვა. ინანა მიხამ: „რად ვიტრაბახე, ტყვეს ვაწყინეო“. არადა ტყვეობა კი არ ამწარებდა ტყვეს, მას სხვა რამ ტანჯავდა, რასაც ქვევით შევიტყობთ.

მელექსე სამუკა თითოეულ შატილიონს შესაბამისად ახასიათებს. როგორც ხელმძღვანელის, მეგზურის და უფროსის, დახასიათებას ავტორი მიხათი იწყებს:

„მიხასა, ნიაის შვილსა, მსწავლე არ უნდა გზისაო,
გადაეჩვია აჭვათა, მგელი მჭამელი ცხვრისაო,
წინავაც რა დრო აყარეს მაგ ისლამაის შვილსაო“.

ამ ისლამაის შვილმა იასამ წინა ნლებში მიხასა და ლეკოს შუათანა ძმას, სტუმრად მყოფ ყაწილს, მოტყუებით, ვითომ გასასინჯად, თოფი წაართვა და აღარ დაუბრუნა. იმავე თვეში სამივე ძმამ მოღალატე იასა თავისსავე სოფლის ახლოს შეიპყრეს, თოფიც წაართვეს და ტანსაცმელიც გახადეს (შარვლის გარდა). შიშველი გაუშვეს შინ.

შეპყრობამდე მთელი დღე ელოდნენ ძმები ტყეში მსხვერპლს. წყალი გაუთავდათ. ლეკომ, უმცროსმა ძმამ, მთელი ტყე დაიარა და წყალი ვერ იპოვა! არადა, მათ ახლოს იყო იასას სოფელი. სოფელს გვერდზე ჩამოუდიოდა სასმელი ხევი, რაც ყველა მხრიდან ჩანდა. ინყინა ყაწილმა: „წყლის ხმა გვაწუხებს და წყურვილს როგორ ვეტანჯვინებითო“. დაავლო ტიკს ხელი, დღისით, მზისით, შიშველ ადგილზე მივიდა, აავსო ტიკი და მოუტანა ძმებს წყალი.

გაიკვირვა მიხამ: „ამდენი წყალი რად გვინდოდა, აქ განა ერთ კვირას ვისხდებითო“. „ვირ-მამაცი“ უწოდა ძმას. გაუგონარი გაბედვა იყო ქისტების სოფელში ხევსურულად ჩაცმული კაცისაგან შიშველ ადგილზე წყლის აღება.

ეს ყაწილი მამაცი იყო, „ვითარცა უხორცო“. 40-იან წლებში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, სიკვდილის წინა წამებში, ძმას ლეკოს და ძმის (მიხას) შვილებს – გიგიას და ბეწინიკას მიმართა: „როგორ ვკვდები, ხომ კარგად ვკვდებიო“, თან წამოიწია და ტანზე აიხედ-დაიხედა. ლეკო ატირდა და თვალებში დაუწყო კოცნა: „კარგად ხკვდებიო“.

ბიძა ყაწილის სიკვდილს ალექსი ესწრებოდა. ძმების სიკვდილის დროს დიალოგს თავადაც ტირილით იგონებს. ალექსიმ რეზო ინანიშვილს უამბო ეს ამბავი და მან დაწერა მოთხრობა „ჩაჩაურის სიკვდილი“.

ძმები ფიქრობდნენ, რომ ეს უღირსი კაცი „ჴმას გაუტეხდა“ და მათ თავგანწირვით სიკვდილი ელოდათ. მიხა არიგებდა ძმებს: „თუ ქისტებმა შუღლი დაგვიწყეს, არც ერთი ტყვია უმიზნოდ არ დახარჯოთ. ისეთი სახელი უნდა დავტოვოთ, ხევსურეთში ერთი მეორეს ექადნებოდეს: „ისეთ საქმეს ვიქ, ნიაშვილთ რო უქნავავ“. ჩვენ მართლები ვართ და სიმართლისათვის დავიხოცებით. ჩვენი დახოცვა კი მტერს ძალიან ძვირი უნდა დაუჯდეს“.

ძმებს მიხა თემ-სოფელში შუღლს უშლიდა: „არა ხყრავ სოფელში ხანჯრუკაობას, ქალების გამჩვენაობას, ჯლაბარდელაობას. ვაშკაცმ შორეულ მტერს არ უნდა შაარჩინას ვალი“. სხვათაშორის ძმებს თავში ხანჯრით მიყენებული ჭრილობები არ ჰქონდათ, რაც იმ დროისათვის ხევსურეთში, ხევსურებისათვის უიშვიათესი შემთხვევა იყო.

მეორე შატილიონი მელექსე ამ თვისებასაც უფასებს მიხას:

„მიხაი, ნიაისშვილი, კაცი ყოფილა ბერია,
ეგ ბერი აღარ იქნება, თუ გამაჩინდა მტერია,
ბევრჯერ ჩაიდვა მიხამა გუდაჩი ორ-სამ კვერია,
შორით მაიღა სახელი, სოფლელთ თვალთ აგვაჩენია,
აბეჩავ, თიაყაებო, შატილის სიმაგრენია“!

(ქურსიკა სისაური)

მიხას სიკვდილის შემდეგაც არ ივიწყებდნენ შატილში:

„ბრალია, ნიაისშვილო, მინას ეჭირა გრილსაო,
საბურავ გეხურებოდას მართლის მაუბარს პირსაო“.

ეს ლექსი არხოტელ ბაჯა (იოსებ) ოჩიაურს ეკუთვნის. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მაშინ ის შატილში მღვდელი იყო.

დავუბრუნდეთ ტყვის ამბავს. ნიათ სამუკა განაგრძობს ტყვის დამჭერების დახასიათებას:

„მიხას სტანავის ლეკოი, ძმას იმედი აქვს ძმისაო,
აის ვაუია ლეკოი, ქვეით რო ცხენთან რბისაო,
დასატიებლად მტრისადა მინინოია მთისაო".

თურმე ლეკო ცხენებთან ერთად დოღშიც მონაწილეობდა და წარმატებითაც. ის ცნობილი მუხლადი მორბენალი იყო. მას ძაღლის მუხლასაც (დაუღლელს) უწოდებდნენ. ლეკოს მეგობარი, ცნობილი გიორწმიდელი მელექსე გუგო გოგოჭური, ურთიერთშაირობისას ასე მიმართავს, „წყევლის" ლეკოს:

„მიწის ლოგინში მიგისხამ ძაღლის მუხლაის ძვალებსა,
მალაიქივით (შეუხედავი, კბილღოჯა ქისტი) კბილებსა,
ოთხრქა ცხვარივით თვალებსა".

1924 წლის შემოდგომაზე შატილში პირაქეთი ხევსურეთიდან, სოფ. ქობულოდან, განთქმული ვაუკაცი დათვია ლიქოკელი ყოფილა გადასული, დათვია ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის ნევრადაც ითვლებოდა. 30-იან წლებში ბოლშევიკებმა ეს გაუხსენეს და დააპატიმრეს. დათვია ციხეში დაიღუპა. მაშინ ბევრი კარგი ვაუკაცის ბედი იყო ასეთი.

იმ პერიოდში შატილში სამკალი ყოფილა გაჩაღებული. მეორე დღეს ორი ოჯახის „მამკალი" (მამითადი) დამთხვევია ერთიმეორეს. ერთი ლეკოს ოჯახს ეკუთვნოდა.

დათვია და ლეკო სირბილში შეაჯიბრეს ერთმანეთს. ათმა ახალგაზრდა შატილიონმა ლეკოს პირობა მისცა: თუ შეჯიბრში გაიმარჯვებ, შენ მამკალში წამოვალთ, თუ არა – იმ მეორისაშიო.

სირბილი დაახლოებით სამ კილომეტრზე, აღმართზე უნდა მოწყობილიყო. მთავარი იყო, ვინ უფრო შორს გაიქცეოდა. ორი კილომეტრი ერთად ირბინეს. შემდეგ მკვეთრად ციცაბო აღმართი იწყებოდა. სწორედ აქ უკითხავს ლეკოს დათვიასათვის: „ხომ არ დაიღალეო". „დავიღალ, მაშ!" მკვახედ უთქვამს დათვიას და

გაჩერებულა. ლეკოს რბენა გაუგრძელებია და მოუგია შეჯიბრი. მისი მამითადიც ათი კაცით გაზრდილა.

მაშინ ლეკო დანიშნული იყო გიორწმიდელ მექია გოგოჭურზე. ქორწილი ჯერ არ იყო ნაქნარი. ხევსურეთში ასეთ დღეებში სარძლოს მოიწვევდნენ ხოლმე ერთი ღამით. ლეკოს ბიძაშვილი ნანაისძე გაუგზავნიათ სარძლოს ჩამოსაყვანად.

პაპაჩემმა, უთურგამ, შუაკაცი ნანაისძე ყანაში ამუშავა: „ამ სამკალ ყანას სანამ არ მოვრჩებით, ქალს ვერ გაგატანთო". მუშაობის დროს ნანაისძემ დაიკვეხა: „ლეკო და დათვია შეაჯიბრეს,ლეკომ 10 მამკალი მოიგოო". „აბა მექია რაღად გინდათო", – თქვა უთურგამ. ინანა ნანაისძემ: „ეს რა წამოვაყრანტალეო". მაგრამ ეს პაპაჩემის მორიგი ხუმრობა იყო. შუამავალი დააპურა, დაათრო და სარძლოც გამოაყოლა.

დავუბრუნდეთ ასანის ამბავს.

ხთისოებსაც არ ტოვებდა შეუქებლად ნიჭიერი მელექსე:

„ვაჟუნათაო ხთისოო, მჭერელ არ გჭირდებ მჭრისაო,
მეთოფეობით განთქმულო, ისპა (სნაიპერი) ხარ ლეკეთისაო.
ბეწიკურთასა ხთისოსა დაჭერა სწაის ტყვისაო,
ხთისოს არ დასცილებია გზაჩი დახვედრა მტრისაო, –

ხთისო გაძარცულებს შორის ყოფილა და მეტი ბოლმა ჰქონია.

არ ეპუების სიკვდილსა, გულ უძეს ხოხის ქვისაო". –

ხოხის ქვა – რიყის მაგარი, ბასრი ქვაა.

მსუბუქი წასაუზმების შემდეგ გზა გააგრძელეს შატილივნებმა მითხოს ხეობაზე. ჩქარობდნენ და სანადირო ბილიკებით ბრუნდებოდნენ, რომ გზაში არავის გადაჰყროდნენ.

ასანმა ლეკოს ნაკვალევზე სისხლი შენიშნა, მიხას შეჩერება სთხოვა და ფეხსაცმელების გახდა მოინდომა. არ დაანება ლეკომ, ახლა ვაჟუნათ ხთისო შეეცადა გაფეხშიშვლებას. „არა, – თქვა მიხამ, – ორ დაკოჭლებულს ვერ მიგიყვანთ შინ; ლეკომ უნდა გასძლას, ერთი დღის სავალიღა დაგვრჩა".

ლეკო რამდენიმე კვირას მკურნალობდა ფეხისგულებს. ასანი სოფელში მეორე დღესვე კენჭისყრით გაამორიგეეს. ყოველ მეორე დღეს მასპინძელი უნდა გამოეცვალა. ტყვისთვის სადილი

თუ ვახშამი საკადრისი უნდა მიერთმიათ, უბრალო პურ-ყველი არ უნდა ეკადრებინათ.

ლეკოს უნახავად ვერ ძლებდა ასანი. მის დანახვაზე დაიკივლებდა: „ჰაი, მარჯია, ლეკო!", ეჭიდავებოდა, ეხუმრებოდა, ფეხის გულებს უსინჯავდა და კოცნიდა, თან ხევსურულს სწავლობდა. ლეკოს ქისტურს ასწავლიდა; ორივენი ამახინჯებდნენ უცხო ენებს და გულიანად იცინოდნენ. ლეკომ გაცილებით უკეთ იცოდა ჩეჩნური, ვიდრე ასანმა ქართული. ბავშვობაში შატილში მათ ოჯახში ქისტები ხშირად სტუმრობდნენ.

ასანის დაჭერის მეშვიდე დღეს მოვიდნენ ქეიმეხეკლები შატილში, ნაძარცვი ცხენ-ჯორებითა და ბარგითურთ. სოფელი საფეხვნოში შეიყარა. ყველაფერი დაწვრილებით დათვალეს. ცოტა რამ აკლდა ნაძარცვს. დაიკარგაო, ჩიოდნენ მათი თავკაცები. შატილივნებმა ჩამოთვალეს, ვისი რა აკლდა და უთხრეს: ნაძარცვს ჯორის ერთი მოსართავიც რომ აკლდეს, ტყვეს ვერ წაიყვანთო. იძულებულებს ნუ გაგვხდით, თქვენიდანაც კიდევ ვინმე მივამატოთ ასანსო. კიდევ ერთი კვირის შემდეგ სრულყოფილად მოიტანეს. უფრო მეტიც: შეურაცხოფისათვის ხანჯლები და ხმლები მოაყოლეს.

ერთ დილით შენიშნეს, რომ ასანი ტიროდა. მიზეზი ჰკითხეს მასპინძლებმა. ასანმა მიხა მოიკითხა, მომიყვანეთო. მოვიდა მიხა. ასანმა ქვითინს მოუმატა, გაღმა სალოცავისკენ ხელი გაიშვირა და მიხას გულამოსკვნით უთხრა: „იქ, სალოცავში, ჩემი მამის მკვლელები მოსულან, ხარი მოუყვანიათ და ჩემი დახსნა უნდათ. მაგათ არ გამატანოთ, თორემ თავს მოვიკლავ, თოფს დავიკრავ, ან ხანჯალზე ავეგები. ეგენი თერეთეგოვლები არიან, რომ დამიხსნან, მამის თავი დამეკარგება".

„დამშვიდდი, ასან, შენ ჩვენი ხარ და სანამ ჩვენ არ გაგისტუმრებთ, ვერავინ წაგიყვანს".

მიხამ უფროსებს გააცნო ასანის გულისტკივილი. უფროსები სალოცავში მივიდნენ: „თერეთეგოვლებო, დღეს ასანი ჩვენი

ტყვეა, თუ რამე ვალი გაქვთ, შინ მიაკითხეთ და იქ გაუსწორდით. ახლა როგორც მოსულხართ, ისევ ისე წადით შინ“.

ქისტებმა მუხლმოყრით სცადეს შეესმინათ მათი ვედრება. შატილივნებმა გამეორებაც აღარ იკადრეს ერთხელ ნათქვამისა.

მთხოვნელები ნახევარ საათში გაშორდნენ სალოცავს და ხარითურთ გაეცალნენ შატილს.

ახლა გაახსენდა მიხას, ასანმა გზაზე პური რომ არ ჭამა და დაბოღმილი ჩაჰყურებდა თერეთეგოს, მამის მკვლელების სახლკარს.

შატილში ცხოვრება ძველებურად გრძელდებოდა. ასანი გაოცებული იყო შატილივნების შრომისმოყვარეობით. შორს ჰქონდა სოფელს სათიბ-სამკალი. ღამიანად სამუშაოდ წასულები შუადღეში ძლივს იწყებდნენ მუშაობას. ხშირად საგზალი ერთი კვირის სამყოფი მიჰქონდათ. ღამეებს პირდაპირ მიწაზე ათენებდნენ. მთვარიან ღამესაც შრომობდნენ. ასეთი ჭირ-მწარით მოპოვებული სარჩო და ჭირნახული მართლა ძნელი დასათმობი იქნებოდა, თანაც თუ ძალადობით წართმევას ვილაცა მოინდომებდა, შატილივნები, რა თქმა უნდა, ძალადობითვე უპასუხებდნენ.

ასანის გამოსახსნელად ყველაფერი მოტანილი იყო. ახლა ჯერი შატილივნებზე მიდგა, როგორ გაისტუმრებდნენ ტყვეს.

კვირა დღეს საფეხვნოში ყველა უფროსი მამაკაცი და ქუდოსანთა უმეტესობა შეიყარა. სიტყვა ჯერ უფროსმა ჭალაურთ ბეწიკამ თქვა:

„სოფლელებო! ქეიმეხკელებმა გაასწორეს თავისი საქმე. ყველაფერი მოტანილი და მოყვანილია. ასანი შინ უნდა გავუშვათ. ის კარგი ვაშკაცი გამოდგა. მართალია, ის ცოტა დავჩაგრეთ, მაგრამ უკაცურ არა გვიქნავ. რას იტყვით, რა ვქნათ, პატივით უნდა გავისტუმრათ. დაჩაგრულად არ უნდა იგრძნას თავი, ამაყად უნდა გაიარას მითხოს სოფლებიც და თავის სოფელშიც ამაყი უნდა მივიდას“.

ბეწიკიათ ბესომ ახალი ჯღნები მოიტანა. განთქმული იყო მისი ფეხსაცმელი შატილში. „მე თათებს მივცემ“, – თქვა ლეკომ.

„მე ყოჩს გავატან", – თქვა ბენიკურთ ხთისომ. „მე ნაბადს მივცემ", – თქვა ვაუუნათ ხთისომ.

„შატილიენებო! – მიმართავს სოფელს ნიათ მიხა, – ამოდენ ბარგ რო დაუგროვდას, ასანს ცხენ დასჭირდების, ვერც საკლავებს გაღლალავს მარტო, გამყოლი მოუნდება. უფროსებო! თქვენ გადაწყვიტეთ. მე ეესრ მგონავ სნორი: ჭარავანჩი რომელიც ყველაზე დიდ ჭარი, აის ავარჩიათ, პატრონს საფასურ სოფელმ გადაუჭადათ, წინ დავუყენათ ასანს".

„ჰაი, კაის მამის შვილო, რაჭელ კა სიტყვა სთქვი", – თქვა ბენიკამ. ყველამ მოიწონა ეს აზრი.

„მადლობთ, შატილიენებო, – თქვა ცრემლმორეულმა ასანმა, – ბესოს ჭულჩებს და ლეკოს წინდებს ჩავიცვამ, სხვა არცრა არ მინდა".

მეორე დღეს ალუდიას დიდი შავი ხარი მოუყვანეს ასანს. სამბურად ის თოკი ჩაუდვეს, რითაც თვითონ ტყვე მოიყვანეს. ამ თოკს ასანი საშვილიშვილოდ ინახავდა თურმე და სტუმრებს სიამაყით უჩვენებდა.

ასანის ჯარეგამდე გაცილება დაავალა მიხამ მომყვანებს. სტუმართსამართებამდე გააცილა მთელმა სოფელმა ასანი, დიდმა, პატარამ, ქალმა და კაცმა.

ქუდსაჭდელას, საიდანაც შატილი უკანასკნელად ჩანს, ასანმა ქუდი მოიხადა, მუხლზე დაიჩოქა და წარმოთქვა: „ჰაი, დადალცუნ, შეედილ! ჰაი მარჯია შედილიხუა"!

ერთი თვის შემდეგ ამბავი მოვიდა შატილში: ასანმა თავის მამის მამკლავი, თერეთეგოელი მაჰამი, მოკლაო. შატილში ტყვეობამ სისხლის აღება დააჩქარებინა კაი ყმას.

ლეგენდასავით დარჩა შატილში ასანის და შატილიენების ურთიერთდამოკიდებულება. მიხას დაკრძალვის დღეს მოსულა ასანი ცხენით და ჭედილით. მიხას ძმა-ბიძაშვილებს შეეხვეწა: „სუდარი (აბრეშუმის ნაჭერი) მოვიტანე, იმაში გამახვევინეთ მიხას ცხედარი და ისე მიმაბარებინეთ მიწასო". წინააღმდეგობა არ გაუწიეს ძმებმა. იცოდნენ, რა გულით იყო მოძღვნილი უკანასკნელი პა-

ტივისცემა. „როგორც სიცოცხლეში იყავ მართალი, ტკბილი და სამართლიანი, ისემც მოგხმარდება საიქიოშიც", – თქვა ასანმა. საბოლოოდ ჩაეკონა ცხედარს და საფლავში ჩასვენებაში მიეხმარა ძმებს – ყაწილს და ლეკოს.

ასეთი ურთიერთობების მომსწრე-გამგონი იყო დიდი ვაჟა, ამიტომ შეიქმნა გენიალური „სტუმარ-მასპინძელი" თუ „ალუდა ქეთელაური".

ჩვენი შეულამაზებლად აქ მოყოლილი ნამდვილი ამბავი დაუდო საფუძვლად მწერალმა, კინორეჟისორმა გოდერძი ჩოხელმა თავის ფილმს „ცოდვის შვილები".

იქ ამბავი სხვანაირად ვითარდება, დასასრულიც სხვანაირია. შეიძლება ასეთი დასასრული კინოსთვის მომგებიანია, მაგრამ შატილივნებს არ სჯერა, გუდამაყრულად გადაკეთებული კინოსცენარის დასასრული რამით სჯობდეს ხევსურულად საუკუნის წინ განსჯილ ნამდვილ დასასრულს.

შატილივნები და ახვერდი მაჰმადი

მე-19 საუკუნე რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის საუკუნედ ითვლება. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსეთის იმპერიასთან შეერთება ამიერკავკასიის სახელმწიფოების (ხალხების) დაპყრობის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს. ტერიტორიების ნაწილი მოტყუებით, მოსყიდვით, მზაკვრობით იქნა მიერთებული რუსეთის მიერ. ნაწილი კი მძაფრი ბრძოლებითა და სისხლისღვრით. იარაღით დაიპყრო რუსეთმა ჩეჩნეთ-ინგუშეთი და დაღესტნის ხალხები.

ჩვენდა საუბედუროდ, როგორც ახლა, მაშინაც, საუკუნენახევრის წინათ, „გათიშე და იბატონე"-ს ხერხს იყენებდა ცარიზმის რუსეთი. კავკასიის ხალხებს ერთიმეორეს აბრძოლებდა და ასუსტებდა. შემდეგ ცალ-ცალკე ამარცხებდა და ეპატრონებოდა „ველურ ტუზემცებს".

ყველაზე დიდხანს გაგრძელდა დაღესტანთან ბრძოლა. შამილი მცირე ლაშქრით, მამაცი, ფანატიკოსი მიურიდების ხელმძღვანელობით სასწაულებს ახდენდა. რუსეთის კარგად შეიარაღებულ და გაწვრთნილ არმიას მან არაერთი დამარცხება აგემა. ამ არმიის სარდლობაში თითქმის მუდმივად ერივნენ ქართველებიც.

საუკუნეების მანძილზე დაღესტანი ჩვენი მოსაზღვრე და მეზობელი იყო. მე-17-18 საუკუნეებში „ლეკიანობამ", დიდ მუსულმანურ სახელმწიფოებთან ერთად, საქართველო მოსპობის პირას მიიყვანა. ეს ახსოვდათ რუსეთის ჯარში მომსახურე ქართველებს და მათი ბრძოლა ანგარიშსწორებასაც ნააგავდა. გრ. ორბელიანი ამაზე არაერთხელ მიანიშნებს თავის წერილებში.

სურდა თუ არა, დაღესტნის იმამიც სანაცვლო ქმედებებს მიმართავდა, – საზღვრისპირა ქართულ დასახლებებში (უმეტესად კახეთში) თავისი ლაშქრის ნაწილს (რაზმებს) გზავნიდა. აოხრებ-

და სოფლებს, მიჰქონდა ნადავლი, მიჰყავდა ტყვეები გამოსასყიდის მიღების მიზნით. ამისი მაგალითია წინანდლის 1854 წლის ტრაგედია.

აღმოსავლეთ კავკასიონის კახეთის მთებზე გადმოსასვლელებს გარდა, დაღესტნიდან და ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან საკმაოდ მარჯვე, მოკლე გადმოსასვლელი ბილიკებია მათ მომიჯნავე თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთზეც. ეს გადმოსასვლელები ოდითგანვე საქართველოს ეკუთვნოდა. ადგილობრივი მოსახლეობა მტკიცედ იცავდა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მოსული მომხვდურებისაგან თავს, საქართველოს მიწა-წყალს.

მიუხედავად გმირული თავდაცვისა, თუშები მე-18-19 საუკუნეებში დაღესტნელების გაუთავებელმა თავდასხმებმა ძალიან აზარალა. უჭირდათ პირიქითი ხევსურეთის – არხოტისა და შატილის თემებსაც. არხოტს უშუალოდ ინგუშეთი ესაზღვრებოდა, შატილს – ჩეჩნეთი.

თავდასხმები უმეტესად ადგილობრივი ხასიათისა იყო. თემები თემებს უპირისპირდებოდნენ, ამიტომ არამც თუ თავს იცავდნენ და უმკლავდებოდნენ მომხდურთ, ზოგჯერ იქითაც ავიწროვებდნენ.

„ტიალო ჩვენო ტერღაო, მიჯნაო ღილღვლებისაო, გადმადის არხვატივნები სანადიროო სხვისაო", – ამბობს არხოტიონი მელექსე გრანჯა წიკლაური.

„თუ ნახვალ, მენადირეო, ნადირ ირჩიე სთვლისაო,
ტყავ-ხორცით გამოსადეგი მასაკლავადაც ღირსაო,
გადახვალ ჩაინაშია, ადგილი ქისტებისაო", –

ექომაგება არხოტიონს შატილიონი ნიათ სამუკა.

კონფლიქტები ძირითადად პირუტყვის მოტაცებაზე ხდებოდა. ამ დროს ან თავდამსხმელი ქისტი იღუპებოდა, ან მდევარი ხევსური. ეს კი სისხლის აღებას იწვევდა. სამაგიეროს გადახდას ისიც აიოლებდა, რომ დაპირისპირებულთა მომიჯნავე სოფლები 7-8 კილომეტრით იყო ერთიმეორეს დაშორებული. თავდასხმაც და უკან დაბრუნებაც ერთ დღეს ესწრებოდა.

არხოტის თემი (ამღა, ჭიმღა, ახიელი, კალოთანა, კვირიწმინდა...) მდინარე ასის სათავეში იყო განლაგებული, შატილი და პირიქითი ხევსურეთის სხვა სოფლები – მდინარე არლუნის სათავეში.

ჩეჩნეთის მოსახლეობის ნახევარი (სოფლები და ქალაქები) მდინარე არლუნისა და მისი შენაკადების აუზებში ცხოვრობდა. მათ კარგად იცოდნენ (განსაკუთრებით მითხოს ხეობის ქისტებმა) მთის გადმოსასვლელებიც და საქართველოს ცენტრებამდე მისასვლელი გზის მანძილი თუ მგზავრობისთვის საჭირო დრო. გვიანობამდე ზემოთაღნიშნული მითხოს ხეობის მოსახლეობა თიანეთის მაზრაში შედიოდა.

1843 წლის ზაფხულში იმამ შამილთან ნაიბების თათბირი გაიმართა. თათბირზე რუსეთ-დაღესტნის ფრონტის სხვადასხვა უბნებზე მიმდინარე ბრძოლები და შემდგომი ბრძოლების გეგმები ირჩეოდა. თათბირს ჩეჩნეთ-ინგუშეთის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მათ საკითხი დასვეს იმის შესახებ, რომ ჩეჩნეთიდან არლუნ-არაგვის ხეობის გავლით საქართველოზე მოულოდნელი თავდასხმა შეიძლებოდა. ამ ხეობაზე პატარა სოფლები იყო მცირე მოსახლეობით. ამ გზაზე არც რუსის ჯარის დაცვის მძლავრი საგუშაგოები იდგა. მათი აზრით, დიდი წინააღმდეგობა ჟინვალამდე თითქმის არ შეხვდებოდათ.

შამილმა და უმეტესმა ნაიბებმა მოიწონეს ეს გეზი საძარცვავად, ტყვეთა და ალაფის მოსაპოვებლად. ლაშქრის მომზადება და სარდლობა სახელგანთქმულ, უმამაცეს, ულამაზეს, უჭკვიანეს, შამილის უერთგულეს ნაიბს– ახვერდი მაჰმადს დაევალა.

ეს ცნობილი ნაიბი ყოფილა შვილი ტყვე პროზელიტ მუსლიმანისა. მისი მამა ხუნძახელი იყო. „ახვერდი მაჰმადი–შამილის ერთ-ერთი საუკეთესო ნაიბი, იბრძოდა ახულგოსთან 1839 წელს. უმამაცესი მეომარი და შამილის ერთგული თანამებრძოლი, რომელმაც 1840 წელს ააჯანყა ჩეჩნეთი რუსეთის წინააღმდეგ. ძალით გადაასახლა სანაპირო აულები შიდა ჩეჩნეთში. იმავე წელს დაეცა ქ. მოზდოკს, საიდანაც გაიტაცა სომეხ ულუხანიანის ასუ-

ლი და მიჰგვარა შამილს. იმამმა შემდეგ ის ცოლად შეირთო და უწოდა შუანეთა" (იხ. გრ. რბელიანი, „წერილები", ტ. I, გვ. 262). თითქმის ზუსტად ამასვე იმეორებს რასულ გამზათოვი თავის წიგნში „ჩემი დაღესტანი" (იხ. გვ. 304-306).

შამილი თავის მამაც ნაიბებს დიდ პატივს სცემდა. სანდო გადმოცემებით, შამილმა გააჭედვინა ხმალი ახვერდი მაჰმადისათვის და ზედ წააწერინა: „არავინაა ახვერდი მაჰმადზე უკეთესი ვაჟკაცი და არავისა აქვს მის ხმალზე უკეთესი ხმალი".

აი, ეს სანაქებო ნაიბი 1843 წლის ივნისის შუა რიცხვებში 5 ათასიანი მხედრით მოულოდნელად დაესხა თავს შატილს.

შატილიენები მუდმივ მზადყოფნაში იყვნენ მოულოდნელი თავდასხმებისთვის. ეს ლაშქრობა, რომელსაც აქ ვეხებით, რიგით მერვე იყოო, იგონებდნენ ჩვენი წინაპრები. ორი ხბოლა დარჩენილა სოფელში. იმ პერიოდში შექმნილი სიმღერები აშკარად მიანიშნებს, რომ შატილელებს ჰქონდათ ინფორმაცია ამ თავდასხმაზე:

„შატილს ყანკია მაჰქადის: მავალ, ლეკნ მამიდიანა",
ვაჟებმა შატილიენებმა ყურთ ფათვლად ჩაყარიანა,
„მავიდან ცხენის მჭამლები, მავიდან, რას ელიანა?!"
ახდეს ზეთასთვლის ბანზედა, ფერხისა ჩააბიანა,
ბევრა აქვ ტყვია-წამალი, მთას ყარაულად დიანა."

შატილში ტყვია-წამალს თვითონ ამზადებდნენ. კაჟიანი თოფები ჰქონდათ. წამლის დასამზადებელი სანაყი „დენგნი", ბაზალტის ამოღრმავებული მასიური ქვა, შატილის საფეხვნოში ამჟამადაც ადგილზეა.

მელექსე ამ არეულ დროსა და მუქარაზე მიუთითებს:

„აღელდა ქისტის შვილები, დრო დადგა სისხლის ღვრისაო,
შატილ, გრანიცას ნადგომო, მაგდის მუქარა მტრისაო"...

არღუნის ხეობაში შატილიენები, სამი კაცი, დღე და ღამ მორიგეობით იდგნენ შატილისა და ჯარეგოს საზღვარზე, სალუქის ქავს. მტრის გამოჩენისთანავე ერთი სოფლისკენ მორბოდა შესატყობინებლად, ორი კი ადგილზე რჩებოდა და სიკვდილამდე ებრძოდა მტერს დროის მოსაგებად, რათა გარეთ სამუშაოზე

მყოფი სოფლელები მალე „შეკრეფილიყვნენ" ქვითკირებში. პატარა, ანკარა მდინარე შატილურა კი ბუნებრივი მაცნე იყო შატილისათვის. ის ნვიმაშიც კი არ იმღვრევა. თან ისე სნრაფად მოსჩქეფს, რომ ცხენოსანს ასნრებს. ის ვიწროებში ჩახერგილი იყო. სანამ მომხდური ამ ხერგილს გახსნიდა, ამღვრეული წყალი შატილს ამცნობდა მტრის მოახლოებას. მასპინძელი მომზადებული დახვდებოდა დაუპატიჟებელ სტუმარს.

1843 წლის ივნისის 15-ში მაცნე მოვარდა: ცხენოსანთა დიდი ლაშქარი მოემართება ჯარეგოდან ჩვენსკენო.

ორი გუშაგი, ბათაკა და გიორგი, ალაქოს ვიწროებში დახვდა მომხდურებს. რამდენიმე მოკლეს და დაჭრეს. ბოლოს მძიმედ დაჭრილები ტყვედ აიყვანეს მოლაშქრეებმა და შატილისკენ დაიძრნენ. ამ დროს შატილივნებმა სათანადოდ მომზადება მოასწრეს.

ამ ზემოაღნიშნულ ორ გუშაგს გარდა, შატილის მარცხენაზე, წისქვილების ზევით, შატილივნებს კლდეში შეუმჩნეველი პატარა ეხი (გამოქვაბული) ჰქონდათ. მტრის მოახლოებისას ამ ეხშიც შედიოდა 3–4 დამცველი. ისინი მთლიანად აკონტროლებდნენ შატილის კლდოვან მხარეს, წისქვილებსა და სასმელ წყალს, მდინარე შატილურას.

ამ ავბედით დღეს ბათაკას ულამაზესი ასული მზევინარი თავის წისქვილში ხორბალს ფქვავდა. საფქვავი თავდებოდა და დაელოდა, ბარემ მთლიანად წავიღებ ფქვილსო. მან მაცნეს მოსვლა ვერ გაიგო. მამა ბათაკამ ეხში შესვლა იჩქარა. მზევინარი ვერავინ გააფრთხილა.

„მავიდეს ქუდსახდელასა ლაშართხმულ ცხენნი ტიალნი".

შატილი ჩუმი, „გამტკნარებული სახით" დახვდა ლაშქარს. ავისმომასწავებლად ეჩვენათ მომხდურებს ეს სიჩუმე.

ყოველა მხრიდან შემოეწყო მხედრობა შატილს, სადაც მისვლა და შესვლა შეძლეს, ყველაფერი გაჩხრიკეს.

წისქვილიდან გამოიყვანეს მზევინარი, ცხენზე შეჯდომა შესთავაზეს. იუარა ქალიშვილმა. ერთმა ახმახმა ცხენიდან თმებში ჩაავლო ხელი და ძალით ათრევა დააპირა. მოულოდნელად მზე-

ვინარმა გადმოხრილ მხედარს ხანჯალი ამოსწვადა ქარქაშიდან და მასვე გაუყარა მკერდში. ილრიალა ახმახმა, მზევინარის თმებ-ჩაბღუჯული, ხანჯალგაყრილი გადმოვარდა უნაგირიდან. დანარ-ჩენებმა მახვილები იშიშვლეს და იქვე დახანჯლეს მზევინარი.

ამ ტრაგედიას იქვე, ორას მეტრში, ეხში მსხდომნი ზემოდან დასცქეროდნენ.

„მოგიკვდა მამაო!" – წარმოსთქვა ბათაკამ. ხელები უკანკა-ლებდა, ვერ უმიზნებდა.

– „რას შჩა, ბათაკავ, არ გააცდინ, მე თეთრცხენიან, შენ შა-ვრა, იმედას წითლა", – თქვა მინდიამ.

ერთად იჭექა სამმა ხირიმმა, სამივე მხედარი მინას დაენარ-ცხა. სამი დაქვეითებული კი ჯერ შატილის კედლებს მიაშტერ-და, შემდეგ უმხედრო ცხენები დაიჭირეს და საკუთარ ტაიჭებზე ამხედრება დააპირეს. ისევ იგრიალეს თოფებმა, ორი, უზანგებში ფეხგაჩრილი, რაშებმა დაითრიეს, ერთმა შეჯდომა მოასწრო და ძირითადი ლაშქრისკენ, შატილისკენ გაქუსლა ცხენი.

– „წეედი, იქ ჩაგიყრიან ხინკლებს", – ჩაიჩიფჩიფა მინდიამ და ბათაკას მიუბრუნდა:

– „რადარ ჩემ სიკვდილ გაიგონ, სანამ მზევინარის სიკვდილს დაესწრობოდ".

– „შენის მტრისაი, დუშმანისა, ჩემო მინდიავ, არ მაკვდ უსაკად-რეოდ ჩემ ქალ, საიქიოს მემსახურე თავად გაიძღოლ წინ".

„ღმერთმა გაგინათლას, ბათაკავ, მზევინარ, სანამ შატილის ქვა-ყორენ დგან, ანდრეზად იქნებ მზევინარის ნაქნარ", – თქვა იმედამ.

ამ ეპიზოდზე მოგვიანებით მელექსე იტყვის:

„ნისქვილთ გორ შამაგეწივნესთ, შამაგატანესთ ძალია".

წისქვილთან მომხდარი უბედურება ნიშნის მიცემად იქცა. შიგნიდანაც და გარედანაც აყეფდნენ თოფები. სისხლი დაიღვარა და ახლა შერიგება და დაზავება ვეღარ მოხდებოდა.

„ბათაკა ობოლათაი ვეფხვია სალის კლდისაო,
არცრას თოფს მივცემ ძაღლებსა, არ ვიცი ზავის ქნისაო,
მამწონსავ აის მღერაივ, ჭალით რო ამადისაო".

ჭალას ბევრი დაღესტნელის ცხედარი იდო და მძიმედ დაჭრილების გოდება აღწევდა ქვითკირებში. ამას იგონებს ნიშნის მოგებით ლექსის მთქმელი.

აივსო დაღესტნელთა და ჩეჩენ-ინგუშთა მხედრობით შატილის შემოგარენი: მდინარისპირა ჭალები, სახნავ-სათიბი, ჯვარსალოცავები. მაშინდელი წყაროები ამტკიცებენ, რომ ამ ლაშქარში 5 ათასი მეომარი ითვლებოდა.

შატილში ამ დროს ზრდასრული მამაკაცი 70-ს არ აღემატებოდა. აქედან ცეცხლსასროლი იარაღი ნახევარსაც არ ჰქონდა. შატილივნებისა და ახვერდი მაჰმადის პირველსავე მშვიდობიან შეხვედრაზე თავდამსხმელებმა 9 ხირიმი მოითხოვეს თავისი ტყვია-წამლით. თუ ამ პირობას შეასრულებდნენ, მშვიდობიანად გაშორდებოდნენ სოფელს და გზას საქართველოსკენ გააგრძელებდნენ. შატილისათვის 9 თოფი დიდი ძალა იყო და უარი შეუთვალეს.

ინყინა ამაყმა სარდალმა პატარა სოფლის პასუხი და შეტევა ბრძანა. პირველსავე შეტაკებაზე შატილის კედლებთან მტრის ათეულობით გვამი დარჩა. ახვერდი მაჰმადი დაღამებას დაელოდა.

შატილი ორი წყლის, არღუნისა და შატილის ხევის (შატილურას) შუაში, კლდის შვერილზეა აღმართული. ჩრდილოეთით 60 მეტრის სიმაღლის კლდითაა შემოზღუდული, დასავლეთიდან კი განიერი, 5 მეტრის სიმაღლის ქვის კედლით, გალავნით ყოფილა შეკრული. გალავანს მხოლოდ ორი კარით შესასვლელი ჰქონია. კარები მუხისა ყოფილა, შიგნიდან სამ-სამი ურდულით იკეტებოდა.

შატილის ქვითკირები მიჯრითაა ერთმანეთს მიშენებული. ბოლოდან, არღუნის პირიდან თავამდე, ოჯახ-ოჯახ ისე გაივლი, გარედან თვალს ვერავინ მოგკრავს. ხმამაღალი გადაძახება თავიდან ბოლოში ისმის. სოფლის ასეთი განლაგება და პირობები დამცველებს დიდ უპირატესობას აძლევდა. ქვითკირების სარკმლები და სათოფურები ერთიმეორეს იცავს და აკონტროლე-

ბს. კარებს იცავდა ზედა სართულზე აშენებული, შიგნიდან ღია და გარედან დაფარული ჩარდახები, სადაც მოგროვილი ჰქონდათ ქვები, რომლითაც პირველ სართულზე კარებთან მისული მომხდური შეეძლოთ დაეზიანებინათ.

ღამით განახლდა იერიში. მოლაშქრეები იოლ შესასვლელს, სუსტად დაცულ უბნებს ეძებდნენ. არსად აღმოჩნდა ასეთი ადგილი შატილის კედლებთან. შატილივნებმა ქვითკირის ჩარდახებიდან და გალავანზე ჯაჭვზე მობმული ცეცხლმოკიდებული ფიჭვის კუნძები გადმოჰკიდეს. დრო და დრო მათ ზედ ადულებულ ერბოს ასხამდნენ გასაღვივებლად. განათებულ კედლებთან, სადაც მტრის მონოლა მძლავრი იყო, ორ-სამ წუთში ათიოდე მეთოფე შატილიონი იყრიდა თავს და დიდ ზიანს აყენებდა მტერს. გარეთ შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სოფელს ასეულობით მეომარი იცავდა.

იბრძოდა ყველა: ბავშვი, ქალი, მოხუცი. იარაღად იყენებდნენ ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდათ. ერთმა მოხუცმა შეამჩნია, შელამებისას მათ ქვითკირებთან ვიღაცა მოძვრებოდა. იქვე დაგდებულ ხის კუნძს დაავლო ხელი, ესროლა და კედლიდან გადააგდო მოძალადე. ამაზე ნათქვამს მოხუცები ერთიმეორეს შემღერებდნენ ხოლმე:

„ჩოთათა გოგოთურამა ქავი აავსა მკვდრითაო.
სანამდი სხვან გაიგებდეს, ერთ წინავ მაკლა ხითაო“.

მეორე დილით გაირკვა, რომ მომხვდურებს კვლავ ათეულობით მხედარი დაჰკლებოდათ. სამუდამოდ დასძინებოდათ თავზეხელაღებულ ჯიგიტებს შატილის მიწაზე. თავის მიწაზე კი მარტო ბათაკათ მზევინარი განისვენებდა. დახოცილები ერთად მოეგროვებინათ, ზედ ნაბდები და ყარწიკები (ჩეჩნური გარემოსასხამი) წაეფარებინათ. ლაშქრის ხელმძღვანელობა მოკლულთა რაოდენობას ფარავდა.

შატილელებმა ლაშქრის მოთავეებთან მოლაპარაკება მოითხოვეს. პირველი მოთხოვნა მზევინარის ცხედრის შინ გადმოსვენება იყო. ახვერდი მახმადმა გამოსასყიდად ორი ხირიმი მოი-

თხოვა, თან დააყოლა: „თქვენი ლამაზი და მამაცი ასული რომ ჩემს მხედრებს არ შემოჰკვდომოდათ, ხუნძების პატარძალი იქნებოდაო“.

– „ცოდო იქნებოდა მზევინარი, ხვალვე, შენი ცოლის ჩათვლით, იმ დაღესტნელ ქვრივებს მიემატებოდა, რომელთა ქმრებიც აქ წვანანო“, – უთხრეს მოხუცებმა.

ძალიან ეწყინათ შატილელებს მომხდურის თავხედობა. ყველა უბანზე დაგზავნეს ახალგაზრდები და დაავალეს: ყველას მოემზადებინა ტყვია-წამალი, კედლებამდე მოეშვა მტერი და ერთდროულად ესროლათ.

სიმყუდროვე გამეფდა შატილშიც და ლაშქარშიც. მოლაშქრეები ჩუმად, ნელ-ნელა იყრიდნენ თავს შატილის ირგვლივ. ისინი გალავანს ეფარებოდნენ და თოკის კიბეებს წნავდნენ. ღამე ხის კიბეებიც მოეტანათ კედლებთან. მომხდურმა არ იცოდა, რომ შიგნიდან ეს ყოველივე კარგად ჩანდა და სათანადო ღონისძიებებს მიმართავდნენ. ჭერები და ჯოხები მოემზადებინათ თავდამსხმელთა და კიბეების უკან გადასაყრელად. თოფიანებს ხმალ-ხანჯლიანი შატილივნებიც მომატებოდნენ.

ნაშუადღევს თეთრ ნაბადში, თეთრ ცხენზე ამხედრებული ნაიბი შატილის თვალწინ ლაშქრის სხვადასხვა უბანზე დაჰქროდა და დავალებებს იძლეოდა. ამ დროს ასეულობით მებრძოლი კედლებთან მდგომებს შეუერთდა. ახვერდი მაჰმადმა ცხენი ყალყზე შეაყენა, შატილისკენ შემობრუნდა, დამბაჩა იძრო და შატილის ქვითკირებს ესროლა.

„ილალლა! ილალლა!!“ – აღრიალდა ლაშქარი და გალავანზე ასვლა დაიწყო.

„დახკარით! დახკარით!!“ გრგვინვად გადაედო შატილს ზენა უბნიდან აპარეკას ხმა: „დახკარით! დახკარით!“ შეუერთდა შუა სოფლიდან ბაბოს ხმა; „დახკარით! დახკარით!“ გორგისა და ხირჩლას ყვირილი ხირიმების ქუხილმა გადაფარა. საპასუხოდ ათასობით მომხდურის თოფის ტყვიები წიოდა შატილის ქავ-ციხეთა კედლებზე.

თოფის წამლის კვამლმა დაფარა შატილი. ბევრს ისროდნენ ქვენა უბნიდან ანატორელნი. ზენა უბნიდან ჩალხია მოვარდა ანატორელთ კარს: „ცოტა ხანს შეწყვიტეთო სროლა, თოფის ნიშანს და მტერს ველარ ვხედავთო!“

„ახლებო, შატილივნებო, დღე გაგითენდათ ცდისაო,
ახდეს ზეთასვლის ბანზედა, ფერწისას უთხრეს, ლხინსაო,
საღირას თათარისშვილსა ალ უბავ თოფის პირსაო,
ჭალასა ანატორელთა რიყე აავსეს მკვდრითაო“.

კვამლსა და მტვრის ბუღში ერთი ლეკი კლდეებიდან ამოპარულიყო და პირდაპირ ნიათ ნიას შეეჩეხა თიაყათკარ კალოში. ეცნენ ხელდახელ ერთიმეორეს ლეკი და ნია. ნიას „მომცრო სდგომიყო ტანია“, ლეკი აშკარად სძალავდა. „არიქა, მიშველე, ჩიაო, ეემ ურჯულოს ვერ ვიმორჩილებო!“ – დაუძახა თავის შინაბერა ქალიშვილს ნიამ. არადა, მას იმორჩილებდა ღონიერი ლეკი. ნიათ ჩია ღონიერი და სწრაფი იყო. მამა-ქალმა წააქციეს მომხდური, ხელები შეუკრეს, იარაღი აჰყარეს და ბოსელში მიაბეს ჯორის მარგილზე.

ღამე ბათაკა დაბრუნდა სამზირიდან. დიაცს, ლელას უამბო მზევინარის სიკვდილი. ბოლოს ასე დაასრულა საუბარი: „ეემ ურჯულო მტრებსაც არ ვუსურვებ, ჩემსავით უყურონ ეესრ თავის შვილის სიკვდილს“. ჩია ტირილით უსმენდა ბიძას მზევინარის ამბავს. „ნუ სტირ, ჩიაო, ბიძაის ქალო, შენ რო ლეკ დაგიჭერავ, მაგას გავსცვლი მზევინარში, ისრ მაგეჩვენებ, ვითამ ცოცხალ დაგიბრუნდა შინში“. ჩია და მზევინარი ძმათაშვილები იყვნენ.

„ომსაც გახკვირან მაგარსა მაგ ნიათ ნიაისაო,
კაცის ომობა წესია, – ქალისა ჩიაისაო“.

შატილიდან ლაშქარი სათოფე მანძილამდე უკუიქცა. ახვერდი მაჰმადს ყველაზე მეტად ის უკვირდა, რომ შატილურაზე შატილიდან მოფარებულებსაც ხოცავდნენ. ესენი იყვნენ ეხში შემალულები. ისინი მაშინ ისროდნენ, როცა შატილზე იერიშები იწყებოდა. ამ დროს ვერც კვამლს შეამჩნევდნენ, ვერც თოფის ხმის მიმართულებას გამოიცნობდნენ. შატილზე შატილურას მხრიდან მისვლას ველარავინ ბედავდა.

მოთარეშეებმა მეორე დღეს ორმოცამდე მკვდარი და ორი ამდენი მძიმედ დაჭრილი დაითვალეს. ახვერდი მაჰმადი დარწმუნდა, რომ სოფელს იცავდა სანოვაგითა და იარაღით კარგად მომარაგებული, გაწვრთნილი, დიდი რაზმი. ახლა მან იკადრა შერიგებაზე საუბარი. შუაკაცად მითხოელი ქისტები ჰყავდათ. შატილელებმაც იცოდნენ ქისტური. ამჯერად ახვერდი მაჰმადი აღარ ითხოვდა 9 ხირიმს. ის პირობას იძლეოდა, რომ ლაშქრიანად დატოვებდა შატილს და არაგვის ხეობაში გადავიდოდა, ოღონდ ჩაკეტილი ადგილები უნდა გაეხსნათ დამცველებს.

– „ჩვენს მამ-პაპას თავის მოძმისთვის არასოდეს უღალატია და არც ჩვენ ვუღალატებთო", – შეუთვალეს შატილიენებმა. გზა კი თითოეულ სოფელს ეკუთვნის, რომლის გავლასაც თქვენ ფიქრობთ, და არავინ დაგითმობთო. ხვალ მეზობლები მოგვეშველებიან და მკვდრები გაგიმრავლდებათო. რუს-ქართველთა გაერთიანებული ჯარი ჩვენს დასახმარებლად მოემართება. ვიკმაროთ შუღლი, დაუბრუნდით თავიანთ აულებსო.

ლაშქარში გულგატეხილობა იგრძნობოდა. დაღესტნელები ზემოდან უყურებდნენ ჩეჩენ-ინგუშებს, წარუმატებლობას მათ აბრალებდნენ, რაც გათიშვას იწვევდა.

შატილელი უხუცესები ჩეჩენ-ინგუშთა ხელმძღვანელ ჰანწეთს უმტკიცებდნენ: „ტყუილად ვხოცავთ ერთმანეთს, ჩვენ მაინც მეზობლებად დავრჩებით, დაღესტნელები შორს არიან, ნუ დავივიწყებთ ჩვენი წინაპრების ურთიერთპატივისცემას. თქვენ თავისი ბაირაღით ცალკე დადექით, თქვენ თოფს არ გესვრითო. სადაცაა ბარიდან მოგვეშველებიან, გზას გადაგიკეტავთ და სრულად ამოგწყვეტთო. ამას შუაკაც ალცბექის პირით გადასცემდნენ შატილელები.

ჰანწეთი წყნარად ისმენდა და უპასუხოდ გაბრუნდა თავის ბანაკში. მეორე ღამემ მშვიდად ჩაიარა. დილით შატილიენებს ლაშქარი შეთხელებული მოეჩვენათ. ბანაკში ჩეჩნური დროშა აღარ ფრიალებდა. აშკარა იყო, ჰანწეთი თავის რაზმიანად წასულიყო უკან.

მესამე დილით უხუცესებმა ახვერდი მაჰმადთან მოლაპარაკება გადაწყვიტეს.

„ალცბექ! ალცბექ!" – ყვიროდა ციხის ჩარდახიდან მოხუცი ლაგაზა და თეთრ ბაირაღს იქნევდა.

მომხდურთა ბანაკიდანაც წამოვიდა თეთრი ბაირაღით მოხუცი. იგი თეთრცხენიანმა მხედარმა გამოაცილა. ეს ახვერდი მაჰმადი იყო. გამოცილება იმაზე მიანიშნებდა, რომ ალცბექს დაღესტნის უპირველესი ნაიბი პატივით ეპყრობოდა, ენდობოდა და მისი დანაბარები უცვლელად მივიდოდა შატილელებთან.

– „აბა, რა ამბავ მაგვიტან?" – გამოსძახა კარების შიგნიდან ლაგაზამ.

– „ჰანწეთი წავიდა, მე ახვერდი მაჰმადმა დამტოვა, დაგვჭირდებიო".

– „რა მინდავ, რას აპირებს?"

– „დაზავება მინდაო, ხვალ უკან წავალთო, ნუღარ ვიშუღლებთო".

– „დღეს წასვლას ვინ უშლის, ან აქ მასვლას ვინ ეხვეწებოდ? ჩვენ ბრმებ არ ვართ, შატილის მირგვალთ რაად გათხარეს ამოდენა სანგრებ. უთხარი: „თუ ზავ უნდ, ჩვენ ცხედარი დაგვიბრუნას, თავის ომარ მიიბარას. ჩვენებ გუშაგებ ბათაკაი' გიორგი გამაუშვან".

– „ეგრე ვეტყვი, ყურანის მადლმა", – თქვა ალცბექმა და გაბრუნდა.

ბანაკში ალცბექის დაბრუნებისთანავე ოთხმა მეომარმა ნაბადში გახვეული, ხეზე თოკით გაკრული ცხედარი მოასვენა გალავანთან. მათ ალცბექიც თან ახლდა. მეომრები გაბრუნდნენ, მზევინარის ცხედარი სახლში მიასვენეს.

– „სარდალი ამბობს, ნულარ გვესვრიანო, მკვდრებს წასაღებად მოვამზადებთ და წავალთო. ბათაკა და გიორგი ჯარეგოში არიან, იმათაც გამოვუშვებთო, ჩვენ აღარ გერჩითო".

– „გვაიძულეს, უმანკო მანდილოსანი მოგვიკლეს. ჩვენ არ გვინდოდა შუღლი, ამის მოწმე შენცა ხარ, ალცბექ! თქვენ მოთარეშენი ხართ, ჩვენ თავის მინა-წყალს ვიცავთ".

წავიდა ალცბექი, თან ტყვე ომარიც გააყოლეს.

შატილის გარეთ აღნევდა თვალვისა და ტირილის ხმა-გოდება ბათაკათ სახლიდან:

„შენი ჭირიმე, მზევინარო!
მამაცო, მამათ მომაროო!
ურჯულოთ ლაშქრის ზარდამცემოო!
ვაშკაცო, სოფლის გამმაგრეო!
შატილ ანდრეზის გამნირავოო! ..."

დამცველთა უძილო, დაღლილი მეთოფეები სხვებმა შეცვალეს. მეთვალყურეებში ქალებიც იყვნენ. შემცვლელები უფროსებმა მკაცრად გააფრთხილეს: „კარები ურდულებით მაგრა ჩაკეტეთ, ლაშქარს თვალყურ არ მააშორათ, ურჯულო არ დაინდობის".

მომხვდურებმა ჩეჩნეთისკენ მიმავალ ბილიკთან, არღუნის ნაპირზე მკვდრების მოგროვება დაიწყეს. უჩვეულოდ ბევრმა მომგროვებელმა მოიყარა თავი ქვითკირებთან, დამცველები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს.

„ზენაუბან აირბოლე, – ეუბნება თოთია წიქას, – მეთოფენ გაამთხილენ, უთხარ, რო კარებთან ახლოს იყვნან. არ მამწონს მაგეების ერთად შაქუჩება. მე ანატორელთ კარ ჩავხდებ".

მიცვალებულების ერთად თავმოყრას თითქმის მორჩნენ მოალყენი. ახვერდი მაჰმადმა გარს შემოუარა შატილს. თითო-ორორ წუთს ებაასა თავის მოადგილეებს და დაბრუნდა არღუნის პირას.

შატილის თვალწინ ალცბექი გამოიყვანეს ბანაკიდან. ხელფეხ-შეკრული მთავარ ანგელოზის სალოცავთან მიაყენეს და დახვრიტეს.

ეს ნიშანი გამოდგა ლაშქრისთვის.

ერთი ნაწილი სანგრებში ჩახტა და მიზანმიმართული სროლა დაუწყო სოფელს. ძირითადად კარებს და სარკმლებს ესროდნენ. მეორე ნაწილი გალავანსა და მის კარებს ეცა. მძიმე ჭერები ორორ კაცს მიჰქონდა და გამეტებით ურტყამდნენ კარებს. შეტევა ერთდროულად განახლდა ყველა მიმართულებით. მტერმა მიუვალ კლდეებზეც დაიწყო ამოცოცება.

ორივე კართან ძლიერი სროლით შეეგებნენ მომხდურებს. მკვდრების და დაჭრილების ზედახორა აიმართა. კარებთან ახლოს ვეღარ მოდიოდნენ დაღესტნელები. თანდათან შიგნიდან თოფების ქუხილი გამრავლდა და გაძლიერდა. გალავნის რამდენიმე ადგილზე ხელჩართული ბრძოლა იყო გამართული ხმლებით, ხანჯლებით, შუბებით, ზროიანი ჯოხებით, ქვებით ყრიდნენ ზევით ამოსულ მტერს დამცველნი. ყველა ქვითკირი ერთიმეორეს იცავდა. ახვერდი მაჰმადი ცხენით დაჰქროდა და გუნდ-გუნდად ახალ-ახალ ძალებს გზავნიდა შეტევაზე. ყველაზე მეტი მოკლული მდინარეთა ნაპირებზე ჩანდა. ნაპირები, პატარა ჭალები, ყველა ქვითკირიდან ჩანდა, ამას ემატებოდა სამზირს, ეხში მსხდომთა მიერ დახოცილები.

შატილის ბოლოში შედარებით ადვილი შესასვლელი ეგონა მტერს და დიდი ძალებით იბრძოდა. ასე ახლოს მოსულებს ანატორელთა ხირიმის ტყვიები ეგებებოდათ.

„ბოლოზე ანატორელთა ჯებირ გაღმართეს მკვდრისაო,
ბევრ ჰქონდა ტყვია-წამალი ტრიხას, გიორგის შვილსაო,
ცოლი უსხამდა ტყვიათა, იმედ თუ ჰქონდა ქმრისაო".

ქალები მართლაც გაუგონარ სიმამაცეს და გამძლეობას ავლენდნენ. თავდამსხმელები ქვითკირებს, მათ კარებს და სარკმლებს მასიურად თოფავდნენ. ერთ სარკმელში შემოვარდნილი ტყვია კედელმა აისხლიტა და აკვანში ნაწოლ მეძუძურ ბიჭს მოხვდა. ბავშვმა ერთი წამოიწივლა და დადუმდა. დედამ თვალები დაუხუჭა და ჩაკოცნა თავისი პირმშო. ტყვიას გულმკერდი გაევლო და იატაკს მოხვედროდა. არტახები მოუშვა. „შენ ცოდოიმც აქვ შენ მამკლავ ურჯულოს!" – თქვა ხოშაქმა. მამუკა ტრიხასა და ხოშაქის პირველი შვილი იყო, ტრიხა სათოფურს უჯდა და ტყვიას ტყვიაზე აგზავნიდა მტრისკენ. ხოშაქმა ცრემლები მოიხოცა და ჩუმად ტყვიების ჩამოსხმა გააგრძელა.

სწორედ ამ დროს ახვერდი მაჰმადი ერთ დაჭრილთან ჩამოქვეითდა და თავის ნაბადზე გადააწვინა. ტრიხა სწორედ ამას ელოდა. ნიშანში ამოიღო ნაიბი და სასხლეტს თითი გამოჰკრა.

– „ანატორის ჯვარის წყალობამ, ვეღარც შენ არბოლებ ლურჯას დიდხან“, – თქვა თავისთვის. კვამლი გაიფანტა და სათოფურიდან კარგად გაარჩია: სარდალი ორივე ხელზე დაყრდნობილიყო და შატილს გამოჰყურებდა, ოთხი მხედარი ამოუდგა გვერდზე და ბანაკისკენ ნაიყვანეს.

– „მაგხვდ, ღმერთისმამ, აღაროოც მაგწადდებ შატილის დალაშქვრა“, – ჩაილაპარაკა და ცოლს გასძახა: „ტყვია, ტყვია მამიტან!“

„შუღლ იქნა მზე-ჩაის დროსა, დარია, ტყვიას წვიმსაო,
დაადგა ძალი მაგარი ძმათ ნიქიაის შვილთაო,
ბატონს ჰკითხავდეს ლეკები: „შენ ხო აღარა გჭირსაო“,
თოფ დამკრეს შატილივნებმა, ოთხით დამკიდეს ჩრდილსაო,
დამამტერევიეს ბარკალი, ჩემი სიცოცხლე ჭირსაო“.

მოწინააღმდეგის ბანაკში ყველაფერი აირია. მოლაშქრეები სანგრებიდან ამოდიოდნენ და გარბოდნენ. შეტევაზე გადმოსულებმა უკან დაიხიეს, შენყდა თოფის სროლაც. ერთიმეორეს რაღაცას ეძახდნენ და ყვიროდნენ. ყვირილში ხშირად ისმოდა „ნაიბ“ და „ახვერდი მაჰმად“.

ამ არეულობის დროს მთების მხრიდან ძლიერი თოფის ხმა მოისმა, თითქოს მიწაც დაიძრა. ვაკეს (შატილის ზევით) მდგომი ლაშქარი ჭალისაკენ მოდიოდა.

„აი, დედა ვაცხონ ვაჟებისა, გუროელნ სადამ მაგვეშველნეს, ეს ბუჩასეულის ხმაი, ლეკებს ზარბაზან ღგონავ“, – დაასკვნეს შატილივნებმა.

– „აღარ ესრიათ, აღარ ესრიათ, ტყვია-ნამალ შაიხვალისეთ“, – გადაუარა უხუცესთა მოწოდებამ შატილს. სროლა ორივე მხარეს შენყდა, მაგრამ ზევიდან უფრო გაძლიერდა. გუროელები წონკილდის წვერიდან თოფავდნენ არეულ ლაშქარს.

ახვერდი მაჰმადის ბანაკში თეთრი ალმები აღმართეს. ეს ზავს ნიშნავდა. ორი თეთრალმიანი მხედარი მიუახლოვდა გალავნის კარებს და მუდარის კილოთი ითხოვეს ცეცხლის შენყვეტა. თან დახოცილებზე მიანიშნებდნენ: გაგვატანეთო.

– „მააშორან თავის მზორებ, აყროლდებ აქაურობა. ალცბე-ქის ცხედარს ჩვენ თავად მაუვლით, დაღამებამდე გაიკრიფნან აქით, გაწირან ჩვენ ადგილ, თორემ ხომ მიზდის ზარბაზნის ხმა. ხვალ კიდევ სხვებ მოგვეშველებიანა' უარესს ვუქთ!" – უთხრა აპარეკამ თარჯიმანს.

დაღესტნელები დახოცილებს მოათრევდნენ და არღუნში ყრიდნენ. აჭრიდნენ ყურს, თითს და ნიშნებს ადებდნენ, ხდიდ-ნენ ტანსაცმელს. ჩეჩნეთში არღუნს უნდა ჩაეტანა, იქ თავ-თავის ცხედარს დაიტირებდნენ და დამარხავდნენ.

ასოცზე მეტი მკვდარი ჩააგდეს არღუნში. მდინარის ვიწრო ადგილებში გვამების ხერგილი წარმოიშვა და არღუნი დააგუბა.

„ბევრ ხქონდა ტყვია-წამალი, ოთხ ძმათ, გიორგის შვილთაო, ჭანთეთ წყალმ ჩადგა ბოჯირი (ჯებირი) მაგათ ნახოცის მკვდრითაო".

ზემოთაღნიშნული დახოცილების გარდა, ორასამდე მძიმედ დაჭრილი შემოესვათ ცხენებზე და თითო დაქვეითებული მხე-დარი მიჰყვებოდა გვერდზე. ორი მხედარი მიჰყვებოდა ახვერდი მაჰმადის ლურჯას.

სასწრაფოდ დაიცალა შატილის შემოგარენი მომხდურთაგან. გუროელები შემოვიდნენ სოფელში ამბის საკითხავად. სოფელში ორი ცხედარი და რამდენიმე დაჭრილი აღმოჩნდა.

დამარცხებულმა ლაშქარმა ღამემდე მიაღწია სოფელ ჯარე-გოს. აქ მათ წინა ღამით თავისი რაზმით გამოქცეული ჰანნეთი დახვდათ.

– „გამომექეცი ხომ, კაბიანო ქალო?!" – უთხრა ახვერდი მაჰმადმა.

– „რომ არ წამოვსულიყავი, შენსავით მომიტანდნენ", – უპა-სუხა ჰანნეთმა.

– „ჩემისთანის სიკვდილი ათჯერ სჯობია შენისთანის სი-ცოცხლეს". ეს ახვერდი მაჰმადის უკანასკნელი სიტყვები იყო. იდგა 1843 წლის 18 ივნისი.

„60 შატილელი სამ დღეს იცავდა თავის სახლ-კარს ახვერდი მაჰმადის წინამძღოლობით 5 ათასი ქისტი თავდამსხმელისაგან.

მოკლეს ის თვითონ და ასი კაცი მისი თანამებრძოლი. თვითონ კი ერთი კაცი დაჰკარგეს, რომელიც ახვერდი მაჰმადის საფლავზე დაკლეს", – წერდა რაფიელ ერისთავი 1854 წელს გაზეთ „კავკაზში".

– „რამდენ ხანს სძინავ მამუკას, არ მაშივდ მაინცა?" – ჰკითხა ხოშაქს ტრიხამ.

– „მამუკას ვეღარც მაშივდება, ვეღარც მასწყურდებ, სამუდამოდ დააძინა მტრის ტყვიამ", – მიუგო ქვითინით ხოშაქმა.

– „მადლობელ ვარ, მაშიავ რო გეთქვ, იქნება ქვე ავჩქარებულიყავი, კარგად ვერ დამელიშნ. საიქიოს მამუკას ხუთი-ექვს მემსახურე დახვდებ", – თქვა გადაფითრებულმა ტრიხამ. აკვანთან დაიჩოქა და საკამალე გადახადა. პირველად და უკანასკნელად ეამბორა შუბლზე შვილს.

– "შენებ უმცროსებიმც არიან ჩემებ ნათოფრებ, მამაის კაცო, ნათელშიამც იქნებ!"

მეოთხე დღეს ბათაკა დაბრუნდა სახლში. ქისტებმა ღამე გამომაპარესო. გიორგი ახვერდი მაჰმადის საფლავზე დაეხვრიტათ. ბათაკას ალცბექის ბიძაშვილები მოჰყვნენ და ცხედარი წაასვენეს.

ექვსი წლის შემდეგ, 1849 წელს, რუსებმა შატილში ეკლესია ააშენეს, გალავანი გაამაგრეს; შატილივნებს ჯვარ-მედლები დაურიგეს. ეს ჯვარ-მედლები შატილივნებმა სალოცავში ვერცხლის თასებზე დაჰკიდეს. „ამეებს ვინ აჯღარუნებსავ" (ვინ ჩამოიკიდებსო). ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ინახავდნენ შატილივნები ნაიბის ნაქონ თეთრ ნატყვიარ ნაბადს.

მეფის ნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა შატილივნებს ამ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების ჯილდოდ ქვა გამოუგზავნა რუსული და ქართული წარწერით:

„უმაღლესისა ბრძანებისამებრ, ჯილდოდ შატილელთად, დამარცხებისათვის ახვერდი მაჰმადისა და მისთა შეყრილთა ჯართასა ჩყმგ (1843) წელსა შინა. აღშენებულ არს ჩყმთ (1849) წელსა განკარგულებითა კნიაზისა ნამესტნიკისათა".

ეს ქვა ამჟამად სოფლის მუზეუმის ქვითკირის კედელზეა მიმაგრებული. დაინტერესებულ სტუმრებს დაუფარავი სიამაყით ვუჩვენებთ ხოლმე.

ამჟამად შატილის რესტავრაცია მთავრდება. თუმცა მაშინდელი შატილის „სახეა ოდენ ჩრდილისა".

„ნისლი შავის ზღვით მასულა ადგილსა ნაპირისასა,
ქვითკირნი კირით ნალესნი ქავს მაივლევენ ქვისასა,
შიგა სხავ მეთოფეები, – ფერს დაიდებენ მგლისასა,
ვერ გაუტეხავ შატილი ლაშქარსა შამილისასა".

ხმით მოტირალი კი მოთქვამს:

„შატილიონთამც ვენაცვლებიო,
ლეგათ ჩოხათა, წყემსის ქუდთაო,
ფარაგში ჩხირჩამაგდებულთაო,
არა იციან ფარ-დანანიო,
უბავა ალი თოფის წვერთაო!"

ნიჭიერი მოტირალი მანდილოსანი შატილიონთა თავმდაბლობასა და უბრალოებასთან ერთად მათ სიმამაცესა და სიმაღლესაც აქებს.

ჯალაბაურები და ფშავლები

წინა საუკუნეებში მეზობელი თემების შეტაკებები არც თუ ისე იშვიათად ხდებოდა. განსაკუთრებული შუღლი შეინიშნებოდა ფხოველებსა და მათ მოსაზღვრე ძურძუკ ტომებს შორის. რაღაც საქმეს კაცის კვლა მოჰყვებოდა და თემები და სოფლები დაუპირისპირდებოდნენ ერთიმეორეს. ეს დაპირისპირება მწვავდებოდა და ათეული წლობით გრძელდებოდა.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ფშავლებს ჩეჩნეთიდან პირუტყვი მოუტაციათ და შატილის გავლით მიჰყავდათ ფშავისკენ. ამ ლაშქარს ერთი ქართულად მოლაპარაკე ქალი გამოჰყოლია უკან: „მაგ პირუტყვში ჩემი საქონელიც ურევია და ნუ წაიყვანთო". გაირკვა, რომ შატილელი ჯალაბაურების (ჭინჭარაულების) გაზრდილი თუში ქალი ყოფილა გათხოვილი ჩეჩნეთში და ის სთხოვდა თავისი პირუტყვის დაბრუნებას ფშავლებს. რომ აღარ მოეშვა, ერთ ფშაველს სამკლავიანი ნიდაყვი უკრავს სახეში – „მოგვეშვიო". ქალს სისხლი დასდენია და ასეთი მოსულა შატილში.

ჯალაბაურ ვაჟუსძეს უკითხავს ქალისთვის: „რა მოგივიდაო?" ქალსაც უთქვამს ყველაფერი და ის ფშაველიც უსწავლებია, ვინც ჭრილობა მიაყენა. ვაჟუსძეს თავისი ქვითკირიდან თოფი დაუკრავს და ის ფშაველი მოუკლავს. ფშავლებს ხმისამოუღებლად საკაცეზე დაუწვენიათ გარდაცვლილი და წაუღიათ. ასე დაწყებულა შატილივნებისა და ფშავლების დაპირისპირება. ამ დროს ჯალაბაურები (შატილიონ ჭინჭარაულების ერთ-ერთი ქვეგვარი) ბევრნი ყოფილან. მარტო თათარ ჯალაბაურს ჰყოლია ხუთი შვილი, ერთიმეორეზე უკეთესები. აქ ნახსენები ვაჟუსძეც ერთ-ერთი მათგანია.

მელექსე საყვედურობს თათარს (კაცის სახელია): „ფშავლებს და მათ ძლიერ სალოცავს, გიორგის, რად აეკიდე, ეგ ჭკვიანური არ არისო":

„თათარო, ჯალაბაურო, შვილს ყამარისძე ხქვიანა,
გიორგის რად აეკიდე, ჭკვა მაგას არ მიქვიანა,
წყლის პირჩი გიდგას ქვითკირი, ზედ ირმის რქანი ხკრიანა,
კუთხზეით ქვანი დაღგლიჯნა, დღესაც სიმურში ხყრიანა"!

ამ პერიოდში გიორწმიდაში ფშავლები ცხოვრობდნენ. ისინი ლეკების ლაშქარს გაუწყვეტიათ. ერთ ადგილს, სადაც შეტაკება მომხდარა, სისხლი დაღვრილა, ახლაც ნასისხლარი ჰქვია. გიორწმიდაში გუროელები მე-19 საუკუნის ბოლოს მოსულან. იქამდე შატილელებს დაუკავებიათ ოხრად დარჩენილი მამულები, შემდეგ გუროელებისთვის დაუთმიათ, მიუყიდიათ.

ლეკების შემოსევის შემდეგ გიორწმიდის ხეობის შესასვლელთან, არღუნის მარჯვენა მხარეს, ლამაზი, მაღალი კლდის თავზე აშენებულ ქავ-ციხეში ცხოვრობდა შატილიონი ჯალაბაურების სიძე, საგინა გიორწმიდელი. მას ბევრი მამული ჰქონია, სჩანს, ჯალაბაურებს მისი გაძევება უნდოდათ, რის გამოც მას ავიწროებდნენ და ათასგვარ შარს სდებდნენ. ერთხელ საგინას მოკლული ჯიხვ-მოზვერი წაართვეს. სიძე ეხვეწა: „თირკმელები მაინც მომეცით, თქვენს დისშვილებს რომ მივუტანო, ხელცარიელი როგორ მივიდე სახლშიო". არაფერი მიუციათ. მეორედ კიდევ ორი ძროხა წაუყვანიათ შატილში. საგინა, სიძე ისე გაუმწარებიათ, რომ გადასახლება გადაუწყვეტია, მაგრამ ჯერ ჯალაბაურების ამოწყვეტა განუზრახავს.

ერთ გაზაფხულს საგინას მამულების ხვნა დაუწყია და თესლი კი არ დაუთესია. ლუდი მოუხარშავს, ჯალაბაურები – ქუდზე კაცი მოუწვევია, თან ფშავლები დაუბარებია მათ გასაწყვეტად.

„საგინავ, გიორწმიდელო, კაცი მასტყუვდი ჭკვიანი,
ყანა ხჭან, თესლი არ სთესე, ლუდი ადუღე სვიანი,
ანიენ ჯალაბაურნი, მამით შვილამდე მტრიანნი,
არ წამაგივა წევითა, საყურაისძე ჭმლიანი,
მშავლებიც დაგიბარებავ, გიორგი გულდაღრიანი".

ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი 1961, გვ. 13.

საგინამ დათქმულ დღეს (ღამით) ფშავლები მიიღო და ქავ-ციხეში ჩაასაფრა. მოუვიდნენ ცოლეური ჯალაბაურებიც. ფშავ-ლებს დავალება მისცა: „როგორც უხუცეს ჯალაბაურს, ვარდანას ლუდიან კოშს მივანვდი, ნიშანი იქნება მათი ამოწყვეტის დაწყე-ბისაო".

ხევსურეთში ოდითგანვე წესად იყო: სტუმრები მისვლისთა-ნავე იარაღს მასპინძელს აბარებდნენ. მასპინძელი გულდაგულ ინახავდა ყოველგვარ იარაღ-აბჯარს და წასვლისას უბრუნებდა სტუმრებს.

ჯალაბაურები დანდობილად უიარაღოები დასხდნენ საგინას მომზადებულ სუფრასთან. მკითხველს ალბათ გაახსენდება თრუ-სოს მომხდარი ტრაგედია: ზურაბ ერისთავმა 60 რჩეული ხევსური რომ მიიწვია და ღალატით გაჟლიტა. თუმცა ამის შემდეგ უფრო გაუჭირდა და ვერც შეძლო ფშავ-ხევსურების დამორჩილება. მო-ღალატე ზურაბს არაერთი დამარცხება აგემეს მთიელებმა.

მოღალატე სიძემ, საგინამ, ლუდიანი კოში მიანოდა უხუცეს ჯალაბაურს, ვარდანას, თან დასძინა: „ეს იმისი პატივი იყოს, თავის დისშვილებს ძროხები რომ წაართვით და პირიდან ძუძუ ამოსწვადეთო". ვარდანამ მოულოდნელად კარგი სიტყვა დაუ-ბრუნა: „ვარდანა მაგიკვდას, სიძეო, თუ ხვალავ ორის მაგივრად ოთხი ძროხა არ შამაგივლივ (მოგიყვანო)".

საგინას ხელიდან გაუვარდა ლუდიანი კოში. ნიშანი მიცემუ-ლი იყო და ვეღარაფერს უშველიდა. საფარიდან შეიარაღებუ-ლი ფშავლები გამოცვივდნენ, უიარაღოებს დაერივნენ და ჩეხვა დაუნყეს. ეტყობა, ვიღაცას შერჩა შემთხვევით იარაღი, ან მო-ნინააღმდეგეს წაართვეს, რამდენიმე ფშაველიც დაღუპულა ამ უთანასწორო ბრძოლაში.

„გადად-გადმადის მშაულები, ეძახან ვარდანასაო:
„ვარდანავ, კარჩი გამოდი, ნუ მაიმთვრალებ თავსაო,
თას თუ გიჭერავ ჭელჩია, ძმას მიე, მგელურასაო,
ფანდურნ თუ გქონა ჭელჩია, მისცენი ცოლის ძმასაო";
„გამავალ, მჭედლურის მზემა, გამავიყოლებ ჭმალსაო,
წაღმაც დავიქნევ, უკუღმაც, რუსულ რო ჭრიდას ძვალსაო,

საკაცით წაგაღებიებთ გულდიდ ქალუნდის ქმარსაო,
მარჯილით გათრევიებთა დრუზაულასა მკვდარსაო;
ვა, თქვენს ვარდანას, მშავლებო, ვერ გადმოვედი ქავსაო,
ქავზე თუ გადმავსულიყავ, რიყედ დაგყრიდით მკვდარსაო!"
ქავშიგით აპრიალებდა ვაშკაც ტიტველას ჴმალსაო".

ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი 1961, გვ.14

ამ შულლში ჯალაბაურების უმეტესობა ამონყვეტილა. მათ შორის ძმები: ვარდანა, ყამარისძე და მგელურა რომ ამ ხელჩართულ ბრძოლაში დაიღუპნენ, ამის შესახებ გადმოცემებმა ჩვენამდეც მოაღწია. ერთი ახალგაზრდა ჯალაბაური საგინას მეზობლებს ბრძოლის დაწყებამდე გაუხიზნავთ იქვე, კლდის ეხში. ისიც გადარჩენილა და შემდეგ ფშავლების წინააღმდეგ იბრძოდა სხვა გადარჩენილ ჯალაბაურებთან ერთად.

საგინას მოწვეული ფშავლები გარა თურმანაულის მოყვანილები ჩანს. საგინა ამ ლაშქარსვე გაჰყოლია უკან, აქ აღარ დაედგომებოდა. გარა თურმანაული ამ შეტაკებამდეც ჩანს შატილში საომრად ნამყოფი. ეტყობა, თურმანაულებს და ჭინჭარაულებს (ჯალაბაურებს) ადრეეეც ჰქონდათ ერთმანეთში სისხლ-მოსისხლეობა. ვაჟუსძის მიერ მოკლული ფშაველის სისხლიც ხომ ასაღები იყო.

ჯარით შატილისკენ მიმავალ გარას კისტნელი ბებერი ტირილით მიმართავს:

„კისტან ატირდა ბებერი: „ჯარით სად მიხვალ, გარაო",
„შატილჩი მივალ, ბებერო, ვარდანამ დამიბარაო,
მე-დ' ვარდანმ უნდა ვიომათ, უნდა იჭეხნას ცამაო,
გვერდ უნდა გადაიქციას ვარდანის ციხის ქვამაო,
ცრემლით პირ უნდა იბანას შუქომ, ვარდანის ქალმაო!"

მედგრად უხვდებოდნენ თავდამსხმელებს შატილიონი ჯალაბაურებიც:

„თათარი ჯალაბაური საფეხვნოს იჯდა სკამითა,
აიყრის ჯაჭვ-მუზარადსა, დახკეცს, დაიწყობს თავითა,
ლაშქრად მასულთა ფშაველთა ეგებებ სტუმართავითა,
გამააბრუნებს ქაჩუსა, აგორებს დათვებსავითა,
უკენ შვილთ გამაუყენებს ლეგის მგლის ლეკვებსავითა!"

ამ დროს შატილივნები შატილშიც ცხოვრობდნენ და ქაჩუშიც. ქაჩუ სიპერდით დახურული ყოფილა. განთქმული ხოშაქის ტურა ოცნებობდა, შატილი და ქაჩუ დაელია, გაეწყვიტა, ან გურო გაეტეხა. ეს სოფლები ძნელად მისადგომი და დასაპყრობი ჩანს. ხოშაქის შვილს, ტურას უკავშირდება დაპყრობის მიზნით ქაჩუელებისთვის წყაროს დაწყვეტა. ქაჩუელებმა ღამით თოკზე მობმული მატყლის ნართით არღუნიდან დაიწყეს წყლის ამოზიდვა და უწყლობით არ შეწუხდნენ. მტერმა ვერ შეძლო მათი გატეხვა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქალის სახელი ხოშაქი, ხოშექა (ხვაშაქი) გურო-შატილის თემებში მე-20 საუკუნის ბოლომდე შემორჩა. მკითხველს შევახსენებთ: თამარ მეფემ ისანში კარვით განდგომილ ყუთლუ არსლანს და მის დასს მანდილოსნები კრავაი ჯაყელი და ხვაშაქ ცოქალი მიუგზავნა მოსალაპარაკებლად.

ხოშაქის ტურას ოცნება და სურვილი აუსრულებელი დარჩა, არ დაუთმეს მოძალადეს თავისი მიწა-წყალი და საცხოვრისი პირიქითელმა ხევსურებმა.

„ხოშაქის ტურა ღმერთს ეხვეწ: „ღმერთო, დღე მამე მზიანი,
დამალევიე შატილი, ქაჩუი სიპერდიანი,
ან გურო გამატეხიე, – ახალგორ სიმაგრიანი,
ანაც ტყვე დამაჭერიე, – კისტნელი, მანდილიანი!"

ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი,
თბილისი, 1961, გვ. 389

საგინას მიერ ჯალაბაურების ამოწყვეტის შემდეგ ისინი თითზე ჩამოსათვლელებილა დარჩენილან. მათ შორის ძმებს, ნიქას და მჭედლურას, გაუგრძელებიათ ფშავლებისთვის მიყოლა სისხლის აღების მიზნით. ერთხელაც უკანა ფშავში, ცაბაურთას, განთქმული ვაუკაცი მოუკლავთ. კვალზე მთელი თემი დასდევნებია. უკან წამოსული ძმები მხრის ასაქცევად ანდაქის გადმოვლით ხიდოტანზე გადმოსულან.

დადევნებულ ფშავლებს არდოტზე ჩამოუვლიათ და მუცოში უკითხავთ: „ჯალაბაურებმა ხომ არ ჩაიარესო", მუცოელებს ჯალაბაურების რაღაც ჯავრი ჰქონიათ და ფშავლებისთვის უთქ-

ვამთ: „ჯალაბაურებს არ ჩაუვლიათ, შეგიძლიათ ჴონის ორნყალში გზა შეუკრათო".

ფშავლების მდევარს გზა მართლაც შეუკრავს. ძმებიც მალე მოსულან, მათ თან ახლდა დისშვილი ქისტი ვაზუაც.

მოსულებს ფშავლებმა ვინაობა ჰკითხეს. „აი, თქვენმა მზემავ, ვერ იცნობთავ წიქასავ", – უთქვამს და ხმალზე ხელი გაუკრავს. დაუსწრიათ და თოფი დაუკრავთ წიქასთვის. მჭედლურა კლდეებში ასულა და იქიდან დაუწყია სროლა. ვაზუა გზადაგზა გაჰყვა ხეობას მუცოსკენ. მას დაედევნა ჯალაბაურთა სიძე, – ბაია. ქისტი მოუბრუნდა და ხმლით თავი გაუჩეხა ბაიას. ეს ბაია ადრეც ყოფილა შატილში. მას ცოლისძმა, ბექა ჯალაბაურის შვილი მოუკლავს:

„ლაშქარს, ბაიავ, ნუ წახვალ, ქალი გყავ ბექაისაო,
ცოლისძმა შემოგაკვდება, ბრალია ერთაისაო!" –

ეტყობა დედისერთა იყო.

კლდეში ასულ მჭედლურას ტყვია გასთავებია და მაქცის (მაგარი ბუჩქოვანი ხეა) ტყვიები უსროლია. ერთ ფშაველს ჩოხის კალთაში გასჩრია. „მაგას ტყვია აღარა აქვს, ავალ, ხმალში გამოვიწვევ, თქვენ თოფი დაჰკარითო", – უთქვამს მას. ასულა და მჭედლურას ერთი შემონახული ტყვიით ერთიც მოუკლავს. შემდეგ ბრძოლა ხმლით გაუგრძელებია და ისიც მოუკლავთ.

„მაღლა ნუ დახვალ, ყორანო, დაბლა დაუშვენ მჴარნია,
ჩახედენ ჴონის ორნყალთა: სისხლსა წვიმს, ზედ ხო დარია;
ომობენ ჯალაბაურნი: წიქა, მჭედლურა ძმანია
მჭედლურამ ძმათუარემა, ღება სიათის ტალია,
ცხრანივ იძებნნა ძმა-შინშნი, მეათე თავის თავია!"

ჯალაბაურ-ფშავლების ამ ნაბრძოლს ჴონის ორნყალთან ამჟამადაც „ნაომარი" ჰქვია. ბევრმა ეხლა აღარ იცის, ვისი ნაომარია აქ.

ნახევარ საუკუნეს გრძელდებოდა ეს მტრობა. ბოლოს სხვადასხვა თემების უხუცესობა შეიკრიბა და გადაწყვიტეს მათი შერიგება. ეს გადაწყვეტილება შედგა უკანა ფშავში, ლაშარის ჯვარში. კენჭებით დათვალეს ორივე მხარეს მსხვერპლი. ჯა-

ლაბაურების მოკლულებმა ბევრად გადააჭარბეს ფშავლებისას. სისხლის აღება უნდა დამთავრებულიყო. ფშაველმა ხევისბერმა ნაჭარბი კენჭები პეშვით შეაყარა თურმე ლაშარის ჯვარს და წარმოთქვა: „ლაშარის ჯვარო, შენნიმც ყმან იქნებიან დღეის შემდეგ ჯალაბაურნიო“. ამის შემდეგ ჯალაბაურები საზღვნელად ყოველ წელს მიდიოდნენ ლაშარობას და მოზვერს უკლავდნენ დიდ სალოცავს.

ჩუმელაურთ დალევა

თემებსა და სოფლებს შორის შეტაკებების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ზეზე იჯეს ჩუმელაურების ამოწყვეტა.

კისტნის მარცხენა მხარეს ერთი პატარა ხეობაა. აქ ოდესღაც ორი სოფელი ყოფილა – ზეზე (ზემო) იჯე და ქვექვე (ქვემო) იჯე. ამ ხევის შესასვლელში, კისტნის დაცლის შემდეგ, კისტნელები დასახლებულან და ახალი სოფელი – იჯისკარი შექმნილა.

ზეზე იჯეს მცხოვრებ ჩუმელაურებსა და მეზობელ კისტნელებს შორის რაღაც უთანხმოება წარმოქმნილა, ალბათ მამულების თაობაზე. კისტნელებს სხვა სოფლელებიც მიხმარებიან და ერთ დილას თავს დასხმიან ჩუმელაურებს. მელექსე ამ ტრაგიკულ ამბავს დაწვრილებით აღწერს:

„კისტანში ობოლაურნი ჯარს ყრიან ჭევსურისასა,
შატილით შატილივნების, გუროელთ ახლებისასა,
ჩქარობენ მამისაურნი, ომ ღგულავ თენებისასა,
მაუვლენ ბაბკიაურნი, ბოლოს ჰგვან არწივისასა".

ეს ბაბკიაურები (ამჟამად ჭინჭარაულები) კისტნის ახლოს, არღუნის მარჯვენა მხარეს ცხოვრობდნენ, სოფ. ჭეჭყეთში.

„ომ იქნა ზეზე იჯესა, დაელნებას ჰგავ ცისასა,
დალივნეს ჩუმელაურნი დილას, ამაეს მზისასა,
კვირობდნენ სისხლში გასვრასა ფერაულთ ფრანგულისასა".

ფერაულები ხახმატელები არიან, ალუდაურის ერთი მამიშვილობა, ქვეგვარი.

„გაიქცა ჰამაიკაი, გზა გაიტანა მთისასა,
მტრისაკე გაჯავრებული კბილით პირსა ხკვნეტს ქვისასა".

გადმოცემით, ეს ჩუმელაურები ქისტური წარმოშობის ხალხი ყოფილა და აქედან მთადამთა გაქცეული, თავდამსხმელებს გადარჩენილი ჰამაიკა შატილში ჭინჭარაულების ერთ ქვეგვარს, თიაყათ შეეკედლა და შემდეგ ჭარ-ქვაბით სამუდამოდ შეეყარა.

მისი შთამომავლები შემდგომ კისტნელებს და ხახმატელებს ედავებოდნენ: „ჩვენი მამა-პაპა რატომ ამოსწყვიტეთო".

ჩუმელაურებიდან ერთი დაუძლურებული ბებერი გადარჩენილა, სიბერის გამო არ მოუკლავთ.

„ლოგინჩი დარჩა ბებერი, მამტანს ნატრულობს ნყლისასა,
ჯანგოტი ჯალაბაური დროს აძლევს წვალებისასა!"

ჩუმალაურების დალევაში მონაწილე ამ ჯალაბაურს უთქვამს: „ეს მოხუცი დავტოვოთ, ასე შიმშილ-წყურვილით, წვალებით მოკვდესო".

შატილივნები და ზელიმხანი

მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში მდინარე თერგისა და ასას ზემო წელზე რუსებს აუმხედრდა და სახელი გაითქვა ცნობილმა ინგუშმა ყაჩაღმა ზელიმხანმა. ხევსურეთში ამჟამადაც ბევრმა ზეპირად იცის მის შესახებ ნათქვამი შესანიშნავი ლექსი:

„... ვერვინ იცნობთა ყაჩაღსა, ძელიმხან ქისტის შვილსაო,
აიკლა თერგის ობლასტი, ხალხი ტყვედ მიუდისაო,
ჩვენც იმას მიგვაყოლებენ, არ გვაძინებენ ძილსაო".

ეს ის ზელიმხანია, ინგუშეთში, ღილღოს, ნატო ვაჩნაძის მამა – გიორგი ანდრონიკაშვილი რომ მოკლა. ანდრონიკაშვილი პოლიციაში მუშაობდა. მისი ჯგუფი ეძებდა ზელიმხანს, როგორც ბოროტ დამნაშავეს. ზელიმხანმა შეუთვალა: „ნუ დამდევ, ჩამომეხსენიო" და რაკი არ მოეშვა, დაასწრო და მოკლა პოლიციის ხელმძღვანელი. ზელიმხანს ბევრ სხვა დანაშაულშიც ედებოდა ბრალი, ამიტომ სახელმწიფო გზებზე ვეღარ დადიოდა, მივარდნილ, ძნელად მისადგომ ადგილებში დათარეშობდა. მან ოციოდე თავზეხელაღებული ჯიგიტი მოაგროვა. ამ რაზმით მეზობელ თემებშიც ძარცვავდა ხალხს.

შემოდგომის ერთ დღეს სათიბიდან შინ მიმავალი შატილიონი სამუკათ ლუხუმა ზელიმხანის კბილებამდე შეიარაღებულ ჯგუფს ანატორის სალოცავთან შეხვდა. ლუხუმა მეფის რუსეთის არმიაში ნამყოფი ყოფილა. იქიდან რუსული თოფი ჩამოჰყოლია, სროლაც კარგი სცოდნია. ზელიმხანის ჯგუფის წევრებმა ლამაზ ვინტოვკას თვალი დაადგეს და წართმევა მოიწადინეს. ზელიმხანმა არ მოიწონა ასეთი საქციელი. ეს ვაჟკაცის დაჩაგვრად ჩაითვლებოდა. ზელიმხანმა შეჯიბრი შესთავაზა ასეთი პირობით: თუ ზელიმხანი აჯობებდა ნიშანში სროლაში, თოფი უნდა დაეთმო ლუხუმას, თუ არა – დაუტოვებდნენ. ხუთ-ხუთჯერ უნდა ესრო-

ლათ. პირველმა ზელიმხანმა ესროლა დაწოლილ მდგომარეობაში, ხუთიდან სამი მოხვდა სამიზნეს. ახლა ლუხუმას ჯერი დადგა.

ლუხუმა მუხლებზე დაცუცქდა, აუჩქარებლად დაუმიზნა, ზედიზედ ხუთივე ესროლა და ყველა მოახვედრა სამიზნეს. მეხუთე ტყვიის მოხვედრისას თეთრი ბროლის ქვა ნაფშვნებად იქცა. „ყურანის მადლმა, კარგი მეთოფე ვაუკაცია", – ჩაილაპარაკა ზელიმხანმა. შატილი ორ კილომეტრზე იყო დაშორებული. აქედან თოფის ხმასაც გაიგონებდნენ. თოფის წართმევის სურვილი აღარავის ჰქონდა. ზელიმხანს და მისი რაზმის წევრებს კარგად მოეხსენებოდათ, რომ შატილში ლუხუმასავით კარგი მეთოფეები სხვებიც იქნებოდნენ. ლუხუმას მეგზურობით ზელიმხანის რაზმი შატილში მოვიდა. შემზარავად და ჩუმად გამოიყურებოდნენ შატილის ქავ-ციხენი.

ზელიმხანმა მამასახლისი. მოიკითხა. ლუხუმამ თიაყათ კარ, თოთიასთან მიიყვანა დაუპატიჟებელი სტუმრები. წარმოსადეგი აღნაგობის მოხუცი ჩეჩნურად მიესალმა „სტუმრებს" და სადაურობა ჰკითხა.

– „ღილღველი ვარ, ზელიმხანი, ესენიც ჩვენებურები არიან", – თამამად უპასუხა ზელიმხანმა.

– „ზელიმხანი იციან შატილში, გაგვიგონია მისი ვაუკაცური საქმეებიც, რისთვის მოსულხართ ჩვენს მხარეში?!"

– „ბარისკენ მოვდივართ, თქვენგან ცნობა დაგვჭირდება არაგვის ხეობაზე სამგზავროდ!"

– „სხვა თემის მცხოვრებლებს, თანაც უცნობებს, ცნობას ვერ მოგცემთ!"

– „გითხარით, ვინცა ვართ, ნებით თუ არ მოგვცემთ, ძალით გამოგართმევთ!"

– „ძალადობა რა საკადრისია. თუ სხვაგან გაგივიდათ ასეთი ქცევა, შატილში ამას არ გირჩევთ, ჯიგიტებო!"

გამკაცრებულ, გახმამაღლებულ საუბარზე გვერდითი სახლიდან თოთიას უმცროსი ძმა, ხოლიგა გამოვიდა.

„აქით მააშორ ე ურჯულო ცხენისმჭამლებ, თორე სისხლით გამავსტყეპ ე თიაყათ კარს!" – ხანჯალზე ხელდადებულმა ჩაი-

ლაპარაკა ხოლიგამ და ავად მიაჩერდა თოთიას და მიახლოებულ ზელიმხანს.

„რაო, რას ამბობს!“ – შეეკითხა ზელიმხანი.

„მშვიდობით მოსულები, მშვიდობიანად წადით შატილიდანო, ამბობს ჩემ ძმა“, – „გადაუთარგმნა“ თოთიამ.

ამ საუბრისას მოსაზღვრე ქვითკირების სარკმლებიდან და სათოფურებიდან თოფის ნვერები გამოჩნდა. ხმაური და ხმამაღალი საუბარი უახლოვდებოდა თიაყათ კარს. ერთი თოფის გავარდნა, ან ერთი ხანჯლის გაელვება დიდი უბედურების დატრიალებას გამოიწვევდა.

– „სახლში შემოდით, პური გატეხეთ!“ – შეიპატიჟა თოთიამ ურჯულოები.

– „არა, გვეჩქარება“, – თქვა ზელიმხანმა. თანარაზმელებს ანიშნა ცხენებზე ამხედრება და თვითონაც ლამაზ ლურჯაზე შეჯდა. თან მამასახლისს მიმართა:

– „მადლობლები ვართ, ბიძაჩემო, დაუვიწყარი იქნება თქვენი მასპინძლობა ჩვენთვის!“

– „ჭელ მაგიმართასთ, ვაჟებო!“

სწრაფად დატოვა რაზმმა შატილი. ღიმილმორეული მზერით მიაცილებდნენ ცხენ-მხედრებს თოფ-იარაღასხმული სვილისფერი შატილივნები.

სამზეოს ნამყოფი შატილივნები ვალს არავის არჩენდნენ. საიქიოშიც, სულეთში, არ ემორჩილებიან იქაურ წესრიგს და უფალს. სამზეოში გასასვლელ კარებს ლეწავენ, ძალს ბედავენ, რასაც სხვები ვერასოდეს ჩაიდენენ. მუცოელი მელექსე სუხია დაიაური ასე ახასიათებს მათ:

ვაჟებმა შატილივნებმა სულეთ გაბედეს ძალია,
სრუ გაამტვრიეს კარები, სამზეოს გასავალია,
იმით შამასწყრა უფალი: „აქით ვერ დიან სხვანია“,
ამაგის მალექსებელი ომათ სუხია ვარია,
ნუმც გაჩენილა ჭალაი, მემრ მანდ ნადენი წყალია,
ორნივ ჭელჩიით ნამართვნა: ჯერ ძმა და მემრე ზალია,
ამაშინ უგონთგასული ჯერაც იქავ მთვრალ ვარია!“

ახალი წელი შატილში

ახალი წელი, „წელწადი" შატილში, და მთელ ხევსურეთშიც, ახლით იანვრის 13-ში, პარასკევ საღამოს შემოდიოდა, ე.ი. მეორე კვირის შაბათი იყო ძველით პირველი იანვარი. დღეობა თითქმის ერთ კვირას გრძელდებოდა. ამ დროს შატილის მოსახლეობის, ოჯახების უმეტესობა საზამთროებში, საბოსლოებში: აცეხში, ფიჭვში და მუცოსჭალაში იყვნენ გახიზნულნი. ზამთარში იქ კვებავდნენ საქონელს.

დიასახლისები საახალწლო ხინკალ-კეცეულებს, სალოცავებში გასადიდებელ და მასანთებ ქადა-ქადისკვერებს ამ საზამთროებში ამზადებდნენ და ღამე ჩამოჰქონდათ შატილში.

იქვე ხდებოდა მომზადებული სუფრისთვის სახელის დადება (წარსულთა მოგონება). სახელი ედებოდა არა მარტო უშუალოდ ამ ოჯახიდან საიქიოს წასულებს, არამედ უნანილოთ, ვისაც სამზეოს მომგონე არ დარჩათ, იმ წასულებს, რომლებსაც ადრე ეკუთვნოდათ ეს სახლ-კარი და ადგილ-სამყოფელი.

ყველა მოსახსენებელი სუფრა უნდა გადახალისებულიყო, გაახლებულიყო: ლუდ-არაყით, წყლით, სამი ხმიადით და ა. შ. ბოლოს სამი პურით, ერთი თასი წყლით და ერთი მწიკვი მარილით იდგმებოდა ახალი ტაბლა. ამით იხსენებდნენ ურჯულოთ, მეზობელ მუსლიმანებს. მათი სული რომ არ შეეწუხებინათ სასმლით, საპოხით (ერბოთი) და ჩვენგან დაკლული ხორცის ნაწარმით, მათ ამ წმინდა პურ-მარილით იგონებდნენ, იშორებდნენ. ეს უნიკალური წესი ადგილზე ჩამოყალიბებული ჩანს. ეტყობა საუკუნეების მანძილზე ახლომეზობლობამ შექმნა. შატილივნები ამით თითქოს სარწმუნოებაზე მაღლა აყენებდნენ იმქვეყნიურ ყოფას და სტუმარ-მასპინძლობის შეურყვნელ წესებს.

უფროსი მამაკაცი, პაპა ან მამა ტაბლიდან კოვზით ერბოს აიღებდა, ახსენებდა ღმერთს, სალოცავებს; დალოცავდა ახალწელს, მოულოცავდა მთელ ოჯახს. უსურვებდა ბედნიერებას, გახარებას, გალაღებას, გამრავლებას კაცისას და საქონისას. სამჯერ ჩააწვეთებდა ერბოს ცეცხლში. ახალი წელი, „წელნადი" შემოყვანილი იყო, მარხვა გასული, საახალწლო სუფრა გახსნილი.

იფქლ-ქერისაგან დამზადებული, წინასწარ ნახადი არაყი ოჯახებს შატილში ჰქონდათ. ლუდი კი იმ წელს წილისყრით (კენჭისყრით) არჩეულ, სალოცავების დასტურ-ხელოსნებს ერთი კვირით ადრე უნდა მოეხარშათ და დაეყენებინათ კოდებში, სალუდე საქვაბეში.

საახალწლოდ ამთხვევდნენ ქორწილებს, საღმერთოებს, წლისთავებს და ა. შ. ამის გამო სტუმრიანობა, განსაკუთრებით ბედისკვერაით მოკითხვა, გახშირდებოდა ხოლმე. შატილში ახალი წლის დღეებში ტონობით იხარჯებდა ლუდ-არაყი. ბევრ ოჯახში ქალები ამზადებდნენ აგრეთვე ალაოსაგან დაყენებულ, გაზიან, გამამხნევებელ, პირშუშხა სასმელს – კაპარს, რაც ნაბახუსევზე მოსწონდა მამროანს.

მთაში, შატილში, განსაკუთრებით ბავშვებისათვის დაუვიწყარი იყო ახალი წელი. ერთგვაროვანი, მოსაწყენი ცხოვრება ერთბაშად ხმაურიანი, სახალისო და მხიარული ხდებოდა. თემ-სოფლელები ერთიმეორესთან მოსაკითხით მიდი-მოდიოდნენ. ლხინგართობები მატულობდა. ბავშვებიც მეტ-ნაკლებად მიჰყავ-მოჰყავდათ სტუმრად. ბავშვებისთვის განკუთვნილ მომცრო ტიკს აგვკიდებდნენ, შუაში ჩაგვიყენებდნენ და დედულებთან თუ მძახლებთან მივემგზავრებოდით. გზაზე ღირსახსოვარ ადგილებში ჩერდებოდნენ და წინაპრებს იგონებდნენ. განსაკუთრებით სახალისო იყო ბედისკვერაით რძლების მოკითხვა. დანიშნული რძალი ქორწილამდე ხშირად რამდენიმე წლით იმყოფებოდა მამის სახლში. ყოველ ახალ წელს ქმრეულებს სარძლო უნდა მოეკითხათ და ბედისკვერა მიეტანათ მისთვის.

ბედისკვერა იფქლის ფქვილისგან გამომცხვარი ერბოიანი ხმიადი იყო. ის არა მარტო სარძლოებისთვის მზადდებოდა, არამედ ძვირფას ახლობელ-ნათესავებისთვისაც.

სამულმაზლოებს გამორჩევით უყვარდათ სარძლო. არც თვითონ რძალი იყო გულგრილი მათდამი. ყოველ ნელს რაიმე ჩასაცმელს: ჩოხას, პერანგს, ქათიბს, ქოქლუას მოუქსოვდა ან დაუკერავდა მათ. ეს ნახელავი უნიკალური ნიმუში იყო იმ ახლო-მახლო თემ-სოფლებში. ფაქტიურად ეს ნაწარმი ხელოვნების სახალხო გამოფენაც იყო და სარძლოების შეჯიბრში გამონვევაც. ულამაზეს, ურთულეს ნაქარგებს უმაღლესი შეფასება და აღიარება მოჰყვებოდა ხოლმე. ასეთ სანიმუშო ნაწარმზე (ნაწარმოებზე მხატვრული გაგებით) ყურადღება იქამდე გრძელდებოდა, სანამ უკეთესი, მჯობნი არ შეიქმნებოდა.

ამ საქმიანობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ არხოტელი ქალები. მათი ნახელავი ნაქარგობის უიშვიათესი სილამაზით ხასიათდებოდა და უბადლო იყო არა მარტო ხევსურეთში, არამედ მთელ საქართველოში. ასეთი ნიმუშების შექმნას თვეები სჭირდებოდა და ფასდაუდებელი იყო. ეს ნაწარმი არ იყიდებოდა, მას სამახსოვროდ ღრმად მოხუცებულობამდე ინახავდნენ.

ამჟამად გაქრობის პირზეა მისული ხალხური შემოქმედების ეს, და არა მარტო ეს, დარგი, რაც იმან გამოიწვია, რომ მისთვის გაწეული შრომა სერიულ წარმოებას დაექვემდებარა. ოღონდ სწრაფად გასაღდეს ნამუშევარი საქონელი და ხარისხზე ვინღა ფიქრობს. არა და რუდუნებით, სიყვარულით შექმნილი ხელოვნების (და არა ხელოსნობის) ნაწარმი ფასდაუდებელ ნივთს წარმოდგენდა ოჯახისთვისაც და ერისთვისაც.

წელწად დილა მზისპირის ჯვარში ანუ ხთისმშობლის სალოცავში იწყებოდა. სამზადისს კი გვიან შემოდგომაზე იჭერდნენ. ყველა ოჯახი ვალდებული იყო, სალოცავის გალავნის შიგნით სამი-ოთხი ხე ან კუნძები მიეტანა. ახალწლისთვის შეშის მოზრდილი გორა გროვდებოდა. გათენებამდე ვინმე გამრჯე ახალგაზრდა მოვიდოდა. აქაც მისვლაზე შეჯიბრი იმართებოდა. გა-

თენებამდე 2-3 საათით ადრე უნდა მისულიყვნენ და საჯარეში, სოფლის მამროანის, მეკვლეთ თავშეყრის ადგილზე კოცონი დაენთოთ. კოცონის დანთებისთანავე მიმსვლელთა რაოდენობა მატულობდა. აცეხში (საზამთრო-საბოსლოში) ადრე მაძინებდნენ, მამა გათენებამდე 3 საათით ადრე მაღვიძებდა. ამ დროს ცაზე დარეჯანიანნი (ასე ჰქვია ხევსურულად დიდი დათვის თანავარსკვლავედს) კაცის თავზე იდგნენ. ჩემს ხსოვნაში ახალწლის ღამეს კამკამა დარი იდგა. ვარსკვლავთა ჟიკჟიკის სინათლეზე წვრილი ბილიკი კარგად განათებული იყო. შატილს კი მეკვლეთა მიერ დანთებული კოცონი აბრდღვიალებდა.

გათენებამდე ყველა მეკვლე საჯარეში უნდა მისულიყო, დანარჩენნი კი ოჯახებში მოგროვილიყვნენ. ვინმეს თუ დააგვიანდებოდა, რამდენიმე საათს, მეკვლეთ გამოსვლამდე, სიცივეში, მოფარებულ ადგილზე უნდა მოეცადა. ძეხორციელი ამ დროს შატილში შემოსვლას ვერ გაბედავდა და კვალს ვერ შემოიტანდა.

კოცონის სინათლეს თანდათანობით დღის სინათლე დაჩაგრავდა. შატილის მაღალ მთებს ოქროსფერი მზის შუქი მოეფინებოდა და თანდათანობით ჩამოჰყვებოდა კლდე-ღვიიან, ლამაზ ფერდობებს.

ხთიშობლის საჯარეში ღამით დაწყებული გართობა-ზეიმი გრძელდებოდა. საახალწლოდ ნაგროვები თხილ-ნიგოზით ბავშვები ლუჭყი-კენტაობით ერთობოდნენ. ამ გართობაში ახალგაზრდებიც მონაწილეობდნენ. საგათენებოდ სალოცავის დარბაზიდან დასტურ-ხელოსნები დიდი საწდით (60 ლიტრამდე) საჯარეში ლუდს გამოტანდნენ და მეკვლეთ ახალ წელს მიულოცავდნენ:

„გწყალობდასთ ხთიშობელი! ბევრსამც წელწადთ გამაიცვლით, გებისას, გამარჯვებისას, პურიანს, წულიანს, კაციანს, საქონიანს, ერთს ეემას, ათასს სხვას!“ ამ სიტყვებთან ერთად მთელს თავყრილობას და კოცონს პეშვით ლუდის ქაფს მოაწინწკლებდა: „აესრ გახუვლნასთ, გაფუვლნასთ, გაგამრავლნასთ!“ საწდეს ახალგაზრდებს გადაულოცავდნენ და დარბაზში ბრუნდებოდნენ. ახალგაზრდები დიდი თასებით, უფროს-უმცრო-

სობის დაცვით, ლუდს ჩამოარიგებდნენ და ერთიმეორეს დალოცავდნენ.

საჯარეში არა მარტო ლუდი ისმებოდა, მეკვლეებს არაყიც მოჰქონდათ და ერთიმეორეს უმასპინძლდებოდნენ. აქ გართობა-ქეიფის გარდა სერიოზული სჯა-ბაასიც მიმდინარეობდა. თუ იყო შემთხვევა, რომ შვილი დედ-მამას უყურადღებოდ, ცუდად ექცეოდა, შეაჩვენებდნენ, შეარცხვენდნენ, საჯაროდ უსაყვედურებდნენ. ეს დიდი სასჯელი იყო. გარდა ამისა, სხვა მეთოდებიც არსებობდა სოფელში მუდმივი წესრიგის დასამყარებლად. როგორც ცნობილია, ხევსურეთში ადრე ცუდი საქციელის ჩამდენს პერანგის კალთას სჭრიდნენ. ეს ახალწელს ან ზაფხულის დიდ დღეობაში, ათენგენობაში ხდებოდა. მოგვიანებით ეს წესი მოიშალა და წინა საუკუნის ოციან წლებში ამაზე წუხს ცნობილი შატილიონი მელექსე ნიათ სამუკა (ჭინჭარაული):

„აღარვის ვაქებთ საქებსა, ქება ვისაიც ღირსაო,
არცვის საგინებს ვაგინებთ, აღარცვის კალთას ვსჭრითაო".

შატილში ერთიმეორესთან მუდმივი სიყვარული და პატივისცემა უნდა ყოფილიყო. მანდილოსნებიც კი ერთმანეთთან სიტყვიერადაც რომ წაკინკლავებულიყვნენ, მათ მეუღლეებს სალოცავში თითო საკლავს აკვლევინებდნენ.

ახალი წლის დილას სალოცავში შეზარხოშებული ჯვარიონნი და მეჯარენი (მეკვლენი) ერთიმეორეს შეჯიბრში იწვევდნენ. თუ ერთიმეორეს მარტოებს მოასწრებდნენ, იჭერდნენ, „ტყვედ" მიჰყავდათ და გამოსასყიდად სასმელს ითხოვდნენ. „ტყვეების" გამოსასყიდს თუ დააგვიანებდნენ, ცეცხლზე (კვამლზე) ჩამოჰკიდებდნენ, სასმელს ასმევდნენ ძალით და ასე „აწამებდნენ". ბოლოს „ტყვე" თავისუფლდებოდა და შერიგება ხდებოდა. იწყებოდა წინაპრებისა და კაი ყმებისადმი ლექს-სიმღერების მიძღვნა.

ერთიმეორეს მუხლზე დაუჩოქებდნენ, კაი მამის შვილს ასე შემღერნებდნენ:

„ნუ სდიდობ, ქურაზის შვილო, შვილო, ვერ სჯობხარ მამასა,
შენ თუ ჭარში ხქენ სახელი, მამაშენმ – ჭარის ბოლოსა,

შენ თუ დახჭოცენ ცხვრის მწყემსნი, მამაშენმ – ვეშაგნ
მთისანი".

კარგ ძმებს კარგობას შეუქებდნენ:

„ძმასა ძმა უნდა ისეთი, ბადრის რო უსუპ ჰყოლია,
ბადრი კლდეთ გადავარდნილა, უსუპ თან გადაჰყოლია,
ნეტავინ მაგათ დედასა, რა კარგი ძმობა ჰქონია!"

დედისერთა კარგ ვაჟკაცსაც არ დასწყვეტდნენ გულს:

„ასრი-ბუსრი ხარ, ამირან, კვლარძი ხარ გაბრუნებული,
ასნი რად უნდა დედასა, ერთიც ეყვ მაღურბლებული".

უნებურად ხელმოცარულ მაშულლარს, ან ბევრათაგან დაჩაგრულსაც „დაამშვიდებდნენ":

„ამირან ჩამავიდოდა, ცხენოჭრის ჩამაგდებული,
წამაეგება დედაი: „საით მახვ დარუყებული?!"
„განა ღმერთი ვარ, დედაო, სრუ მუდამ გამარჯვებული!"

საჯარეში მზეჩამოსვლის ჟამს იწყებოდა მეკვლეთა კენჭისყრა და მეკვლეთ წინამძღოლის ამორჩევა. შატილში ერთი ძირითადი ჭინჭარაულთა გვარი იყო. ჭინჭარაულები ორ მთავარ ქვეგვარად იყოფოდა: უთურგაულებად და გილაკაურებად. ეს ორი ქვეგვარი კი – 8 ქვეშტოდ. გარდა ჭინჭარაულებისა, შატილში შედარებით გვიან, მე-18 საუკუნეში შემოერთებული ანატორელებიც ცხოვრობდნენ. ჯერ კენჭისყრა სამ ქვეგვარს შორის იმართებოდა. აქ პირველ ადგილზე გასული ქვეგვარი (მამიშვილობა) იყრიდა კენჭს. შემდეგ კი ოჯახები, ოჯახებიდან კი ძმები. ყოფილა შემთხვევა, როცა მეკვლეთ 9-10 წლის „ვაჟკაცი" ან 80 წლის მოხუციც გამოსძღოლია წინ, კვალის გამოსატანად.

მეკვლეთა ჯვარიდან გამომართებისას ხუცესი ქადებს და ახალ საწდეს გაადიდებდა. სალოცავის მედროშე ფერად-ფერადი ფარჩით მორთულ ზანზალაკებიან დროშას გამოაბრძანებდა დარბაზიდან და ააჟრიალებდა. მეზარე დარბაზის კარიბჭეზე ჯაჭვით ჩამოკიდებული ზარის წინ დაიჩოქებდა, პირჯვარს გადაისახავდა და ზარს შემოჰკრავდა. ამ დროს სადღაც მაღლა, ცაში მიფრინავდი და ანგელოზებს უერთდებოდი. თავდებოდა ზედაშეს გადიდება-დამწყალობნება, ზარის რეკვაც. წინ შატილის მოყა-

ვისფერო-მოლეგო ქავციხეები ეყუდნენ. იცოდი: აქ ყველაფერი შენი იყო: ჯვარ-ჯვარისკარი, მამა-პაპათა სასაფლაო, დედ-მამა, და-ძმები; გჯეროდა, მომავალშიც შენადვე დარჩებოდა აქაურობა: ლამაზი წყალ-ჭალა, ტყიან-კლდიანი მთები, ლურჯი, უძირო ზეცა და სიცოცხლის წყარო – მზეც.

ჯვარიონნი შატილში მზის ჩამოსვლისას დაგვლოცავდნენ და დაგვემშვიდობებოდნენ. მეკვლეთ წინამძღოლი შატილის გალავნამდე წინ იდგა. გალავანთან შეჩერდებოდა, ერთ სიტყვას „მშვიდობით"-ო გვეტყოდა და ყველა თავის ოჯახს მიაშურებდა სირბილით. შინ მისულს ვინმე მანდილოსანი დაგვხვდებოდა. მეკვლე მიმართავდა დამხვედრს: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდასთ ღმერთი, ჩემიმც კვალი კაზედამც დაგიდგებათ, ბევრსამც ახალწელს დაესწრობით: პურიანს, წულიანს, ბედიანს, დავლათიანს, კაციანს, საქონიანს, ერთს ეემას, ათასს სხვას". დამხვდური ხმის ამოუღებლად მიანვდიდა მეკვლეს სამეკვლეოს, იფქლის ფქვილისაგან გამომცხვარ ხმიადს. მეკვლე ჩამოართმევდა სამეკვლეოს და სამჯერ შეაგორებდა პირდაპირ ქაზდარზე (იატაკზე) და, თუ სამეკვლეო ფერზე (გულალმა) დაიდებოდა, კარგის მომასწავებელი იყო, თუ პირქვე – ცუდისა.

სამეკვლეოს შეგორების შემდეგ ოჯახიდან რომელიმე მანდილოსანი (უმეტესად გასათხოვარი გოგო) მსუბუქი საწყლე ჭურჭლით და ნიჭით (ნიჭი: ჩალაში გამოხვეული მცირე პურის ნაჭრით, ყველით, ნახშირით) წყალზე მიირბენდა. წყალს ეტყოდა სამჯერ: „წყალო, ნიჭი მოგიტანე, ბედი გამომაყოლეო". ნიჭს წყალში ჩადებდა და წყლიანი თუნგით ისევ სახლში ბრუნდებოდა სირბილით. ვინც მალე, პირველი მოვიდოდა შინ – კარგი ბედი ელოდა.

კვალის შეტანის შემდეგ საჯარეში, სალოცავში დარჩენილი მამროანიც სახლში ბრუნდებოდა საღამომდე. ჯვარში მარტო დასტურ-მსახურები ათევდნენ ღამეებს. ისინი ახალწლამდეც და ახალი წლის დღეებშიც მკაცრად იცავდნენ წინაპართაგან დადგენილ წესებს. ამ პერიოდში ქალებისაგან განცალკევებით ცხო-

ვრობდნენ, ახალწლის წინა დღეს გაყინულ მდინარეში იბანდნენ ტანს და ასე შედიოდნენ სალოცავებში.

ოჯახებს ამორჩეული ჰყავდათ პიროვნებები, რომელთა ფეხიც კარგად ჰქონდათ დაცდილი და ყოველ ახალ წელს მათ შეატანინებდნენ კვალს. ეს გამოიხატებოდა ვაჟიანობის, ცხვარ-საქონის გამრავლების, საერთოდ მშვიდობიანად, იღბლიანად, ღალიან-ბარაქიანად ცხოვრების იმედში.

ახალი წლის დღეებში დიდი არჩევანი იგრძნობოდა. ვის ვისთანაც ქეიფი და დროსტარება უნდოდა, მასთან მიდიოდა, რა თქმა უნდა, უპირველესად თავის ტოლებთან, ახლობლებთან უხაროდა მისვლა თითოეულს. სასმელით (არაყით) მოიკითხავდნენ ერთიმეორეს არამარტო თავის სოფელში, – მეზობელ თემებშიაც. უპირველესად იმათთან მიდიოდნენ, ვინც ბედისგან რამენაირად დაჩაგრული იყო. მოიკითხავდნენ ქვრივ-ობლებს, მოხუცებს, რომ მათ თავი მარტოდ და უყურადღებოდ არ ეგრძნოთ.

ახალგაზრდები პირველ დღესვე კენჭს ყრიდნენ, ქეიფი სოფლის თავიდან დაეწყოთ თუ ბოლოდან. თუმცა რიგითობა უმეტესად ირღვეოდა. შეზარხოშებული სოფლელები გეზს ხშირად იცვლიდნენ მასპინძლის გამორჩევის მიზეზით. რიგითობა შემდეგ დღეებშიც გრძელდებოდა. ერთ კვირას მიმდინარეობდა შატილში ხმაურიანი დღეობა. ყველა დღეს თავისი სახვთო სახელი ერქვა: კუმეტი, წინა შუადღე, უკანა შუადღე, გამცხადება ... რიტუალებიც სათანადო იმართებოდა. ამ დღეებში უმცროსობა და ახალგაზრდობა საფეხვნოში, სალუდე საქვაბეში იკრიბებოდა. იქვე კალოსკარ, საფეხვნოს გვერდზე, მანდილოსნებს კეცეულები მოჰქონდათ და პირდაპირ მიწაზე უყრიდნენ ბავშვებს, ვინც მეტ ნადავლს მოაგროვებდა, გამარჯვებულად აღიარებდნენ.

საფეხვნოდან ხთიშობლამდე ორასიოდე მეტრია. სალოცავში დიდ ნაჭრებად დაჭრილი საქონლის ხორცი იყო მოხარშული. იქვე ელაგა ხავიწისგულიანი დიდრონი ქადები. ბავშვებს (ბიჭებს) ერთ რიგად დაგვაყენებდნენ, სალოცავიდან დაგვიძახებდნენ: „აბა წილობაო“. ადგილიდან მოვწყდებოდით და მთელი ძალით გავრბო-

დით. ჯვართ მისადგომებთან უფროსი ახლაგაზრდები დაგვხვდებოდნენ და ახლა ისინი მიგვარბენინებდნენ დარბაზისკენ. ვინც პირველი მივიდოდა ფინიშთან, წილობის დიდი ნაჭერი, ქადისა თუ ხორცისა, მას ერგებოდა. უფროსები საქებარ სიტყვებს გვეტყოდნენ.

საშუადღეოდ საფეხვნოში თანდათანობით მოგროვდებოდნენ თოფიანი ახალგაზრდები. მალე ორ ჯგუფად, ცოლიანებად და უცოლოებად გაიყოფოდნენ. სროლაში ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ. ხშირად ჯილდად (სამიზნედ) ქვას ამოირჩევდნენ. იმ ახალწელს შატილის პირდაპირ მამულებში აირჩიეს ერთი სამანი (მამულების საზღვრის გამყოფი ქვა, ერთი მეოთხედი ზევით ჩანდა, დანარჩენი მიწაში იყო ჩადგმული). შესამოწმებლად გაგზავნეს ცნობილი, გამრჯე ახალგაზრდა მიხეილ სისაური. რამდენიმე გასროლის შემდეგ ვიღაცის ნასროლი მოხვდა ჯილდას. მოწინააღმდეგეებს შორის დავა-კამათი დაიწყო: „მოხვდა, თუ არა". მიხეილმა დაიძახა: „სჭირსო", ე.ი. მოხვედრილი აქვსო. მაინც არ დაიჯერა მოწინააღმდეგე ჯგუფმა. ამ დროს საფეხვნოში იჯდა დარბაისელი, პირმართალი მოხუცი ბეწიკიათ ბესო. სკამიდან ადგა, გვერდზე გავიდა და ხელის ანევით დაუძახა მიხეილს: „წამაიღ, აქ წამაიღ". მიხეილი ეჯაჯგურა მიწაში ღრმად ჩასმულ ქვას, ამოიღო მიწიდან და საფეხვნოსკენ გამოემართა. საფეხვნოსთან გაოფლილ მიხეილს პირველი ბესო ჩაეგება. გულმოდგინედ დახედა ნატყვიარ ქვას და ხმამაღლა გამოაცხადა: „სჭირებივ, ღმერთისმამ!" (მოხვედრია). შატილის ქავ-ციხეთ ლაღმა ხარხარმა გადაუარა. მიხეილმა გვერდზე მოისროლა ქვა და დარცხვენილი შეუერთდა ახალგაზრდებს.

უფროსები ყველანაირ პირობებში სცდიდნენ უმცროსებს. მიხეილმა ორი შეცდომა დაუშვა: ჯერ ერთი: მართალია, გარჯას დიდად უფასებდნენ ახალგაზრდას, მაგრამ ბრიყვი არ უნდა ყოფილიყო მოქმედებაში. ჭეშმარიტების დასადგენად 9-10 კილოგრამიანი ქვის რამდენიმე ასეულ მეტრზე გადატანა აუცილებელი არ იყო. მეორეც: სამან-სამძღვრის შეცვლა ხევსურეთში

სანანყევროდ, აკრძალულად ითვლებოდა და მამულიდან ქვა არ უნდა ამოეთხარა.

სოფელში ყველა ოჯახიდან ლხინი და ცეკვა-სიმღერა ისმოდა. სიმღერებიდან უმეტესად საგმირო და სანადირო ტექსტები სჭარბობდა. იქვე სახელდახელოდ იქმნებოდა კაფიები, მათგან შედევრებს იმახსოვრებდნენ და თაობიდან თაობას გადასცემდნენ.

გამკილავი, სახუმარო ლექს-სიმღერები და სხვადასხვა ამბებიც არ იყო იშვიათი. თუ რძლები დედამთილებს სათანადო პატივს არ სცემდნენ, ერთმანეთთან ჩხუბობდნენ, უფროს-უმცროსობას არ იცავდნენ, არც მაგას აპატიებდნენ და მათ გასაგონად იმღერებდნენ ფშავლისაგან გაგონილ ლექსს:

„ზალმა ზალსა გადაღრივნა (ესროლა), ზედადგარის ძველანიო,
ზალმა თავს გადაიცდინნა, ბებერს გასდგეს ჯღერანიო,
მაიტაცა ბებერამა მარცხნის ფეჯის ჩერანიო (წვივი),
„მაგიკვედი, დედამთილო, ვერა განახე, ბნელანიო“.

შუაგულ შატილში, ქავში, სადაც ხისა და ქვის კიბეები ერთიმეორეს ცვლიდა, ერთ ოჯახში ქორწილი ტარდებოდა. ქორწილიდან მოხუცი ბენიკა (ჭალაურთა) გამოვიდა გარეთ. იქ მდგომი ბავშვების გასაგონად წარმოთქვა: „ძალიან დავითვერ, ყმაწვილებო“. „ღმერთმა შაგარგას!“ – ერთხმად წარმოსთქვეს ბავშვებმა. მათ იცოდნენ, რომ ასე უნდა ეპასუხათ. ეს წესი ტრაფარეტულად ყველამ იცოდა. კიდევ გაიმეორა მოხუცმა „მთვრალი ვარო“, თუმცა სიმთვრალე სულ არ ეტყობოდა და დაამატა: „ჭელ მიკიდეთ კიბეებზე, კაკაცოებო!“

მიხათ გიგიამ და საღირათ გიგიამ მკლავებზე მოჰკიდეს ხელი ბენიკას და კიბეებს ჩამოუყვნენ. ზამთარი იდგა. ბენიკამ შორიდან, ხიდზე მოვლით გადაწყვიტა შინ მისვლა. აქ კი გაყინული, ფართო ხევი იყო გასავლელი. გიგიებმა იგრძნეს, იქ გავლა გაჭირდებოდა, თუმცა მთვარიანი, ნათელი ღამე იდგა. როგორც კი ყინულამდე მიაღწიეს, ბენიკა ბიჭების ხელმოუკიდებლად, ხტუნვა-ხტუნვით, მსუბუქად გადავიდა მეორე მხარეს. ბავშვები

ერთიმეორეს შეაცქერდნენ და უსიტყვოდ, აჩქარებული ნაბიჯით დაეწივნენ დაწინაურებულ მოხუცს.

ბენიკამ შინ შეიპატიჟა გამყოლები, ცოლს შეეხმიანა: „არიქა, დიაცო, ტაბლაი გადმაგვიდგი, კეებმ ვაჟებმ მამაცილეს, თითოოროლ ყანწს შავსომთ". საკაცო სკამზე ჩამოსვა ახალგაზრდები, თავად თავში დაუჯდა კერასთან, ჭელადიდან ყანწში არაყი წამოასხა და მიმართა: „მადლობელ ვარ, გიგანო, რო მშვიდობიანად მამიყვანეთ! ღმერთმა ჭელ-ფეჭ შაგარჩინასთ ჩემდ შველისად! სრუ გულისყურით უნდა იყვნათ სასმლოაჩი, იქნება ქვე ვინ დაითვრას, იქნება შველა დასჭირდას, თორემ ბენიკაი, სხვა ბებერ შატილივნებ ისრ არ დაითვრებიან, ყმანვილების ჭელით სათრევლად დაჭდან. მადლობთ, ვაჟებო!"

სამ-სამი ყანწი დაალევინა ბიჭებს ბენიკამ. „ქორწილში სწაის ყველასაო", – წაუმღერა და გაისტუმრა.

ორივე გიგიას სიკვდილამდე ახსოვდა ბენიკას მიერ 70 წლის წინ ჩატარებული უნიკალური გაკვეთილი. თავადაც კარგ ვაჟკაცებად დაიზარდნენ და დაბერდნენ. დიდი სიამაყით გვიყვებოდნენ მომავლებს, რათა ჩვენი მომავლებისთვის გადაგვეცა, მათ კი თავისი მომავლებისთვის მოეთხროთ.

ქორწილი

„კიოთ სად არის ქორწილი,
ტაშიოთ სადა ტყვრებაო“.

ხალხური

ყოველგვარი ლხინი, ზეიმი თუ დღეობა მთაში რომანტიკულია, ქორწილი კი ორჯერ უფრო მეტად. შატილის ქვითკირები როცა ოჯახებით იყო სავსე, ღამით ყველა სარკმლიდან ფიჭვის კვარის ბრდღვიალა სინათლე გამოდიოდა, უნახავად ამ სილამაზის გადმოცემა შეუძლებელია და, მით უმეტეს, დავიწყება. 14 წლამდე შატილში ვიზრდებოდი. ეს ის პერიოდია, როცა ყველაფერი მაშინდელი სიკვდილამდე გახსოვს. ბევრი ლხინი და ჭირი დამამახსოვრდა დღემდე. ბევრი ქორწილი გამართულა და ბევრი კარგი ვაჟკაცი, უმეტესად მტრის მოკლული, დამარხულა შატილში.

1950-იან წლებში ხევსურეთი დაიცალა, ბარში გადმოგვასახლეს. 1982 წლამდე თბილისში ვცხოვრობდი ცოლ-შვილიანად. ბარში ყოფნის ამ დროის მანძილზე წელიწადში ერთხელ მაინც ავდიოდი სამშობლოში, ვტიროდი დანგრეული სოფლების ნახვისას და გულდათუთქული ვბრუნდებოდი უკან.

1982 წელს რამდენიმე ოჯახი დავბრუნდით შატილში. აღვადგინეთ 30 წლის მიტოვებული სახლ-კარი და დავიწყეთ ცხოვრება. ისევ გაიმართა ქორწილები, აღდგა დღეობები... მაგრამ ხალხის, ოჯახების სიმრავლე აღარ იყო. ხანში შესულებს ძველი დრო გვახსენდებოდა და გვენატრებოდა.

როგორც ცნობილია, ხევსურეთში ქალიშვილის დანიშვნა შეიძლებოდა აკვანშიც მომხდარიყო, მაგრამ დანიშნულთა დაქორწინება გვიან, სრულწლოვანების დროს ხდებოდა. ოც წლამდე ახალგაზრდების შეუღლება უიშვიათესი შემთხვევა იყო.

ქორწილი უმეტესად 25-30 წლის ასაკის ახალგაზრდებს შორის იმართებოდა. ყოველ შემთხვევაში, სასიძო 25 წლის მაინც უნდა ყოფილიყო. ვაჟი უმეტესად უფროსი იყო. არ იყო გამორიცხული, ნეფე-დედოფალი ტოლებიც ყოფილიყვნენ.

ქორწილისთვის მძახლები რამდენიმე თვით ადრე ემზადებოდნენ. უპირველეს ყოვლისა, ქორწილს 300 ლიტრამდე ლუდი სჭირდებოდა. ღვინო იშვიათად აღწევდა ბარიდან მთის სოფლებში.

ლუდისთვის ერთი-ორი თვით ადრე რამდენიმე ტომარა ქერს ჩადებდნენ წყალში. ხშირად ერთ-ორ ტომარა ჭვავს (სვილსაც) დაამატებდნენ. ერთ კვირაში დამბალ საფორე (საალაოე) მარცვლეულს წყლიდან ამოიღებდნენ, ცხელ წყალს დაასხამდნენ და თბილად შეფუთავდნენ (ფლას-ფარდაგებს დააფარებდნენ). ერთ კვირაში მარცვლეული ღივს გამოუშვებდა, დაფორდებოდა. ამ დროს ტკბება ფორი და შემდეგ ეს სიტკბო სპირტად გადაიქცევა. სწორედ ეს სიტკბოა საჭირო ლუდის „სადუღებლად" და არაყის „გამოსაწურავად".

ცნობილი ლულელი ხევსური, კარგი მელექსე – მოკაფიავე ბაბილთ ნია (ქისტაური), მეგობარ ფშაველთან კაფიობას შეჰყოლია და დალამებია. ხევსურები ფშავლებს კაფიობაში იშვიათად თუ უტოლდებოდნენ. ეს ლულელი ნია ზოგჯერ ჯობდა კიდეც მათ. ამიტომ ფშავლებს უყვარდათ ძლიერი მეტოქე და მისი სტუმრობა უხაროდათ.

საალამოს ჟიპიტაური სვეს და სტუმარ-მასპინძელი – ორივენი კარგად გამოთვრნენ. გვიან ღამით მასპინძელმა სტუმარი საბძელში თბილად დააწვინა და თან ბლომად დააყარა „საღამოები". დაძინების წინ მასპინძელმა ვერ მოითმინა და კიდევ შეუმღერა ნიას:

„ალაოსავით ჩაგდევი, ჩემო ბაბილის ნიაო".

ნიას ლოგინში ჩადება – „მიგულებაში" მასპინძელ ფშაველს ცოლი ეხმარებოდა. ეს შეამჩნია ნიამ და მიუგო:

„დილას ცოლ „ამამილალე", რაჭელ ღივ ამამივაო"!

ფშავ-ხევსურეთში ასეთი მოსწრებული პასუხები ასეული წლების განმავლობაში ახსოვთ და გადასცემენ ერთმანეთს.

დავუბრუნდეთ ლუდის საქორწილო სამზადისს.

გამხმარ სალუდე მარცვალს ძალიან პატარა „კიაპი" (ღივი) ამოეზრდებოდა: „ქმოსტელთ უსნავლავ რუსული ოსემდისიატ-პიატი, ღმერთი გაგინყრასთ, ქმოსტელნო, სრუ დაგილიასთ კია-პი"!

კარგად „დაკიაპებულ", დაღიებულ მარცვალს გაშლიდნენ, გაჰფენდნენ, გაახმობდნენ მზეზე და მსხვილად დაფქვავდნენ. მსხვილად დაფქვილს უკეთეს სალუდე მასალად მიიჩნევდნენ. მისგან უფრო „ხშირი" (სქელი) ლუდი დგებოდა. დაფქვილ საფო-რეს გრილად ინახავდნენ და ქორწილამდე ერთი კვირით ადრე ხარშავდნენ.

ლუდს ხარშავდა თითქმის მთელი სოფელი, უპირველესად კი ბიძაშვილები და ახლობლები ეხმარებოდნენ ერთმანეთს. ზო-გჯერ მეზობელი სოფლებიც ნამოეშველებოდნენ (იხ. ახალი წელი შატილში)

ლუდის ხარშვა – „დაყენებას" ორი დღე სჭირდებოდა. მთელ პროცესს თვალ-ყურს ადევნებდნენ უფროსები. ისინი კარგი „ტე-ქნოლოგები" იყვნენ. მათი დაყენებული ლუდი ზოგჯერ ტოლს არ უდებდა დღევანდელ განთქმულ ლუდებს.

თიანეთის რ-ნის სოფ. საჯინიბოში 40 წლის წინათ ცხოვრო-ბდა ლუდის დაყენების ცნობილი „ტექნოლოგ – სპეციალისტი" სუმბატა გიგაური. იგი ხევსურეთიდან, სოფ. ბლოდან იყო ჩა-მოსახლებული. თავისი შვილის ქორწილში უმაღლესი ხარისხის ლუდი ჰქონდა დაყენებული. მაშინ ვკითხეთ ცხონებულ სუმბა-ტას: რა ტემპერატურაზე აზავებ (ჰყრი) ლუდსო (ხევსურულად ლუდის ასაფუებლად საფუარის მიცემას „ლუდის შეყრა" ჰქვია). ამის ცოდნა ყველაზე მთავარია ლუდის დამზადებისას. სუმბატამ გვიპასუხა: სვეში მოხარშვის შემდეგ სალუდე მასალას (ხევსურუ-ლად „სისწვენს", ალბათ „სვის წვენს") პირში ვიყენებ და სითბოს რომ ვეღარ ვიგრძნობ, მაშინ ვყრიო (ვაზავებო). ბატონი სუმბა-

ტა ადამიანის ტემპერატურით ზომავდა სალუდე მასალას. მაშინ-დელ მექორწილეებს აქამდე გვახსოვს იმ ლუდის საოცარი გემო. უბედურება კი ის არის, რომ სუმბატამ და მისთანებმა საიქიოში წაიღეს ცოდნა და არა ერთი უნიკალური ტექნოლოგია შთამომა-ვლობას სამუდამოდ დაეკარგა.

ქორწილამდე ერთი კვირით ადრე სასიძოს მხარე (მამა) სას-მელით და მოსაკითხით ახლობლებს გზავნიდა მძახლებთან და ქორწილისთვის საჭირო დეტალებს ათანხმებდა. მიახლოებით გარკვეული უნდა ყოფილიყო რძლის მაყრების ვინაობა და რა-ოდენობა. ქორწილში ერთმანეთს არ უნდა შეხვედროდნენ ადრე ნაჩხუბარი და ნამდურავი ახალგაზრდები. არ უნდა ყოფილიყო წინასწარ საშუღლარი საბაბი ნასასმლარ ხალხში, არც მოსუ-ლებიდან და არც დამხდურებიდან. მთელს ხევსურეთში, ახლო და შორეულ თემ-სოფლებში, ნათესავ-ახლობლებთან მძახლები „კაცებს" გზავნიდნენ და პატიუებდნენ. ამით არკვევდნენ მომს-ვლელთა რაოდენობას.

ქორწილი თითქმის ყოველთვის შაბათ საღამოს ინიშნებოდა. ნეფის მხრიდან (სოფლიდან) რამდენიმე ახლობელი ახალგაზრ-და და ერთი-ორი უფროსი ასაკის ადამიანი მიდიოდა რძლისა და მისი მაყრიონის წამოსაყვანად.

რძალი („ახალზალი") თავისი სოფლიდან რამდენიმე ათეულ მაყარს დაპატიუებდა. სარძლოს მშობლები წინასწარ ირჩევდნენ მაყართა („მყოლთა") უფროსს. იგი პასუხისმგებელი იყო მყოლთა მშვიდობიანი მისვლა-მოსვლისა. თავის მხრივ, მაყრები ვალდე-ბულნი იყვნენ მყოლთ უფროსის მოთხოვნებს დამორჩილებოდ-ნენ.

ხევსურეთი პატარა იყო და ერთ ხეობაში ჩატარებულ ქორწი-ლის ამბავს სხვა ხეობების მოსახლეობაც გებულობდა. ნეფე-დე-დოფალთა სოფლებიდან კი თითქმის ყველა ოჯახი იღებდა მო-ნაწილეობას. მართალია ახალზლის სოფელში ქორწილი შაბათს, დღისით იწყებოდა, მაგრამ ნეფის სოფელში მისვლა თითქმის ყოველთვის შეღამებულზე ხდებოდა.

შატილში „მყოლ-მარჯეკალს“ სოფლიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით ხვდებოდნენ ახალგაზრდები და ბავშვები. ვიწრო ადგილზე, გზის პირზე, ბავშვები ორ-სამ დღეს აგროვებდნენ შეშას საკოცონედ. ძირითადად გამხმარ, უხეშ ნარ-ეკალს და ფიჩხს. ბავშვებს დიდებიც ეხმარებოდნენ და ერთ ადგილზე დიდძალი შეშა გროვდებოდა. დაღამებისთანავე დიდ კოცონს დაანთებდნენ და თუ რძალ-მაყრები დაიგვიანებდნენ, ცეცხლი დილამდეც გასტანდა.

კოცონთან სასმელიც (არაყი) მოჰქონდათ და მრავალგვარი გართობა იმართებოდა.

აღწერილი პერიოდი გასული საუკუნის 40-იან' წლებს ეხება. მოგონებებიც ამ დროისაა. მაშინ შატილის ოჯახებში იმაზე მეტი თოფი იყო, რამდენიც მამაკაცი. სროლა 9-10 წლის ყველა შატილიონს შეეძლო. არამცთუ ბიჭებს, პატარა გოგონებსაც ასწავლიდნენ სროლას. იარაღის ხმარება მენაპირე, მოსაზღვრე მოსახლეობას მემკვიდრეობით მოსდევდა და ევალებოდა. მყოლთა დამხვედრი ახალგაზრდობა მთელ ღამეს თოფის სროლაში ატარებდა. ტყვია-წამალი მეორე მსოფლიო ომიდან ჰქონდათ დაგროვილ-შემორჩენილი.

როგორც კი ზალ-მყოლთა მოახლოებას დაიგულებდნენ, გამაყრუებელი ბათქა-ბუთქი ატყდებოდა.

სროლა უმკაცრესად მოწესრიგებული იყო. არასოდეს მომხდარა რაიმე ზიანი. პატარაობიდანვე მამა სანადიროდ წამსვლელ შვილს უთვალავჯერ უმეორებდა ერთსა და იმავეს: თოფი არ გაესროლა ისე, თუ ტყვია რამეს: ხეს, ქვას თუ მიწას არ მოხვდებოდა. ჰაერში ნასროლი ტყვია შეიძლება პირუტყვს ან ადამიანს მოხვედროდა. გაუფრთხილებლად, დაუდევრად ნასროლი ტყვიის პატრონი კი ისევე აგებდა პასუხს დაზარალებულის წინაშე, როგორც განზრახ მკვლელი. შემთხვევით მოკვლას ხევსურები არ ცნობდნენ და არც პატიობდნენ. გაუფრთხილებლობა დანაშაული იყო. თუმცა „იშობრად“ (განუზრახველად), შემთხვევით მკვლელს მაინც ჰქონდა ერთგვარი შეღავათი. ამ მექორნილეთა დასახვედრ

საკოცონე ადგილს „კოტორთ" ვეძახდით (კოტორი პურის ნატეხსაც ჰქვიან და მამულის მცირე ნაჭერსაც. ჩანს, აქ სახნავი მინა იყო ოდესღაც).

60-იან წლებში ლექსით ვიხსენებდი ბავშვობის ამ მომენტებს. ეს ლექსი პოემას ნააგავდა. შატილის ახალი ისტორია იყო შიგ აღწერილი.

„კოტორთან რა ამბავია, ცეცხლი რად იქნევს ალსაო,
ყმაწვილებ, ახალუხლები რაად შახედვენ გზასაო,
გუროთა, გიორწმიდითა ვინ ელოდება ზალსაო,
ღამით ცეცხლიან ტყვიასა ვინ ღნახავს თხორუს თავსაო!?"

ზოგჯერ ქორწილში მონაწილე სტუმრების მოლოდინში ღამეს თეთრად ათენებდნენ შატილივნები. ქორწილები უმეტესწილად შემოდგომაზე იმართებოდა, სანამ მთებში მისასვლელები თოვლით ჩაიკეტებოდა. ზამთრის დადგომამდე ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიც მოთავებული იყო. ხევსურეთის თემ-სოფლებში ლხინის დრო დგებოდა.

როგორც კი მახარობელი მექორწილეთა მოახლოებას აცნობებდა, კოცონის ალი ცას სწვდებოდა, თოფები კი ხშირი სროლისგან ხურდებოდა. კოცონთან ვიწრო გასასვლელი უფრო განათდებოდა. ქალის მაყრებს, კაცებს ფიჭვის ცეცხლმოკიდებული, წიწვიანი ტოტებით, მაშხალებით, ნავთით გაჟღენთილი ძონძებით „ბომბავდნენ". ბოლოს სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს დააშოშმინებდნენ და ყველა საქორწილო სახლს მიაშურებდა.

მოსულ მაყრებს გარეთ გამოეგებებოდნენ, ლუდში ერბოჩაყრილი კოშებით, სპილენძის დიდი ლარნაკებითა და ბაკნებით დახვდებოდნენ, თან საგმირო-სავაჟკაცო ლექსებს შემღერებდნენ:

„სტუმრებო, სტუმრების მზესა, უსტუმროდ არცრა ლხინია,
უსტუმროდ პური, ღვინოი მწარეა, – განა ტკბილია,
უსტუმროდ მზეიც არ მადის, მავიდას, ისიც გრილია!"

რომელი თემ-სოფლიდან ან გვარიდანაც იყვნენ მოსული ნათესავები, მათი საქებარი ლექს-სიმღერები ითქმოდა ამ შეხვე-

დრებზე. კარგ მტერსაც კი ქებით გაიხსენებდნენ დროდადრო ხევსურები, მათ მეტოქე ვაჟებსაც სათანადო პატივს მიაგებდნენ:

„სამაისტლოებს ვაჟებსა ბაკნით ასმიეთ ლუდია,
დიდია მაისტის თავი, ყმა იქ ვერ ავა ცუდია,
იქ აღარ არის ქალები, გვერდზე გავიგდათ ქუდია,
იქ არის ქისტის შვილები, ტყვიით იციან ჩხუბია!"

შატილივნებს ჩეჩნები (მითხოვლები) ემეზობლობოდნენ, არხოტივნებს, – ინგუშები (ღილღვლები). მითხოვლებსაც და ღილღვლებსაც ხევსურები ქისტებს ეძახდნენ. ამ მეზობელ ჩეჩენ მთიელებს ერთხანობას (გვიანობამდე) ქრისტიანობის გავლენა ჰქონდათ. ქრისტიანი, ქრისტი, ქისტი თურმე აქედან მოდის. ასე ხსნის ალ. ჭინჭარაული. მერე თანდათან გამუსლიმანდნენ. მე-19 საუკუნემდე მეზობელი მითხოს ჩეჩნები ანატორის ჯვარში ლოცულობდნენ. ანატორის ჯვარს ახლაც რჯულიან-ურჯულოთ სალოცავად მოიხსენებენ. ბევრი წეს-ჩვეულება ერთმანეთის მსგავსი ჰქონიათ მეზობლებს, მაგალითად, სისხლის აღება. თუ შეტაკებები ხდებოდა, უმეტესად თოფებით ებრძოდნენ ერთმანეთს. ამას იხსენებს მელექსე და არ უკარგავს ვაჟკაცურ საქციელს, „თუნდ ზღვა მართებოდა სისხლისა". „რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს", – ეუბნება ანა კალანდაძეს ბერდედა ლელა ნიკლაური.

მაყრებს, მყოლთუფროსის წინამძღოლობით, განცალკევებით სადმე დასვამდნენ უმცროს-უფროსობის წესის დაცვით. მოგვიანებით ადგილობრივი სოფლელები და მოსული სტუმრები თავისთავად, ან მასპინძლის ინიციატივით, თანდათანობით შეერეოდნენ ერთმანეთს.

ამავე დროს, ახალგაზრდობის ერთი ნაწილი, ნეფის ახლობლები და მეგობრები, უფრო ნეფის შერჩევით, „ნეფიონთ ტაბლასთან" სხდებოდნენ.

ნეფიონთ ტაბლა და მისი მოწყობა ხევსურეთში იმდენად განსხვავდებოდა საქართველოს სხვა, განსაკუთრებით ბარის, კუთხეების წესისაგან, რომ მასზე სათანადოდ უნდა შევაჩეროთ ყურადღება.

ჩვენ უშუალოდ გურო-შატილის თემებში არსებულ ნეფიონთ ტაბლის მონყობის წესს გადმოვცემთ.

მყოლთა და ზლის მოსვლის დროს ნეფე თავის სახლში არ იმყოფებოდა. ის მეზობელ – მეგობრებთან, ტოლ – სწორებთან იყო „განეული" და იქ მცირე სუფრასთან ატარებდა დროს. ზლის მოსვლის შემდეგ, როცა წარსულებსაც მოიგონებდნენ და ცოცხლებსაც ადღეგრძელებდნენ, ნეფესაც მოიკითხავდნენ.

ნეფიონთ ტაბლა ეწყობოდა (იშლებოდა) ნეფის, მისი დედ-მამის, საკუთარ სახლში. ყვერფ-კერაში ცეცხლი ენთო, საკიდელზე სპილენძის დიდი ქვაბით ხორცი ან სხვა კერძი იხარშებოდა. გვერდზე, „სასანთებეზე", ფიჭვის ჩირახის კვარი ენთო. ნეფიონთ ტაბლა კერასთან, საკაცო სკამის წინ იდგმოდა.

ნეფიონთ ტაბლა (მაგიდა) დიდი არ იყო. სიგრძით მეტრ-ნახევარი, სიგანით ნახევარი მეტრი, სიმაღლით 40 სმ იქნებოდა. ეს ოჯახის ჩვეულებრივი სამფეხა ტაბლა იყო. ტაბლაზე ორი-სამი ახალგაკეთებული ჯვარი (ხატი) იდგა. თითოეული ჯვარი ჯვრების (5-7 ცალი) ერთიმეორეში ჩადგმულ ლამაზ, ორნამენტებიან კომპლექსს წარმოადგენდა. ჯვრები წითლად ან ცისფრად იყო შეღებილი. მახსოვს, საქორწილო ჯვარს ხშირად აბათ საყურა ამზადებდა. ცერა თითს გაიჭრიდა და თავისი სისხლით შეღებავდა. ჯვრები ვერცხლის სამკაულებითა და ლამაზი ნაქარგებით იყო მორთული.

ტაბლა თანდათან ივსებოდა წინწანაქრის (პირველნახადი) არაყიანი, ლიტრიანი და ნახევარლიტრიანი ბოთლებით. ეს ბოთლები ძირითადად ახალგაზრდა მანდილოსნებს (უმეტესად ქალიშვილებს) მოჰქონდათ. ნეფიონნი ყველა ბოთლს გასინჯავდნენ, უკეთესზე უკეთესს აირჩევდნენ და საჯაროდ გამოაცხადებდნენ გამარჯვებულს. პირველ ადგილზე გასული ბოთლის პატრონი დიდად დაფასებული იყო და დიდხანსაც ახსოვდათ მექორწილეებს.

ნეფიონთ ტაბლის ირგვლივ კი ახალგაზრდების რაოდენობა მატულობდა. ვისაც ტაბლასთან ოფიციალურად არ მიიწვევდნენ

და იქ დაჯდომა არ მოუნევდა, თავს დაჩაგრულად გრძნობდა, ცდილობდა ნებისმიერი ხერხით ერთი არაყიანი ბოთლი მაინც შეხვედროდა. ნეფიონთ ტაბლაზე სტუმრებიც ერივნენ და მასპინძლებიც. ნეფიონთ ძირითად ჯგუფს (გუნდს) უკეთესი ბოთლები ხელში ეჭირა და მკაცრად აფრთხილებდნენ მომხდურებს: „ნუ იძალებთ და ნებაყოფლობით შეგახვედრებთ ყველასო". ყველას კი ვერ შეხვდებოდა, ბოთლები განსაზღვრული, დათვლილი იყო, მსურველი – ბევრი. თანაც მოპარული თუ წართმეული პირველხარისხოვანი არაყი უფრო მოსაწონად და საამაყოდ ითვლებოდა თავის ტოლებში. ნეფიონთაც და არანეფიონთაც მარცხენა ხელში რომ ბოთლი ეჭირა, მარჯვენა ხელის ცერა თითზე გალესილი „ლაჯია" ეკეთა. როგორც კი წესრიგი დაირღვეოდა, ჩხუბიც დაიწყებოდა.

ქეიფის დაწყებამდე ბავშვები რამდენიმე ტონიანი, მარცვლეულით სავსე, კიდობნის თავზე (სახურავზე) ავდიოდით. ის უსაფრთხო ადგილად ითვლებოდა. იქ შედარებით თბილოდა კიდეც, მაგრამ წლობით ნაგროვები ჭვარტლი და ღია ცეცხლის კვამლი ისე გაგვმურავდა, ერთმანეთს ველარ ვცნობდით.

როდესაც ქორწილი ხალხმრავალი იყო და მეშველ-მაშულლარი ბევრი გროვდებოდა, ტონიან კიდობნებს გვერდზე ააყუდებდნენ და ძირს ვცვიოდით. მაშულლარების ლანძღვა-გინებას, „წირვა-ჯორვას" ჩვენი ტირილი ერთვოდა და ზოგჯერ ერთგვარად აშოშმინებდა კიდეც. უფროსები, ქალებიც და კაცებიც, მოითხოვდნენ: „გონთ იყვენით, ყმაწვილები არ დასჭყლიტოთო".

მეორე დღეს, როცა ნალაჯიავარი თუ ნახანჯლარი საარაო, გასარკვევი ხდებოდა, უფროსი მერჯულეები ბავშვებსაც ეკითხებოდნენ, ვინ ვის რა დაჰკრა. თუ რამდენიმე ბავშვი ერთსადაიმავეს იტყოდა, დამნაშავეს ჯვარში ფიცით გაამართლებინებდნენ თავს. თუ ვერ დაიფიცავდა, პასუხი უნდა ეგო დაზარალებულის წინაშე. როგორც რჯული გადაწყვეტდა, ისე უნდა აენაზღაურებინა ჭრილობის სიმძიმის გათვალისწინებით.

შუღლში ვიღაცა სანთებს (კვარს) დაეჯახებოდა და სინათლე ჩაქრებოდა. მონინააღმდეგეები ერთმანეთს ხმის მიხედვით არ-ჩევდნენ. ცდომილება ბევრი ხდებოდა და თუ ჭრილობა მძიმე იყო მოუზომავად მოქნეული იარაღის გამო, გარჩევა დიდხანს გრძელდებოდა. უმეტეს შემთხვევაში კი ნაშუღლარებს მეორე დღესვე შეარიგებდნენ, ერთმანეთთან აძმობილებდნენ და მტრე-ბს ძმებად აქცევდნენ.

უფროსები არაყიან ყანწში ვერცხლს ჩაფხეკდნენ, სალოცავე-ბს ახსენებდნენ. დალოცავდნენ, ერთმანეთსაც დაალოცვინებდ-ნენ იმ ერთი ყანწით. ყველა იქ მყოფი მიულოცავდა ძმობილობას ვაჟკაცებს და „ფიც-ვერცხლის ჭამის" შემდეგ ძმობილები საკუ-თარი დედმამის შვილებისაგან აღარ განირჩეოდნენ.

კარგი, ცნობილი, მამაცი ვაჟკაცები, რომელთაც ქორწილში შუღლი ერთგვარ ვარჯიშად, გამოცდად და გართობად მიაჩნდათ, მეორე დღეს შუაკაცების ჩაურევლად თავისი ნებით მოიკითხა-ვდნენ ერთმანეთს. ერთ ბოთლს ან ხელადა არაყს მიიტანდნენ დაზიანებულთან, თავის თავს დააბრალებდნენ შუღლის დაწყებას და თავადვე მოიბოდიშებდნენ. ასეთი თავმდაბლური ქცევა უხ-დებოდათ ახალგაზრდებს და უფროსების ქებასაც იმსახურებდ-ნენ. ასეთი კაი ყმები აღიარებდნენ: „მასთან ძმობილობა მენადა, შუღლის მიზეზს ვეძებდიო!".

ნეფიონთ ტაბლა ქორწილის ისეთი რიტუალი იყო, რომ კარგა ხანს მჯეროდა, თითქოს მას შუღლის ასატეხად მართავდნენ.

მეორე დღეს გადაპატიჟებები იწყებოდა, რაშიც თითქმის ყვე-ლა შატილიონის ოჯახი მონაწილეობდა.

ორიოდე სიტყვა პატარძალზე (ახალზალზე):

მამის სახლიდან ახალზალს, ბუნებრივია, და-ძმები და ახლო-ბლები მოჰყვებოდნენ. თან ახლდნენ, აგრეთვე, მულები და მაზ-ლები, ახალზალს ქმრის სახლში შეიყვანდნენ და ისეთ ადგილზე დააყენებდნენ, სადაც თვალში საცემი არ იქნებოდა. უმეტესად შესასვლელ კარებთან, მყუდრო ადგილს შეარჩევდნენ. ხელში ანთებულ კვარს მისცემდნენ, რითაც შემსვლელ-გამომსვლელს

უნათებდა გზას. ახალზალს დიდ ყურადღებას აქცევდნენ. მის უნახავად და მოუკითხავად არც ერთი მექორწილე არ დარჩებოდა. ახალზალს განსაკუთრებით ახალუხალი (ახალგაზრდობა) სცემდა პატივს. მას ირგვლივ მუდამ ედგა ქალზლების მოზრდილი გუნდი და მართლაც ცივ ნიავს არ აკარებდნენ. შუაღამე რომ გადავიდოდა, ახალზალს წაიყვანდნენ და ნეფის რომელიმე ძმა-შინშის სახლში დააძინებდნენ. მაგრამ არამც და არამც საქმროსთან. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ მექორწილე სტუმარსოფლელები თავიანთ ოჯახებში არ დაბრუნდებოდნენ.

რძალი ქმართან ქორწილიდან რამდენიმე დღის შემდეგ იჩენდა სიახლოვეს, მაგრამ ფიზიკურად, ახლო ინტიმური კავშირი მათ შორის თვეობითაც არ იყო. ჰქონდათ საუბარი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და მრავალ თემაზე მსჯელობა. „ყორნის უჭმელ არაია და ცოლ-ქმართ უთქმელ არაიავ" – არის ხევსურული ანდაზა. თუმცა საჯაროდ, სხვების გასაგონად, ცოლ-ქმარნი ერთმანეთს მოხუცობაშიც იშვიათად ელაპარაკებოდნენ.

„შენ, არ მაგდისა, გამახენე!" – ასე მიმართავდა ქმარი მეულლეს.

რაც უფრო დიდ ხანს გრძელდებოდა მოკრძალება და თავშეკავება, მით უფრო დადებითად ფასდებოდა ახალშეუღლებულთა საქციელი. რძალი მორიდებული უნდა ყოფილიყო ყველა უფროსის, მათ შორის ხნიერი ქალების მიმართაც. განსაკუთრებით ხათრობდნენ დედამთილ-მამამთილს, ქმრის ბიძებს და ა. შ. ზოგჯერ მამამთილს წლობით არ დაელაპარაკებოდა პირადად რძალი და უფროსი საიქიოს ისე წავიდოდა. ასეთი რძალი დიდად დაფასებული იყო ხევსურეთში. მამამთილის სახელს არასოდეს წარმოთქვამდნენ:

„არ ვზძრახავ, ვშჩქამობ (ველაპარაკები) ერეკლეს, ხთისოს (ბავშვების) მამასო", – სხვათა სიტყვით იტყოდნენ რძლები.

შატილში მცირე რაოდენობით ცერცვსაც თესავდნენ და მარცვლეულთან, სიმინდ-ლობიოსთან ერთად ხარშავდნენ. ამას „დოხანი" ერქვა. უმი ცერცვი გემრიელი იყო და მას ხილივითაც

მიირთმევდნენ. ასეთი ცერცვის ყანა ჰქონია დათესილი მანგიათ უფროსს ვაჟუნას (კაცის სახელია). მის რძალს ამ ყანიდან წაუღია მოსამწიფებელი ცერცვი და იქვე, ტყეში უჭამია. ვაჟუნა მიხვდა, მაგრამ არაფერი თქვა. ერთ საუბარში ამ რძალმა ჩვეულებრივად ვაჟუნას მიმართ განაცხადა: „ლეგუას მამას არ ვზძრახაო". ე.ი. ვხათრობო, არ ველაპარაკებიო. ვაჟუნამ ვერ მოითმინა ამ „ხათრიანი" რძლის ნათქვამი და თავისთვის ჩაილაპარაკა: „ნეტაი შენ ჩემდ ცვერც არ გეპარ, მირგვალა ტყეში არ გეზიდნ და იქ არ გეჩოჩხ, მე კაცთობასამც არ ამძრახდომიყავ". ხათრი ყველაფერში უნდა იყოს და არამარტო დალაპარაკებაშიო, აგრძნობინა უფროსმა. არ აპატია მალულად ნამოქმედარი საკუთარ რძალს. რძლები უფროსის მოტანილ ან გაგზავნილ სასმისს არ მიეკარებოდნენ, სანამ იგივე უფროსი მათგან უკანვე დაბრუნებულ სასმისით არ დაილოცებოდა და არ დაცლიდა. საჯარო თავშეყრის ადგილებში, სადაც არ უნდა ყოფილიყო რძალი, ყველგან ფეხზე უნდა მდგარიყო. ის ყველას ემსახურებოდა, ბავშვებსაც კი.

უფროსებისადმი პატივისცემა მთის რეგიონებში ახლაც შემორჩენილია და ბარის ზოგიერთ კუთხეშიც გვხვდება. მაგ. სამეგრელოში რძალი ძალიან მოკრძალებულია დედამთილ-მამამთილთან.

წინა საუკუნის პირველ ნახევარში დუშეთიდან ოჩამჩირეში არონიაზე გათხოვდა ჭინჭარაული მზეო. მზეო ტან-ფეხითაც და სახითაც შესანიშნავი გოგო იყო. ის შატილიდან იყო წამოსული და ხევსურული წეს-ჩვეულებები თუ ქცევები კარგად ახსოვდა. მეგრული ერთ წელიწადში ისწავლა, უფროსებისადმი მორიდებული იყო და მეგრელების სათაყვანებელ რძლად იქცა.

„ხევსურულად ვიქცეოდი ოჯახშიც და საზოგადოებაშიც, სხვა არაფერი გამჭირვებია და არც დამჭირვებიაო", – გვეუბნებოდა, როცა მის სასიკეთო ცხოვრებაზე ვემადლიერებოდით. მისი ძმა ბაძია (მამულათ ბაძია) დუშეთში ცნობილი პიროვნება და კარგი თამადა იყო. ერთხელ სამეგრელოშიც აურჩევიათ თამადად.

მეგრელებს მისი სახელი ეუცხოვათ და ბაძიას უთქვამს: „რა გიკვირთ, თქვენ რომ გვარები გაქვთ, მე სახელი მაქვს იმხელაო!"

იყო კიდევ ერთი წესი ხევსურეთში, რითაც ფასდებოდა მანდილოსანი. ეს იყო მანდილი. ქალის საერთო აღმნიშვნელადაც მანდილოსანს იყენებდნენ ისევე, როგორც დედროანს. მანდილი, ხევსურულად „მანდელი", შალისგან მტკიცედ ნაქსოვი, ძვირფასად დაკერულ-მოქარგული ქალის თავსაბურავია. მას რამდენიმე კეცად იხვევდნენ თავზე (თმაზე). ქალიშვილებს გათხოვებამდე ასწავლიდნენ მანდელის „დახურვას" (მოხვევას). თმით „დარალიად", თავშიშვლად გამოჩენას კაცებთან ქალები მოხუცობაშიც ერიდებოდნენ. რაიმე მოსახვევი მაინც უნდა ჰფარებოდათ თმაზე. თუ როგორ მტკიცედ იცავდნენ ამ წესს, მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

ჭინჭარაულს, სადარათ ხახონს (ხახუას), ერთი წლის შერთული ცოლი, არდოტელი ქალი, შემდეგში შესანიშნავი ზალი და დედა, ბუბა წაჰყვა სამკალში. ქალები საკაცო საქმეში ჩვეულებრივ გვერდში ედგნენ შატილში კაცებს. ყანა განცალკევებით ტყეში ჰქონდათ. ბუბას მანდილი ეხურა და პაპანაქება სიცხეში ძალიან აწუხებდა.

– ახლა ხომ არავინ გვხედავს, ტყეში ვართ, მოვიხდი მანდელს, – ეუბნება ბუბა ქმარს.

– ვერ მაიჯდი, ღმერთისმამ, შატილივნები თუ არავინ გვხედავს, შატილის ადგილ-ხოყანა გვხედავს, – პასუხობს ხახუა და აგრძელებენ მკას.

ხახუა კარგ შატილივნად იყო ცნობილი. იყო შემთხვევები, როცა მთებიდან ჭალაში ჩამოტანილ ნებისმიერი შატილივნის თივას (ერთ მოკიდება ბარგს), შატილიდან ერთი-ორის კილომეტრის დაშორებით, მოიკიდებდა და მოიტანდა. იქ, საფეხვნოში, ეტყოდა: აქედან და აქედან წამოვიღე და მიიბარეთო. ასეთი უანგარო საქმიანობით ზრდიდნენ და წვრთნიდნენ უფროსი შატილივნები მომავალ თაობას.

მანდილთან დაკავშირებული სხვა შემთხვევები:

არხოტში ახლობელს შუღლში კარგი ვაჟკაცი შემოაკვდა. ქვრივად დარჩენილმა ახალმოყვანილმა რძალმა ქმრის დაკრძალვამდე თავი მოიკლა. დიდი სიყვარულით ყოფილან შეუღლებულნი. თოფის ხმაზე მამამთილის უფროსი ძმა პირველი შევარდა სახლში ნატყვიარ რძალთან. მკერდში მოხვედრილ ტყვიას რძალი ნაექცია და მანდილი გადავარდნოდა თავიდან. მომაკვდავმა, სულთმობრძავმა რძალმა, იცნო მამამთილის ძმა და მანდილი თმებზე თვითონვე გადმოიფარა. რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. თითქმის ასეთივე შემთხვევა იყო გიორწმიდაშიც. შატილიონზე დანიშნული ქალიშვილი შემთხვევით სასიკვდილოდ დაიჭრა. შატილში სამამამთილეს გააგებინეს: იქნება ცოცხალსვე მოუსწროო. ცხენით მალე მოვარდა შეშფოთებული სამუკა. სახელის ხსენებაზე სარძლომ სიკვდილის წინ უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვა: „მანდელი".

მთაში ამ ერთი საუკუნის წინ ქალიშვილები მომწიფებისას, გარდამავალ ასაკში სულ უბრალო წყენაზე იკლავდნენ თავს.

გიორწმიდაში, სოფ. ჭორუში, ხალხმრავლობაში ერთი ულამაზესი გოგო, კირკილათ მზექალი, ყინულზე უხერხულად ნაიქცა, შიშველი ბარძაყები გამოუჩნდა. ადგა, ტანსაცმელი გაისწორა, შევიდა სახლში და თავი მოიკლა სტუმრის თოფით.

საოცრად მალე იცვლება ცხოვრება. მას შემდეგ სამი თაობა შეიცვალა. ახლა ქალები, თვით გუროელ-შატილიენების ჩამომავლები ბარში, გულდაგულ ცდილობენ, როგორმე საზოგადოებაში თავისი სხეულის სხვადასხვა შიშველი ადგილები აშკარად გამოაჩინონ.

„ეს სცოდნია დროთა სვლას და
ჯარასავით წელთა ბრუნვას".

ნისლაურ ჯალაბაური

წინათ შატილში (და საერთოდ ხევსურეთში), უშუალოდ ქორწილის მიმდინარეობის დროს საჩუქრები არ იცოდნენ. მეზობელ ფშავში კი არამც თუ საჩუქარი ეძლეოდა ნეფ-დედოფალს, ქორწილში „მყეფარიც" ჰყავდათ. მყეფარი საჩუქარს და მის მომტანს გაზვიადებულად (ხან გამკილავადაც) დაახასიათე-

ბდა, ენამახვილური იუმორით შეაქებდა. ნიჭიერი მყეფარის საუბრის მოსმენას არაფერი სჯობდა. მიუხედავად იმისა, რომ მას საორჭოფო სახელი ერქვა, ლხინს ძალიან უხდებოდა მყეფრის „ყეფა".

შატილში საჩუქრის მიცემის სხვა წესი ჰქონდათ. ქორწილის შემდეგ (შეიძლება ერთი წლის გასვლიდანაც) ოჯახი, ბიძა-შინშები, ახლობლები მსხვილფეხ და წვრილფეხ პირუტყვს აძლევდნენ გათხოვილ ქალს. ამას „სათავნო" ერქვა. სათავნო რამდენიმე ძროხა და ათეულობით სული ცხვარი შეიძლება ყოფილიყო. ეს რძლის პირადი საკუთრება იყო და რამდენიმე წლის შემდეგ უკვე მოზრდილ ჯოგს შეადგენდა.

ვაჟს (ქმარს) მამა სათანადო წილს აძლევდა ოჯახიდან ძმათა რაოდენობის გათვალისწინებით. ახალ ოჯახს (ცოლ-ქმარს) მომავალში, თავისი უნარ-ჩვევების მიხედვით, მძიმე, უშუალო შრომით უნდა შეექმნა ყველაფერი. ქალს და რძალს, ვაჟსაც, ხევსურეთში შრომით აფასებდნენ, ვიდრე სილამაზითა და გარეგნობით. ორივე ეს თვისება თუ შეხამებული იყო ბევრ სხვა კარგ თვისებებთან ერთად, ყოვლად სრულყოფილი ოჯახები იქმნებოდა.

შატილში განსაკუთრებით ფასობდა მაღალი სტუმართმოყვარეობა. უცხოდ, პირველად მოსული სტუმრის შინ ნაყვანა ბევრჯერ გამხდარა სერიოზულ სადაოდ. ამიტომ ოჯახში უნდა ყოფილიყო თავისა და სტუმრისათვის საკმარისი პროდუქტეული როგორც მარცვლეულის, ისე რძის ნაწარმის. იყო შემთხვევები, როცა შატილიონ მამაკაცს, ახალგაზრდას, საველო საქმეზედაც კი ყველ-ერბო არ მიჰქონდა. მხოლოდ მარილს ხმარობდა, რათა ოჯახში, სტუმართან მისატანი საკმარისი მარაგი შეექმნა.

„ახალზლის“ სამსჯავრო

დავაჟკაცებამდე შატილში ახალგაზრდებს მრავალ შეჯიბრში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ყველა პირველობისთვის იბრძოდა, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ შატილში „ახალზლებს“ (პატარძლებს) წინასწარ სცდიდნენ, აჯიბრებდნენ ერთმანეთს, და ზოგჯერ ცნობილ ვაჟკაცებსაც.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მთებში შრომა და ყოფა-ცხოვრება ძალიან ძნელია ბარის რეგიონებთან შედარებით. მთების სოფლებს შორისაც განსხვავება თვალსაჩინო იყო. მაგალითად, შატილსა და არდოტში რთული იყო ყოფა-ცხოვრება, ვიდრე პირიქითი ხევსურეთის სხვა სოფლებში. აქ ხარის თუ ცხენ-ჯორის გამოყენება ძნელდებოდა. ვიწრო ბილიკებზე ძირითადად ზურგით ეზიდებოდნენ ძნას თუ თივა-ჩალას. ამიტომ ასეთ ადგილებს „გასაგალ“, ძნელად საცხოვრებლად მიიჩნევდნენ. ზამთარში საბოსლოებს ხშირად იცვლიდნენ. ციცაბო და ვიწრო ხევ-ბილიკები ვაჟკაცებისთვისაც ძნელად დასაძლევი ხდებოდა. თავისაზე ორჯერ მძიმე ტვირთი კილომეტრობით გადაჰქონდათ. ამ საქმეში კაცებს ქალებიც გვერდში ედგნენ. აქ მარტო ფიზიკური ჯან-ღონე არ კმაროდა, სულიერი სიმამაცე და გაუტეხლობა იყო აუცილებელი.

თუ ადგილობრივი ქალ-ვაჟები ასეთ შრომას ბავშვობიდანვე იყვნენ შეგუებულნი, სხვა თემ-სოფლიდან მოსულებს ძალიან უძნელდებოდათ.

დიდი იუმორის მქონე, ცნობილი მელექსე ომათ ხთისო (გოგოჭური), გიორწმიდელი, შატილში ერთ კლდიან, ვიწრო ბილიკზე მოხვედრილა. მას თურმე სიმაღლის შიში ჰქონდა და გაუჭირდა კლდეებზე გადავლა (ეს ბილიკი შატილს საზამთრო სადგომებთან, სოფ. აცეხთან მოკლედ აკავშირებდა, მას „მაღალ სახვევთ“

ვეძახდით და ხშირად მივდ-მოვდიოდით). მიჩვეულ შატილივნებს ამ ბილიკით მძიმე ბარგიც გადაჰქონდათ. მასზე მანდილოსნებიც მოძრაობდნენ.

ხთისოს გაუჭირდა ბილიკის დაძლევა და თურმე შემდეგ ჰყვებოდა თავის სოფელში:

„მე კაწრით (ფრჩხილებით) ვიყვიდ (ვიყავი) გაბმულ კლდეებს, თითოითო (თითოეული) შატილიონთ დიაცი საქსოვის ქსოვით, რბოლით (რბენით) გადმამცილდისა და გადაეფარის. ჩვენებს კაცებს მაგათ (შატილიონთ) დიაცებ გვჯობიან“.

წინა საუკუნეებში შატილივნებს სხვა ადგილებიდან მოყვანილი სარძლოებისთვის წინასწარი საცდელი შემოუღიათ.

არღუნის ხეობაში, შატილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ერთი ნახევარკილომეტრიანი, მოძრავქვიშიანი ციცაბო ფერდი ადის. აქაც მოკლე ბილიკი მიიკლაკნება აცეხისაკენ. ამ ქვიშაზე ყოველი ნაბიჯი ჩაღმა მოქანავს ქვიშიანად. სწრაფად უნდა იმოძრაო ზევით, რათა ქვიშამ ფეხქვეშ გამოცლა ვერ მოგასწროს. ამ ქვიშიან ადგილს „ჭეტალ ქვიშანი“ ჰქვია.

ქორწილამდე ამ „ჭეტალ ქვიშათაზე“ ხდებოდა სარძლოების გამოცდა. არღუნის პირას, ქვიშების ბოლოში, საპატარძლოს 6-7კგ. სიმძიმის ტვირთს („სასაგძლეს“) აჰკიდებდნენ ზურგზე, წინ ცნობილ მუხლად ვაჟკაცს დაუყენებდნენ და ორივეს ზევით ქვიშაზე გაუშვებდნენ. ჩქარი ნაბიჯით მოსიარულე წინამძღოლს აღმართზე დაუსვენებლად უნდა აჰყოლოდა ქვიშის თავამდე საახალზლე.

ამ შეჯიბრს ხალხი ესწრებოდა. თუ საპატარძლო ვერ ადიოდა შესაჯიბრ მანძილზე, მას ბოდიშის მოხდით მამისახლში დააბრუნებდნენ. ფიზიკურად და სულიერად სუსტი რძალი შატილში „ვერ იქმოდა ზლობას“. თუ საპატარძლო საქებრად დაასრულებდა მანძილს, ის შატილში შესძლებდა ცხოვრებას და მალე საქორწილო სამზადისი დაიწყებოდა.

ეს სპარტანული, უცნაური წესი დიდხანს ვერ გაგრძელებულა. იჩაგრებოდნენ არაფერში დამნაშავე, ლამაზი, ნაზი, სუსტი აღნაგობის სარძლოები.

მეოცე საუკუნის ოციან წლებში ერთ-ერთ კარგ ვაჟკაცს, შატილიონ ჩალხიას, პირაქეთი ხევსურეთიდან მოუყვანია უნაზესი, ულამაზესი ქალიშვილი მზევინარი. შატილივნებს მსჯელობა დაუწყიათ: ძალიან სუსტია, ჭეტალ ქვიშათაზე უნდა გამოიცადოსო.

საქმრო ჩალხიას ძალიან უყვარდა თურმე მზევინარი და უფროსებს გაუბედა და უთხრა:

„ – თქვენი მსჯელობა ძალიან მაოცებს, ცოლი შატილში დოღში, შეჯიბრში სარბოლად კი არ მოვიყვანე, არამედ საცოლედო. როგორც შესძლებს, ისე იცხოვრებსო!“

მზევინარს შატილში ცხოვრება არ გაუმართლდა. დაქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ ჩალხია მტრებმა მოკლეს და მზევინარი უდროოდ დაქვრივდა.

ჩალხიას ძმა-ბიძაშვილებმა ნამაშვრალში მზევინარს ერთი ძროხა დაუყენეს წინ და მამისახლში გაისტუმრეს. მთელმა შატილმა ტირილით გააცილა აგრეთვე ცრემლიანი მზევინარი. მშობლებთან ბოდიშის მოსახდელად ორი სახელიანი მოხუცი შატილიონი გააყოლეს თან.

ამ ამბის შემდეგ მოშლილა ეს საქებარი თუ დასაწუნებელი, შატილივნების მოგონილი წეს-ჩვეულება. ამბავი ჭეტალ-ქვიშაზე კი დღემდე შემორჩა შატილურ ხალხურ პოეზიას:

„შატილ ჭეტალ-ქვიშანი,
საცდელნ ახალზლისანი!“

აღსანიშნავია, რომ შატილში რძლები გამორჩეულად უყვარდათ. დღეობებში სინდის-ნამუსით ცნობილ რძლებს (განსაკუთრებით დაქვრივებულებს) საწდეებს და ლუდიან კოშებს მიართმევდნენ, ამაღლებულად დალოცავდნენ მათ კაი დიაცობას. შატილში ადრე განათხოვარი და მერე სხვაგან გათხოვილი ქალები შატილიონთაგან დიდ ყურადღებას სიამაყითა და დაუფარავად

აღნიშნავდნენ. ჩანს, დედას (რძალს) კარგი შატილივნის გაზრდაში დიდი ღვაწლი ედო. ამიტომაც საუბარში ასე მიმართავდნენ სანაქებო ქალ-ვაჟებს: „კაის დედ-მამის შვილო, კაის დედ-მამის გაზრდილო!"

ერთ პატარა ლექსში შატილში დაბადებულ-გაზრდილი ქალიშვილი ნატრობს: „ნეტავი სხვა სოფელში გავჩენილიყავი, შატილიონთ ზალი გავმხდარიყავიო!"

როგორც აღვნიშნეთ, შატილში ერთმანეთთან მხოლოდ ანატორლებს და დანარჩენ ჭინჭარაულებს შეეძლოთ დაქორწინება. ასეთი რძალი იყო შესანიშანავი პიროვნება, სანაქებო შვილების გამზრდელი საღირაის დიაცი ძილო. ძილო ამბობდა: „შატილიონთა კაცი კი არა, საქონიც არ დამიწყევიაო". ის ანატორელი იყო. დედას ვკითხე ძილოს ასეთი გამორჩეული სიყვარული შატილიონთადმი. დედამ მითხრა: „ჯერ მე მირჩევიან ჩემ სოფლელ გუროელთ შატილიონნი' ძილო კი ქალიც შატილიონთაიაო, ზალიცო, რა გასაკვირიავ, უყვარდანავ".

ტუჩათ ნიკო და ნიათ ლეკო

მე-20 საუკუნის დასაწყისში ხევსურეთში სოფლები ჯერ კიდევ მჭიდროდ დასახლებული იყო, ერთ ასეთ სოფელს გიორწმიდაში ტბათანა ერქვა. ზღვის დონიდან ერთ-ერთი მაღალი დასახლება. როგორც აღვნიშნეთ, აქ გუროდან გადმოსახლებული გოგოჭურები სახლობდნენ, მათ შორის იყო ნიკო ტუჩას ძე გოგოჭური. რაღაცაზე ნიკოს მამ-ბიძებს ქისტებმა უჩივლეს. ისინი დაიჭირეს და დაიკარგნენ. დაობლებული ნიკო მალე წამოიზარდა და ძალიან თავმომწონე და თამამი ვაჟკაცი დადგა.

XX საუკუნის ოციან წლებში საბჭოთა წყობილება მთებში ჯერ კიდევ განმტკიცებული ვერ იყო. მოსაზღვრე თემები ერთმანეთზე თავდასხმებს აგრძელებდნენ. მოსახლეობაში საკმაოდ იყო შემორჩენილი ცეცხლსასროლი იარაღი. გრძელდებოდა პირუტყვის მოტაცება ჩეჩენ-ინგუშების მხრიდან. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმისას სოფელ გიორწმიდიდან მოიტაცეს პირუტყვი და ჩვენი მდევრიდან ქისტებმა მოკლეს ოდინა გოგოჭური. გარდა ამისა, ქისტებმა უჩივლეს და ციხეში დაიკარგნენ ნიკოს მამ-ბიძანი.

ნიკოს ახსოვდა მამ-ბიძები და რომ წამოიზარდა, დაიწყო „ჭირის საძებნად" მიყოლა. ხან მარტოკა, ხან ერთი გამყოლით ხშირად დადიოდა ქისტეთში და ყველა ბრალეულს თოფავდა. ქისტებმა ერთიმეორის გადაბრალება დაიწყეს ოდინას მკვლელისა. ძალიან შეაწუხა ნიკომ მითხოვლები: ხან მათ სახლებს ცეცხლს უკიდებდა, ხან წისქვილებს უმტვრევდა. ბოლოს ერთმა თავისი დეიდაშვილი ათოფვინა ნიკოს. ნიკომ ვერ მოკლა, მაგრამ ფეხში დაჭრა სოფ. სახანოში მცხოვრები მურთაზ მაპამის ძე. დღისით, მზისით თავს ესხმოდა სოფლებს ნიკო, აწიოკებდა მითხოს ხეობის მოსახლეობას. შორს გავარდა მისი სახელი. ეს მომცრო ტა-

ნის, ქერა, პატარა ბიჭი შიშის ზარს სცემდა არამარტო ქისტებს, არამედ მაშინდელ სახელმწიფო მოხელეებსაც. ნიკო ფაქტიურად გაყაჩაღდა, მდიდარ ჩარჩ-ვაჭრებს და ზოგჯერ ჩვეულებრივ მგზავრებსაც ძარცვავდა.

ცნობილმა გიორგმიდელმა მელექსემ, ომათ ხთისომ, კარგად, სამართლიანად დაახასიათა ტუჩათ ნიკო და აღწერა მისი „საქმენი საგმირონი“:

„ნიკო მაშინ გაყაჩაღდა, რო გადაშრა მთაო,
ნაგანი და მაუზერი ორივ აიღაო,
ანატორზე გადავიდა, გადაბოინდაო,
ხიტალეში რომ ჩავიდა, იქ შეისვენაო,
ჩაჩაურის გიგიასა ელაპარაკაო:
„ვალი გმართებს შარშანდელი, უნდა გადახდაო“,
ახსნა ხარი გიშერაი, წამაიყვანაო.
საძელეზე დააგროვა კაცი ოცდაცხრაო,
გახადა აზიაცკები, თვითონ ჩაიცვაო,
ბუხრის ქუდები მოხადა: „თქვენ იყიდეთ სხვაო“.
მაშინ დავარდა შპიონი, ნეხვათ რაში ჰყაო,
გადმაჯდა ნეხვაიშვილი, ნიკო გადაჯდაო,
სასწრაფოდ გადმაიარა ხევსურეთის მთაო,
იწრო გუროს ჭალაზედა გამაუშალაო,
„ეს მამაძაღლის ტიალი მაშინასა ღგაო“.
გზაზე ხვდება გეპეოი, არ ედარდებაო,
გადაბრუნებულ ზატორი გადმააბრუნაო.
ეხვენება ცხვედაძეი: „დამანებე გზაო,
მოწმობა თუ დაგჭირდება, პეჩატს დაგიკრაო“.
ერთის მინუტის ხანზედა ჯარეგოში ჩაო (ჩავა),
ქისტის ქალებ იძახიან: „ნიკა მავიდაო,
რჯულიანში ნუ გავუშვებთ, გახდეს ჩვენი ძმაო“.
სახანოში დაუბარა: „ძეცათ მაჰამაო,
დამაცალე ცოტა ხანსა, მურთაზს მოგიკლაო,
ერთი ფეხი ხო მოესტეხე, ერთით კიდევ დაო (დადისო)“.

ამ პერიოდში მთის რეგიონებში ნაკლებმოსავლიანი წლები იდგა. ისედაც ნაკლებმოსავლიან, მცირე მამულებს ვერ შეეძლო ოჯახების გამოკვება. განსაკუთრებით უჭირდათ თერგის სათავე-

ებში მცხოვრებ მოხევეებს. ისინი მოსაზღვრე კუთხეებში, უფრო კი ხევსურეთში, დადიოდნენ და ნებისმიერ სამუშაოს ასრულებდნენ მარცვლეულისა და პირუტყვის საფასურად. მათ განსაკუთრებით ეხერხებოდათ ქვის მშრალი კედლების მშენებლობა, წისქვილების გამართვა და ა. შ. შატილის თემის სოფლებში მათ ზაფხულის თვეებში იმუშავეს და ათეულობით პირუტყვი მოაგროვეს, ყველაზე სასურველ მასპინძლად მათ ნიათ ლეკო მიაჩნდათ და მათი უმრავლესობა ამ ოჯახში ათენებდა ღამეს.

ერთ დილით მოხევე სტუმრების ერთი ჯგუფი 15 სული ცხვრითა და ვაც-ვერძებით ლეკომ სახლიდან გაისტუმრა.

იმავე დღეს უკან მობრუნებულებმა ისევ ლეკოს მიაკითხეს. შრომის საზღაურად ნაშოვნი საკუთარი წვრილფეხი შატილისავე საზღვარზე ტუჩათ ნიკოს იარალის ძალით წაერთვა მოხევეებისათვის.

ლეკომ დააწყნარა ნაცნობი მოხევეები, ფარეხში შეუშვა და დაარიგა: იმავე რაოდენობით უკეთესზე უკეთესები აერჩიათ და წაეყვანათ სახლში. ჩემ მოცემულებს ხელს ვერავინ ახლებსო.

ნიკოს მტრობა უბარა თავისი სტუმრების დაძარცვისათვის.

მესამე დღეს ნიკოს დედამ, ბარისაჯოელ უჭკუათ ქალმა ნათიამ, იმავე რაოდენობის ნარჩევი წვრილფეხი მოლალა და არაყიანი ქინთი (ტიკი) მოაყოლა. ნიკო იბოდიშებოდა არასწორი მოქმედებისათვის.

ლეკო და ნიკო შერიგდნენ. ნიკომ სამუდამოდ დაანება თავი ძარცვას. თვითონ ნიკო იხსენებდა შემდეგ თურმე, ლეკომ პირველივე შეხვედრაზე მითხრაო: „ძალიან კა ვაშკაც ხარივ, ნიკოო, ცოტაადავ წვრილმალ საქმეებ გამცრევებსავ, დაანებევ თავივ შენდ არასაკადრის საქმიანობასავ".

შერიგებიდან მოკლე ხანში ლეკო მეუღლესთან, მექიასთან ერთად გიორწმიდაზე ავლით, მოსაკითხით, არხოტში მიდიოდა ქვისლებთან, ბეწინათ თორელთან და ჯღუნათ მიხიელთან. ნიკო ტბათანას დახვდა ლეკოს არაყითა და ტაბლით. ქეიფი ისე გაუ-

გრძელდათ, რომ გვიან ღამეს ძლივს ჩავიდა ლეკო არხოტში, სოფ. ამღაში.

ჩემ ძმას ალექსის კარგად ახსოვს ნიკოსა და მისი ბიძაშვილის – აპარეკათ ხთისოს ქეიფი ჩვენს ოჯახში, შატილში.

ეს აპარეკათ ხვთისო ობოლი დარჩა, ქისტებმა რომ მისი მამ-ბიძები ციხეში დააპატიმრებინეს. მათივე წეს-ჩვეულებით პატარა ხთისო ქისტებმა (მტრებმა) წაიყვანეს და გაზარდეს. ჩვენს ოჯა-ხში ქეიფის ჩვენი აღწერის დროს ხვთისო გროზნოდან იყო ამო-სული, უკვე სამხედრო კაპიტანი. ამბობენ, რომ მეორე მსოფლიო ომში მან გენერლობამდე მიაღწია და შემდეგ დაიკარგა. ხმები დადიოდა, თითქოს მერე ამერიკაში მოღვაწეობდა.

ტუჩათ ნიკო ლაღი, თამამი პიროვნება იყო. იმ ზემოაღწერილ ქეიფში ნიკო საცეკვაოდ გადმოსულა, ცეკვა არ სცოდნია, სიმღე-რით კარგად მღეროდა. მაშინ ასეთი ლექსი უთქვამს:

„დაგძინებიყვა, მოყმეო,
ვერხოვან გრილსა ქვაზედა,
ყელს გველი გადმოგხვევიყვა,
თავი დაედვა თავზედა.
იქავ კი გეშველებოდი,
თუ მოვსულიყავ ხანზედა!"

თან რევოლვერი აღმართა ჭერში სასროლად. ბიძაშვილი ხვთისო ელვის სისწრაფით ეცა ხელში, არ ასროლინა. გვერ-დით სახლში უხუცეს თიაყათ თოთიას სძინავს და გაეღვიძე-ბაო. უფროსებისადმი კრძალვა ქისტებს უფრო გაეძლიერებინათ ხვთისოსთვის.

„ოო, თოთიაისად ძილის გამთხობა ჩემი უკაცობოობით აღარ მამგონებივ", – თქვა ნიკომ და თავის ადგილზე დაჯდა.

ნიკო არხოტიონ ქალზე დაქორწინდა, იქ, ზამთარში, მისი სი-მამრი გარდაიცვალა. მის დასატირებლად წასული ნიკო და მისი მეუღლე ზვავმა დაიტანა. ბუნების სტიქიამ დაჩაგრა ამაყი გიო-რწმიდელი.

შატილივნები არა მარტო ჩრდილოეთიდან მოსული თავდა-მსხმელებისგან იცავდნენ საქართველოს, სამშობლოს სხვა კუ-

თხეებიდან წამოყვანილ თანამოძმეებსაც არ ატანდნენ მტრებს. ეს ნათლად ჩანს ზეპირსიტყვიერებაში, განსაკუთრებით კი ხევსურულ პოეზიაში:

„ბარაქალ, ჴირჩლაის ქალო! ღმერთმა გიცოცხლოს ძმანიო!
თავზე დაადეგ ქალებსა: „ჩქარა გავიხვნეთ გზანიო!
გაიგებს შატილიენები, სისხლის გაივლის წყალიო".

ხალხ. პოეზია, I, ხევსურული, გვ.14

ეს ქალი ხევსურეთში განთქმული იმ ჴირჩლა ბაბურაულის ქალიშვილია, რომელიც მითხოში ლაშქრობისას ქისტმა სუიკამ მოკლა თოფით. ჴირჩლა ხმალში მთელ ხევსურეთში უძლიერესი იყო. „ხმალდახმალ წინწინ ვინ ჩავა, ჩააცვეთს ბაბურაული", – ასე ახასიათებს ერთი მელექსე მას. ლაშქრობის დროსაც ხმალდახმალ მისვლა გაბედა სუიკასთან ჴირჩლამ. სუიკას გაუფრთხილებია: „არ მოხვიდე, მოგკლავო", მაგრამ ჴირჩლა უკან როგორ დადგებოდა?! სუიკა იძულებული იყო, არ მიეშვა ახლოს სახელგანთქმული ხევსური და თოფით მოკლა. სიკვდილის შემდეგაც ჴირჩლა ლომს არის შედარებული:

მოკლულ „ჴირჩლას არწივებ ეთელებოდა,
წვერსა უშინჯვენ, ულვაშსა,
ლომისას ეფერებოდა".

ამ ცნობილი ვაჟკაცის ქალიშვილმა იცის, რომ შატილიენები პირაქეთი ხევსურეთიდან წამოყვანილ ტყვეებს (ქალებს) უსიკვდილოდ არ გაატანდნენ ურჯულოებს, „მართ ცეცხლად მოედებიან". არც მტერს გაახარებენ და თავადაც შეეხოცებიან, „სისხლის გაივლის წყალია", თუ შატილის ტერიტორია სწრაფად არ დატოვეს. ამისი მაგალითები ყოფილა სხვა დროს, თორემ მელექსე ჴირჩლაის ქალს ამას ასე ყასითად არ ათქმევინებდა.

ლექსის ვარიანტების გარჩევისას მითითებულია, რომ ზემოაღნიშნული ტყვე ქალები თავიანთებმა მალე გამოიხსნეს.

ჴირჩლას საკარგყმოს ხევსურები გუდანის ჯვარში გვიანობამდე დგამდნენ.

შატილიენები მუდამ მზად იყვნენ თავისიანის დასაცავად. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ის უახლოესი თანასოფლელი იქნებო-

და თუ „კახ-ბარისა". ყველა ქრისტიანი ქართველი მათ მოძმედ მიაჩნდათ.

„მაგნატრით, შატილივნებო, მზიდავნო სახელისაო,
ურჯულოს გრანიცაზედა მტეხნო მალ-მალე ჴმისაო,
ტყვიაში გამაცხობილნო, რა გესწავლებათ ცდისაო".

შატილიონთ მენაპირედ ყოფნა და „სახელის ქნა" ტრადიციულად მოსდგამდათ და აგრძელებდნენ საუკუნეების მანძილზე.

„თქვენ არ დაჰკარგეთ ჯილაგი წინიდგეს მამ-პაპისაო,
კაი ყმა, მგელი, არწივი თავისას არ იშლისაო,
ციხე-სიმაგრეევ შატილო, აკვანო გმირებისაო,
მთიელთა რკინის კარი ხარ, თავზარისმცემი მტრისაო!"

ივანე წიკლაური გულწრფელად სთხოვს ლექსის მსმენელს და მელექესს, რომ შატილი და შატილივნები, მათი ნამოქმედარი არ დაივიწყონ და გადასცენ მომავლებსაც.

„შატილ სმა იყვას ლუდისა, სტუმრისა მასპინძლისაო,
ამაშინ მაიგონნიდით დამცველნი საზღვრებისაო,
მიუტანიდით პატივი, თას გაუვსიდით ხისაო.

დრო მოვა, სხვა დრო ქვე ნავა, წყალიც ბევრ ჩაივლისაო,
თქვენ ნაქნარ მააგონდება თქვენს შვილსა, შვილიშვილსაო!"

ამასვე ვთხოვ და ვნატრობ მეც. ამ სურვილით და მიზნით შეიქმნა ეს პატარა წიგნი. და თუ იგი მკითხველს მოეწონება, ჩემი სანუკვარი ოცნება შესრულებულად ჩაითვლება.

ჯერ კიდევ 1964 წელს თბილისში, ეკონომიკის ინსტიტუტში მუშაობისას, მენატრებოდა ჩემი შატილი და მივუძღვენი ერთი პოემასავით გრძელი ლექსი, სადაც მეტ-ნაკლებად ავსახე შატილში, და არა მარტო შატილში, ბავშობაში მომხდარი და განცდილი ამბები, ქრონიკები. ეს ლექსი მოსწონთ შატილივნებს და ამ წიგნის დაწერის ერთგვარი სტიმულიც გახლდათ, ამიტომ ვაქციე წიგნის ნაწილად.

ნუ დაიცილებთ!

ოჴერო ნუთისოფელო, რა მწარეს მასმევ შხამსაო,
თვალით სანახვად მანატრებ მამ-პაპის ნააკვნარსაო.
შენავ რაადამ მგონდები დარდიანობის ჟამსაო,
შენ გეხვეწები, შატილო, შამაგაბარებ თავსაო;
ცოცხალი ვერ დაგიცილებ, ნუ დამიცილებ მკვდარსაო,
გაგნირე უნადინოდა, მალე მივლბარდი ბარსაო,
გულს ანაბრ იმით მატკიებ, ანაბრი იყრი ჯავრსაო.
დავლნატრი ნისლის კოტრებსა, მანდისკე მამავალსაო,
მთვარესა ხუთმეტისასა ანატორ ამამჴდარსაო.
უჩემოდ ღნახვენ ტივლები შატილ ქავ-ქავის კარსაო,
ნვიმებით დაიტირებენ ჩემს დარდის ნაგუბარსაო.
ფეხონში გაიგონებენ მამ-პაპათ ნაუბარსაო,
ჩაქცეულს ღნახვენ ფეხონსა, გოგოთურათა ქავსაო,
აშამბებულებს ჴოლებსა ფეხვნისძირს, კალოსკარსაო.
ქავ-ციხენ მიუხვდებიან აქით ჩემს დანაბარსაო,
ვერ ვხედავ ჴმაურიანსა შატილ ჯვარ-ჯვარის კარსაო.
ვერც ბენიკიათ ბესოსა, – გორგალათ საყურასაო,
გიგიათ ხთისოს მაგიერ ვინაღ დაუკრავს ზარსაო.
მზის პირით ვერ გავიგონებ ბებრების ნამღერალსაო:
„ტერელოს ჭალას ყვარანო, ულრანს რას ავლებ თვალსაო,
სამზირს სხენ შატილივნები, მასდევენ თავის ვალსაო“.
კოტორთან რა ამბავია, ცეცხლი რად იქნევს ალსაო,
ყმანვილებ, ახალუხლები რაად შახედვენ გზასაო;
გუროთა, გიორნმიდითა ვინ ელოდება ზალსაო,
ღამით ცეცხლიანს ტყვიასა ვინ ღნახავს თხორუს თავსაო,
ნინნინ ვინ გაეგებება შორით მასულსა მგზავრსაო,
ამბავ-მშვიდობას ვინ ჰკითხავს ფეხვნის გვერდ შამამჴდარსაო,
გულფიცხებს ახალუხლებსა ვინაღ ასნავლებს ჭკვასაო,
მტრისკე სისხლადულებულთა ვინაღ რა ურჩევს კასაო.
ვინ გადაივლის ფეჴითა დათვისჯვარს, წუბროვანსაო,
ვინაღ გახენებს იქითა მაღალს ბატეხის თავსაო.
ვინ დაესწრობა აცეხა მადლიანს თიბა-მკასაო,
გარუგას ვინაღ შააჴდენს თოფ-საბელ ორხალათაო,
ზულაით ვინაღ იყურებს შურთხების ნაკვნესარსაო,
ჴომათეს ვინ გაიგონებს ჴარათით თოფის ჴმასაო,

ვინ შასომს ვეშაწყაროსა სიმღერით მიმდინარსაო,
ვინ აკლებს სანადიროთა წყნარად დურბინის თვალსაო,
დეკიან-შალშავიანსა მითხულ ვინ შაჰფენს ცხვარსაო,
ჭაუხა, შატილის-ჭევა ვინ უდგა ჭარავანსაო,
ნაბაკურაჩი ვინ ღლესავს ფოლადის ცელის ფხასაო,
სახვევთას გადავლაჩია ვინ ხატავს საზმანათაო,
შაშხანის პატრონაითა კლდეებს ვინ აწერს გვარსაო.
რად სწირვენ დაიაურნი ჩალხიას ნახანჯრალსაო.
ცოდო სძეს ეკალდამათა, მაღალ ჭიდს, ნაშუღლარსაო,.
ბევრს დაუმწუხა თვალები სწორების მჯობსა ყმასაო;
ერთურთს რად ჭოცდით, გმირებო, რად არ ეცადეთ ზავსაო,
დალაღებულებს ქისტებსა ვინალ შაუქცევს ძალსაო,
ჯარეგას აღარ ელიან ბათაკის ბათაკასაო,
ალაქოს თავის სოფლელთას ვინაღრა იცნობს ჭარსაო,
„სევეტე" რად ემტერება იმედათ უშიშასაო,
რაზე ჰკვლენ მაჭევეები ლიქოკელ გიგიასაო,
ბებრიშვილს ვინ ეშუშპრება გუროელთ ერთკიმჭარსაო,
რაზე ჰკლავს გაჭეითია ძმაი საკუთარ ძმასაო,
ფეჭს ვინ იკურნავს დუჟეთა ქისტების ნატყვიარსაო,
ცხვარს ვინ მაღლალავს მიზუთა ქისტების წანაყვანსაო,
ქვისჭორჭით ნამოყვანილსა ტყვეს ვინ ჩააცვამს ჯღანსაო,
ლეკო რად მაღნატრებია ლადოსა ნათოფარსაო.
თვალცრემლიანი ვინ ღნახავს ცოდვიანს კელისწყალსაო,
ხახონას ჭელებდაჭრილსა, ჩუაის ნაფრენალსაო,
ბაჭყიას ბრძოლით მაგლილსა ვინაღ მაიძევს კვალსაო.
გასაოჭრებსა სიკვდილსა ბევრსაც ვერა ვსდებ ბრალსაო,
ნიადე არ დაინდობდა ჭელი-ჭელ მაბრძოლარსაო,
ჩუმად, უსიტყვოდ მავალი ღგავის ლემადის ქარსაო,
მთაზეით ჩამამდინარსა მუდმივად მაქროლარსაო,
კარგებს რომ არჩევს, ვემდური სიკვდილის სამართალსაო.
სისუსტით ნუ დამიწუნებ, მსმენელო, ნალექსარსაო,
ორ-სამ წელს დასვენებულსა ფანდურს ძლივ ვუბამ ლარსაო,
უთქმელად ვეღარ ვიტევდი ცხრა-ათ წელს ნაფიქრალსაო...
ყველას ერთფერად მივღნატრი – თავისასა და სხვასო,
მტერსთანა, მაკეთესთანა ვინაც არ იყვა ყამსაო.
მივსტირი ქავ-ციხეებსა უდროოდ ნაოჭარსაო,
ამით ვიქარვებ ტკივილსა, დარდებსა საკუთარსაო...

სანამდე ჭევსურობა გნამთ, სანამდიაც სხამთ ჯარსაო:
ნუ დაიცილებთ სწორების მჯობნების ატეხასაო,
წინაპრებს სასახელოთა ხატივით სალოცავთაო.
სიგირგლის ჩამამავალი სალექსოდ არ გთხოვსთ ქრთამსაო,
ერთ არაყიან ეყოფა ფხიზელსა, გადამთვრალსაო,
აიმით მამიგონებდეთ ცოცხალსა, გადამხრჩვალსაო!..

დღევანდელი შატილი წარსულის აჩრდილია. ტრადიციულ სიმაგრეში გავიზარდეთ მე, ჩემი ძმა ალექსი და ისინი, ვისაც ვიხსენიებ წინამდებარე წიგნის შესავალში და ვუძღვნი ჩემს ნაშრომს. ახალგაზრდობა უმეტესად ბარში გაიზარდა. მოიშალა ტრადიციული ყოფა, ადათები, მეურნეობა. თითქმის აღარ არიან ზეპირსიტყვიერების მცოდნენი. შატილის ძლიერი და წმიდათაწმიდა სალოცავი ხუცესის გარეშე დარჩა. ეს ყველაფერი მძიმე ტკივილად აწევს ჩვენს ყოფას, მაგრამ იმედია, რომ მომავალი თაობები გულისყურით მოეკიდებიან საშვილიშვილო საქმეს, კარგად შეისწავლიან შატილის ისტორიას, ხევსურთა ზნე-ჩვეულებებს და ცხოვრებაში გამოიყენებენ გონივრულად, როგორც ჩვენს სახელოვან წინაპრებს სურდათ. ეს წიგნიც ხომ ძირითადად ახალგაზრდობისთვის დაიწერა.

შატილში ამჟამად თხუთმეტიოდე ოჯახი ცხოვრობს. სოფელში არის საჯარო სკოლა, რომელშიც მხოლოდ შვიდი ბავშვი სწავლობს. მუშაობს ამბულატორია, მას სათავეში უდგას გამოცდილი ექიმი მიხეილ ჭინჭარაული (მეტსახელად „დოხტური"). იგი შთამომავლობით მკურნალია; მისი მამა-პაპანი ცნობილი დასტაქრები იყვნენ პირიქით ხევსურეთში. ფუნქციონირებს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. თვითონ შატილი, თავის კოშკებიან-ჯვარ-ხატებიანად, მუზეუმ-ნაკრძალად არის გამოცხადებული.

ანატორში გახსნილია სასაზღვრო პუნქტი.

შატილი ელოდება ნამდვილ გულშემატკივრებს და მზესავით სასურველ სტუმრებს.

სიტყვა-თქმათა განმარტება

ამამჴდარი – ამოსული (მთვარე)
ამანათი – სხვა თემიდან მოსული უცხო, თემს შეკედლებული
ანაბრი(ვ) – ალბათ, ამიტომაც
ანდაქი – სოფელი პირიქით ხევსურეთში, მილმახევში
ანატორი – ხევსურეთში ორი ანატორია: ერთი ანატორის ღელე არაგვის სათავეში, ს. ხადუდან ს. გუროში გადასასვლელია. მეორე – შატილის ახლოს, რჯულიან-ურჯულოთ სალოცავია, ანატორის ჯვარი.
ანდრეზი – ძველი თქმულება, ადრინდელი წეს-ადათის გადმოცემა
ანატორლები – ანატორიდან მოსული შატილივნები
არ ვშჩქამობ, არ ვზძრახავ – არ ველაპარაკები, არ ვეპასუხები
ალაქო – სათიბ-საძოვარი ადგილი შატილსა და ჯარეგოს შორის
ანატორის კუჭი – ციხესავით კლდიანი მთა ანატორში
არიშკა – ხეობა და მთა ზემო ჩეჩნეთში
ალუდა – მოცხარის ნაირსახეობა, ნითლად მწიფდება, ტკბილი გემო აქვს.
არღუნი – მდინარე, იწყება პირიქით ხევსურეთში, მიედინება ჩეჩნეთის ტერიტორიაზე.
ატეხა – ხსენება, მოგონება
აღاროოც – ალბათ აღარ
აშამბებული – ბალახმორეული, აჭინჭრებული
ახალზალი – პატარძალი
ახალუხალი – ერთად შეყრილი ახალგაზრდობა
აჴე – ადი ზევით
აჴვა – თემი იყო ინგუშეთში.
აჩხატა – ადგილი შატილში
აჯღარუნებს – აყღრიალებს, ჩამოიკიდებს და აჩხრიალებს.
ბაგრატაულნი – ჭინჭარაულების მამიშვილობა შატილში, ქვეგვარი
ბადურიკანი – ჭინჭარაულების მამიშვილობა, ქვეგვარი შატილში
ბაჩაყაურნი – გოგოჭურების მამიშვილობა გუროში, ქვეგვარი

ბატეხი – ადგილია შატილში
ბედისკვერა – იფქლის ფქვილისგან გამომცხვარი ერბოიანი ხმიადი
ბოსოხი – სოფელი ჩეჩნეთში
ბულოურნი – ჭინჭარაულების მამიშვილობა შატილში, ქვეგვარი
ბუსურბანი – მუსლიმანი, მაჰმადიანი
ბოჯირი – ჯებირი
ბაკანი – ჯამისებური ხის ან სპილენძის დიდი ჭურჭელი, ტაშტი
გადაიზინკლე – გადაჰფრინდი, გაიქეცი ხტომა-ხტომით
გადალაჭვა – 1. გადავლა, დაძლევა. 2. გაგიუება
გადაღრიენა – ესროლა
გადმაჭე – გადმოდი
გავიხვნეთ – გავიაროთ, გავიტანოთ გზანი (ფშაურია)
გაიკრიფნან – დატოვონ, დაცალონ აქაურობა
გამოეხვეწებოდნენ – გამოჰრიდებოდნენ, გამოასწრებდნენ
გამოვსტყეპ – გამოვსვრი, გამოვლესავ
გამცვრევებს – გამცირებს, გაჩალავებს
გაგნირე – დაგტოვე
გარუგა – სახნავ-სათიბი ადგილი შატილის მთაში
გასაოჭრები – ოხრად დასარჩენი, გასატიალებელი (წყეულია)
გასჯა – გარჯა
გვლარძი – დახვეული რკინა
გილაკაურნი – შატილელ ჭინჭარაულთა ერთი განშტოება, განაყოფი
გონთ – გონზე, ჭკვიანად
გუდანი – სოფელი, ჯვარი, ძველი ცენტრი ხევსურეთისა
გუდელა – ბარისახოს ძველი სახელია
გულდაღრიანი გიორგი – ფშაველების სალოცავის, ჯვარის ეპითეტია
გურო – სოფელი პირიქით ხევსურეთში
დადალცუნ შეედილ! – ტიალო შატილო! აფერუმ შატილო! (ქისტურია)
დათვის-ჯვარი – გადასასვლელი პირაქეთიდან პირიქით ხევსურეთში
დავაოროლენ – გადაბმული თივები ორ-ორად დავყავი
დაითრების – დაეხეტება, აქეთ-იქით დაეთრევა
დამკლევება – დათრგუნვა, დაჩაგვრა, ხეიბრად გახდომა
დაეღნატრი – მივნატრი
დალივნეს – ამონყვიტეს, გაათავეს
დანიუხე – სასაფლაოა არდოტში.
დარალია – თავშიშველი თმიანი ქალი; ეშმაკი

დარანა – ძვირფასეულობის, იარაღის შესანახი სარდაფი შატილში
დარეჯანიანნი – დიდი დათვის თანავარსკვლავედი ხევსურულად
დარუყებული – დაჩაგრული, დაძლეული, შერცხვენილი
დასატიებლად – დასატევებლად, შესატევად
დასტურ-ჭელოსნები – მსახურნი სალოცავებში
დაღგლიჯნა – მოაგლიჯა (ბევრი)
დაუმწუხა – დაუხუჭა
დედუა – ბებია პირაქეთულ ხევსურულად
დეკა – ალპური მარადმწვანე, მომცრო ბუჩქმცენარე (Rhododendron caucasicum)
დენგნი – ბაზალტის ამოღრმავებული ქვასანაყი შატილის საფეხვნოში, თოფის წამლის სანაყად იყენებდნენ.
დიაცო! – ქალო! ხევსურული მიმართვა
დუნია – ქვეყანა
დურბინი – ჭოგრიტი
დღეობა – დღესასწაული, ძირითადად ჯვარში „დღეობენ".
ეფერებოდა – ჰგავდა, ემსგავსებოდა
ვაკის გორი – სასაფლაოა შატილში.
ველკეთილი – ადგილის სახელია პირაქეთში.
ვეშაგნი – გუშაგნი
ვიმქავრი – ვიქარვი
ვილაჭები – ვსულელდები, ვგიჟდები
ვუქთ – ვუზამთ
ზულაე – სახნავ-სათიბი ადგილი (ფერდი) შატილის მთაში
თავში გათვლა – სისხლის აღებად ჩათვლა
თერეთეგო – სოფელი მითხოს ხეობაში
თიაყანი – ჭინჭარაულთა მამიშვილობა, ქვეგვარი შატილში
თულუხი – სპილენძის წყლის ჭურჭელი, 10-15 ლიტრიანი
თუნგი – სპილენძის წყლის ჭურჭელი, 2-3 ლიტრიანი
თხორუ – ადგილია შატილთან
ინგური – შატილის შუაზე ჩამავალი ქუჩა, პირუტყვის სავალი, სანიაღვრე შარა
იძებნნა – სისხლი აიღო, შური იძია.
იჯისკარი – ნასოფლარია კისტანთან.
კალოთანა – სოფელი იყო არხოტში.
კალოსკარი – პატარა მოედანი, შატილში ერთ-ერთი შესასვლელი
კაპარი – გაზიანი სასმელი, ალაოთი დაყენებული, ბურახს ჰგავს.

კანარი – ფრჩხილები, ბრჭყალი
კელისწყალი – ადგილი (ნასოფლარი) შატილთან
კიბირჭიანი – კლდიანი ბილიკი
კიდობანი – დასაფქავ-დასათესი ხორბლეულის (პურეულის) შესანახი
კინჭლე – ორძირა ხის საწყლე ჭურჭელი; პატარა კასრი
კიაპი – მარცვლის პატარა წამონაზარდი, იგივე ღივი
კისტანი – სოფელი პირიქით ხევსურეთში
კოკონი – ჭინჭარაულთა მამიშვილობა, ქვეგვარი შატილში
კოტორი – ნაგლეჯი, ნაწილი (ნისლის, პურის)
კოტორნი – ადგილი შატილში
ლაჭოჩა – ცაცია (მარცხენა ხელს ვინც ხმარობს) სახელად იქცა.
ლებაისკარი – სოფელი იყო პირიქით ხევსურეთში.
ლემადე – მთის ნისლის ქარი, ნიავი
ლუჭყი-კენტაობა – ლუწის თუ კენტის გამოცნობა მუჭში ნაჭერი თხილ-
კაკლისა
მაგდის – გესმის
მაგლამსთ – მოგელისთ
მანგიანი – ჭინჭარაულთა მამიშვილობა შატილში, ქვეგვარი
მაკეთე – მოყვარე, ნათესავი
მაიძევს – მოძებნის
მაისტი – მთიან-კლდიანი ხეობა ჩეჩნეთში
მამანირვნიესავ – დამატოვებინესო
მაგნადდებ – მოგესურვება, მოგინდება
მამისაურნი – მამიშვილობა კისტანში
მამიშვილობა – ერთი გვარიდან განშტოებული ახლობლობა, ქვეგვარი
მარჯე – 1. ძნელი; 2. ჩხუბის მოყვარული
მარჯია შედილხუა! – ყოჩაღ, აფერუმ შატილივნებო! (ქისტურია)
მაქაცი – მაგარი ბუჩქოვანი მცენარეა, გრაკლი
მენაკუდე – მამიშვილობაში, ოჯახში ბოლო ნევრი, ნაბოლარა
მზისპირი – ჯვართა ადგილია შატილში
მზორებ – მძორები, გვამები
მეჭელე – ვისი ჭელითაც ვინმე მოკვდება, მკვლელი
მეჩქროებავ – თითქოს რაღაცა მესმის
მიგისხამ – მიგიწყობ
მივლბარდი – მივებარე, ჩავედი
მიზუ – სოფელია მითხოს ხეობაში.
მითხო – „მელხი" ქისტურად, ქისტეთის ერთი დიდი ხეობა

მითხოს ჩდილი – დიდი ტყიანი ფერდი მითხოში
მითხული – სასაძოვრე ხეობა, იალაღი შატილში
მინინო – მიმინო
მირგვალთ – ირგვლივ
მოკვეთა – პიროვნების ან ოჯახის თემიდან, სოფლიდან გაძევება, განკვეთა, უარყოფა. ყველაზე მძიმე სასჯელი ხევსურეთში
მყოლნი – მაყარი
მყეფარი – საჩუქრების გამომცხადებელი ფშაურ ქორწილში
ნაბაკურა – სათიბია შატილის მაღლა, თხორუს მთაში.
ნაგუბარი – ზვავისგან დაგუბებული მდინარე, როცა ზვავს გახეთქავს, კალაპოტს გალეწვით გაივლის.
ნაიბი – შამილის საიმამოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მმართველი, ზოგჯერ ჯარის სარდალიც
ნათოსი – ნამსხვრევი, ნაფლეთი
ნამზველი – ძროხა, რომელმაც მოიგო
ნაოჭარი – ნანგრევი, გაოხრებული
ნაშუღლარი – გუროელ-შატილიონთა შეტაკების (შუღლის) ადგილი
ნიადე – ნიადაგ, რაღა თქმა უნდა
ნინიაშვილისეული – ნინიაშვილის მოძღვნილი, მისეული ფანდური
ნეფიონთ ტაბლა – ქორწილში უპირველესი სუფრა ნეფისთვის, ახალგაზრდობისთვის მოწყობილი
ნუ დაიცილებთ – ნუ დაივიწყებთ
ობოლაურნი – მამიშვილობა კისტანში
ორყუნწა – ხურტკმელი, ორი ყუნწი აქვს (Кружовник)
პატივი – პატივსაცემი, საპატიო, პატივისცემის ნიშნად მისართმევი რამ
პოხილიანი – პირუტყვის ხორცით დამზადებული ცხიმიანი კერძი
პროზელიტი – სხვა სარწმუნოებაახლადმიღებული ადამიანი
რაადამ – რატომღაც
რას სჩა – რას შვრები, რას სჩადიხარ?
რაჭე – როგორ
რაჭლადამ – როგორღაც
როტო – ნოტო
საბელ-ორხალა – ძნა-თივის შესაკრავი საშუალება (თოკ-ფიჩხები)
საზმანა – მისაზომები სიმაღლეში
სათაგვე – მკლავის შუა კუნთი, ბიცეფსი
სალუქის ქავი – ადგილი შატილისა და ჯარეგოს საზღვართან

სამზირი – დასამალი ადგილი, მოსაფარი, სამზერი
სამკლავე – მკლავის დამცავი ჯავშანი, ღარისებრი ფოლადის ფირფიტა
სანაწყევროდ – დაწყევად, აკრძალულად
სანთები – კვარი, ძირითადად გამხმარი ფიჭვისგან მზადდება.
საქონი – საქონელი, პირუტყვი, ძირითადად მსხვილფეხი
სახანო – ნასოფლარია მითხოში.
სახვევი – ბილიკი კლდეებზე შატილიდან აცეხამდე
სახნა – სეხნია
საუკლოოდ – საუბედუროდ
„სევეტე" – თერთმეტსასროლიანი რუსული შაშხანა – ავტომატი
საყუჩი – სანგალი, მოსაფარებელი ადგილი
სერი – შეხედულება, გარეგნობა, ჰაბიტუსი
სერნაწრი – გარეგნული შეხედულება, იგივე სერი
სვე – სვია, ლუდისთვის სიმაგრისა და გემოს მიმცემი მცენარეული მასალა, ლუდის მასალასთან ერთად იხარშება.
სიმური – ნყალი, მდინარე (ჯვართ ენაზე)
სიპი – ფიქალი, ბრტყელი ქვა
სულ მამიქციე – სული დამიამა, გამირთო
სულწუხად – სულსწრაფად, ფიცხად, ხშირ-ხშირად
სძეს – ადევს
სჭირს – მოხვდა, მოხვედრილია
სნირვენ – სტოვებენ
ტალავარი – ტანსაცმელი
ტერელო – ადგილია ჩეჩნეთში
უბავ – მობმული აქვს
უგონთ გასული – გონებაწართმეული, მთვრალი
უთურგაულნი – ჭინჭარაულთა მეორე განაყარი შტო შატილში
უკაცური – არაკაცური, დამჩაგრავი
უსაკადრეოდ – არასაკადრისად, ცუდად
ურც (ურსა) – ცალპირი დიდი დანა (ქისტურია)
უწადინოდ – მოუწადინებლად, ნაძალადევად
ფერაულნი – მამიშვილობა ხახმატში
ფეხვნის ძირი – საფეხვნოს მიმდებარე, ქვედა ტერიტორია
ფიჭვნი – საზამთრო სოფელია შატილთან.
ფრანგული – ერთგვარი ხმალია, ალბათ, საფრანგეთიდან (ევროპიდან) შემოჰქონდათ

ფორი – ალაო
ქავი – გამაგრებული, ძნელად მისასვლელი ადგილი, ციტადელი
ქაჩუ – ნასოფლარი, შატილიენების ძველი სოფელი
ქვე – კი, დიახ, მტკიცებითი ნაწილაკი
ქინთი – ტიკი
ქვისჭორჭი – ასე ეძახდნენ შატილიენები ქეიმეხკის ხეობას.
ქორიალამო – ქისტურად „კირიალამა". გადასასვლელი მითხოდან ღილ-
ლოს
ქუდსაჭდელა – ქუდის მოსახდელი, ადგილი, საიდანაც პირველად გა-
მოჩნდება შატილი ქისტეთის მხრიდან.
ქუში – ქუჩი
ლაჭია – ცერზე წამოსაცმელი საჩხუბარი იარაღი
ღივი – მარცვლის მცირე წამონაზარდი გაღვივებისას
ღირთნავს – მორიდებით, ხმადაბლა ამბობს.
ღილღო – ზემო ინგუშეთის მიდამო
ყამს – შიშს, რიდს
ყარნიკა – ჩეჩნური შინნაქსოვი შალის გარემოსასხამი
შააჭდენს – აიტანს, მიიტანს ქვევიდან ზევით
შაგარჩინათ – შეგრჩეთ
შავით გასავალი – სასიკვდილე, ნყევლაა
შაიხვალისეთ – შეინახეთ, დაზოგეთ
შამამჭდარი – ამოსული ქვევიდან ზევით
შალშავი – მოცვი
შინში – ბიძაშვილი ან დეიდაშვილი
ჩამააჭდინ – ჩამოიყვანე ზევიდან ქვევით
ჩარდახი – ციხე-ქვითკირებზე მიშენებული საბრძოლო ნაგებობა, გარე-
დან დაფარული, შიგნიდან ღია
ჩერანი – წვივი
ჩოჩხავს – ჩურჩავს, არჩევს
წამამლალ – გამომაგზავნა
წინგარდა – წინა მხარეს გასასვლელი ბანიანი აივანი
წინწინ – წინდანინ, პირველად
წოწკილდა – აწონილი კლდე შატილთან
წუბროვანი – დათვის ჯვრის პირიქითა ფერდი
წულიანი – ძეობიანი, ეაჟიანი
ჭანთეთი – ადგილი ჩეჩნეთში
ჭაუხი – მწვერვალები ხევსურეთში

ჭინიჭალა – ადგილი გიორგიწმინდასთან
ჭკვანია – მჭახე მტვრევის ხმა
ჭეჭყეთი – სოფელი იყო კისტანთან.
ხამხი – ადგილია ზემო ინგუშეთში.
ხახმატი (ჴაჴმატი) – სოფლის სახელია პირაქეთში.
ხიდოტანი – ლამაზი ქედია არდოტთან.
ხონე – ქისტების სოფელი იყო მიღმახევში.
ხიტალე – სოფელი იყო პირაქეთში.
ხოხის ქვა – რიყის მაგარი, ბასრი ქვა
ხოყანა – ქვეყანა
ჴარავანი – ხარების ჯოგი
ჴარათე – დიდი სახნავ-სათიბი ფერდი შატილთან
ჴეტალი – ფერდი, გორი შატილთან
ჴომათე – მთა შატილის პირდაპირ (სათიბი)
ჴმის გატეხა – ხმის გავარდნა, გახმაურება
ჴოლი – ჩაქცეული სახლი
ჯალაბაურნი – ჭინჭარაულთა ქვეგვარი, მამიშვილობა
ჯარა – ძაფის საგრეხი დაზგა
ჯღერანია – მტვრევის ხმას რომ გამოსცემს
ჯღნები – ტყავის ფეხსაცმელი, ბანდულები
ჯღაბარდელაობა – კინკლაობა, უსახური ჩხუბი

საძიებელი

ა

ათენგენობა 117
ალაო 114, 125
ალაქოს ხევი 67, 150
ალერდა 45
ალექსანდრე ბატონიშვილი 38, 39, 40
ალუდა 63, 64
ალცბექი 93, 94, 95, 98
ამღა 85
ანაბრი 52, 56
ანატორი 23, 29, 30, 144
ანატორელნი 41, 42, 47, 92, 118, 142
ანატორელთ კარი 34, 92, 95
ანატორის ჯვარი 29, 130
ანდაქი 16, 17, 19, 20, 105
ანდრეზი 53, 88, 95
არდამ ერისთავი 27
არდოტი 16, 136, 139
არმაზი 27
არიშკა 54
არლუნი 15, 26, 27, 28, 29, 85, 86, 89, 95, 98, 108, 140
არხოტი 15, 84, 85, 137, 145, 146
არხოტიონი 12
აჩხატის გორი 28
აცეხი 48, 113, 116, 139, 140
ახალზალი 133, 139, 141
ახალუხალი 134
ახალხევი 16
ახვერდი მაჰმადი 83, 85, 86, 89, 90, 91, 92, 93, 94, 96, 97, 98, 99
ახიელი 85
ახმეტა 16
ახულგო 85

ბ

ბაბკიაურები 108
ბაგრატაულნი 41, 65
ბადურიკანი 41, 57, 71
ბანდულები 34, 57, 74
ბარისახო 25
ბატეხი 26, 149
ბედისკვერა 114
ბენინათ თორელი 145
ბოსოხი 52, 53
ბულოურნი 41, 65
ბუსურბანი 63
ბუჩასეული 97

გ

გაბრიელ ჯაბუშანური 24
გამცხადება 120
გარა თურმანაული 34
გარუგა 149
გასაგალი 139
გეპეო 144
გილაკაურები 40, 41, 56, 118

გიორწმიდა 21, 42, 43, 44, 45, 129, 137, 143
გოგოთურანი 41
გომბორი 23
გროზნო 15
გუდანი 26
გუდელა 16
გუდელასძირი 65
გურო 42, 44, 45, 129, 142, 144
გურჯიელგი 69, 70

დ

დათვია ლიქოკელი 77, 78
დათვისჯვარი 26, 149
დათუნას ეკლესია 31
დანიუხე 52
დარანი 33
დარეჯანიანნი 116
დარუბანდი 27
დასტურ-ხელოსნები 37, 116
დენგნი 86
დიდუბე 19
დოხანი 134

ე

ერეკლე II 38
ერწო-თიანეთი 23

ვ

ვაკისგორი 47, 68
ველკეთილი 26
ვერხოვანი 146
ვეშაგნი 118
ვეშანყარო 150

ზ

ზედაშე 118
ზეზე იჯე 108
ზეთასთვალი 51, 86, 92
ზელიმხანი 110
ზულაე 57, 58, 149

თ

თათები 80
თერგი 110, 144
თერეთეგო 74, 75, 79, 80, 81
თვალებდატყვრეცილი 50
თიანეთი 85
თიაყანი 41, 54, 56, 59, 71, 76, 108
თიაყათ კარი 34, 49, 56, 61, 92, 111, 112
თულუხი 37
თხობაერდი 31
თხორუ 129, 149

ი

იბი ალხასტოვი 17, 18, 19, 21
ითონჭალე 16
ინგური 34
ისანქაე 73
ისპა 78
იფქლი 28, 29, 50, 115
იჯისკარი 65, 108

კ

კალდიმები 39
კალოთანა 12, 85
კალტ-ერბო 67
კაპარი 114
კეზი 41
კელისწყალი 19, 20, 21
კვირიწმინდა 85
კვიშტანი 18
კიაპი 126
კინჭლე 35

კისტნის ჭალა 26
კოკონი 41, 56, 57, 65
კოტორი 23, 129
კოში 103, 129, 141
კუმეტი 120

ლ

ლაშარის ჯვარი 106, 107
ლებაისკარი 26
ლეკო 145
ლეკოთ წიქა 17
ლეონტი მროველი 27

მ

მალაიქი 77
მამითადი 77, 78
მანგიანი 41, 65, 71
მაქაცი 106
მაღალხიდი 44, 150
მენაკუდე 56
მეჭელე 63, 66
მერჯულეები 43, 51, 132
მესახელე 52
მზირი 65, 73
მთავარანგელოზი 29
მთიბლური 59
მიზუ 74, 150
მითხო 72, 74, 75, 78, 85, 93, 130, 143
მილახვრიანთკარი 29
მიურიდები 83
მიხეილ ვორონცოვი 99
მოზდოკი 85
მოსაკითხი 60
მუსა ხუნარიკოვი 19, 20
მუცოსჭალა 48, 49, 113
მქისე 57
მყეფარი 137, 138
მყოლთუფროსი 130
მყოლ-მარჯეკალი 128
მცხეთა 27

ნ

ნაბაკურა 12
ნაიბი 85, 86, 91, 94, 96, 97, 99
ნამაზი 73
ნამზველი 52
ნაშუღლარი 44, 46, 60, 150
ნიჭი 119

ო

ომათ ხთისო 144
ორყუნწა 63, 64
ორნყალი 25
ორჯონიკიძე 15

პ

პოხილიანი 49
პურ-სატანი 48

ჟ

ჟოლო 63, 64

რ

რაფიელ ერისთავი 25
რეზო ინანიშვილი 76
რტიშჩევი 38
რუსთავი 23

ს

საგინა გიორწმიდელი 102, 103, 104
საველო 57
სათავნო 138
საკიდელი 131

სალუქის ქავი 86
სამანი 121
სამან-სამძღვარი 121
სამგორი 23
სამზირი 149
სამეკვლეო 119
სამილმაჯეო 17
სანანყევრო 121
სასანთებე 131
საფეხვნო 34, 58, 79, 80, 86, 120, 121, 136, 149
საღამოები 125
საღმერთო 61
საყუჩი 17, 53, 73
საძელე 144
საწდე 118, 141
სახანო 143, 144
სახნა 62
სვე 37
სევეტე 150
სერგო ხორგვანი 17, 18, 20
სერნანრი 64
სიგირგალი 19, 45, 151
სიმონოვიჩი 38
სიმური 102
სისწვენი 126
სტალი 38
სულხანაური 62, 63, 65, 66

ტ

ტალავარი 63
ტბათანა 143
ტერელო 149
ტერლა 84

უ

უთურგაულები 40, 41, 118
უკანა შუადღე 120

ფ

ფარაგი 100
ფერაულები 108
ფერხისა 86
ფიჭვნი 48, 68, 113
ფლას-ფარდაგები 125
ფორი 37

ქ

ქავი 32, 90, 122
ქაზდარი 119
ქათიბი 115
ქაქუცა ჩოლოყაშვილი 77
ქაჩუ 30, 31, 32, 105
ქვე-ქვე იჯე 108
ქეიმეხკი 71, 72, 74, 79, 80
ქერი 28
ქინთი 145
ქორიალამო 73, 74
ქოქლუა 115
ქუდსაჯდელა 81, 87

ღ

ღაჯია 43, 132
ღივი 125, 126
ღილღო 15
ღუბისთავი 58

ყ

ყაზახეთი 23
ყანკია 86
ყარიმანი 16, 18
ყარნიკები 90
ყანილი 75, 76, 82
ყვერფ-კერა 131

შ

შაბურანი 41
შამილი 14, 39, 85, 83, 56, 100
შინში 49, 92, 106, 138
შურთხი 74, 75
შუშპარი 53

ჩ

ჩერანი 122
ჩია 92
ჩუმელაურნი 108

ცა

ცაბაურთა 105
ცერცვი 134
ციციანოვი 38
ციხეთგორი 29

წ

წითელწყარო 23
წილობა 120, 121
წინა შუადღე 120
წინწანაქარი 131
წონკილდის წვერი 97
წუბროვანი 149

ჭ

ჭანთეთი 54, 98
ჭარი 117
ჭეჭყეთი 108
ჭვავი 28
ჭიმღა 85
ჭინიჭალა 58

ხ

ხავინი 48
ხამხა 15, 16
ხარჯი 50
ხახმატი 26
ხიდოტანი 105
ხიტალე 144
ხმიადი 115
ხოხის ქვა 78
ხოშაქის ტურა 105
ხურტკმელი 63

ჴ

ჴარავანი 81, 150
ჴარათე 149
ჴეტალ ქვიშანი 140, 141
ჴირჩლა ბაბურაული 147
ჴომათე 149
ჴონის ორწყალი 106
ჴორუ 137
ჴულჩები 74, 81

ჯ

ჯალაბაურნი 41, 56, 101
ჯარეგო 16, 31, 47, 67, 69, 72, 74, 81, 86, 87, 94, 144, 150
ჯარიახი 31
ჯიგიტები 90, 110, 111
ჯილდა 121
ჯიშმადგმულობიანი 52
ჯღანი 17, 57, 74, 80
ჯლუნათ მიხიელი 145

ჰ

ჰამაიკა 108
ჰანწეთი 93, 94, 98

გამოყენებული ლიტერატურა

1. არაბული ავთანდილ, არაბული კობა, მყივანა წისქვილები, თბ., 1984.
2. ბალიაური ნათელა, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991.
3. ბალიაური ნათელა, ხევსურული ქრონიკები, თბ., 1995.
4. გამზათოვი რასულ, ჩემი დაღესტანი, თბ., 1982.
5. თედორაძე გიორგი, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, I გამოც., ტფ., 1930; II გამოც., თბ., 1939.
6. მაკალათია სერგი, ხევსურეთი, თბ., 1935.
7. ორბელიანი გრიგოლ, წერილები, ტ. I, თბ., 1936, ტ. II, თბ., 1937.
8. ოჩიაური ალექსი, სტუმარ-მასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980.
9. ოჩიაური ალექსი, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988.
10. ოჩიაური ალექსი, ფშავ-ხევსურული პოეზია, თბ., 1970.
11. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1986.
12. ქართული დიალექტოლოგია, I თბ., 1961.
13. შანიძე აკაკი, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფ., 1931.
14. ცოცანიძე გიორგი, თუშური ქრონიკები, თბ., 2004.
15. ძიძიგური შოთა, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონი-თურთ, თბ., 1956.
16. ჭინჭარაული ალექსი, მთას ვიყავ, თბ., 1980.
17. ჭინჭარაული ალექსი, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.
18. ჭინჭარაული ალექსი, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005.
19. Гурко-Кряжин В. А., Хевсуры, М., 1928.
20. Зиссерман А. Л., Поездка в Шатиль, «Кавказ», 1847, № 18.
21. Зиссерман А. Л., Очерки Хевсурии, «Кавказ», 1851, № 22.
22. Зиссерман А. Л., Двадцать пять лет на Кавказе (1842-1867), ч. I, Спб., 1879; ч. II (1851-1856), Спб., 1879.

MIKHA TCHINTCHARAULI

SHATILI

ARTANUJI Publishers
Tbilisi 2008

საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ გაიდოშვილი
თამარ გეგია
ვიოლა ტულუში
მართა წიკლაური
ალექსანდრე ჯიქურიძე
ილია ხელაია

ფოტო: პაატა ეარდანაშვილი, მიხა ჭინჭარაული

გამომცემლობა არტანუჯი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17ბ.
25-05-22, 91-22-83, 8(93) 25-05-22.
www.artanuji.ge artanuji@artanuji.ge